ვაჟა შუბლაძე

# ტურიზმის დაჩქარებული განვითარება – სიღარიბის დაძლევის ფაქტორი – საქართველოში

ნაწილი I

თბილისი
2006

ᲕᲐᲟᲐ ᲨᲣᲑᲚᲐᲫᲔ. ტურიზმის დაჩქარებული განვითარება – სიღარიბის დაძლევის ფაქტორი – საქართველოში (ნაწილი I). გვ. 256.

წინამდებარე გამოცემა ფუნდამენტური ნაშრომია, სადაც დაწვრილებითაა განხილული ტურიზმის განვითარების ტენდენციები დღევანდელ საქართველოში და მისი განვითარების ორგანიზაციული და ეკონომიკური ასპექტები.

ფართოდაა გაშუქებული სიღარიბის დაძლევაში ტურიზმის განვითარების როლი და მნიშვნელობა.

ავტორი გვთავაზობს ტურიზმის დაჩქარებული განვითარების პროგრამის რეალიზაციის უზრუნველყოფის მექანიზმს და რეკომენდაციებს, გვაცნობს მისი ფორმირების პრინციპებსა და მაკოორდინირებელ ფუნქციებს.

ვიმედოვნებთ, რომ გამოცემა საინტერესო იქნება ტურიზმის პრობლემებით დაინტერესებული მკითხველისა და ფართო საზოგადოებისათვის.


სამეცნიერო რედაქტორი: ᲜᲝᲓᲐᲠ ᲭᲘᲗᲐᲜᲐᲕᲐ
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რედაქტორ-გამომცემლები: ᲖᲐᲣᲠ ᲜᲐᲭᲧᲔᲑᲘᲐ
ᲗᲐᲛᲐᲠ ᲓᲔᲛᲔᲢᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ამ წიგნის გამოცემა შესაძლებელი გახდა საქართველოს ოლიმპიური ფონდისა და მისი პრეზიდენტის ბატონ ᲑᲐᲓᲠᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲙᲐᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ დახმარებით.

ISBN 99940-67-63-X
ISBN 99940-67-64-8



© ᲕᲐᲟᲐ ᲨᲣᲑᲚᲐᲫᲔ. ტურიზმის დაჩქარებული განვითარება – სიღარიბის დაძლევის ფაქტორი – საქართველოში (ნაწილი I).

VAZHA SHUBLADZE

# ACCELERATED DEVELOPMENT OF TOURISM
## - POVERTY ELIMINATION FACTOR -
# IN GEORGIA

## PART I

Tbilisi
2006

**VAZHA SHUBLADZE. ACCELERATED DEVELOPMENT OF TOURISM – POVERTY ELIMINATION FACTOR - IN GEORGIA (part I). Page 256.**

The presented publication is a fundamental work describing the tendencies of tourism development in modern Georgia and the aspects of its organizational and economical development.

Herewith the role and importance of tourism development in poverty elimination is particularly highlighed.

The author presents the mechanism of tourism accelerated development program realization and recommendations, as well as the principles of its forming and coordinating functions.

We hope that the publication will be interesting for general public also.

**Scientific editor:** **NODAR CHITANAVA** (Doctor of Economic Science, Professor)

**Editor-publishers:** **ZAUR NACHKEBIA**
**TAMAR DEMETRASHVILI**

The publication is supported by the Georgian Olympic Fund and its President **Mr. BADRI PATARKATSISHVILI.**

ISBN 99940-67-63-X
ISBN 99940-67-64-8

**© VAZHA SHUBLADZE. ACCELERATED DEVELOPMENT OF TOURISM – POVERTY ELIMINATION FACTOR - IN GEORGIA**

ВАЖА ШУБЛАДЗЕ

# УСКОРЕННОЕ РАЗВИТИЕ ТУРИЗМА
## - фактор преодоления бедности-
# В ГРУЗИИ

### ЧАСТЬ I

Тбилиси
2006

**ВАЖА ШУБЛАДЗЕ. Ускоренное развитие туризма – фактор преодоления бедности – в Грузии. (Часть I). 256 стр.**

Данное издание является фундаментальным трудом, где детально рассматриваются тенденции развития туризма в современной Грузии и организационные и экономические аспекты его развития.

Широко освещается роль и значение развития туризма в преодолении бедности.

Автор предлагает механизм обеспечения реализации программы ускоренного развития туризма, знакомит с координирующими функциями и принципами его формирования.

Надеемся, что издание будет интересным и для широкой читательской общественности.

**Научный редактор:** **Нодар Читанава**
Доктор Экономических Наук,
Профессор

**Редактор-издатели:** **Заур Начкебия**
**Тамара Деметрашвили**

Издание данной книги стало возможным с помощью Олимпийского Фонда Грузии и его Президента господина **Бадри Патаркацишвили**

ISBN 99940-67-63-X
ISBN 99940-67-64-8

# წ ი ნ ა თ ქ მ ა

ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას, რომელიც თანამედროვე მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია, წარმოადგენს სიღარიბე. იგი, როგორც მრავალმხრივი (პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, მორალური, ორგანიზაციული და ა.შ.) მოვლენა, ყველა სოციალურ-ეკონომიკური სისტემისათვის იყო დამახასიათებელი, მაგრამ მან განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის მიმდინარე პროცესებში.

თანამედროვე პირობებში, როცა მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში სულ უფრო ფართოდ ებმება დამოუკიდებელი საქართველო, უნდა გავითვალისწინოთ, რომ საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში მოხდება თვისობრივი ცვლილებები, ანალოგიური იმისა, რაც XX საუკუნის მიწურულს მსოფლიოსთვის იყო დამახასიათებელი. მით უმეტეს, როცა საქართველოში უკვე გამოიკვეთა სიღარიბის „კლასიკური" ტიპის ჩამოყალიბების ტენდენციები.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პროცესი ჩვენი ქვეყნისათვის გაცილებით რთული და წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. რეფორმამდელ პერიოდთან შედარებით მკვეთრად შემცირდა მშპ-ის მოცულობა (2005 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 1990 წლის 50 %), რაც, ბუნებრივია, გამოწვეული იყო წარმოების მოცულობის მკვეთრი დაცემით, ინფლაციით, მასობრივი ხასიათის უმუშევრობით, ეკონომიკის კრიმინალიზაციით და ა.შ. ყოველივე ამან ხელი შეუწყო სიღარიბის დონის მკვეთრ ზრდას (2004 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 54%). საგარეო ვალების შეუნელებელმა ზრდამ (2004 წელს 3 მლრდ. მეტი ლარი), ნეგატიური გავლენა მოახდინა ეკონომიკურ ზრდაზე.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მდგომარეობის კომპლექსური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქვეყანაში მწვავე, მეტად საშიში ხასიათი მიიღო სიღარიბის პრობლემამ. ამიტომ საჭიროა მისი გამომწვევი მიზეზების სისტემური შესწავლა და, შესაბამისად, მისი დაძლევისათვის ეროვ-

ნული ეკონომიკის პრიორიტეტების (იმ „წერტილების“, რომელზე ზემოქმედებითაც შეიძლება მაქსიმალური ეფექტის მიღება) სწორად განსაზღვრა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა სრულყოფის პროცესების განვითარების სახელმწიფოებრივი კოორდინაცია.

მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ სიღარიბის დაძლევას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ისეთი ეკონომიკური და ორგანიზაციული ფაქტორის მიზანმიმართულად და კომპლექსურად გამოყენება, როგორიცაა ქვეყანაში ტურიზმის დაჩქარებული განვითარება. ამ გამოცდილების გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის.

ნაშრომში შევეცადეთ ტურიზმის დაჩქარებული განვითარება წარმოგვედგინა სრულიად ახალი რაკურსით. იგი აღიარებულია სიღარიბის დაძლევის მნიშვნელოვან ფაქტორად, შესაბამისად, განსაზღვრულია მისი როლი და ადგილი ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციაში.

წინამდებარე ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები, შემოთავაზებული რეკომენდაციები და დასკვნები სხვადასხვა დროს მოხსენდა ტურიზმის მსოფლიო ფორუმზე (თბილისი, 1998 წ.), „დიდი აბრეშუმის გზის“ ტურიზმის IV საერთაშორისო კონფერენციაზე (ბუხარა, 2002 წ.), ტურიზმისა და სიღარიბის დაძლევისადმი მიძღვნილ მსოფლიო კონფერენციაზე (პეკინი, 2003 წ.), საქართველოს ეკონომისტთა საზოგადოების პლენარულ სხდომაზე (თბილისი, 2000 წ.), შესაბამისი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების სამეცნიერო საბჭოებზე და გამოქვეყნებულია ეკონომიკური პროფილის სამეცნიერო ჟურნალებში.

*ვაჟა შუბლაძე*
*საერთაშორისო ტურიზმის ექსპერტი,*
*ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი,*
*საქართველოს საინჟინრო აკადემიის*
*წევრ-კორესპონდენტი.*

# თავი პირველი
# ტურიზმი – როგორც სიღარიბის დაძლევის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი (მსოფლიო გამოცდილების თეორიული ასპექტები)

## სიღარიბის დაძლევის თანამედროვე ტენდენციები (კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომები)

სიღარიბე, როგორც მრავალმხრივი (პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, მორალური, ორგანიზაციული და ა.შ.) მოვლენა, ყველა ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების პირობებში არსებობდა, ამიტომ მას კაცობრიობის მარადიულ პრობლემათა რიგს მიაკუთვნებენ.

განსაკუთრებით გაძლიერდა ყურადღება სიღარიბის პრობლემის მიმართ გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის მიმდინარე პროცესებში. ეს შემთხვევითი არ არის. ცნობილია, რომ საზოგადოებაში მასობრივი სიღარიბე ჩნდება იმ დროიდან, როცა იწყება მნიშვნელოვანი უთანასწორობა სიმდიდრის განაწილებაში. ცნობილია, რომ პაუპერიზმის - მასობრივი სიღარიბის - გამომწვევი მიზეზები ამა თუ იმ ეპოქაში, სხვადასხვაა. ბროკჰაუზისა და ეფრონის კვლევების [48, გვ.7] თანახმად, უძველეს დროში და შუა საუკუნეებში პაუპერიზმის მთავარ მიზეზად ითვლებოდა სტიქიური უბედურებები – მოუსავლიანობა, ეპიდემიები, მიწისძვრები, წყალდიდობები, ხანძრები, აგრეთვე ომები და ცუდი სახელმწიფო მმართველობები. ზოგიერთი ისტორიული ეპოქა განსაკუთრებით გამოირჩეოდა პაუპერიზმის მასშტაბებით. ასეთი იყო, მაგალითად, რომის რესპუბლიკისა და იმპერიის დაცემის დრო, როცა რომში თავს იყრიდა ხალხის უპოვარი და უმუშევარი მასები, რომლებიც თავს ირჩენდნენ მხოლოდ ხელისუფლებისაგან მი-

ღებული ხორცითა და პურით. იულიუს კეისრის დროს, პომპეუსთან ომის შემდეგ, რომში ასეთი 300 ათასზე მეტი კაცი ითელებოდა, რაც მოსახლეობის 1/5-ს შეადგენდა[48].

შუა საუკუნეებში, მსოფლიოში სოფლის თითქმის მთელი მოსახლეობა იმყოფებოდა სიღარიბის ზღვარზე. სულ მცირე მიზეზი საკმარისი იყო, რომ გამოეწვია შიმშილი და ადამიანური მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობის გამო, წინააღმდეგობის სხვა მძაფრი გამოვლინებები.

XIX საუკუნეში, მსხვილი მრეწველობის განვითარებასთან ერთად, პაუპერიზმი ახალ ფორმებს იღებს, რომლებიც ახალი კაპიტალისტური წყობილების თანამდევი ხდება.

XX საუკუნეში სიღარიბის პრობლემამ მიიღო მწვავე და მასშტაბური ხასიათი, რადგანაც იგი დაკავშირებულია მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გლობალიზაციასთან. მსოფლიოს ქვეყნები გაერთიანებულნი არიან ერთიანი საფინანსო სისტემით, მათ გააჩნიათ ჯანმრთელობის ერთიანი პრობლემები. შიდსს, დამნაშავეობას, ნარკოტიკებს, გარემოს დაბინძურებას, ეკოლოგიურ კატასტროფებს, ტერორიზმს, ომებს, შიმშილს არ გააჩნიათ სახელმწიფო საზღვრები. ცნობილია, რომ მხოლოდ 2000 წელს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში გაჩაღებული ომების შედეგად 23 მილიონი ლტოლვილი გაჩნდა.

აღსანიშნავია, რომ ღარიბი ადამიანები არიან როგორც განვითარებად, ასევე მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიც. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ადამიანები ცხოვრობენ აქამდე არარსებული და არნახული კეთილდღეობის პირობებში („ოქროს მილიარდი"), ამ დროს 3 მილიარდი ადამიანი – თითქმის ნახევარი პლანეტის მოსახლეობა – ცხოვრობს 2 აშშ დოლარზე ნაკლები შემოსავლით დღეში. მათგან 1,3 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს უკიდურეს სიღარიბეში – 1 აშშ დოლარზე ნაკლები შემოსავალი დღეში [48, გვ. 10]. ეს მონაცემები ყოველწლიურად იზრდება. „XXI საუკუნეში შესასვლელად" - 1999-2000 წლების მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების შესახებ, მსოფლიო ბანკის ანგარიშის მიხედვით – მესამე ათასწლეულის დასაწყისში 1,5 მილიარდი ადამიანი იძულებული იქნება იარსებოს დღეში 1 დოლარით. 2015 წლისათვის კი, ადამიანების რიცხვმა,

რომლებიც სიღარიბის ოფიციალურ ზღვარს ქვემოთ ცხოვრობენ, შეიძლება შეადგინოს 1,9 მილიარდი, ანუ მოსახლეობის მესამედი. უფრო მეტიც, ბოლო მონაცემებზე დაყრდნობით, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ განსხვავება, მსოფლიოს განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის შემოსავლებს შორის, კიდევ უფრო გაიზარდება. ამასთან, ღარიბთა კიდევ უფრო მეტი რაოდენობა მოიყრის თავს ქალაქებში. ეს საშიში ტენდენცია განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

სიღარიბის გლობალური პრობლემა პირდაპირ დაკავშირებულია მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონესთან. 20 განსაკუთრებულად მდიდარი ქვეყნის საშუალო შემოსავლები 37-ჯერ აჭარბებს 20 უღარიბესი ქვეყნის საშუალო შემოსავლებს. ამასთან, უკანასკნელ 40 წელიწადში ეს განსხვავება გაორმაგდა.

მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში, სიღარიბის შემცირებისათვის ბრძოლის გამოცდილებას თავისებურებები ახასიათებს. მაგალითად, აღმოსავლეთ აზიაში ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც დღეში 1 აშშ დოლარზე ნაკლები შემოსავლებით ცხოვრობს, შემცირდა 420 მილიონიდან (1987 წ.) 280 მილიონამდე (1998 წ.), თუმცა ეს მაშინ, როცა აფრიკის ქვეყნებში საჰარის სამხრეთით, სამხრეთ აზიასა და ლათინურ ამერიკაში ღარიბთა ოდენობა იზრდება. ხოლო აღმოსავლეთ ევროპასა (რუსეთის ჩათვლით) და შუა აზიის ქვეყნებში, რომლებიც იმყოფებიან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში, ღარიბთა ოდენობა გაიზარდა ოცჯერ [48,გვ.11].

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, უახლოეს 25 წელიწადში დედამიწის მოსახლეობა 3 მილიარდით გაიზრდება, ძირითადად აზიის რეგიონის ხარჯზე. დემოგრაფიულ კრიზისთან ერთად, კაცობრიობას ემუქრება აგრეთვე, წყლის გლობალური რესურსების კრიზისი, რომლის შედეგადაც 2025 წლისათვის 3 მილიარდი ადამიანი ვერ მიიღებს საკმარის წყალს და ურბანიზაციის კრიზისი გაღრმავდება. ქალაქის მოსახლეობა უახლოეს 30 წელიწადში გასამმაგდება.

სიღარიბის პრობლემის თანამედროვე ტენდენციებისა და თავისებურებების ანალიზიდან შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა,

რომ სიღარიბის პრობლემამ მიიღო გლობალური (ყოვლისმომცველი) ხასიათი, საჭიროა მასთან სისტემური, სისტემატური, მიზანმიმართული და თანმიმდევრული ბრძოლა, როგორც ლოკალურ, ასევე გლობალურ დონეზე.

კლასიკური ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი ადამ სმიტი ამბობდა, რომ არც ერთი საზოგადოება არ შეიძლება იყოს სრულად აყვავებული და ბედნიერი, თუ მისი დიდი ნაწილი რჩება ღარიბი და უბედური. ამ რთულმა და მრავალმხრივმა პრობლემამ თანამედროვე მსოფლიოში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა.

სიღარიბის შეფასება, ჩვეულებრივად, გულისხმობს, რომ არსებობს ზოგადად განსაზღვრული და მკაცრად დადგენილი ცხოვრების დონე, რომელსაც ჰქვია სიღარიბის ზღვარი და რომლის მიღწევაც აუცილებელია, რათა ესა თუ ის ადამიანი არ ითვლებოდეს ღარიბად. უდავოა, რომ არსებობს სხვადასხვა საქონლის მოხმარების დონეები (კვების პროდუქტების, ტანსაცმლის, საცხოვრებლის), რომელთა ქვემოთაც გრძელვადიან პერსპექტივაში მეტნაკლებად დგება ადამიანის თვითგადარჩენის საკითხი. თუმცა, არცთუ მთლად გასაგებია, როგორია ეს დონეები ამა თუ იმ ცალკე აღებული ადამიანისათვის. ამას გარდა, საზოგადოებათა უმრავლესობაში, ზოგიერთი უღარიბესი საზოგადოების ჩათვლით, სიღარიბის გაგება აშკარად გამოდის ადამიანის თვითგადარჩენის აბსოლუტური მინიმუმის ფარგლებიდან.

ასე რომ, სიღარიბის ზღვარი უდაოდ არსებობს, მაგრამ წარმოდგენები მის შესახებ არაერთგვაროვანია. მაგალითად, აბსოლუტური სიღარიბე გულისხმობს, რომ შესაძლებელია განისაზღვროს ცხოვრების მინიმალური დონე – საკვებზე, წყალზე, ტანსაცმელზე და საცხოვრებელზე – ადამიანის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების შესაბამისად. აქ ძირითადი აქცენტი კეთდება ფიზიოლოგიურზე და არა უფრო ფართო სოციალურ-კულტურულ მოთხოვნილებებზე. აბსოლუტური სიღარიბე ჩნდება მაშინ, როდესაც ადამიანები იმყოფებიან ამ დონეზე დაბლა, ანუ რჩებიან საცხოვრებლის, ტანსაცმლისა და საკვების გარეშე. აბსოლუტური სიღარიბის ზღვარის დადგენის მიზნით დგება საქონელზე მოთხოვნილებათა კალათა და შესაბამისად განისაზღვრება მისი ფასი.

ფარდობითი სიღარიბე განისაზღვრება ცხოვრების საერთოდ აღიარებულ (მიღებულ) დონესთან შეფარდებით მოცემულ საზოგადოებაში და მოცემული კონკრეტული დროის მონაკვეთში და არა მხოლოდ მინიმალურ ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებთან შედარებით. მიუხედავად იმისა, რომ სიღარიბის პრობლემა არსებობს ნებისმიერ ქვეყანაში, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ სიღარიბე სხვადასხვა ქვეყანაში ხარისხობრივად ერთგვაროვანია. სიღარიბის ერთნიშნა, საყოველთაოდ მიღებული და მეცნიერულად დასაბუთებული განსაზღვრება, რომელიც იქნება სამართლიანი ყველა დროისა და ყველა ხალხისათვის, არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს.

როგორც ცნობილია, მსოფლიო ბანკის შეხედულებით, ადამიანის კეთილდღეობის დონის განსაზღვრაში სამ ძირითად ფაქტორს ექცევა ყურადღება: სიცოცხლის ხანგრძლივობას, განათლების დონეს და მთლიან შიდა პროდუქტს მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით. გარდა ამისა, მსოფლიოში ადამიანის კეთილდღეობის შესაფასებლად არსებობს მთელი რიგი კონცეპტუალური მიდგომები, რომლებზეც მსჯელობა შორს წაგვიყვანდა და, ვფიქრობთ, აქ მისი აუცილებლობა არც არის. მათ შორის აღსანიშნავია სამი განსხვავებული მიდგომა: სიღარიბე შემოსავლების მიხედვით, ადამიანში ჩადებული უნარის (პოტენციალის) გამოყენების შეუძლებლობა, სიღარიბე, რომელიც განისაზღვრება არსებულ გარემოცვასთან შედარებით ცხოვრების დონის შესამჩნევი სხვაობით.

უცხოელი ეკონომისტების აზრით, სიღარიბის, როგორც რაოდენობრივ, ისე ალტერნატიულ მაჩვენებლებს შორის მნიშვნელოვან კონცეპტუალურ ასპექტს წარმოადგენს განსხვავება ველფერისტულ[1] და არაველფერისტულ მიდგომებს შორის.

პირველი მიდგომა მდგომარეობს იმაში, რომ კეთილდღეობის რაოდენობრივი შეფასება ადამიანთა ცალკეული უპირატესობების საფუძველზე, ანუ სარგებლიანობის ფაქტორზე დაყრდნობით

[1] უკანასკნელ ათწლეულში საზოგადოებრივი კეთილდღეობის შეფასების ველფერისტულმა მეთოდმა განიცადა მძაფრი განვითარება: ამ საქმეში მთავარი წვლილი შეიტანეს ისეთმა ავტორებმა როგორიცაა King (1983 წ. შრომები) [58, გვ.183-214] და Jorgenson and slesnick (1984 წ. შრომები) [57, გვ.369-392].

ხდება. მეორე მიდგომა გულისმობს ელემენტარული მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობას და არ ითვალისწინებს, ან თითქმის არ ითვალისწინებს სარგებლიანობის ფაქტორს [48, გვ.56].

უცხოურ ლიტერატურაში სიღარიბის ცნებასთან ერთად ხშირად იყენებენ სოციალური ექსკლუზიის ცნებას. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, პოსტსოციალისტური ქვეყნებისაგან განსხვავებით, უკვე დიდი ხანია ადგილი აქვს სოციალური ექსკლუზიის პრობლემატიკის ნაყოფიერ კვლევას (P. Abralamson, L.Doybe, J.Cough, P.Leonard, P.Littbewood, S.Pandam, A. Tourainc და სხვ.)

თავისთავად, სიღარიბე, არ არის ექსკლუზია. იგი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სიღარიბე, ის მოიცავს უფლებების ნაკლებობას და რესურსების განაწილების ინსტიტუტებთან შეზღუდულ ხელმისაწვდომობას [55]. სიღარიბე ექსკლუზიაში გადაიზრდება ხანგრძლივი წლების განმავლობაში განვითარებული მზარდი დეპრივაციის შედეგად. ექსკლუზია განიმარტება როგორც განსაკუთრებული მდგომარეობა [47, გვ. 158-166]. საზოგადოების „ფსკერზე" ან მის „გარეთ" ყოფნა, რომელიც წარმოიქმნება იმის შედეგად, რომ ინდივიდები: 1. იმყოფებიან არახელსაყრელ მდგომარეობაში განათლების, კვალიფიკაციის, დასაქმების, საცხოვრებელი, ფინანსური რესურსების თვალსაზრისით და ა.შ.; 2. მათი ხელმისაწვდომობა მოცემულ რესურსებზე არსებითად დაბალია, სხვებთან შედარებით; 3. ამგვარი შეზღუდვები მათზე დიდი ხნით ვრცელდება.

თანამედროვე პირობებში, მსოფლიო ეკონომიკურ მეცნიერებაში სიღარიბის პრობლემის გადაწყვეტა დაკავშირებულია არა მხოლოდ ეკონომიკურ ზრდასთან, არამედ, ასევე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან რეალური დახმარების გაწევა ღარიბებისათვის და ეს არ უნდა იქნას გადატანილი შორეულ პერსპექტივაში. როგორც ცნობილია, ეკონომიკურ ზრდას დიდი მნიშვნელობა აქვს სიღარიბის დაძლევაში, თუმცა, მხოლოდ ეკონომიკურ ზრდაზე დამოკიდებულებით სიღარიბის დაძლევაზე საუბარი არ არის გამართლებული. ამ შემთხვევაში მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელიც სახელმწიფო რეფორმების შედეგად გაღარიბდა, რა თქმა უნდა, სიცოცხლის ბოლომდე ვერ დაელოდება ქვეყანაში კარდინალურ ცვლილებებს, რადგა-

ნაც ეკონომიკური ზრდის შედეგად ცხოვრების დონის ამაღლება მხოლოდ ათწლეულების შემდეგ შეიძლება მოხდეს. მსოფლიო ბანკმა დააყენა საკითხი მსოფლიოს 70 უღარიბეს განვითარებად ქვეყანაში მათთვის სიღარიბის დაძლევის სტრატეგიის ფინანსური დახმარების გზით შემუშავებაზე. თუმცა, ბენეფიციარი ქვეყნების სოციალური დახმარების პროგრამების ანალიზით ერწმუნდებით, რომ სიღარიბის მასობრივად შემცირების ეფექტური მექანიზმი ჯერ არ არის ნაპოვნი. მსოფლიო ბანკის სპეციალისტებმა მოახდინეს სიღარიბის შემცირების სახელმწიფო პოლიტიკის ინსტრუმენტების სისტემატიზაცია, ამისათვის კი გამოიყენეს სოციალური დაცვის ინსტრუმენტები. მსოფლიო გამოცდილებით დაგროვდა ღარიბთა სახელმწიფო მხარდაჭერის მრავალი ინსტრუმენტი. ეს მეთოდები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა მიზნობრივი პროგრამის გზით ტარდება. მეთოდების მოცემული სისტემა აქტუალურია და მისაღებია ასევე დსთ ქვეყნებისათვის. ყველა პროგრამას აქვს ნაკლოვანებები (ეს პროგრამები არ არის დაზღვეული ნაკლოვანებისაგან, რომელიც დაკავშირებულია დახმარების არადროულობასთან, თანაც სუსტი, დროებითი ეფექტებით), აგრეთვე სოციალური დაცვის სისტემაში ხშირად ადგილი აქვს კორუფციის, ბიუროკრატიზმის ფაქტებს.

უნდა აღინიშნოს, რომ სიღარიბესთან ბრძოლა მხოლოდ პროგრამების მიღებით არ ამოიწურება. პრობლემის გადაჭრა მოითხოვს მის უფრო ღრმა შესწავლას და ანალიზს, აუცილებელია ისეთი პოლიტიკის განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს სიმდიდრის და შემოსავლების უფრო სამართლიან გადანაწილებას, იმათ სოციალურ დაცვას, ვისაც არ შეუძლია საკუთარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

თანამედროვე საქართველოში შემოსავლების დონე და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან მოსახლეობა ისეთ შემოსავლებს იღებს, რომელიც ვერ უზრუნველყოფს სამუშაო ძალის კვლავწარმოებას. მინიმალური ხელფასი საარსებო მინიმუმის მეოთხედს თუ შეადგენს.

დღევანდელ საქართველოში არსებული სიღარიბე მკვეთრად განსხვავდება საბჭოთა ეპოქისათვის დამახასიათებელი სიღა-

რიბისაგან, მაგრამ თავისი ფორმით ის სიღარიბეც არაა, რომელიც არსებობს საბაზრო ეკონომიკის მრავალსაუკუნოვან ისტორიის მქონე ქვეყნებში. საქართველოში ღარიბები შესამჩნევად განსხვავდებიან საბჭოთა ეპოქაში და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მყოფი ღარიბებისაგან, საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში მათი არაპროპორციულად მაღალი წილით და შემადგენლობის არაერთგვაროვანებით, „ძველი“ და „ახალი“ ღარიბების საზოგადოებაში ინტეგრირების სხვადასხვა ხარისხით, სიღარიბის აღქმის უნარით.

საქართველოში ყალიბდება სიღარიბის „კლასიკური“ ტიპი. ჩვენ თვალწინ, რამდენიმე წლის მანძილზე, ღარიბ ოჯახებში სწრაფი ტემპებით გაუარესდა მათი საცხოვრებლით უზრუნველყოფა, მათი წევრების ჯანმრთელობის მდგომარეობა, შეიცვალა ოჯახების სოციალურ-დემოგრაფიული ტიპი,გაიზარდა ეკონომიკურად არააქტიური წევრების რიცხვი და სხვა. საქართველოში სიღარიბის ის სპეციფიკური თავისებურებები, რომელსაც, უეჭველად, ჯერ კიდევ აქვს ადგილი, წარმოადგენს არა იმდენად საქართველოს სოციოკულტურული სპეციფიკის შედეგს, რამდენადაც ღარიბების მიერ საბჭოთა პერიოდში დაგროვილ და ჯერ კიდევ ამოუწურავი კაპიტალის შედეგს, სოციალური ქსელის კაპიტალის ჩათვლით. თუმცა, ეს დაგროვილი კაპიტალიც თანდათანობით იწურება და სიღარიბესთან ბრძოლის თვალსაზრისით თუ არ გატარდა ქმედითი ღონისძიებები, უახლოეს წლებში, საქართველოში მოხდება კლასიკური ღარიბების საბოლოოდ ფორმირება.

გლობალიზაციის პირობებში, რომელშიც სულ უფრო ფართოდ ებმება საქართველო, მოსალოდნელია ცვლილებები საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში იმ სახით, როგორც უკანასკნელი წლების მსოფლიოსთვისაა დამახასიათებელი. მიუხედავად იმისა, რომ როგორც სიღარიბეს, ისე სოციალურ ექსკლუზიას, ყველა ქვეყანაში თავისი ეროვნული სპეციფიკა გააჩნია (ექსკლუზიის ფორმირებისათვის გენდერული განსხვავების შედარებით დაბალი დონე, დისკრიმინაცია არა იმდენად სამოქალაქო უფლებების დარღვევის ხარჯზე, რამდენადაც ხელისუფლებაში, საბაზრო ურთიერთობებში და საერთოდ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მხრივ, სახელმწიფოს მომსახურებით სარგებლო-

ბის შეზღუდვა), ამით არ იცვლება ექსკლუზიის განვითარების საერთო ტიპიური სურათი. შესაბამისი ანალიზის შედეგად, თანამედროვე საქართველოში სრულიად რეალურ საფრთხეს წარმოადგენს ექსკლუზიის ფორმირება, ამიტომ იმისათვის, რომ ქვეყანა მზად შეხვდეს მოსალოდნელ პროცესებს, აუცილებელია რეალიზებადი სოციალური პოლიტიკის შემუშავება, შესაბამისი კანონმდებლობის არსებობა და ამ საკითხებში საზოგადოების გათვითცნობიერება, რამდენადაც ამ პროცესისათვის მზად არ არის არც საზოგადოების აზროვნება, არც სამეცნიერო და პოლიტიკური წრეების დიდი ნაწილი.

საქართველო ერთ-ერთი ქვეყანაა იმ 70 სახელმწიფოს შორის, რომელიც სიღარიბის დაძლევის სტრატეგიული დოკუმენტის შექმნის პროცესშია ჩართული [13, გვ.3].

პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან საქართველო არ არის ერთადერთი ქვეყანა, რომელიც მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, მოლდოვა და ტაჯიკეთი, ზამბიასთან, ჰაიტისა და ლიბერიასთან ერთად იმ ქვეყნების რიცხვში შედიან, რომელთა მოსახლეობის განსაკუთრებით დიდი ოდენობა იმყოფება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ. სიღარიბის მიღმა იმყოფება ამ სახელმწიფოთა მოსახლეობის 80%. ღარიბთა განსაკუთრებულად დიდი ოდენობის რიცხვის მქონე ქვეყნების ჩამონათვალში 21-23 ადგილებს იყოფენ სომხეთი და ყირგიზეთი – სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება ამ ქვეყნების მოსახლეობის 55%. საქართველო იკავებს 24 პოზიციას (54%), აზერბაიჯანი – 37-ეს (49%), რუსეთი – 52-ეს (დაახლოებით 40%), თურქმენეთი – 65-ეს (34%), უკრაინა – 73-ეს (დაახლოებით – 29%), ყაზახეთი – 77-ეს (26%), ბელორუსი – 85-ეს (22%). საშუალოდ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს დედამიწის მოსახლეობის 41,9%. აშშ-სათვის ეს მონაცემები ტოლია 13%-ის, დიდი ბრიტანეთისათვის – 17%-ის, ჩინეთისათვის 22%-ის. (მოცემული რეიტინგი შედგენილია მსოფლიო ბანკის 1999-2001 წლების მონაცემთა ბაზაზე) [65].

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი, ყოფილი სოციალისტური ქვეყნების უმრავლესობისათვის, კერძოდ კი დსთ-ს შვიდ ყველაზე უღარიბესი ქვეყნისათვის (სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი, მოლდოვა), გაცილე-

ბით რთული აღმოჩნდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. ამ ქვეყნებში საბჭოთა პერიოდთან შედარებით მკვეთრად შემცირდა მშპ-ის მოცულობა, რაც გამოწვეულ იქნა წარმოების მოცულობის მყისიერი დაცემით, ინფლაციით, შედეგად მივიღეთ უმუშევრობა, რამაც, თავის მხრივ, სიღარიბის დონის ზრდა გაცილებით მასშტაბური და ხანგრძლივი გასადა, ვიდრე თავდაპირველად შეიძლებოდა გათვალისწინებულიყო. ამასთან, ზოგიერთ ამ ქვეყანაში საგარეო ვალების განუხრელად ზრდამ, დარტყმის ქვეშ დააყენა უკანასკნელ პერიოდში დასახული ეკონომიკური ზრდის ტენდენციებიც [66, გვ.5].

ზემოაღნიშნულის თვალსაჩინოებისათვის მოვიტანოთ 1990-2001 წლების მონაცემები ამ ქვეყნებში მთლიანი შიდა პროდუქტის, ინფლაციისა და საგარეო ვალის ოდენობის ცვლილებების ტენდენციებთან დაკავშირებით (იხ. ცხრილი № 1, 2, 3). როგორც ჩანს, კრიზისმა მიიღო მასშტაბური ხასიათი, უმრავლეს ქვეყნებში განახევრდა მშპ მოცულობა, საშიში ხასიათი მიიღო ინფლაციამ.

ინტერესმოკლებული არ იქნება გავეცნოთ სიღარიბის მაჩვენებლის ცვლილებების დინამიკას დსთ-ს ყველაზე ღარიბ, ზემოთხსენებულ შვიდ ქვეყანაში, რომლებსაც სხვანაირად საერთაშორისო ორგანიზაციები მოიხსენიებენ როგორც დსთ – 7-ის ქვეყნებს (იხ. ცხრილი №4). როგორც ჩანს, სიღარიბის მაჩვენებელმა ყველაზე მაღალი ტემპით ზრდა განიცადა საქართველოში, მოლდოვაში, ტაჯიკეთში და სომხეთში. ფაქტობრივად, ქვეყნებში, რომლებიც აქტიურად აღმოჩნდნენ ჩაბმული საომარ კონფლიქტებში.

სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის ტაქტიკაში, მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობს სოციალური მიზნებისათვის ცენტრალური ბიუჯეტიდან გაღებული ხარჯების ოდენობა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, ფრიად საგულისხმოა გავეცნოთ, დსთ – 7-ისა და ზოგიერთი განვითარებადი ქვეყნის, აგრეთვე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ცენტრალური მთავრობების მიერ ამ მიზნით გაწეული ხარჯების დინამიკას და მათ შედარებას საშუალო ევროპულ (ევროკავშირის ქვეყნები) მონაცემებთან (იხ. ცხრილი №5). ანალიზი უჩვენებს, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ 1995 წლისათვის სოციალური მიზნებისათვის გაწეული ხარჯების მაჩვენებელი (6.1 აშშ დოლარი ერთ სულ მოსახ-

ლეზე), პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე დაბალია ტაჯიკეთის შემდეგ. თუ შევადარებთ მას განვითარებადი ქვეყნების მაჩვენებლებს, დავინახავთ, რომ იგი 4,5-ჯერ დაბალია ჰონდურასის მაჩვენებელზე, ხოლო 3-ჯერ – იემენისაზე. უფრო კატასტროფულია სხვაობა აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანასთან, აგრეთვე საშუალო ევროპულ მაჩვენებელთან შედარებით. კერძოდ: 43-ჯერ ჩამორჩება ჩეხეთისა და უნგრეთის მაჩვენებლებს, ხოლო საშუალო ევროპულთან შედარებით – 257,5 ჯერ ნაკლებია. სამწუხაროდ, საქართველოში სოციალური მიზნებისათვის გაწეული ხარჯების მდგომარეობა არც მომდევნო წლებში გამოსწორებულა.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დროს უკიდურესად გამწვავდა დასაქმების პრობლემა. უმუშევრობას თან ახლავს ნეგატიური შედეგები. იგი იწვევს სამუშაო ძალის რესურსების გადაადგილებას საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობიდან პროფესიული პასიურობის სფეროში, რაც იწვევს უმუშევრობის სტატუსს და პირადი ღირსების დაკარგვას. ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ამ ქვეყნებში შრომის ბაზრის განვითარების რეალურ პროცესებს ასახავს დასაქმების სახელმწიფო რეგულირების მეთოდები. საქართველოში, ჩვენი აზრით, სახელმწიფოს მიზნობრივ პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიჭიროს დასაქმების რეგულირების საკითხებმა, უმუშევრობის ამა თუ იმ ფორმის აღმოფხვრისა თუ შესუსტებისაკენ მიმართულმა ღონისძიებებმა:

– პირველ რიგში, ქვეყნის ეკონომიკური თავისებურებების გათვალისწინებით, აუცილებელია მოქმედი შრომის ბაზრის სრულყოფილი სისტემის ჩამოყალიბება;

– უმუშევარი მოსახლეობის მხარდაჭერა უპირატესად უნდა გამოიხატოს პროფესიულ სწავლებასა და გადამზადებაში;

– მოსახლეობის დასაქმებისა და მათი სამეწარმეო უნარის გააქტიურების მიზნით, აუცილებელია გრძელვადიანი სახელმწიფო პროგრამის შემუშავება, რომელიც დამყარებული იქნება თვითდასაქმებისა და მეწარმეობის სტიმულირებაზე და ამასთან ერთად, ხელს შეუწყობს ეკონომიკის ინფრასტრუქტურისა და ტრადიციული, პერსპექტიული სახეობების შემდგომ განვითარებას;

– მოქალაქეთა დროებითი შრომითი მოწყობის უზრუნველყოფა, სამუშაო ძალის ტერიტორიული მობილურობა, შრომის ანაზღაურების ადეკვატური და სამართლიანი სისტემის დანერგვა, ანუ ხელფასის მიახლოება საშუალო საარსებო მინიმუმთან;

– მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის ფინანსური მხარდაჭერა, ისეთი საწარმოების სელექციური მხარდაჭერა, რომლებიც უფრო მაღალეფექტურია დასაქმების თვალსაზრისით;

– აუცილებელია შესაბამისი წანამძღვარების შემუშავება, ცვლილებები შრომის შინაარსში, ხასიათსა და ორგანიზაციაში, რაც გამოწვეულია წარმოების მოუქნელი სპეციალიზაციით, მისი სტრუქტურული და ტექნოლოგიური გარდაქმნებით.

განხილული რეკომენდაციებისა და წინადადებების პრაქტიკაში დანერგვა საშუალებას მოგვცემს, უზრუნველვყოთ ცვალებად პირობებში უმუშევართა სწრაფი ადაპტაცია (ფსიქოლოგიური, პროფესიული, კვალიფიციური) და მათი დასაქმება შესაბამის სფეროებში, რის შედეგადაც შეიქმნება მოსახლეობის ფულადი შემოსავლების ზრდის ობიექტური წანამძღვარები, განხორციელდება ეფექტური მართვის საშუალებით მოსახლეობის დასაქმების რაციონალიზაცია და, აქედან გამომდინარე, საფუძველი ჩაეყრება სიღატაკის აღმოფხვრას.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ადამიანური რესურსები, და არა მხოლოდ კაპიტალი და ბუნებრივი სიმდიდრე, საბოლოოდ განსაზღვრავს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხასიათს, მიმართულებას, ეტაპს. როგორც ავღნიშნეთ, სიღარიბის დაძლევისათვის დასაქმების პრობლემის გადაჭრას გადამწყვეტი როლი ენიჭება. მთავარია, სწორად განისაზღვროს მოსახლეობის დასაქმების პირობები. თანამედროვე ეტაპზე განვითარებული ქვეყნების მშპ ნახევარზე მეტის წარმოება ახალი ცოდნის შექმნასთან და გავრცელებასთანაა დაკავშირებული [49, 178]. შესაბამისად, ცოდნის შექმნისა და გავრცელების სფეროში დასაქმებულია უფრო მეტი ადამიანი, ვიდრე მატერიალურ წარმოებაში. ამგვარ მოდელზე გადასვლა საქართველოს განვითარების სტრატეგიის მთავარ ამოცანად უნდა მივიჩნიოთ. ამისათვის კი მთავარ პრიორიტეტებად უნდა განისაზღვროს განათლებისა და

მეცნიერების განვითარება. საქართველოს მომავალი, მისი მოსახლეობის კეთილდღეობა და სოციალ-ეკონომიკური დაჩქარების ტემპები სწორედ განათლებისა და მეცნიერების განვითარების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების დინამიკაზეა დამოკიდებული. რეფორმამდელ პერიოდში საქართველო ამ მიმართულებით მსოფლიოში ითვლებოდა ერთ-ერთ მაღალგანვითარებულ ქვეყნად. პოსტსოციალისტურ პერიოდში ეკონომიკური სისტემის სპონტანური ნგრევის ფონზე განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ეროვნული ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის, მეცნიერებისა და პრაქტიკის თანამედროვე მიღწევების საფუძველზე ტრანსფორმაციის ამოცანამ. ქვეყანაში ჩამოყალიბდა უნიკალური სიტუაცია. ერთი მხრივ, ეროვნული ეკონომიკის ყველა დარგში კვალიფიციური კადრების (განათლების დონით, გამოცდილებით) სიჭარბეა. მეორე მხრივ, სამუშაო ადგილების მწვავე დეფიციტი, უმუშევრობის ზრდა, ასევე დასაქმებულთა ანაზღაურების უკიდურესად დაბალი დონე. აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით, განათლების სფეროში არსებული მიზეზების აღმოფხვრისა და განათლების სისტემის სრულყოფის მიზნით, პრინციპული მნიშვნელობისაა განათლების სფეროს განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავება. მოსახლეობის განათლების დონემ უნდა განსაზღვროს ეკონომიკის განვითარების მიმართულებაც და ტემპიც [42].

სახელმწიფო პროგრამა შედგენილი და გათვლილი უნდა იყოს იმის გათვალისწინებით, რომ ცოდნის სფეროში, მისი შექმნისა და გავრცელების არეალში დასაქმებულთა რიცხვმა საგრძნობლად მოიმატოს. აუცილებელია მოსახლეობის დასაქმების სახელმწიფო პროგრამაში გათვალისწინებულ იქნას, რომ მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში, პოსტინდუსტრიული საზოგადოება განვითარებისას ყველაზე მეტად ემყარება ადამიანური კაპიტალის, საერთოდ, განახლებადი რესურსების უპირატეს გამოყენებას. მისი საფუძველია ცოდნის ეკონომიკის გაბატონება, რომლის მთავარი ფუნქციებია: ცოდნის დეფიციტის მაქსიმალურად დაძლევა, ცოდნის დაუფლების თანაბარი შესაძლებლობების შექმნა ყველასათვის, განვითარების ეფექტიანი მიმართულებების შერჩევა გადაწყვეტილებათა მიღებისათვის [42].

ამრიგად, განათლების სისტემისა და მეცნიერების განვითარების საფუძველზე შესაძლებელია თანამედროვე ეკონომიკის წინსვლა, ახალი ცოდნის წარმოება, თეორიული და ტექნოლოგიური ინოვაციების შექმნა და ადამიანური კაპიტალის განვითარება, და რაც მთავარია, მოსახლეობის დასაქმება ამ სფეროში, რაც, თავის მხრივ, სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთი ფაქტორს წარმოადგენს.

სიღარიბის შემცირების საკუთარი სტრატეგიის სრულყოფისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, განსაკუთრებით ადამიანთა ჯანმრთელობის როლს, რაც სულ უფრო ფართო აღიარებას პოულობს. როგორც ცნობილია, ჯანმრთელობის მდგომარეობა წარმოადგენს ადამიანის კეთილდღეობის ფუნდამენტურ ელემენტს. სიღარიბის შემცირების სტრატეგიის ჯანდაცვითი კომპონენტების საბოლოო მიზანი მდგომარეობს ღარიბებისა და მოსახლეობის დაუცველი ფენების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებაში. ამ სტრატეგიის ფორმირების პირველ ეტაპს წარმოადგენს არსებული სიტუაციის შეფასება.

საქართველოში დღეს შენარჩუნებულია სიცოცხლის ხარისხის შედარებით კარგი მაჩვენებელი, თუმცა, ეს უფრო მეტად წარსულში მოქალაქეთა ჯანმრთელობის უკეთესი მდგომარეობით აიხსნება. ეს დასკვნა ჯანდაცვის სისტემის დაფინანსების გაუარესების ტენდენციით დასტურდება: დანახარჯები ამ სისტემაზე მშპ მიმართ 1991 წელს – 4,25% შეადგინა, 1999 წელს კი – 0,59%. საქართველოში ჯანდაცვის სფეროში შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად დიდი ძალისხმევაა საჭირო. აუცილებელია ამ სფეროში კერძო სექტორის გააქტიურება, სახელმწიფო დაფინანსების გაზრდა, სადაზღვევო მედიცინის განვითარება.

საქართველოში სიღარიბის დაძლევის მაკროეკონომიკური პრობლემების კვლევისას, ჯანდაცვის მიმართულებით განსაკუთრებით ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ საკითხებს: ჯანდაცვის მიზნით გამოყოფილი რესურსების მოცულობაზე, ასევე მოსახლეობის ღარიბი ფენების ინტერესების გათვალისწინებით ამ რესურსების ოპტიმალურ გადანაწილებაზე; ღარიბთა ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესების მიმართულებით რეფორმებისა და ცვლილებების განხორციელებაზე; დასახული ღონისძიებების რე-

ალიზაციის საშუალებებსა და გზებზე მოსახლეობის ღარიბი ფენების დასახმარებლად.

ქვეყანაში სიღარიბის გაღრმავებაზე მეტყველებს უკანასკნელი წლების მანძილზე მოსახლეობის მიერ კვების პროდუქტების მოხმარების შემცირების ტენდენცია. კვების პროდუქტების მოხმარების ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზის სფეროში სიღარიბის დონის ადეკვატური ინდიკატორებია კვების პროდუქტების მოხმარების ფიზიოლოგიური ნორმების გათვალისწინებით მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხის შემცირების ტენდენცია, კვების პროდუქტების მოხმარების საერთო სტრუქტურაში პურისა და პურპროდუქტების მოხმარების ხვედრითი წილის გადიდება და, შესაბამისად, ხორცისა და ხორცპროდუქტების მოხმარების ხვედრითი წილის შემცირება [1].

სიღარიბის ზღვარს ქვემოთ და ზემოთ მყოფთა კვების რაციონი მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა კვების რაციონში ძირითადი ადგილი იაფ კალორიებს უჭირავთ. მოსახლეობის მიერ კვების რაციონის საკუთარი წარმოების პროდუქტებით შევსებისა და არაოფიციალური სოციალური დახმარების მექანიზმების ხარჯზე საქართველოში სიღარიბე შედარებით ნაკლებადაა დაკავშირებული შიმშილთან. ეს ფაქტორი უკიდურესი სიღარიბის, ანუ შიმშილის დაძლევის გზაზე მაღალ ეფექტს იძლევა. თუმცა, პერსპექტივაში იგი არ იძლევა არასაკვები მოთხოვნილებების (განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, გათბობა, შუქი და სხვა) დასაკმაყოფილებლად საჭირო ფულადი შემოსავლების დაგროვების შესაძლებლობას. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა საკვები ენერგიის საშუალო მოხმარების დონე FAO-ს სტანდარტების მიხედვით რისკის ზონაში იმყოფება [1]. მოსახლეობის სიღარიბის დამადასტურებელია ის ფაქტიც, რომ ცალკეული პროდუქტების ადგილობრივი რესურსები ბევრად აღემატება მოხმარებულს. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში აუცილებელია ეროვნული მეურნეობის სახელმწიფო რეგულირება. მან უნდა უზრუნველყოს როგორც პროდუქციის მწარმოებელთა, ისე მომხმარებელთა ინტერესების დაცვა, საიმედო ეკონომიკური და სოციალური პირობების შექმნა ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის, შიდა ბაზრის დაცვის რეგულირება, ბუნებ-

რივ-მატერიალური და შრომითი რესურსების სრულად და ეფექტიანად გამოყენება. მართებულად მიგვაჩნია, ევროკავშირის ეკონომიკური პოლიტიკის გამოცდილების გათვალისწინებით, საკუთარი წარმოების ხარჯზე სასურსათო უსაფრთხოების მყარი პირობების შექმნის უზრუნველყოფა.

ქვეყანაში სიღარიბის აღმოფხვრის ერთ-ერთი მნიშვნელოვან ფაქტორს ტურიზმის განვითარება, მდგრადი ტურიზმის მიზანმიმართულად და გააზრებულად გამოყენება წარმოადგენს. ტურიზმის მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობაში საგრძნობლად იზრდება. ტურიზმს, როგორც უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ინდუსტრიას, შესაბამისი გზების გამონახვით, შეუძლია უდიდესი როლი შეასრულოს ღარიბთა რაოდენობრივ შემცირებაში. სპეციალურად იქნა შემოღებული ტერმინი „პროღარიბული ტურიზმი". ტურიზმის ეს სახეობა ახდენს შემოსავლების გენერირებას ღარიბთათვის. ამ სახით ტურიზმის სტრატეგია ფოკუსირდება არა იმდენად მთელი ტურიზმის სექტორის უბრალოდ განვითარებაზე, არამედ მეტწილად ღარიბთათვის ტურიზმში მონაწილეობის სპეციალურ შესაძლებლობებზე.

საქართველოში, ჩვენი აზრით, განვითარებული ქვეყნების მსგავსად, ძალიან მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ფორმალურ ტურისტულ სექტორს, ეკონომიკური სარგებლის გაზრდისა და სიღარიბის შემცირებისათვის მნიშვნელოვანი როლი მიენიჭება (სასტუმროები, რესტორნები, სატრანსპორტო საწარმოები, ტუროპერატორები და სხვ.) და ადგილობრივ ეკონომიკას შორის მჭიდრო ურთიერთკავშირების დამყარებას, ზოგადად, საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას, რომლის ასპექტებსაც ქვემოთ სპეციალურად განვიხილავთ.

სიღარიბის დაძლევაში მთავარი პასუხისმგებელი სახელმწიფოა, რომელსაც საბაზრო მექანიზმებთან ერთად შეუძლია გამოიყენოს ადმინისტრაციული, სამართლებრივი, დირექტიული და სხვა მეთოდები. სახელმწიფომ მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს ანტისახელმწიფოებრივი და ანტიკრიზისული მოვლენები, როგორიცაა კონტრაბანდა, გადასახადების გადაუხდელობა, კორუფცია და მექრთამეობა, რაც უმრავლესობის გაღატაკებისა და უმცირესობის გამდიდრების საფუძველია.

სიღარიბის მასშტაბების შემცირების საწყის ეტაპზე მიღწეული უნდა იქნას მოსახლეობის უღარიბესი ნაწილის შემოსავლების შედარებით სწრაფი ზრდა ფულადი სახსრებით, თუ მატერიალური ფასეულობით. შემდეგი ეტაპისათვის უნდა შემუშავდეს შემოსავლების გადანაწილების ისეთი სისტემა, რომელიც მოსახლეობის მაღალ შემოსავლიანი ფენების შემოსავლების გარკვეული ნაწილის ღარიბთა მატერიალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გადანაწილებას უზრუნველყოფს. ორიენტაცია უნდა იქნას აღებული მოსახლეობის მაღალშემოსავლიანი კატეგორიის პროგრესული საგადასახადო განაკვეთით დაბეგვრისაკენ, ხოლო დაბალშემოსავლიანთა – დაბალი კოეფიციენტით დაბეგვრა ან მთლიანად გათავისუფლება აღნიშნული გადასახადისაგან [15, გვ. 28].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ საქართველოში სიღარიბის გავრცელებული ფორმა, ძალიან რთული და დინამიურად განვითარებადი ცხოვრების ფენომენია. სიღარიბის დაძლევისათვის ბრძოლას მაშინ ექნება აზრი, თუ სწორად განვსაზღვრავთ ბრძოლის პრიორიტეტებს, იმ „წერტილებს“, რომელზე ზემოქმედებითაც შეიძლება მაქსიმალური ეფექტის მიღება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხანგრძლივი სიღარიბე შეიძლება გადაიზარდოს ღრმა სოციალური ექსკლუზიის პროცესებში, რომლის დაძლევა ტიტანურ ძალისხმევას მოითხოვს, ან, მან შეიძლება, სულაც შეუქცევადი პროცესის სახე მიიღოს.

სწორედ ამიტომ, საქართველო შეუერთდა გაეროს პროგრამას, რომელიც ცნობილია სახელწოდებით: „ათასწლეულის განვითარების მიზნები“ და წარუდგინა კიდეც მას პირველი ეროვნული ანგარიში.

როგორც ეს ანგარიშში დაწვრილებით არის განხილული, საქართველოში შექმნილი სურათი საკმაოდ დამაფიქრებელია. ასე რომ, 2015 წლამდე ათასწლეულის განვითარების მთავარი მიზნის მისაღწევად – განახევრდეს სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა – სერიოზული ძალისხმევაა საჭირო. სამწუხაროდ, საბაზო, 2000 წლის შემდგომ, მსგავსი მოსახლეობის წილი მხოლოდ გაიზარდა. ოფიციალურ საარსებო მინიმუმთან მიმართებით სიღარიბის დონე 2000 წლის მონაცემების მიხედ-

ვით დაახლოებით 52%-ს შეადგენდა, უკიდურესი სიღარიბის ზღვართან მიმართებით კი – 14,3%-ს. 2003 წლის მონაცემებით სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი 54,2%-მდე, ხოლო უკიდურესი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი 16,6%-მდე გაიზარდა (ცხრილი 6). თუ არ შეიცვლება არსებული მდგომარეობა, სიღარიბის დონე ზრდის ტენდენციას ატარებს და 2015 წლისათვის ოფიციალური სიღარიბის ზღვარის 68,2%-ს მიაღწევს, ხოლო უკიდურესი სიღარიბე 29,6%-ს. ტენდენციები აჩვენებს, რომ დასახული მიზნების მიღწევა არსებითი ზემოქმედების გარეშე ნაკლებად იქნება შესაძლებელი.

2015 წლისათვის დასახული მიზანი – უკიდურესი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის რიცხვის განახევრება – შეესაბამება საქართველოში ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამის მიზანს. კერძოდ, პროგრამა ითვალისწინებს 2015 წლისათვის უკიდურესი სიღარიბის დონის 4%-მდე დაწევას, ხოლო ოფიციალურ საარსებო მინიმუმთან მიმართებით სიღარიბის დონის შემცირებას 20-25%-მდე [1].

ნიშანდობლივია, გავეცნოთ საქართველოს ძირითად სოციალ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს 1997-2003 წლებში (ცხრილი 7). ანალიზი გვიჩვენებს, რომ მშპ ზრდისა და უმუშევრობის დონის შემცირების მიუხედავად შესაბამისად არ შემცირებულა სიღარიბის დონე, პირიქით, იგი უფრო გაიზარდა და 2003 წელს შეადგინა 54,2%. ეს თავისებურება მიანიშნებს იმაზე, რომ სიღარიბის დაძლევის პრობლემა მრავალმხრივია და სისტემურ მიდგომას მოითხოვს.

ეკონომიკის განვითარების დაბალი ტემპის პირობებში, კიდევ უფრო იზრდება დაუცველი მოსახლეობის (შინამეურნეობების) ხვედრითი წილი, და გარკვეული რისკის შემთხვევაში, უკიდურესად გაღარიბების ალბათობა. ღარიბი მოსახლეობის შემოსავლების 28% დამოკიდებულია სოციალური დაცვის სისტემაზე, რომელიც დასუსტებულია მცირე საგადასახადო ბაზით, სუსტი ფისკალური დისციპლინითა და მმართველობით, მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერებით (2003 წლისათვის ქვეყანაში პენსიონერთა საერთო რაოდენობა მოსახლეობის ოფიციალური რაოდენობის 19,5%-ს შეადგენს) და სოციალური ტრანსფერების არას-

რულყოფილი განაწილებით. სოციალური დაცვის სახელმწიფო სისტემის მიერ გაცემული სარგებლის (სოციალური, შრომითი, ინვალიდობის პენსიები, სოციალური დახმარებები) ოდენობა ძალიან დაბალია. ბიუჯეტის შესრულების დაბალმა დონემ გამოიწვია სოციალური და საპენსიო დავალიანებების დაგროვება.

საქართველოში შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი რთულ გეოგრაფიულ გარემოში ცხოვრობს. განსაკუთრებით რთულია მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ქვეყნის ტერიტორიის 55% ზღვის დონიდან 1000 მ-ზე მაღლაა. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში, ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცვლილებები ყველაზე მწვავედ აისახა მთიან რეგიონებზე. ტრადიციული შრომის სიმძიმე და შრომის დაბალი ანაზღაურება, სამუშაოს არარსებობა და განუვითარებელი კულტურული თუ საყოფაცხოვრებო მომსახურების სფერო – ეს არის იმ მიზეზების არასრული ჩამონათვალი, რომლებიც მზარდ მიგრაციას განაპირობებენ, როგორც ქვეყნის შიგნით, ქალაქებისაკენ, აგრეთვე ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.

ზემოაღნიშნული პრობლემებისა და ქვეყანაში სიღარიბის დაძლევის მიზნით, საქართველო აქტიურად ჩაერთო ათასწლეულის განვითარების პროგრამაში, სადაც ჩვენი ქვეყნისათვის 8 ძირითადი მიზნის განხორციელება განისაზღვრა, 18 ამოცანის გადაწყვეტის მეშვეობით. ეს მიზნებია: 1) უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრა; 2) განათლების ხარისხისა და ინსტიტუციური მოწყობის გაუმჯობესების გზით საქართველოს განათლების სისტემების ინტეგრაცია მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში; 3) სქესთა თანასწორობისა და ქალთა უფლებებამოსილების გაზრდა; 4) ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება; 5) დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესება; 6) აივ/შიდსთან, მალარიასა და სხვა დაავადებებთან ბრძოლა; 7) ეკოლოგიური მდგრადობის უზრუნველყოფა; 8) განვითარებისათვის მსოფლიო თანამშრომლობის ჩამოყალიბება [1].

2003 წლის „ვარდების რევოლუციის" შედეგად ხელისუფლების ცვლილებამ შესაძლებელი გახადა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითშეგნების ახალი სისტემის ფორმულირება. მთავ-

რობის უპირველეს მიზნებად დაისახა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და თანამედროვე ევროპული ქვეყნის ჩამოყალიბება. რეფორმის ძირითად ორიენტირებად, სხვა მიმართულებებთან ერთად, აღიარებულ იქნა: ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა; ბიზნეს-გარემოს მკვეთრი გაუმჯობესება; მიზანმიმართული დასაქმების პოლიტიკის წარმართვა და სიღარიბის დაძლევა; საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განვითარების თანაბარი შესაძლებლობების ჩამოყალიბება; ყველა გადამხდელისათვის ელექტროენერგიის უწყვეტი მიწოდების უზრუნველყოფა; აუცილებელი სამედიცინო მომსახურების ყველასათვის ხელმისაწვდომობა; განათლების სტანდარტების თვისობრივი გაუმჯობესება; განათლებასა და მეცნიერებაში ინვესტიციების ზრდა; გარემოსდაცვითი მაღალი სტანდარტების დანერგვა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა; გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ფართო მონაწილეობის უზრუნველყოფა.

ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით და დღის წესრიგში მდგარი საკითხების აქტუალობიდან გამომდინარე, საქართველოში შემუშავდა გრძელვადიანი კომპლექსური სტრატეგიული დოკუმენტი – ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფოს მხრიდან ეტაპობრივი, მიზანმიმართული და კოორდინირებული პოლიტიკის გატარებას.

## ტურიზმის დაჩქარებული განვითარების თავისებურებები და მექანიზმები

ბოლო წლების განმავლობაში სიღარიბესთან ბრძოლამ გლობალური ხასიათი მიიღო. მსოფლიოს უდიდესმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი და დააფიქსირეს თავისი მიზანი. XXI საუკუნის დასაწყისშივე მსოფლიოში სიღარიბის დონის მკვეთრი შემცირება, კერძოდ, 2015 წლისათვის მისი განახევრება. ამ პრობლემებს მიეძღვნა 2002 წლის იოჰანესბურგის მსოფლიო სამიტი ანუ, როგორც მას უწოდეს, სიღარიბის დაძლევის მსოფლიო ფორუმი. საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოზე დაამტკიცეს სიღარიბის შემცირებისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამის დაფინანსების მექანიზმი, რომლის საფუძველია სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციების გზით ქვეყნების მთავრობების მიერ მომზადებული სიღარიბის დაძლევის განაცხადი [24].

საერთო გლობალურ ფონზე აღსანიშნავია ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი სიღარიბის ზრდის მასშტაბი და ამ პროცესის განვითარება ბოლო ათწლეულში. აღნიშნული რეგიონის ბევრ ქვეყანაში მთლიანი შიდა პროდუქტის ახლანდელი მოცულობა ბევრად ჩამორჩება გარდამავალ პერიოდამდე არსებულს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ვარდნა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარმა ძირეულმა ცვლილებებმა განაპირობა.

საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლამ (ქვეყნების უმრავლესობაში ეს პროცესი ჯერაც არ დასრულებულა) მოსახლეობის ნაწილისათვის განვითარების ხელსაყრელი პირობები შექმნა, დანარჩენი უმრავლესობისათვის კი მანამდე უცნობი მატერიალური პრობლემების წარმოშობა და სტაბილური მომავლის გარანტიების დაკარგვა გამოიწვია. ის გარემოება, რომ გარდამავალი ეკონომიკის მქონე პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობისაგან განსხვავებით, ღარიბებს, როგორც წესი, განათლებული და პროფესიული ჩვევების

მქონე ადამიანები წარმოადგენენ, ეს კიდევ უფრო ამძიმებს მათ ყოფას, რასაც საკუთარ თავში რწმენის დაკარგვა და მორალური დაცემა განაპირობებს.

მე-20 საუკუნის ბოლოს ევროპისა და ცენტრალური აზიის პოლიტიკურად არამდგრადი მთავრობები თავს არიდებდნენ სიღარიბის პრობლემებზე ფართო საზოგადოებრივ დიალოგს. ამავდროულად, სიღარიბის დონის ზრდასთან ერთად, მოსახლეობაში ფეხს იკიდებს ძლიერი ნოსტალგია იმ დროის მიმართ, როდესაც გეგმური ეკონომიკა მინიმალურ დონეზე, მაგრამ მაინც, უზრუნველყოფდა ადამიანების ხვალინდელი დღის იმედს. ამიტომაც ენიჭება დიდი მნიშვნელობა საზოგადოებასთან აქტიურ ურთიერთობას – ქვეყნის თითოეულმა მოქალაქემ უნდა გაითავისოს ის აზრი, რომ სიღარიბის შემცირების სტრატეგიების დასახვა და, რაც მთავარია, მათი ეფექტიანი განხორციელება, ღირსეული მომავლისაკენ ქვეყნის წარმატებული წინსვლის საწინდარია.

რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს ეს ფაქტი, აღსანიშნავია, რომ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში, ცენტრალური აზიისა და კავკასიის ქვეყნებს, აბსოლუტური სიღარიბის დონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ახასიათებს. მიუხედავად იმისა, რომ აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი საშუალებას გვაძლევს, შევაფასოთ რეგიონში არსებული სიღარიბის დონე, ეს მონაცემები არ გვაძლევენ რეალურ სურათს არსებული რესურსების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს ბევრი რამ აქვთ საერთო, ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან სხვადასხვა პარამეტრებით და სწორედ ეს განაპირობებს ინდივიდუალური მიდგომის აუცილებლობას სიღარიბესთან, როგორც გლობალურ სენთან, ბრძოლაში.

საქართველოს მთავრობისათვის ბოლო წლებში განსაკუთრებით აქტუალური გახდა სიღარიბის დაძლევის საკითხი. 1998 წლის მეორე ნახევრიდან განვითარებულმა კრიზისულმა მოვლენებმა გამოიწვია ეკონომიკური აქტიურობის შემცირება ქვეყანაში.

ეკონომიკური აქტიურობის შენელებას თან დაერთო ბიუჯეტის შეუსრულებლობის გამო შეფერხებები ხელფასებისა და პენსიების გაცემაში.

საქართველოს მთავრობისათვის ქვეყანაში სოციალური მდგომარეობის გაჯანსაღება ყოველთვის წარმოადგენდა ერთ-ერთ ძირითად ამოცანას. სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მიზანია მოსახლეობის სოციალური ყოფის თანამედროვე პირობების უზრუნველყოფა. ამავე დროს, ეს პოლიტიკა გაცილებით უფრო ღრმა და ფუნდამენტური ხასიათის მიზნებს ემსახურება და ქვეყნის შიგნით ერთიანობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ამას გარდა, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის შენება გულისხმობს იმას, რომ ხელისუფლებამ უნდა შექმნას სოციალური დაცვის ისეთი გარანტიები, რომელსაც თავისუფალი ეკონომიკური გარემო თავისთავად ვერ ქმნის.

სავსებით ნათელია, რომ შეუძლებელია ქვეყანაში სიღარიბის დაძლევა, თუ მას არ ექნება მყარი ეკონომიკური საფუძველი, თუ არ გატარდება შესაბამისი ეკონომიკური და სტრუქტურული რეფორმები. საჭიროა კომპლექსური ღონისძიებების გატარება, რათა მოხდეს მთლიანად ეკონომიკური ზრდის სტიმულირება.

მოკლევადიან პერიოდში საქართველოს მთავრობის ძირითადი მიზანი უნდა იყოს ქვეყანაში მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება, რისთვისაც უნდა გატარდეს ზომიერად მკაცრი ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკა. სახელმწიფო შემოსავლების ზრდის უზრუნველსაყოფად, სხვა ღონისძიებებთან ერთად, აუცილებელია საგადასახადო პოლიტიკისა და ადმინისტრირების სრულყოფა, უნდა შემუშავდეს საბიუჯეტო ხარჯების კონტროლის ეფექტური მეთოდები და მექანიზმები, ყოველივე ამას კი შედეგად უნდა მოჰყვეს ქვეყანაში ფისკალური სისტემის განმტკიცება, რაც გამოიწვევს სიღარიბის დონის შემცირებას, მოსახლეობის სოციალური დაცვის გაუმჯობესებას და საბიუჯეტო რესურსების სამართლიანად გადანაწილებას. დაიფარება პენსიებში, ხელფასებსა და შემწეობებში წარმოქმნილი დავალიანებები. მოკლევადიან პერიოდში საბიუჯეტო დეფიციტი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში მინიმუმამდე უნდა დავიდეს და მკვეთრად უნდა გაიზარდოს საგადასახადო შემოსავლები [10].

განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ეკონომიკური ინფრასტრუქტურის ცალკეულ დარგებში განსახორციელებელ ღონისძიებებს, რომლებიც ორიენტირებული იქნება დარგის სა-

წარმოთა რესტრუქტურიზაციაზე, მისი განვითარების დაჩქარებაზე, დარგში ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე და ზოგადი სოციალური პრობლემის მოგვარებაზე. უნდა გატარდეს კონკრეტული ღონისძიებები ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს გასაუმჯობესებლად. მნიშვნელოვანია უცხოური ინვესტიციების წახალისება, რათა უზრუნველყოფილი იყოს ქვეყანაში სამეწარმეო აქტიურობის ზრდა. აუცილებელია ქვეყნის საბანკო სექტორის განმტკიცება, კერძო სექტორისათვის სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა და ბიზნესის არაფორმალური სექტორის ლეგალიზაცია.

საინტერესოა, სიღარიბის რა დონითა და რა მასშტაბებით შეხვდა XXI საუკუნეს საქართველო? ამ პრობლემის ნათლად წარმოდგენისათვის საკმარისია განვიხილოთ სიღარიბის დონის მახასიათებლები 2001 წლისათვის, როდესაც ქვეყანა შეუდგა ახალი საუკუნის წელთაღრიცხვას.

ცნობილია, რომ ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების დონეს განსაზღვრავენ მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის მიხედვით. აღნიშნული მაჩვენებელი, ფაქტობრივად, იძლევა მოცემული ქვეყნის ცხოვრების დონის შეფასების საფუძველს. ამასთან, ის მკვლევარები, რომლებიც სწავლობენ სიღარიბის პრობლემებს, მიიჩნევენ, რომ მოსახლეობის ღარიბი ფენების ცხოვრების დონის შეფასებისთვის ეს მაჩვენებელი სრულ წარმოდგენას არ იძლევა. ამიტომ, გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ მთლიანი შიდა პროდუქტის განაწილების პრინციპს. იმის ნათელ მაგალითს, თუ რამდენად სამართლიანად და ეფექტიანი მექანიზმებით ხდება მისი განაწილება, წარმოადგენს თუნდაც ის ფაქტი, რომ 1997-2001 წლებში ქვეყანაში რეალური მშპ მოსახლეობის ერთ სულზე გაიზარდა 24,8%-ით, მაგრამ ამას არსებითი ზეგავლენა არ მოუხდენია მოსახლეობის ცხოვრების დონეზე, განსაკუთრებით საბიუჯეტო სფეროში დასაქმებულებზე, პენსიონერებზე, სოციალურად ნაკლებად უზრუნველყოფილ მოსახლეობასა და იძულებით გადაადგილებულ პირებზე. მათი ცხოვრების დონე არ ამაღლებულა, რადგანაც არ არსებობდა მიღებული შემოსავლების გადანაწილების სამართლიანი და ეფექტიანი მექანიზმი.

საქართველოში არსებული მწვავე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს მსოფლიო პრაქტიკაში აპრობირებული მეთოდოლოგიის შესაბამისი სიღარიბის პარამეტრების განსაზღვრა წარმოადგენს, რომელიც შინამეურნეობების ზოგადი გამოკვლევების სისტემისა და სიღარიბის მონიტორინგის მონაცემებზე დაყრდნობით ფასდება. აღნიშნულ კვლევას საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი ატარებს. მოსახლეობის ცხოვრების დონის შეფასების ყველაზე მარტივ და ფართოდ გავრცელებულ მაჩვენებლად ითვლება სიღარიბის დონე, რომელიც განისაზღვრება იმ მოსახლეობის წილით მთელ მოსახლეობაში, რომლის მოხმარების მოცულობა ნაკლებია სიღარიბის ზღვარზე. 1996 წელს ამ მაჩვენებელმა შეადგინა 52,1%. 1997 წელს კი საარსებო მინიმუმით განსაზღვრული სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის რიცხოვნობა წინა წელთან შედარებით 5,9 პროცენტით შემცირდა და შეადგინა 46,2%, მაგრამ 1998 წელს საბიუჯეტო კრიზისმა ეს პროცესი შეაჩერა. რის გამოც სიღარიბის დონე წინა წელთან შედარებით 4,0 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 50,2% შეადგინა. 1999 წლის მდგომარეობით ამ მაჩვენებელმა 51,8% შეადგინა, ანუ წინა წელთან შედარებით 1,6 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. შემდგომ წლებში ამ მაჩვენებელში რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა და 2001 წელს შეადგინა 51,1%. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტი დღე-ღამეში 2 აშშ დოლარზე ნაკლებს მოიხმარს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოფელში სიღარიბის დონემ (საარსებო მინიმუმთან მიმართებაში) შეადგინა 47,6%, ქალაქში 54,4%. ეს იმით იყო განპირობებული, რომ სოფლის მოსახლეობას მეტი შესაძლებლობა აქვს, თვითონვე მოიხმაროს საკუთარი წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, მაშინ, როცა ქალაქად ამის შესაძლებლობა მკვეთრად არის შეზღუდული. თუმცა, ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ 2000 წელს სიღარიბის დონემ სოფლად 4,3 პროცენტული პუნქტით აიწია, რის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ გვალვა, რომელმაც ქალაქზე მეტად სოფელი დააზარალა [16].

სიღარიბის ფარდობითმა მაჩვენებელმა (მედიანური მოხმარების 60%-40%-ის მიმართ) 2001 წელს შეადგინა, შესაბამისად,

21,6% - 8,9%-ის მიმართ. რაც გარკვეულწილად, სიღარიბის შემცირებაზე მეტყველებს (2000 წელს შეადგინა 23,0%-10,2%-ის მიმართ).

სიღარიბის დონე სიღარიბის ზოგად ტენდენციას აფიქსირებს და ვერ ასახავს ცვლილებებს თვით ღარიბების მდგომარეობაში. ამ თვალსაზრისით უფრო ფაქიზ მაჩვენებელს წარმოადგენს სიღარიბის სიღრმე. იგი ნიშნავს იმ საშუალო სიდიდეს, რითაც ღარიბები შორდებიან სიღარიბის ზღვარს. 1996 წელს სიღარიბის სიღრმე საარსებო მინიმუმის მიმართ საშუალოდ 20,9% იყო, 1997 წელს – 17,3%, 1998 წელს – 19,5%, 1999 წელს – 20,5%, 2000 წელს – 20,2%, 2001 წელს – 19,3%. ე.ი. 1997 წელს ღარიბი მოსახლეობა სხვა წლებთან შედარებით უფრო დაუახლოვდა საარსებო მინიმუმს. შემდგომ წლებში კი ხდებოდა სიღარიბის სიღრმის მაჩვენებლის ზრდა, მაგრამ 2001 წელს წინა წელთან შედარებით 0,9%-ული პუნქტით შემცირდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მოხდა ღარიბი მოსახლეობის გარკვეული დაახლოება საარსებო მინიმუმთან.

სიღარიბის სიმწვავე ღარიბ ოჯახთა შორის სიღარიბის უთანაბრობის მაჩვენებელია. სიღარიბის სიღრმის მაჩვენებლის უცვლელი მნიშვნელობის პირობებში, რაც უფრო მეტია სიღარიბის სიმწვავე, მით მეტია ღატაკების, მოხმარების მიხედვით ნულის მახლობლობაში მყოფი მოსახლეობის რაოდენობა ღარიბთა შორის. 1996 წელს ეს მაჩვენებელი იყო 11,3%, 1997 წელს – 8,9%, 1998 წელს – 10,4%, 1999 წელს - 10,9%, 2000 წელს – 10,7%, 2001 წელს – 9,9%. რაც იმას ნიშნავს, რომ 2001 წელს ღატაკთა რაოდენობა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირდა 0,8 პროცენტული პუნქტით. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ის 1997 წელთან შედარებით გაიზარდა 1,0 პროცენტული პუნქტით [16].

რაც შეეხება ჯინის ინდექსს (შემოსავლების კონცენტრაციის მაჩვენებელს, რომელიც გვიჩვენებს ფაქტიური განაწილების გადახრას მათი თანაბარი განაწილების ხაზიდან. თანაბარი განაწილების ჯინის ინდექსი ნულის ტოლია, აბსოლუტური უთანაბრობისას კი – ერთის. ე.ი. მაჩვენებელი ასახავს განაწილებაში უთანაბრობას), ის 1996 წლის IV კვარტალში მთლიანი შემოსავლების მიხედვით იყო 0,58, ხოლო მთლიანი მოხმარების მიხედ-

ვით – 0,39. 1998 წელს, შესაბამისად, 0,51 და 0,38. 2001 წელს კი მთლიანი შემოსავლების მიხედვით უფრო მაღალია, ვიდრე ხარჯების მიხედვით.

რაც შეეხება საარსებო მინიმუმის მაჩვენებელს, მან 2001 წელს დეკემბერში შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისათვის შეადგინა 118,0 ლარი, საშუალო მომხმარებლისათვის – 103,5, საშუალო ოჯახისათვის – 195 ლარი. 2002 წლის სექტემბერში კი მან შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისათვის შეადგინა 129,6 ლარი, საშუალო მომხმარებლისათვის – 107,1, საშუალო ოჯახისათვის – 212,5 ლარი. რაც შეეხება ეკონომიკაში დაქირავებით დასაქმებულის საშუალოთვიურ ხელფასს, მან 2001 წელს 93,0 ლარი შეადგინა, რაც საარსებო მინიმუმის 78,8%-ია. დაფიქსირდა ტენდენცია: საარსებო მინიმუმი იზრდება, რეალური ხელფასი არ იცვლება.

ყველაფერი კი დაიწყო გასული საუკუნის 90-იან წლებში. დამოუკიდებლობის აღდგენის პირველი წლები, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით უმძიმესი წლები იყო საქართველოს ისტორიაში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მას გამოეცალა არა მარტო ნედლეულის ბაზა, არამედ გასაღების ბაზარიც, რამაც სამეურნეო კავშირების მოშლა გამოიწვია. ქვეყანას არ გააჩნდა ეროვნული ვალუტა და ფულად-საკრედიტო სისტემა, საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, რაც გამორიცხავდა ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების თანმიმდევრული და სისტემატური მართვის შესაძლებლობებს. ქვეყნის ეკონომიკისათვის დამანგრეველი აღმოჩნდა სეპარატისტული მოძრაობები, სამოქალაქო ომები და ამის საფუძველზე აღზევებული კრიმინალური სამყაროს საქმიანობა. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების შედეგად, ქვეყნის ბიუჯეტს მძიმე ტვირთად დააწვა 300 ათასი იძულებით გადაადგილებული პირი. ეკონომიკურმა დაქვეითებამ კრიტიკულ ზღვარს 1993-1994 წლებში მიაღწია, მხოლოდ სამრეწველო წარმოება 5-ჯერ შემცირდა 1990 წელთან შედარებით. უაღრესად დამძიმდა სოციალური ფონი, ქვეყანა რეალურად აღმოჩნდა შიმშილის საფრთხის წინაშე [10].

1992-1993 წლებში საქართველოს მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ დღის წესრიგში დააყენა მაკროეკონომი-

კური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების ანტიკრიზისული პროგრამის შემუშავების აუცილებლობა. 1994 წლიდან საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო აღნიშნული პროგრამის განხორციელება, რომელსაც მხარი დაუჭირეს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებმა. რეფორმის ძირითად მიმართულებად განისაზღვრა ფულად-საკრედიტო და საფინანსო-საბიუჯეტო სფეროების გარდაქმნა, პრივატიზების დაჩქარება, ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და სოციალური სფეროს რეფორმა, ეკონომიკური საქმიანობის, ვაჭრობისა და ფასების ლიბერალიზაცია.

მიმოქცევაში ფულის მასის ზრდის რეგულირების მიზნით, განისაზღვრა საბანკო სისტემის მიერ მთავრობისათვის გასაცემი წმინდა კრედიტები, აგრეთვე ეროვნული ბანკის წმინდა საშინაო და საერთაშორისო აქტივების ზღვრული ოდენობა. გატარებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ეროვნული ბანკის აქტივების სტრუქტურა. ფულის მიწოდების კონტროლის განსახორციელებლად ფინანსთა სამინისტრომ საბიუჯეტო ანგარიშები გადაიტანა ეროვნულ ბანკში. საერთაშორისო რეზერვები, რომლებიც მანამდე ფინანსთა სამინისტროში იყო, ასევე გადაეცა ეროვნულ ბანკს. ამით ქვეყნის ცენტრალურ ბანკს შესაძლებლობა მიეცა, გამოეყენებინა მიმოქცევაში არსებული ფულის მასის რეგულირების ქმედითი ღონისძიებები.

საბანკო სისტემის განმტკიცების მიზნით, დაიწყო სახელმწიფო ბანკების პრივატიზება, ლიცენზირების წესების გამკაცრება, პრობლემური ბანკების ლიკვიდაცია, ბანკების შერწყმა და ა.შ. კომერციული ბანკებისათვის განისაზღვრა საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობის მოთხოვნა. აღნიშნულმა ღონისძიებებმა უზრუნველყო საბანკო სისტემის ლიკვიდურობის ამაღლება, ცალკეულ საბანკო დაწესებულებათა ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღება, ფულად-საკრედიტო და სავალუტო რეგულირების სრულყოფა.

დაიწყო საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის ტრანსფორმაცია, რამაც გავლენა მოახდინა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების მობილიზებაზე, ხარჯების კონტროლის გაძლიერებასა და აღრიცხვა-ანგარიშგების გაუმჯობესებაზე. სტრუქტურული გარდაქმნე-

ბის შედეგად, საბიუჯეტო ხარჯების რაციონალიზაციისა და კონტროლის გაუმჯობესებით, შეიქმნა საბიუჯეტო პროცესების აღსრულების პირობები. 1995 წელს პირველად გახდა შესაძლებელი წლიური ბიუჯეტის შემუშავება და დამტკიცება.

საბიუჯეტო ხარჯების სტრუქტურაში განხორციელდა ძირეული ცვლილებები და მის შემადგენლობაში მკვეთრად შეიზღუდა საწარმოების პირდაპირი სუბსიდირების ხარჯები. ამის ნაცვლად, გაიზარდა მოსახლეობის სოციალური დაცვის ხარჯები და მთავრობას საშუალება მიეცა, დაეწყო ფასების ლიბერალიზაცია.

ფულად-საკრედიტო და საფინანსო-საბიუჯეტო სფეროს რეფორმის პარალელურად მიმდინარეობდა სტრუქტურული რეფორმები. ფასები გათავისუფლდა სახელმწიფო რეგულირებისაგან. მოქალაქეებსა და საწარმოებს უფლება მიეცათ, შეზღუდვების გარეშე განესორციელებინათ სავაჭრო და საშუამავლო საქმიანობა. ვაჭრობის თავისუფლებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ბაზარზე კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას, ვაჭრობის გამოცოცხლებას, შეიქმნა მოსახლეობის დასაქმების პირობები. გამარტივდა სამეწარმეო საქმიანობის დაწყების პროცედურები, დაიშალა საბჭოთა პერიოდიდან მემკვიდრეობით მიღებული მონოპოლისტური სტრუქტურები, დაიწყო პრივატიზება, მიწის რეფორმა.

აღნიშნული ღონისძიებების გატარების შედეგად გამოიკვეთა მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის დადებითი ტენდენციები, რამაც საქართველოს ხელისუფლებას საშუალება მისცა, შემოეღო ეროვნული ვალუტა,დაეძლია ჰიპერინფლაცია. თუ 1993 წელს ინფლაციამ შეადგინა 13.000%-ზე მეტი, 1997 წელს იგივე მაჩვენებელი მხოლოდ 7.3% იყო. მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციას მოჰყვა ეკონომიკური აქტივობის ზრდაც. მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის საშუალო წლიურმა ტემპმა 1996-1997 წლებში 11-12% შეადგინა. გაუმჯობესდა საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებელი. 1995 წელს, წინა წლებთან შედარებით, ბიუჯეტის დეფიციტის ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში თითქმის სამჯერ შემცირდა [10, გვ. 18].

ქვეყანაში შექმნილმა საბიუჯეტო კრიზისმა, რომელმაც 1998 წლის მეორე ნახევრიდან მწვავე ხასიათი მიიღო, არსებითი ზე-

გავლენა იქონია მოსახლეობის ცხოვრების დონეზე, განსაკუთრებით საბიუჯეტო სფეროში დასაქმებულებზე, პენსიონერებზე, სოციალურად ნაკლებად უზრუნველყოფილ მოსახლეობასა და იძულებით გადაადგილებულ პირებზე.

1997-2003 წლებში რეალური მშპ მოსახლეობის ერთ სულზე გაიზარდა 35,9 პროცენტით, რაც გამოწვეული იყო როგორც მშპ-ის ზრდით (29,4), ასევე მოსახლეობის აბსოლუტური რიცხოვნობის შემცირებით (4,7%). ამასთან, ცხოვრების დონე ამ პარამეტრებში არ ამაღლებულა, რადგანაც არ არსებობდა მიღებული შემოსავლების გადანაწილების სამართლიანი და ეფექტიანი მექანიზმი.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის 2003 წლის წინასწარი მონაცემებით, ეროვნულ ეკონომიკაში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ხელფასმა 107,0 ლარი შეადგინა, რაც შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმის 81,9 პროცენტს შეადგენს. საანგარიშო პერიოდში, საქართველოს ქალაქების გასაშუალებული ფასების მიხედვით, საარსებო მინიმუმმა შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისათვის 130,7 ლარი შეადგინა, ხოლო რაც შეეხება მინიმალურ ხელფასს (20 ლარი), იგი ამ მაჩვენებლის 15,3 პროცენტს შეადგენს.

ხელფასის დაბალი დონითაა განპირობებული ის, რომ შემოსავლების საერთო სტრუქტურაში ხელფასის წილი 21,2 პროცენტს აღემატება და მნიშვნელოვნად ჩამორჩება კრიტიკულ დონეს (60 პროცენტი). 2003 წლის წინასწარი მონაცემებით, ეროვნულ ეკონომიკაში დასაქმებულთა მინიმალური ხელფასი საშუალო ხელფასის 18,7 პროცენტია, მაშინ, როდესაც სოციალური ორიენტაციის საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში აღნიშნული თანაფარდობა 40 პროცენტის ფარგლებშია.

2003 წლის მონაცემებით, საბიუჯეტო სფეროში დასაქმებული მუშაკების ხელფასების დავალიანება კვლავ დიდია. აღნიშნულის გამო 1998 წლის სექტემბრიდან ვერ მოხერხდა საბიუჯეტო სფეროში დასაქმებული მუშაკების შრომის ანაზღაურების გაზრდა. უფრო მეტიც, 2000 წლიდან დღემდე სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი საბიუჯეტო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაკებს შეჩერებული აქვთ ბიუჯეტით განსაზღვრული პრემიები და დახმარებები.

სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ოპერატიული მონაცემებით, 2003 წლის მდგომარეობით, პენსიის მიმღებთა რიცხოვნობამ 875 ათასი კაცი შეადგინა, ხოლო მათზე ფაქტობრივად გაცემულმა საპენსიო თანხამ – 180800,6 ათასი ლარი. ანუ გეგმის 80,6 პროცენტი. პენსიის მიმღებთა საერთო რიცხოვნობის 86,4 პროცენტი იღებს 14 ლარიან პენსიას. 2003 წლის ბოლოსათვის საპენსიო დაავალიანებამ 130,7 მლნ ლარი შეადგინა.

ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საპენსიო რეფორმას. საანგარიშო პერიოდში მომზადდა ნორმატიული აქტების მთელი პაკეტი, რომელიც შექმნის საპენსიო რეფორმის განხორციელების საკანონმდებლო ბაზას. სისტემა ეტაპობრივად გადავა სადაზღვევო პრინციპზე.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინასწარი ინფორმაციით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსებისათვის 2003 წლის გეგმით განსაზღვრული იყო 4065,0 ათასი ლარი, ფაქტობრივად გაცემულია 2295,2 ათასი ლარი, ანუ გეგმის 56,5 პროცენტი.

საქართველოს 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის მე-11 მუხლით განისაზღვრა უმწეო მდგომარეობაში მყოფ ოჯახთა (მათ შორის დევნილთა ოჯახების) კატეგორია და სოციალური დახმარების ოდენობა. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინასწარი ინფორმაციით, უმწეოთა ოჯახების სოციალური დახმარებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გასაწევი ხარჯები 2003 წელს გეგმით 14400,0 ათას ლარს შეადგენდა, ხოლო ფაქტობრივმა ხარჯმა 14884,0 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმა 103,4 პროცენტით შესრულდა. აღნიშნული დახმარება შეეხო 80,3 ათას ოჯახს (აქ გათვალისწინებულია წინა წლის დავალიანებები).

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მონაცემებით, 2003 წლის მდგომარეობით, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა (იგპ) რაოდენობამ 262,8 ათასი კაცი შეადგინა, მათ შორის ორგანიზებულად ჩასახლებულია 119,5 ათასი კაცი, ანუ 45,5 პროცენტი. 2003 წელს აღნიშნულ პირთა

დახმარებისათვის ფაქტობრივად გაწეულმა ხარჯებმა 45383,9 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის მხოლოდ 77,7 პროცენტია, მათ შორის შემწეობის ხარჯები ორგანიზებულად ჩასახლების ადგილებზე – 12066,3 ათასი ლარი და სხვა ხარჯები – 555,6 ათასი ლარი.

საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, 2003 წლის ბოლოსათვის დეპარტამენტის სამეურვეო კონტინგენტი 79 755 ათას კაცს შეადგენდა. ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გამო, ბოლო პერიოდში საგრძნობლად გართულდა აღნიშნული კონტინგენტის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა, ყველა იმ შეღავათის განხორციელება, რაც დაწესებულია ყოფილი მეომრებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის. კერძოდ, ვეტერანებმა დაკარგეს საავიაციო, სარკინიგზო, საქალაქთაშორისო ავტოტრანსპორტით უფასო მგზავრობის უფლება და კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი სხვა შეღავათი.

2002 წლისათვის საქართველოს საგარეო ვალების საერთო მოცულობამ შეადგინა 1,592.64 მლნ აშშ დოლარი, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 47,42% იყო, საიდანაც 771,445 მლნ აშშ დოლარი მოდიოდა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებზე და 757,122 მლნ – ორმხრივ კრედიტორებზე. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებს შორის ყველაზე მსხვილი კრედიტორები არიან საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი, ხოლო ორმხრივი კრედიტორებისადმი დავალიანების თითქმის 64% მოდის თურქმენეთსა და რუსეთზე. 2001 წელს საქართველო აღმოჩნდა საგარეო ვალების მომსახურებისათვის საჭირო მნიშვნელოვანი თანხების გადახდის აუცილებლობის წინაშე, რაც სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა ქვეყნის საკრედიტო მდგომარეობას. პარიზის კლუბში ორმხრივ კრედიტორებთან შეთანხმებამ მნიშვნელოვნად შეამსუბუქა ქვეყნის ფინანსური მდგომარეობა, თუმცა, უახლოეს პერიოდში საგარეო ვალების მომსახურება კვლავ მწვავე პრობლემად რჩება და ქვეყანას კვლავ მოუწევს პარიზის კლუბთან თანამშრომლობა შეღავათიანი პირობებით რესტრუქტურიზაციის მიზნით.

საქართველოს შიდა ვალის საერთო მოცულობამ 2002 წლი-

სათვის შეადგინა 1,484.3 მლნ ლარი, საიდანაც 767 მლნ ლარი, ანუ ნახევარზე მეტი, წარმოადგენს მთაერობის დავალიანებას ეროვნული ბანკის მიმართ.

1999-2002 წლებში საქართველოს მთავრობა ცდილობდა კრიზისის შედეგების დაძლევას და მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის შენარჩუნებას. მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 1999 წელს – 3%, ხოლო 2000 წელს მხოლოდ 1,9% შეადგინა. 2001 წელს შედარებით უკეთესი მაჩვენებელი აღინიშნა – 4,5%-ის, ხოლო 2002 წელს – 5,4%-ის ოდენობით. აღსანიშნავია, რომ 2001 წელს დამოუკიდებელი ქვეყნის ისტორიაში დაფიქსირდა ინფლაციის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი– 3,4%. 2002 წელს ინფლაციამ 5,4% შეადგინა.

მაკროეკონომიკური ანალიზი აჩვენებს, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს ხელისუფლებამ, პრაქტიკულად, თავი გაართვა სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს ეკონომიკურ ფუნქციას: უზრუნველყოს ფასების სტაბილურობა და ინფლაციის ზომიერი ტემპები. ამდენად, მაკროეკონომიკური გარემოს შედარებითი სტაბილურობა საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიღწევაა. თუმცა, ჯერ კიდევ მისაღწევია სწრაფი და მდგრადი ეკონომიკური ზრდა, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება და ფისკალური სისტემის სრულყოფა.

მაკროეკონომიკური სტაბილურობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. მისი მდგრადობა და ზრდის ტემპები დიდად არის დამოკიდებული ქვეყანაში სათანადო სტრუქტურული რეფორმების მიმდინარეობაზე.

პრივატიზება სტრუქტურული რეფორმის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. საქართველოში ეს პროცესი 1992 წლიდან დაიწყო, რასაც წინ უძღოდა საკანონმდებლო ბაზის შემუშავება და მიღება. სამრეწველო საწარმოები აქციონერულ საზოგადოებებად გარდაიქმნა. ათასზე მეტი აქციონერული საზოგადოების საკონტროლო პაკეტი უკვე გადაეცა კერძო მესაკუთრეებს. დასრულდა ვაჭრობისა და მომსახურების ობიექტების პრივატიზება. სულ 1993-2002 წლებში პრივატიზებულია 15 000-ზე მეტი საწარმო. მიღწეულმა შედეგებმა უდიდესი ზეგავლენა იქონიეს საბაზრო ეკო-

ნომიკაზე ორიენტირებული სამეწარმეო გარემოს ფორმირებაზე. თუმცა, მხოლოდ საწარმოების კერძო საკუთრებაში გადასვლამ, მათი ამოქმედებისათვის აუცილებელი მექანიზმების დამკვიდრების გარეშე, სათანადო შედეგი ვერ მოიტანა. მსხვილი საწარმოების ნაწილი ჯერ კიდევ სახელმწიფო საკუთრებაში რჩება. მათი მენეჯმენტი, ხშირ შემთხვევაში, ვერ ახერხებს საწარმოთა ეფექტიან მართვას და საწარმოს პოტენციალის ადეკვატური მოგების მიღებას.

სტრუქტურული რეფორმების მთელი პერიოდის განმავლობაში დიდი ყურადღება ეთმობოდა საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას. ჩატარდა სასამართლო რეფორმა. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ დიდია არასამართლებრივი ურთიერთობების წილი. ამას ხშირ შემთხვევაში განაპირობებს როგორც კანონმდებლობის მოწყვეტა ქვეყნის სინამდვილისგან, ასევე სამართალდამცავი სტრუქტურებისა და სასამართლო ორგანოების არასაკმარისი კომპეტენტურობა. კორუფცია ხელს უშლის სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტიან ფუნქციონირებას, აფერხებს ბიზნესის განვითარებას, ინვესტიციებს და ქმნის არახელსაყრელ სოციალურ და ეკონომიკურ ფონს.

ქვეყნის მთელი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შედეგები შესანიშნავად აისახება, პირველ რიგში, შინამეურნეობებზე.

შემოსავლების მოცულობა ის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს როგორც შინამეურნეობების სოცილურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ასევე მთლიანად ქვეყნის განვითარების დონეს. ნომინალური შემოსავლების მოცულობა ბოლო წლებში ზრდის ტენდენციით ხასიათდება და 2002 წელს, 1996 წელთან შედარებით, 30,6%-ით გაიზარდა. თუმცა, ეს ზრდა ჯერ კიდევ არ არის საკმარისი სიღარიბის არსებითი შემცირებისათვის. შინამეურნეობების შემოსავლები ძირითადად შემდეგი წყაროებიდან ფორმირდება: დაქირავებით დასაქმებიდან, არასასოფლო თვითდასაქმებიდან, მიწის გამოყენებიდან (სასოფლო-სამეურნეო თვითდასაქმება), სახელმწიფო და კერძო ტრანსფერტები (პენსია, სტიპენდია, დახმარება). შეიძლება ამ ნუსხის უფრო გაფართოებაც, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი წყაროები ძირითადად მოიცავენ შინამეურნეო-

ბებში შემომავალ ნაკადებს. შინამეურნეობების შემოსავლების ფორმირება ერთდროულად რამდენიმე წყაროდან ხდება, რაც ერთგვარი ბუნებრივი რეაქციაა მყიფე ეკონომიკურ სტაბილურობაზე. შინამეურნეობების მხოლოდ 20%-ის შემოსავლები ფორმირდება მარტო ერთი წყაროდან, დაახლოებით ნახევარს შემოსავლების სამი ან მეტი წყარო აქვს.

საბიუჯეტო დაწესებულებებში საშუალო ხელფასი, უკვე 2003 წლის მონაცემებით, საშუალოდ თვეში 104,1 ლარს (ოფიციალური საარსებო მინიმუმის 85,6%), ხოლო საზოგადოდ, საშუალო ხელფასი თვეში 113,5 ლარს (ოფიციალური საარსებო მინიმუმის 93,3%) შეადგენს. დაბალია მინიმალური ხელფასი, იგი უკიდურესი საარსებო მინიმუმის მხოლოდ 40%-ს შეადგენს. მოსახლეობის უმრავლესობა თვითდასაქმებულია, ძირითადად – სოფლის მეურნეობაში. დასაქმების სტრუქტურის ანალიზი მიუთითებს, რომ გაფართოვდა კერძო კომპანიებსა და სოფლის მეურნეობაში დასაქმების წილი, იკლო დასაქმებამ საბიუჯეტო ორგანიზაციებში და თვითდასაქმებამ – არასასოფლო-სამეურნეო სექტორში.

მიწა წარმოადგენს არსებობის მნიშვნელოვან წყაროს. აღნიშნულ პერიოდში, სოფლის მეურნეობა განაპირობებდა შინამეურნეობების შემოსავლების არანაკლებ ერთ მესამედს და იძლეოდა ყველაზე დიდ შემოსავალს. თუმცა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ის ნაწილი, რომელიც ბაზარზე იყიდება, მცირეა და მისი ძირითადი ნაწილი ადგილობრივ მოთხოვნილებებს ხმარდება. საქართველოს შინამეურნეობების დიდი ნაწილი შემოსავლის გარკვეულ წილს სურსათის სახით იღებს.

სახელმწიფო ტრანსფერტები არ წარმოადგენენ შინამეურნეობების შემოსავლების მნიშვნელოვან წილს, მაგრამ მრავალი ოჯახი სახელმწიფოსაგან მაინც იღებს გარკვეული რაოდენობის თანხებს (ძირითადად პენსიებს). 2001 წელს სახელმწიფოსაგან ტრანსფერტი მიიღო შინამეურნეობების 60%-მა. მეორე მხრივ, კერძო ტრანსფერტები სიდიდით სახელმწიფო ტრანსფერტების ტოლია, მაგრამ უფრო ნაკლებია რაოდენობრივად. შინამეურნეობების მხოლოდ ერთი მესამედი იღებს ამ სახით კერძო დახმარებას. ეკონომიკური ემიგრაციის შედეგად, ბევრი შინამეურნეო-

ბისათვის ოჯახის წევრის მიერ გადმორიცხვები შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა.

ქვეყნის მოსახლეობის დაბალი კრედიტუნარიანობა სიღარიბის მწვავე პრობლემის არსებობის კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტია. შინამეურნეობების დაახლოებით 40%-მა აიღო ვალი ბოლო წლის მანძილზე და მათგან 80%-ს ჯერ კიდევ სრულად არ გაუსტუმრებია.

შინამეურნეობების ხარჯები ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2002 წელს შინამეურნეობების მთლიანი ხარჯი თვეში ერთ შინამეურნეობაზე 325,9 ლარი იყო (სამომხმარებლო ხარჯები 276 ლარი). ეს ერთ სულზე გადაანგარიშებით თვეში დაახლოებით 87,4 ლარია. შინამეურნეობების რესურსების ძირითადი ნაწილი სურსათზე იხარჯება. ფულადი და არაფულადი სასურსათო ხარჯების წილი მთლიანი ხარჯების დაახლოებით 50%-ს შეადგენს. შინამეურნეობების ხარჯებში დიდია ე.წ. არაფულადი ხარჯების (საკუთარი წარმოების ან უფასოდ მიღებული სურსათი) წილი – მთლიანი ხარჯების დაახლოებით 18%. ამის გამო შინამეურნეობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საკუთარი მიწიდან მიღებულ მოსავალზე.

ყველაზე დაბალი შემოსავლის მქონე შინამეურნეობის (I კვინტილი) საშუალო თვიური შემოსავალი შეადგენს 30,8 ლარს, ხოლო ყველაზე შემლებული ჯგუფის (V კვინტილი) საშუალო თვიური შემოსავალი – 526,5 ლარს, ანუ 17-ჯერ აღემატება პირველს. საკმაოდ პოლარიზებულია ხარჯების განაწილებაც კვინტილურ ჯგუფებში. მეხუთე კვინტილურ ჯგუფში ერთი შინამეურნეობის მთლიანი ხარჯები (ფულადი და არა ფულადი) საშუალოდ, 9,6 ჯერ მეტია პირველი კვინტილური ჯგუფის ანალოგიურ ხარჯებზე. შინამეურნეობის ხარჯებში პირველ ადგილზე დგას სურსათის ხარჯები, მისი ხვედრითი წილი გაცილებით მაღალია ყველაზე დაბალი ხარჯების მქონე შინამეურნეობებში – 50%, მაშინ, როცა იგივე მაჩვენებელი 33%-ს შეადგენს მეხუთე კვინტილურ ჯგუფში. სურსათის ფულადი ხარჯების ხვედრითი წილი სოფლად შეადგენს 25,4%-ს, ხოლო ქალაქად – 37,8%-ს. სათბობისა და ელექტროენერგიის ხარჯების ხვედრითი წილი საშუალოდ

5,6%-ია და იცვლება 6,9%-დან პირველ კვინტილურ ჯგუფში 4,9 %-მდე მეხუთე კვინტილურ ჯგუფში [10, გვ. 38].

ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციაზე (განვითარებაზე) შინამეურნეობების ხარჯების ხვედრითი წილი შეადგენს საშუალოდ 6,2%-ს. მეხუთე კვინტილური ჯგუფის ხარჯები განათლებაზე 45-ჯერ მეტია პირველი კვინტილური ჯგუფის ანალოგიურ ხარჯებზე. ასევე, ღარიბებს შორის მათი წილი, ვინც ჩაიტარა სამედიცინო – პროფილაქტიკური გამოკვლევა 2,4-ჯერ დაბალია არაღარიბებთან შედარებით. განსხვავებულია ქალაქად და სოფლად მცხოვრები შინამეურნეობების ხარჯებიც. განათლების მიღებაზე შინამეურნეობების მიერ ქალაქში 3-ჯერ მეტი იხარჯება სოფელთან შედარებით. ღარიბი შინამეურნეობების ინვესტიცია ადამიანურ კაპიტალში დაბალია.

პირადი მოხმარება დამოკიდებულია მოსახლეობის შემოსავლებზე, რომლის აღრიცხვა დღევანდელ პირობებში რთულია. მასში დიდი ადგილი ფულად შემოსავლებს უკავია. მისი საშუალო თვიური ოდენობა 2002 წლისათვის 163,7 მლნ ლარს შეადგენდა, რაც, საშუალოდ, მოსახლეობის ერთ სულზე, თვეში 41 ლარია. სულ ფულადი და არაფულადი სახსრები 276,6 მლნ ლარი იყო (საშუალოდ, ერთ სულზე 69,3 ლარი). მთლიანი საშუალო თვიური ხარჯები კი 346,7 მლნ ლარს შეადგენს, ანუ დაფიქსირებული შემოსავლები ხარჯების მხოლოდ ორ მესამედს ფარავს – სამომხმარებლო ფულადი ხარჯები, საშუალოდ, თვეში 216,7 მლნ ლარს შეადგენს.

მოსახლეობის არაფულადი შემოსავლები ფულადი შემოსავლების 33%-სა და მთელი ფულადი და არაფულადი სახსრების 23%-ს შეადგენს. მოსახლეობის შემოსავლებში არსებითია დაქირავებული შრომიდან (ფულადი შემოსავლების 41%), თვითდასაქმებიდან (ფულადი შემოსავლების 19%), სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციიდან (ფულადი შემოსავლების 16%) მიღებული შემოსავლები, აგრეთვე პენსიები, სტიპენდიები და დახმარებები (ფულადი შემოსავლების 9%); დაბალია ქონებიდან შემოსავლების წილი (მთელი შემოსავლების 0,8%). ფულად შემოსავლებში კვლავ მნიშვნელოვანია უცხოეთიდან მიღებული გზავნილების (მთლიანი სახსრების 4,4%) და ახლობლებისაგან მიღე-

ბული ფულის (მთლიანი სახსრების 5,0%) ოდენობა. ფულად სახსრებში დიდია ქონების გაყიდვის, ნასესხები ფულის, ან დანაზოგის წილი (ფულადი სახსრების 12,5%)

ღარიბი შინამეურნეობების შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროს (მთლიანი შემოსავლების თითქმის 30%) წარმოადგენს ისეთ ე.წ. არააქტიური ტიპის შემოსავლები,როგორიცაა შემოსავლები ქონების გაყიდვიდან და ტრანსფერტები. მაშინ როდესაც ამ ტიპის შემოსავლების წილი სიღარიბის ზღვარს ზემოთ მყოფთა შორის 20%-ზე ნაკლებია. ღარიბებს შორის პენსიების და ყველა სხვა ტიპის ტრანსფერტის ხვედრითი წილი თითქმის 28%-ს შეადგენს, რაც მიუთითებს, რომ ამ შინამეურნეობების სოციალური მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სოციალური ტიპის შემოსავლებზე.

უმუშევრობა უკიდურესი სიღარიბის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი შინამეურნეობების თითქმის 40%-დან, არცერთი წევრი არ არის დასაქმებული. ღარიბი შინამეურნეობების თითქმის 45%-დან, ერთ მომუშავეს, საშუალოდ, ორი, ან მეტი სული ჰყავს სარჩენი საკუთარი თავის ჩათვლით.

სიღარიბე განისაზღვრება, როგორც ადამიანის ან ოჯახის მდგომარეობა, რომელშიც ის მოკლებულია თავისი ძირითადი მოთხოვნილებების (საკვები, თავშესაფარი, ფიზიკური უსაფრთხოება, საბაზო განათლებისა და პიროვნული ზრდის შესაძლებლობა, ჯანმრთელობა, კომუნიკაცია) დაკმაყოფილების შესაძლებლობას უსახსრობის ან დაბალი შემოსავლების გამო.

საქართველოში სიღარიბის მაჩვენებლები იანგარიშება შინამეურნეობების სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით. ზღვრების გაანგარიშებისათვის გამოყენებულია საკვები ენერგიის მეთოდი. შეფასებისათვის გამოყენებულია სიღარიბის ორი ზღვარი:

- ოფიციალური საარსებო მინიმუმი – დღევანდელი მდგომარეობით 124-128 ლარი თვეში, შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის ექვივალენტური მოზრდილისათვის;
- უკიდურესი სიღარიბის ზღვარი – დღეის მდგომარეობით 58-63 ლარი თვეში, შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის ექვივალენტური მოზრდილისათვის.

ოფიციალური საარსებო მინიმუმის მიმართ სიღარიბის დონე

2002 წლის მონაცემებით დახლოებით 52% შეადგენდა. 1994 წელს სიღარიბის დონე 80% იყო, 1995 წელს – 60%. ბოლო ათწლეულში სიღარიბის ყველაზე დაბალი დონე 1997 წელს დაფიქსირდა – დაახლოებით 46%, ხოლო ბოლო წლებში სიღარიბის დონე მცირედ გამოხატული ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

უკიდურესი სიღარიბის ზღვრის მიმართ სიღარიბის დონემ 2002 წელს 15% შეადგინა. ეს მაჩვენებელი 1999-2001 წლებში კლების ტენდენციით ხასიათდებოდა.

სიღარიბის სიღრმის მაჩვენებელის გაანგარიშება 1996 წლიდან ხდება, როდესაც დაიწყო სიღარიბის შეფასებისათვის შესაფერისი საინფორმაციო ბაზის მომზადება. ოფიციალური საარსებო მინიმუმის მიმართ სიღარიბის სიღრმის მაჩვენებელი, 1996-2002 წლების პერიოდში, ყველაზე დაბალი 1997 წელს იყო და 17,3% შეადგინა. მომდევნო წლებში ეს მაჩვენებელი 19-20%-ის ფარგლებში მერყეობს. უკიდურესი სიღარიბის ზღვრის მიმართ იგივე მაჩვენებელი ყველაზე მაღალი 1996 წელს იყო – 14,5%, ხოლო შემგომ წლებში – 8,5-9,5%-ის ფარგლებშია.

სიღარიბის შემცირების მოკლევადიანი სტრატეგია უმჯობესია ფოკუსირებული იყოს სიღარიბის შედარებით დაბალ ზღვარზე. შინამეურნეობების დაახლოებით მესამედს წლის მანძილზე ერთხელ მაინც მოუწია სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ყოფნა. ეს ფაქტი მიუთითებს, რომ საქართველოში შინამეურნეობების დაახლოებით ერთი მესამედი უკიდურესი სიღარიბის ზღვართან ახლოსაა.

ყველა ტიპის შინამეურნეობა სიღარიბით ერთნაირად მოცული არ არის. სიღარიბის ზღვარს მიღმა ხშირად გვხვდება სპეციფიკური შემადგენლობის შინამეურნეობები, კერძოდ:

- შინამეურნეობები უმუშევარი წევრებით – უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები შინამეურნეობების დაახლოებით ერთ მესამედში შინამეურნეობების არცერთი წევრი არ არის დასაქმებული;
- შინამეურნეობები შედარებით დაბალი განათლების დონის მქონე წევრებით – უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები შინამეურნეობების დაახლოებით ორ მესამედში შინამეურნეობების წევრების განათლების მიღწეული დონე საშუალო ან დაბალია;

• შინამეურნეობები მხოლოდ არაშრომისუნარიანი ასაკის წევრებით – უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები შინამეურნეობების დაახლოებით 20% მხოლოდ არაშრომისუნარიანი ასაკის წევრებისაგან შედგება.

სიღარიბის დონის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორი უმუშევრობაა. რაც უფრო მეტია შინამეურნეობებში უმუშევარი წევრები, მით უფრო მეტია ასეთი შინამეურნეობების სიღარიბის ზღვარს მიღმა მოხვედრის რისკი. შინამეურნეობებში, რომელთა ყველა წევრი უმუშევარია, სიღარიბის დონე საშუალოზე თითქმის 3-ჯერ მაღალია.

სიღარიბე ქალაქად და სოფლად მნიშვნელოვნად განსხვავებულ მოვლენას წარმოადგენს. სიღარიბე ქალაქად, ძირითადად დაკავშირებულია არასაკმარის კვებასთან, რაც საბოლოო ჯამში უფრო მწვავე და ღრმა სიღარიბის მაჩვენებელია. სოფლად კი სიღარიბე არასაკმარის კვებასთან იშვიათ შემთხვევაშია დაკავშირებული, თუმცა ეს მხოლოდ იმ ფაქტითაა განპირობებული, რომ სოფლად კვების პროდუქტების მოხმარებას ძირითადად, საკუთარი წარმოების სურსათი განსაზღვრავს. სოფლად მოსახლეობის უმთავრეს პრობლემას ფულადი რესურსების დეფიციტი და ინფრასტრუქტურის არასაკმარისი განვითარება განაპირობებს, რაც შესაბამისად ამცირებს მომსახურების ძირითადი სახეების ხელმისაწვდომობას.

მიუხედავად სიღარიბის შედარებით უფრო მწვავე და ღრმა ხასიათისა, ქალაქად გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების მისაწვდომობის მხრივ. ქალაქად პერსპექტივა უფრო მეტია, ქალაქის მოსახლეობას შედარებით უფრო მიუწვდება ხელი განათლების მიღებაზე, რაც მათი დასაქმებისა და, შესაბამისად, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების პერსპექტივას ქმნის.

ის ფაქტი, რომ ქალაქთან შედარებით სიღარიბის დონე სოფლად თითქმის ყოველთვის დაბალია, სულაც არ ნიშნავს, რომ სოფლად სიღარიბის პრობლემა ნაკლებად მწვავე ხასიათისაა. სოფლად სიღარიბის ზღვარს ზემოთ ყოფნას განსაზღვრავს საკუთარი მოსავალი ან საკუთარი წარმოების მეცხოველეობისა და მეფრინველეობის პროდუქტები. ეს კი მნიშვნელოვნად დამო-

კიდებულია კლიმატურ პირობებზე. ამის ნათელი დადასტურებაა ბოლო პერიოდში სიღარიბის ზრდა აგრარულ რეგიონებში, რის არსებით მიზეზს 1998 და 2000 წლების გვალვები წარმოადგენს. ამდენად, სოფლად სიღარიბის ზღვარს ზემოთ ყოფნის მთავარ განმსაზღვრელ რესურსს მიწა წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სოფლად სიღარიბის შემცირების პერსპექტივა, არსებული პირობების უცვლელობის შემთხვევაში, ნაკლებად სავარაუდოა. თუ ის შემცირდება კარგი მოსავლის გამო, ეს მდგომარეობა არ იქნება სტაბილური და გაგრძელდება მხოლოდ შემდეგ გვალვამდე, სეტყვამდე ან რომელიმე სხვა სტიქიურ მოვლენამდე.

შეიძლება გამოვყოთ სიღარიბეზე მოქმედი რამდენიმე ძირითადი ფაქტორი და შევაფასოთ, რამდენად ზემოქმედებენ ისინი სიღარიბეზე: დასაქმება, უმუშევრობა, ასაკი, შოკები, ინფრასტრუქტურა.

პრაქტიკა ადასტურებს, რომ ერთი დასაქმებული წევრის მომატება შინამეურნეობაში საშუალოდ 20%-ით ზრდის შინამეურნეობის მოხმარების მოცულობას. ამდენადვე მცირდება შინამეურნეობის მოხმარება ერთი უმუშევარი წევრის მომატებით. დაფიქსირებულია, რომ შინამეურნეობის წევრების ასაკობრივი სტრუქტურა მჭიდრო კავშირშია სიღარიბესთან. ეს ფაქტორი განსაკუთრებით ძლიერად მოქმედებს ქალაქად, სადაც მარტოხელა პენსიონერობის ფაქტი თითქმის 30%-ით ამცირებს ეკვივალენტურ მოზრდილზე გადაანგარიშებული მოხმარების მოცულობას. სოფლად ამ ფაქტორის გავლენა საკმაოდ არსებითია, თუმცა იგი შედარებით ნაკლებია, ვიდრე ქალაქად. მხოლოდ არაშრომისუნარიანი ასაკის წევრებისაგან შემდგარ ოჯახებს განსაკუთრებით დიდი პრობლემები ქალაქად ექმნებათ და ეს ფაქტი დაახლოებით 25%-ით ამცირებს მოხმარებას. რაც შეეხება კრიზისულ მოვლენებს, როგორც ბოლო წლების პრაქტიკა გვიჩვენებს, შინამეურნეობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მდგრადობა კრიზისული მოვლენების მიმართ, საკმაოდ დაბალია. ამის მაგალითია 1998 წლის რუსეთის კრიზისისა და გვალვების გავლენა სიღარიბის მაჩვენებლებზე. მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს აგრეთვე, ინფრასტრუქტურის მძიმე მდგომარეობა. ეს

პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას სოფლად. სოფლად მცხოვრებ შინამეურნეობებს გაცილებით ნაკლებად მიუწვდებათ ხელი ისეთ მნიშვნელოვან მომსახურებებზე, როგორიცაა განათლება და ჯანმრთელობის დაცვა. ამასვე ემატება ენერგოკრიზისი და ინფორმაციული ვაკუუმი, რომელიც განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა ძნელად მისადგომ,სოფლის ტიპის დასახლებებში. მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია მისასვლელი გზების დაბალი ხარისხი.

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში სიღარიბე დონის მიხედვით ძირითადად ორი ტიპისაა: ქრონიკული და წარმავალი.

სიღარიბით მოცული შინამეურნეობები ძირითადად ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: შინამეურნეობები, რომლებიც თავად ვერ დააღწევენ თავს სიღარიბეს, აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსების არარსებობის გამო. ასეთები ძირითადად მარტოხელა პენსიონერებისა და არაშრომისუნარიანი ასაკის წევრებისაგან შემდგარი ოჯახებია. სიღარიბის ზღვარამდე მათი ამოყვანის ერთადერთი გზა ტრანსფერტებია; შინამეურნეობები, რომელთაც შეუძლიათ თავად დააღწიონ თავი სიღარიბეს. მათ აქვთ შესაბამისი ადამიანური რესურსები. ასეთები ძირითადად უმუშევარი ან დაბალანაზღაურებადი მომუშავე წევრებისაგან შემდგარი შინამეურნეობებია. ამ შემთხვევაში, ყველაზე ეფექტიანი გზა ახალი სამუშაო ადგილების შექნაა.

სიღარიბეზე მოქმედი ფაქტორები ძირითადად ორი ტიპისაა:

- ხანმოკლე მოქმედების ფაქტორები, რომლებიც წარმავალია და ისინი მხოლოდ გარკვეული პერიოდის მანძილზე მოქმედებენ (მაგ., სხვადასხვა ტიპის შოკები, ხანმოკლე უმუშევრობა და ა.შ.)
- ხანგრძლივი მოქმედების ფაქტორები, რომელთა მოქმედება დროის მნიშვნელოვან მანძილზე გრძელდება, ან შესაძლოა, მათი მოქმედება მომავალში გამოვლინდეს. ასეთი ფაქტორებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განათლებაზე ხელმისაწვდომობაა. ასეთივე ტიპის ფაქტორად შეიძლება მოვიაზროთ ხანგრძლივი უმუშევრობაც, რაც დაკავშირებულია პროფესიული ჩვევების დაკარგვასთან.

სხვაზე დამოკიდებულობის ფაქტორი მნიშვნელოვანია – სიღარიბის რისკი სწრაფად მატულობს იმ შინამეურნეობებისათვის, რომლებშიც სამი და მეტი ბავშვია. სიღარიბის მატება მრავალშვილიან ოჯახებს შორის განსაკუთრებით გამოკვეთილია მაშინ, როდესაც შინამეურნეობაში ერთი მარჩენელია. ეს ნაწილობრივ გამოწვეულია ბავშვების დამცავი ტრადიციული ტრანსფერტების სისტემის თანდათანობითი რღვევით. დღეისათვის ყველაზე ღარიბი ასაკობრივი ჯგუფების სიის სათავეში სკოლის ბავშვები მოექცნენ.

შრომის ბაზარზე, ინტეგრაციის თვალსაზრისით, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ იძულებით გადაადგილებული პირები. ინდივიდუალურად ჩასახლებულ პირთა შორის უმუშევრობა ორჯერ უფრო მაღალია, ვიდრე ადგილობრივ მოსახლეობაში, ხოლო კოლექტიურად ჩასახლებულ გადაადგილებულ პირთა შორის იგი სამჯერ უფრო მაღალია. იძულებით გადაადგილებულ პირთა დაახლოებით 20% აცხადებს, რომ ისინი მთლიანად მოწყვეტილნი არიან განსახლების ადგილას მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობისა და საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან. მათ არ გააჩნიათ ინფორმაცია სამუშაო ადგილების შესახებ და არც სამსახურის შოვნისათვის აუცილებელი კავშირები. სამუშაო ადგილები, რომლებიც მათთვის მისაწვდომია, დაბალანაზღაურებადი და არასაიმედოა.

სიღარიბის მაჩვენებლები არაერთგვაროვანია რეგიონების მიხედვით. დაახლოებით ერთნაირი ტენდენციაა თბილისში, შიდა ქართლსა და აჭარაში. ასევე, დაახლოებით ერთნაირია ტენდენცია სამეგრელოსა და იმერეთში, მიუხედავად იმისა, რომ იმერეთში სიღარიბის დონე მაღალია, სამეგრელოსთან შედარებით. სიღარიბის დონე დაახლოებით ერთნაირია სამცხე-ჯავახეთსა და კახეთში, ქვემო ქართლსა და გურიაში. სიღარიბის დონის მაჩვენებელი სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა ტენდენციით ხასიათდება: სიღარიბის განსაკუთრებით მკვეთრი ზრდა აღინიშნება კახეთსა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში (შესაბამისად 18% და 29%), შედარებითი კლება – თბილისსა და იმერეთში [10].

რამდენადაც ხელისუფლების ფისკალური შესაძლებლობები შეზღუდულია, რეგიონების ფისკალური გამოთანაბრების ეფექ-

ტიანი პოლიტიკის გატარება საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს.

ამდენად, როგორც ზემოთ მოტანილი ფაქტებიდან ჩანს, საქართველოში მწვავედ დგას სიღარიბის დაძლევის პრობლემა, რომლის გადაწყვეტის გარეშეც შეუძლებელია ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლასა და განვითარებაზე ფიქრი. უფრო მეტიც, ამ ეტაპზე ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ყველა გზა, მთელი ძალისხმევა სიღარიბის დაძლევაზე უნდა გადიოდეს.

ჩვენი ამოცანაა ვაჩვენოთ, რომ საქართველოში სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთ მთავარ ეკონომიკურ საფუძველს ქვეყანაში ტურიზმის განვითარება წარმოადგენს. იგი ამ სენისაგან განკურნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, უებარი საშუალებაა.

საქართველოში, როგორც ზემოთ მოყვანილი ანალიზიდანაც კარგად ჩანს, სიღარიბის გამომწვევი მთავარი მიზეზებიდან, პირველ რიგში, აღსანიშნავია უმუშევრობა, რომლის დონეც პირდაპირპროპორციულ, კორელაციურ კავშირშია სიღარიბის დონესთან.

იმისათვის, რომ უმუშევრობით გამოწვეული სიღარიბის დონე შეამციროს (შეარბილოს), კაცობრიობას დღემდე არაფერი სხვა არ გამოუგონია, ვიდრე ლატაკთა სოციალური პროგრამების დაფინანსება და ქვეყნის ბიუჯეტიდან სპეციალური მიზნობრივი დოტაციების პროგრამების განხორციელება. მაგრამ, რა ქნას ქვეყანამ, როცა მისი მთავრობის ფისკალური შესაძლებლობები შეზღუდულია და იგი განიცდის ბიუჯეტის სიმწირეს. ე.ი. მეორე მთავარი მიზეზი ქვეყანაში არსებული სიღარიბის მაღალი დონისა, არის ქვეყნის ბიუჯეტის სიმწირე, სოციალური დაცვის პროგრამების დაუფინანსებლობა, ანუ მთავრობის შეზღუდული ფისკალური შესაძლებლობები. ახალი ამაში არაფერია, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, რომ მდიდარი სახელმწიფო ბიუჯეტით ხალხის კეთილდღეობის უზრუნველყოფა სავსებით შესაძლებელია.

შემდეგი პრობლემა, რომელიც უშუალო კავშირშია (თითქმის გაიგივებულია) ქვეყანაში სიღარიბის დონესთან, ეს არის ინფრასტრუქტურა და მისი განვითარების დონე, ვინაიდან, გარდა წმინდა ვიზუალური მხარისა (დანგრეული გზები, ვაგზლები, მორღვეული მეურნეობები –ზოგადად ღარიბი ქვეყნის გამომხატვე-

ლია), მას გააჩნია შინაარსობრივი დატვირთვაც (განსაკუთრებით კოფლად – განათლების, სამედიცინო მომსახურებისა და სხვათა ჰიუწედომლობა). ამრიგად, ქვეყანაში სიღარიბის დაძლევისათვის ბრძოლა თავისთავად უნდა გულისხმობდეს ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე ზრუნვას, რომლის დაჩქარებული განვითარებაც მთლიანად ჯდება საქართველოში ტურიზმის განვითარების კონცეფციაში და მას სათანადო, კეთილსაიმედო საინვესტიციო გარემო და მილიარდობით დოლარის ინვესტიციები სჭირდება.

სიღარიბის დაძლევის კონცეფციაში არც თუ უმნიშვნელო როლი ეკუთვნის ეკონომიკური განვითარების დონის გამოთანაბრების პრობლემას სოფელსა და ქალაქს, აგრეთვე ქვეყნის ცალკეულ რეგიონებს შორის. დღეისათვის საქართველოში სიღარიბის დონე სოფლად (ქალაქისგან განსხვავებით), გარკვეულწილად დამოკიდებულია კლიმატურ პირობებზე, ამასთან, სიღარიბე ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში განსხვავებულია, ე.ი. არ არის თანაბარი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მას შემდეგ, რაც დავაფიქსირეთ სიღარიბის გამომწვევი მთავარი სიმპტომები (ფაქტორები), ბუნებრივია, დღის წესრიგში დგება საკითხი, როგორ დავძლიოთ იგი. ჩვენი ამოცანაა, ვაჩვენოთ, რომ ჩვენს ქვეყანას სიღარიბის დაძლევის რეალური წანამძღვარები გააჩნია. ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეზერვს წარმოადგენს ტურიზმის დაჩქარებული განვითარება. ტურიზმი განვითარებად ქვეყანებში ყველგან წარმოადგენს ადამიანური რესურსების გამოყენების ინტენსიურ საშუალებას, რომელიც წარმოშობს ახალ შესაძლებლობებს ადგილობრივ წარმოებაში, სოფლის მეურნეობაში, ვაჭრობაში და მომსახურებაში, ხელოსნობაში, მშენებლობაში, კვების მრეწველობაში და სხვა. ამ ქვეყნებში ტურიზმი ხელს უწყობს კერძო ინიციატივის სტიმულირებას, რაც ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მთავარი პირობაა.

ტურიზმს შეუძლია ფეხზე წამოაყენოს ქვეყნის ეკონომიკა, შექმნას ბევრი ახალი სამუშაო ადგილი, დაასაქმოს ადამიანები, უზრუნველყოს ქვეყანაში ვალუტის შემოდინება, გაამდიდროს ბიუჯეტი, უპირველესად, განავითაროს ქვეყნის ინფრასტრუქტურა, გა-

აფართოოს შიდა ბაზარი და გამოიწვიოს რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონის გამოთანაბრება.

ამრიგად, ტურიზმი თავის თავში შეიცავს მრავალმხრივ პოტენციალს ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, რაც, თავისთავად, ხელს უწყობს უშუალოდ სიღარიბის დაძლევას. ამიტომაცაა, რომ დღეისათვის ტურიზმი აღიარებულია მსოფლიოში სიღარიბესთან ბრძოლის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად.

კაცობრიობამ ტურიზმის როლისა და მნიშვნელობის გაცნობიერება, როგორც დედამიწაზე უმნიშვნელოვანესი ფაქტორისა, დაიწყო სულ ახლახანს, XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისში. მისი როლის აღიარების გზაზე კი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და, შეიძლება გადამწყვეტიც კი, იყო 2002 წელი. ამ წელს გაიმართა სიღარიბის დაძლევის მსოფლიო ფორუმი (იოჰანესბურგი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა), რომელმაც პირველად აღიარა ტურიზმი, როგორც სიღარიბის დაძლევის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი და მოუწოდა მსოფლიოს დონორ ორგანიზაციებსა და დახმარების აღმოჩენის ფონდებს, თავის პროექტებში აუცილებლად შეიტანონ ტურიზმი, როგორც მნიშვნელოვანი პრიორიტეტი.

ეს სრულიად ახალი მიდგომა (პოზიცია) განსაკუთრებულად აისახა იოჰანესბურგის სამიტის დასკვნით დოკუმენტში: „ტურიზმი ძირითადი წყაროა საზღვარგარეთის ვალუტის შემოდინებისა ქვეყანაში, რისი მეოხებითაც მცირდება გარეშე ვალი და უარყოფითი სალდო. უპირველეს ყოვლისა კი, ტურიზმი ქმნის სამუშაო ადგილებს – ბევრ სამუშაო ადგილს.

ტურიზმი, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თავის თავში შეიცავს მნიშვნელოვან პოტენციალს ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის და მათ დასახმარებლად – გადალახონ სიღარიბის ზღვარი". ვფიქრობთ, ეს ჩანაწერი თავისთავად მეტყველებს ტურიზმის განსაკუთრებულ როლსა და მნიშვნელობაზე სიღარიბესთან ბრძოლაში. სწორედ 2002 წელს გამოცხადდა მტო-სა და გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის ერთობლივი საერთაშორისო პროექტი, ახალი ინიციატივა, რომელიც ცნობილია როგორც „მდგრადი ტურიზმი, რო-

გორც სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუმენტი“ – (ST-EP). ამ დოკუმენტის მიხედვით, „სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა არის XXI საუკუნის მთავარი ამოცანა, ამიტომ ჩვენ არ უნდა შემოვიფარგლოთ სიტყვებით, უნდა ვიმოქმედოთ კონკრეტულად“ [7]. ასევე, 2002 წელს, გაეროს მიერ მომდევნო წელი გამოცხადებულ იქნა მსოფლიოში „ტურიზმის მეშვეობით სიღარიბის დაძლევის წლად“ და ა.შ.

სიღარიბის დაძლევისა და ტურიზმის ურთიერთკავშირის თაობაზე შესანიშნავად მეტყველებს სიტყვა, რომლებიც წარმოთქვა მტო-ს გენერალურმა მდივანმა ფრანჩესკო ფრანჯიალიმ და რითაც დაიწყო თავისი გამოსვლა სიღარიბის დაძლევის მსოფლიო ფორუმზე იოჰანესბურგში:

„მთელი სამიტის განმავლობაში თქვენ ილაპარაკეთ სიღარიბეზე, ხალხზე, რომელთა დღიური საარსებო მინიმუმი დღეში ერთ დოლარზე ნაკლებია, ან ყველაზე არსებითი ბუნებრივი რესურსების გაქრობაზე, სასმელი წყლის ნაკლებობაზე, ბუნების მზარდ დაბინძურებაზე, ეკოლოგიურ კატასტროფებზე, სწრაფად გავრცელებად, მომაკვდინებელ ეპიდემიებზე და ა.შ.

თუკი მე ჩემი მხრიდან წამოვიწყებ თემას პლაჟზე დასვენების, ან კულტურული ღირსშესანიშნაობების დათვალიერების შესახებ, გოლფსა და ზამთრის კურორტებზე დასვენების ორგანიზაციაზე – უეჭველია ჩემს სიტყვას ჩათვლით უადგილოდ. უფრო მომთმენნი იფიქრებენ, რომ მე სხდომის სახელწოდება ან უბრალოდ მისამართი შემეშალა. მაგრამ ეს არ იქნება სწორი, რადგან ჩვენ ვლაპარაკობთ ერთი და იგივეზე და ჩემი გამოსვლის მიზანი სწორედ ისაა, დავამტკიცოთ, რომ ტურიზმს შეუძლია შეიტანოს გადამწყვეტი წვლილი სიმდიდრის შექმნაში, მდგრად განვითარებაში და სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლაში – სიღარიბის დაძლევაში“ [14].

ტურიზმის მეშვეობით სიღარიბის დაძლევის საკითხებზე მსჯელობის დროს, ინტერესმოკლებული არ იქნება განვიხილოთ ის სიკეთე, რისი მოტანაც შეუძლია ტურიზმის განვითარებას ქვეყნისათვის. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მარკეტინგული სამსახურის მიერ შემოთავაზებული კვლევის შედეგად ცნობილია 10 მნიშვნელოვანი სარგებელი, რომელიც თან ახლავს ტურიზმის

განვითარებას. ამ ათი [51] სარგებლიდან მხოლოდ პირველი ოთხის დასახელებაც კი, ნათლად გვიჩვენებს, რომ სწორედ ტურიზმი პასუხობს პირდაპირ სიღარიბის გამომწვევი სიმპტომების განეიტრალებას.

საყოველთაოდ აღიარებული, ტურიზმისაგან მიღებული ათი სიკეთიდან პირველ ადგილზეა *დასაქმება* (მათ შორის: ალტერნატიული, რეგიონებში, ქალები და ახალგაზრდები); მეორე ადგილზეა *სიღარიბესთან ბრძოლა*, მესამეზე – *სახელმწიფო შემოსავლების ზრდა* (გადასახადები, უცხოური ვალუტა); და მეოთხე ადგილზეა – *ინფრასტრუქტურის განვითარება.*

როგორც ვხედავთ, ტურიზმის განვითარების კონცეპტუალური ხედვა მთლიანად ჯდება სიღარიბის დაძლევის კონტექსტში, იგი პირდაპირ პასუხობს სიღარიბის დაძლევისათვის საჭირო გასატარებელ ღონისძიებებს და ამდენად, საქართველოსთვის ტურიზმის განვითარება არის შანსი სიღარიბის დაძლევის გზაზე, რომელიც ქვეყანამ აუცილებლად უნდა გამოიყენოს.

# თავი მეორე
# ტურიზმის განვითარების თანამედროვე ტენდენციები (გამოცდილება. ორგანიზაცია. პერსპექტივა)

## ტურიზმის განვითარების ორგანიზაციული და ეკონომიკური ასპექტები

ახალი ათასწლეულის დასაწყისში ტურიზმი მრავალ ქვეყანაში დამკვიდრდა, როგორც ზოგადად ეკონომიკისა და ყველაზე მეტად, სწრაფად განვითარებადი ეკონომიკური სექტორის ძირითადი დარგი, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს უცხოური ვალუტის შემოტანას, სამუშაო ადგილების შექმნას და შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

საერთაშორისო ტურიზმი, როგორც პრაქტიკა ადასტურებს, უზრუნველყოფს ყველაზე მაღალ საექსპორტო შემოსავლებს და ქვეყნების უმრავლესობისათვის იგი წარმოადგენს საგადასახადო ბალანსის უზრუნეელყოფის მნიშვნელოვან ფაქტორს.

სამუშაო ადგილების შექმნის თვალსაზრისით, ტურიზმს განსაკუთრებული უპირატესობა გააჩნია. მისი განვითარება სტიმულს აძლევს მსხვილი ინვესტიციების შემოდინებას ქვეყანაში, მათ მოზლვავებას ინფრასტრუქტურაში, რომელთა დიდი ნაწილიც ხმარდება, როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე ტურისტების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. იგი უზრუნეელყოფს სახელმწიფოებს მნიშვნელოვანი ფინანსური შემოსავლებით საგადასახადო მოსაკრებლების სახით.

ტურიზმში ახალი სამუშაო ადგილებისა და საწარმოების დიდი ნაწილი იქმნება განვითარებად ქვეყნებში, რაც ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდის დაბალანსების საშუალებას იძლევა. ასე-

ვე ხელს უწყობს სოფლად ადგილობრივი მოსახლეობის დამაგრებას, მათი ქალაქში გადასახლების, არასასურველი მიგრაციის თავიდან აცილებას.

კულტურული კავშირები და პირადი მეგობრული ურთიერთობები, რომლებიც წარმოიქმნებიან ტურისტული გაცვლების პროცესების შედეგად, წარმოადგენენ მნიშვნელოვან ფაქტორს საერთაშორისო ურთიერთობების გაუმჯობესებაში და ხელს უწყობენ ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებას მთელს მსოფლიოში.

ტურიზმს თავისი ისტორია აქვს.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ტურიზმი, როგორც დასვენების ფორმა, ხელმისაწვდომი იყო ერთეულებისათვის. პირველი მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე დაიწყო ტურიზმის ხანგრძლივი ევოლუცია, რის შედეგადაც მან თანამედროვე სახე მიიღო.

ტურიზმი მაშინ იმყოფებოდა თავისი განვითარების სათავეებთან და სახელმწიფო ხელისუფლებების მიერ აღიქმებოდა საინფორმაციო-საკომუნიკაციო განზომილებაში. XX საუკუნის 20-იან წლებში ზოგიერთ ქვეყნებში გაჩნდა ნაციონალური ტურისტული ადმინისტრაციები, საზღვარგარეთ პირველი ოფიციალური წარმომადგენლობები. პარალელურად იქმნებოდა ადგილობრივი ტურისტული საინფორმაციო ბიუროები ქალაქებში და კურორტებზე.

თავიდან ეს მოღვაწეობა ატარებდა ტრანსსასაზღვრო ხასიათს, ხოლო შემდგომ პერიოდში მან შეიძინა სახელმწიფოთა ურთიერთთანამშრომლობის ფორმა. 1925 წელს ჰააგაში გაიმართა, როგორც მაშინ უწოდებდნენ, ტურისტული გაცვლების ოფიციალურ ასოციაციათა პირველი საერთაშორისო კონგრესი. შემდგომში ეს სტრუქტურა ინსტიტუციონალიზებულ იქნა. 1934 წელს შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაცია – „ტურიზმის პროპაგანდის ოფიციალურ ორგანოთა საერთაშორისო კავშირი", რომელმაც იარსება მეორე მსოფლიო ომამდე. ეს გამოიწვია იმანაც, რომ ბევრი ამერიკელი სამხედრო დარჩა ევროპაში, რომლებიც, როგორც უკვე სამოქალაქო პირები, ხარჯავდნენ დოლარებს ევროპის საუკეთესო ადგილების მოსანახულებლად.

ომის დამთავრებისთანავე ტურიზმი და ტურისტული გაცვლები კვლავ გამოცოცხლდა. მთავრობებმა სწრაფად გააცნობიერეს ტურიზმის მზარდი მნიშვნელობა. აქ ინტერესს მოკლებული არ უნდა

იყოს ის ფაქტიც, რომ ტურიზმმა შეასრულა არსებითი როლი აშშ-ს მიერ ევროპისადმი გაწეულ ომის შემდგომ დახმარებაში (მარშალის გეგმის რეალიზაციაში) ევროპული ეკონომიკური დახმარების ორგანიზაციის საშუალებით (ახლანდელი ОЭСР-ის წინამორბედი).

პარალელურად, ფართოვდება იმ სახელმწიფოთა ჩარევა, რომლებიც აღარ კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ ინფორმაციითა და რეკლამით, არამედ თანდათანობით თითქმის ყველა პოლიტიკური ელემენტი ჩართეს ტურიზმის სფეროში.

საერთაშორისო თანამშრომლობა ფართოვდება იგივე საფუძველზე. 1947 წელს ეს თანამშრომლობა გადაიზარდა მოძრაობაში, რომელიც იმავე წელს გაფორმდა ოფიციალურ, ტურისტულ ორგანიზაციათა საერთაშორისო კავშირად, არასამთავრობო ორგანიზაციის სტატუსით. სწორედ ოფიციალურ ტურისტულ ორგანიზაციათა საერთაშორისო კავშირი გახდა წინამორბედი ახლანდელი მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციისა (მტო).

50-60-იან წლებში განვითარებულ ქვეყნებში გაიზარდა ხალხის მსყიდველობითი უნარიანობა, თავისუფალი დრო, შემცირდა სატრანსპორტო ხარჯები, გადაადგილების დრო და ყოველივე ამის ფონზე ტურიზმის განვითარებაში მასშტაბური და თვისებრივი ცვლილებები მოხდა. მაგალითად, საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა, 1950 წლიდან 1970 წლამდე, გაიზარდა 25 მლნ-დან 165 მლნ-მდე. ეს იყო დრო – განსაკუთრებით ჩრდილოეთ ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში – როდესაც ფართოდ გავრცელდა ინდივიდუალური ავტომობილები, გამოჩნდა რეაქტიული სამგზავრო თვითმფრინავები, შემდეგ კი აერობუსები და ჩარტერული რეისები.

ამ პერიოდში მოიპოვეს დამოუკიდებლობა მსოფლიოში ჯერ კიდევ შემორჩენილმა კოლონიებმა. მათ სწრაფად შეაფასეს ტურიზმის პოტენციური უკუგება, შექმნეს ნაციონალური სპეციალიზებული ადმინისტრაციები და გაწევრიანდნენ ოფიციალურ, ტურისტულ ორგანიზაციათა საერთაშორისო კავშირში (МСОТО). ყოველივე ამან ხელი შეუწყო ტურიზმის განვითარების დაჩქარებას.

მსოფლიოს ყველაზე ავტორიტეტულ ორგანიზაციას, გაერო-ს ბევრი დრო არ დასჭირვებია, რომ სათანადოდ შეეფასებინა მოცემული მოვლენების და პროცესების მასშტაბურობა. 1963 წელს რომში მოწვეულ იქნა საერთაშორისო მოგზაურობისადმი მიძღვნი-

ლი კონფერენცია, რომელიც ჩატარდა ოფიციალურ ტურისტულ ორგანიზაციათა საერთაშორისო კავშირის ეგიდით. გაერო-ს გადაწყვეტილებით 1967 წელი გამოცხადდა ტურიზმის საერთაშორისო წლად. ხოლო 1969 წლის 5 დეკემბრის რეზოლუციაში გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ აღიარა „საერთაშორისო ტურიზმის მნიშვნელოვანი წვლილი კაცობრიობის ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესში და მშვიდობის შენარჩუნების საქმეში მთელს მსოფლიოში". ამის შესაბამისად, მოუწოდა ოფიციალურ ტურისტულ ორგანიზაციათა საერთაშორისო კავშირს - გამხდარიყო სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია.

ოფიციალურ ტურისტულ ორგანიზაციათა საერთაშორისო ორგანიზაცია გამოეხმაურა ამ მოწოდებას და 1970 წლის 27 სექტემბერს გენერალური ასამბლეის განსაკუთრებულ სესიაზე, რომელიც ჩატარდა მეხიკოში, მიიღო გადაწყვეტილება, გარდაქმნილიყო სამთავრობათაშორისო დაწესებულებად. ეს გარდაქმნა განხორციელდა 1970-1975 წლებში და ახლად შექმნილი მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (მტო) სამდივნო დაფუძნდა მადრიდში, სადაც გაიმართა კიდევაც პირველი გენერალური ასამბლეა 1975 წელს.

აქედან იწყება მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ისტორია. სწორედ ამიტომაც აღინიშნება ყოველწლიურად ტურიზმის საერთაშორისო დღე მთელს მსოფლიოში 27 სექტემბერს. ახალი მტო, როგორც სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, რომლის ჩარჩოებშიც გადაწყვეტილებები მიიღება მხოლოდ სახელმწიფოთა წარმომადგენლების მიერ, რჩება თავისი წინამორბედის მსგავსად, ტურიზმის სამყაროსა და სხვა სუბიექტებისათვის, განსაკუთრებით კი კერძო სექტორისათვის გახსნილ, ღია ორგანიზაციად.

ტურიზმი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური სფერო, განუწყვეტლივ იცვლებოდა ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების გავლენით, აგრეთვე ახალი კატეგორიის ტუროპერატორების შექმნასთან დაკავშირებით. მაგ: „მოგზაურობის ვირტუალური ბიურო", ან „იაფფასიანი ავიაკომპანიები" მან მოიცვა მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონი.

მიუხედავად შექმნილი სიძნელეებისა (ომები, ტერორიზმი, დანაშაულობათა ზრდა, სტიქიური უბედურებები, ეპიდემიები და სხვა), მოგზაურობა და დასვენება იქცა ჩვენი დროის ერთ-ერთ საყო-

ველთაო მოვლენად, რომლის მნიშვნელობა თანამედროვე მსოფლიოში მზარდი ტენდენციებით ხასიათდება.

ტურიზმი დღეს განიხილება არა მხოლოდ როგორც ერთ-ერთი მთავარი ეკონომიკური სექტორი, არამედ მას საკუთარი როლითა და ფუნქციებით დიდი წვლილი შეაქვს გარემოს, ბიოლოგიურ მრავალფეროვნებათა, კულტურული მემკვიდრეობის, ხალხთაშორის ურთიერთგაგებისა და მშვიდობის შენარჩუნებაში.

ამ კონტექსტში მოკლედ განვიხილავთ მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (მტო) ზოგიერთ ასპექტს.

ჯერ ერთი, ტურიზმის განვითარების კვალდაკვალ გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა მტო-ს მიზნებმა და ამოცანებმა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მას მთავარი როლი დააკისრა მდგრადი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ტურიზმის განვითარებაში, რათა დაჩქარდეს ეკონომიკური განვითარება, უფრო ინტენსიური გახდეს საერთაშორისო ურთიერთობები, ამაღლდეს ადამიანების კეთილდღეობა, გაძლიერდეს მოქალაქეთა უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების უპირობო დაცვა. მტო-ს ასეთ მისიას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს განვითარებად ქვეყნებში ტურიზმის განვითარების დაჩქარებაში.

მტო ასრულებს ქოლგისებური ორგანიზაციის როლს მსოფლიო ტურიზმის სფეროში. ამასთან, წარმოადგენს ტექნიკური გაცვლისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების პროცესების კატალიზატორს, ხელს უწყობს პარტნიორობის გაფართოებას სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებს შორის, გლობალური ეთიკური კოდექსის რეალიზებას, ტურისტულ ცენტრებსა და საწარმოებს საშუალებას აძლევს მაქსიმალურად გამოიყენონ ტურიზმის განვითარების შესაძლებლობანი (რეზერვები) და მინიმუმამდე დაიყვანონ ტურიზმის განვითარების შედეგად გამოწვეული უარყოფითი სოციალური და ეკოლოგიური შედეგები.

მტო რეკომენდაციებს აძლევს და მოუწოდებს ქვეყნის მთავრობებსა და კერძო ბიზნეს-საწარმოებს, აგრეთვე ადგილობრივი ადმინისტრაციების წარმომადგენლებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს, პარტნიორული ურთიერთობების განვითარებისაკენ, რის შედეგადაც ყალიბდება ერთიანი მიზნით გაერთიანებული ადამიანთა ჯგუფები, რომელთა მეშვეობით მტო აქტიურად მონაწილეობს ტურიზმის განვითარებაში.

2003 წელს მტო-ს შემადგენლობაში შედიოდა 143 ქვეყანა, 7 ტერიტორია და 350-მდე მიერთებული წევრები, რომლებიც წარმოადგენენ კერძო ბიზნესის საწარმოებს, ტურისტულ ასოციაციებს, სასწავლო დაწესებულებებსა და ადგილობრივ ტურისტულ ადმინისტრაციებს [44].

ნიშანდობლიეია, რომ 1976 წელს მტო-მ მიიღო გაეროს განვითარების პროგრამის საშემსრულებლო სააგენტოს სტატუსი, ხოლო 1977 წელს ხელმოწერილ იქნა ოფიციალური შეთანხმება მტოსა და გაერო-ს შორის. მტო 25-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ 2003 წელს გაერო-ს სპეციალიზებულ დაწესებულებად გარდაიქმნა. ამით აღიარებულ იქნა მსოფლიო ტურიზმის თითქმის ასწლიანი ძალისხმევა, რომელიც მიმართული იყო თვითდამკვიდრებისაკენ, სტრუქტურული მშენებლობისა და თანამშრომლობისაკენ.

გაერო-ს ისტორიული გადაწყვეტილებით, ტურიზმი აღიარეს კაცობრიობის მოღვაწეობის ისეთ სხვა მთავარ სფეროებთან ერთად, როგორიცაა: მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, განათლება, კულტურა, ჯანდაცვა და სხვა, ხოლო მტო ისეთი ორგანიზაციების რანგში, როგორიცაა იუნესკო, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (ჯმო), აეიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია – იკაო და სხვა [4].

მტო-ს ინიციატივით 2000 წელს მიღებულ იქნა გლობალური – ეთიკის კოდექსი, 2002 წელი გამოცხადდა საერთაშორისო ეკოტურიზმის წლად, ხოლო სიღარიბის დაძლევის მსოფლიო ფორუმზე (იოჰანესბურგის სამიტზე) „სამოქმედო პროგრამაში" ტურიზმის შეტანით, ფაქტობრივად დამკვიდრდა სიღარიბის დაძლევაში ტურიზმის მნიშვნელოვანი და სრულიად განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა [14].

მტო-ს უნიკალური პოზიცია აძლევს მას საშუალებას, განახორციელოს მთელი რიგი საერთაშორისო პროექტები, რომლებიც დამატებით იმპულსებს აძლევენ ტურიზმის განვითარებას მტო-ს წევრი ქვეყნების ცალკეულ ჯგუფებში. ამ პროექტებიდან საქართველოსთვის განსაკუთრებით საინტერესოა პროექტი „აბრეშუმის გზა", რომელიც სათავეს იღებს 1994 წლიდან. ეს პროექტი მიმართულია ტურიზმის აღორძინებისაკენ ამ უძველეს მარშრუტზე, რომელზედაც თავის დროზე გაიარა ჯერ კიდევ ცნობილმა მოგზაურმა მარკო პოლომ [44].

აბრეშუმის გზა მოიცავს 12000 კილომეტრს აზიიდან ევროპამდე და მის განსახორციელებლად თავისი ძალები გააერთიანა მსოფლიოს 24-მა ქვეყანამ: აზერბაიჯანმა, ეგვიპტემ, თურქეთმა, თურქმენეთმა, იაპონიამ, ირანმა, ისრაელმა, იტალიამ, კორეამ, კორეის სახალხო რესპუბლიკამ, მონღოლეთმა, პაკისტანმა, რუსეთის ფედერაციამ, საბერძნეთმა, საუდის არაბეთმა, საქართველომ, სირიამ, სომხეთმა, ტაჯიკეთმა, უკრაინამ, უზბეკეთმა, ყაზახეთმა, ყირგიზეთმა, ჩინეთმა.

ამ პროექტის განვითარების მიზნით ერთობლივი მუშაობა გულისხმობს, ერთიანი ტურისტული პროდუქტის შექმნას, სემინარებისა და საერთაშორისო კონფერენციების მოწყობას, სარეკლამო მასალის, ბროშურებისა და ვიდეოფილმების გამოშვებას.

საქართველოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს აღნიშნული საერთაშორისო პროექტის განხორციელებაში. საკმარისია დავასახელოთ 1998 წელს ქ. თბილისში ჩატარებული „დიდი აბრეშუმის გზის" მსოფლიო ტურისტული ფორუმი, III საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს 29 ქვეყნის ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციებმა, ტუროპერატორებმა, მეცნიერებმა და ტურიზმის ექსპერტებმა. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა მტო-ს სპეციალური დელეგაცია გენერალური მდივნის ფრანჩესკო ფრანჯიალის ხელმძღვანელობით [64].

თბილისის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა-ბაზრობას, რომელიც ყოველწლიურად, დაწყებული 1999 წლიდან, გაზაფხულზე იმართება საქართველოს დედაქალაქში, მტო-მ მიანიჭა დიდი აბრეშუმის გზის საერთაშორისო ტურისტული ბაზრობის სტატუსი, რაც იმას ნიშნავს, რომ თბილისი გადაიქცა ცენტრად, სადაც ყოველწლიურად უნდა მოეწყოს აბრეშუმის გზის საერთაშორისო პროექტის მონაწილე ქვეყნების ტურისტული პოტენციალის რეკლამირება. ეს მნიშვნელოვანი წარმატებაა ჩვენი ქვეყნისათვის, რაც საშუალებას გვაძლევს, უკეთესად გავაცნოთ ჩვენი ქვეყანა უცხოელებს, მოვახდინოთ ქართული ტურისტული პროდუქტის რეკლამირება და გავაფართოოთ ქართული ტურიზმის საერთაშორისო კავშირები, დავეხმაროთ კერძო სექტორს, საქართველოში მომუშავე ტუროპერატორებსა და ტურისტულ სააგენტოებს უცხოელ პარტნიორთა მოძიებაში.

## ტურიზმი განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ სისტემაში

ეკონომიკური, სოციალური, კულტურული მნიშვნელობისა და საერთოდ, ზრდის მაღალი ტემპების გამო ტურიზმი მიჩნეულია XX საუკუნის ეკონომიკურ აღმოჩენად. მსოფლიო ტურიზმისა და მოგზაურობების სააგენტოს მონაცემებით, ტურიზმზე მოდის მსოფლიო პროდუქტის 10% (მცირე და განვითარებად ქვეყნებში ბევრად მეტი), კერძო მოხმარების - 10,9%, მსოფლიო ინვესტიციების – 11,8%, ტურიზმში დასაქმებულთა რაოდენობა კი შეადგენს მსოფლიოში დასაქმებული მოსახლეობის 10%-ს [22, გვ. 24].

ტურიზმი დივერსიფიცირებული დარგთაშორისი კომპლექსია, რაც განსაზღვრავს ეკონომიკაში მის ორმაგ დანიშნულებას. იგი ერთდროულად წარმოებრივი და არაწარმოებრივი ფუნქციების მატარებელია: ქმნის ახალ მატერიალურ ღირებულებას, ასრულებს არამატერიალურ მომსახურებას და ახდენს მათ რეალიზაციას.

დივერსიფიკაციისა და დარგთაშორისი კავშირების მაღალი დონე განსაზღვრავს ტურიზმის მაღალ მულტიპლიკატურ ეფექტს, რის გამოც ტურიზმი ეკონომიკის სხვა დარგებთან შედარებით გვევლინება, როგორც მაღალი ეკონომიკური დატვირთვის სფერო.

XXI საუკუნის დასაწყისისათვის, მსოფლიო კულტურასა და ეკონომიკაში ტურიზმი ფუძემდებლურ, მდგრადი განვითარების დარგად ჩამოყალიბდა, რომელმაც განსაკუთრებული ადგილი დაიკავა გლობალურ ეკონომიკურ სტრუქტურაში.

ტურიზმის განვითარება განხილული უნდა იყოს ქვეყნის ეკონომიკის საერთო მდგომარეობასთან მიმართებაში. კერძოდ, როცა შეფარდებითი ფასები არ იცვლება, საერთო რეალური მოხმარების 1%-ით ზრდის პირობებში ტურისტთა რიცხოვნობა უცვლელია, 2,5%-ით ზრდის პირობებში ტურისტთა რიცხოვნობა იზრდება 4%-ით, 5%-ით ზრდის პირობებში – 10%-ით, როცა საერთო რეალური მოხმარების ზრდა 1%-ზე დაბალია, ტურისტთა რიცხოვნობა მცირდება [41, გვ. 60].

ტურიზმის ექსპერტთა მონაცემებით, გაცილებით დიდ მასშტაბებს შეიძენს იგი XXI საუკუნეში. 2003 წელს მსოფლიოში დაფიქსირებულია 715 მილიონი ტურისტი და ვიზიტორი, რომლებმაც იმ ქვეყნებს, სადაც იმყოფებოდნენ მოუტანეს 500 მილიარდ აშშ დოლარამდე შემოსავალი. ამ მაჩვენებლებით ტურიზმმა მყარად დაიკავა მსოფლიოში პირველი ადგილი და რამდენიმე მილიარდით გადაუსწრო ნავთობპროდუქტების ვაჭრობით მიღებულ შემოსავალს.

ეს ტენდენცია გავრცელდება უახლოეს 15-20 წელიწადში და, 2020 წლისათვის მტო-ს ექსპერტთა მონაცემებით, ტურისტთა რაოდენობა მსოფლიოში 1,5 მილიარდ კაცს მიაღწევს. ე.ი. უახლოეს 15 წელიწადში მსოფლიოში ტურისტთა რაოდენობა გაორმაგდება (დანართი № 8).

ძნელია, გადაჭარბით შეფასდეს ტურიზმის როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკაში. ტურიზმის განვითარებას ბევრი პოზიტიური მოვლენა ახლავს თან და სწორედ ამიტომაც, ინტერესმოკლებული არ იქნება გავეცნოთ იმ მნიშვნელოვან 10 სარგებელს, რომელიც თან ახლავს ტურიზმის განვითარებას და რომელსაც მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მარკეტინგული სამსახური გვთავაზობს. ესენია: დასაქმება (მათ შორის: ალტერნატიული, რეგიონებში, ქალები, ახალგაზრდები); სიღარიბესთან ბრძოლა; სახელმწიფო შემოსავლები (გადასახადები, უცხოური ვალუტა); ინფრასტრუქტურის განვითარება; მულტიპლიკატური ეფექტი; ეკონომიკის დივერსიფიკაცია; ადგილობრივი კულტურისა და ხელოსნობის მხარდაჭერა; გარემოს დაცვის ხელშეწყობა; პატრიოტული აღზრდა (შიდა ტურიზმი); საერთაშორისო საზოგადოებრიობისა და ურთიერთგაგების ჩამოყალიბების ხელშეწყობა [51,გვ.7].

როდესაც ტურიზმის მნიშვნელობაზე ვამახვილებთ ყურადღებას, განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი საექსპორტო მნიშვნელობა. ამ მიმართულებით მეტად თვალსაჩინოა ტურიზმის ლიდერობა მსოფლიო ექსპორტიდან მიღებულ შემოსავლებში. ამის დამადასტურებლად მოგვყავს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ მომზადებული დიაგრამა 1999 წლის მონაცემების მიხედვით (დანართი №9).

საერთაშორისო ტურიზმის განვითარების სტრატეგია ყველა ქვეყანაში დამყარებული უნდა იყოს შემოსავლების ზრდაზე, რომელიც შეიძლება მიღწეულ იქნას ორი გზით: ქვეყანაში შემოსულ უცხოელ ტურისტთა რაოდენობის ზრდით ან/და მათ მიერ გაწეული დანახარჯების ზრდით (რომლის საფუძველზეც ითვლება საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები ზოგადად ქვეყანაში).

იმისათვის რომ დავრწმუნდეთ, თუ რაოდენ დიდი შემოსავლები მოაქვს ტურიზმს იმ ქვეყნებისათვის, სადაც იგი უკვე მაღალ დონეზეა განვითარებული, მოგვაქვს მონაცემთა ორი ცხრილი - მსოფლიოს 15 ლიდერი ქვეყანა ტურისტების მიღების რაოდენობისა და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების მიხედვით (იხ. ცხრილი 10 და 11).

როგორც ცხრილებიდან ჩანს, ერთი ტურისტი გაცილებით მეტს ხარჯავს აშშ-ში, ვიდრე საფრანგეთში. სწორედ ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთში ყოველწლიურად შედის 25-30 მილიონი ტურისტით მეტი ვიდრე აშშ-ში, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებით აშშ საფრანგეთს 40-50 მილიარდი აშშ დოლარით უსწრებს. ტურიზმის თვალსაზრისით, უკვე განვითარებული ქვეყნებისათვის ამ დარგიდან მიღებული შემოსავლები მეტად შთამბეჭდავია. მაგალითად, 2001 წელს საერთაშორისო ტურიზმიდან აშშ-მა მიიღო 72,3 მილიარდი დოლარი შემოსავალი, ესპანეთმა – 32,9 მლრდ, საფრანგეთმა – 30 მლრდ, იტალიამ – 25, 8 მლრდ. ავსტრიამ, რომელიც თითქმის საქართველოს მასშტაბის ქვეყანაა, მხოლოდ ტურიზმიდან, ერთი წლის განმავლობაში 10 მილიარდ დოლარზე მეტი შემოსავალი მიიღო.

ტურიზმის ბალანსში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტურისტული დანახარჯების ცნებას. იგი გამოითვლება ქვეყნიდან გასული ტურისტების მიერ საზღვარგარეთ გაწეული ხარჯების ერთობლიობით. ეს მონაცემები განსაკუთრებით უნდა აინტერესებდეს განვითარებად ქვეყნებს, რომლებმაც უნდა აიღონ სწორი ორიენტირები ტურიზმის მარკეტინგულ საქმიანობაში.

საერთაშორისო ექსპერტები, როდესაც ისინი საქართველოში ტურიზმის განვითარებას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, სხვა უპირატესობებთან ერთად ხაზგასმით აღნიშნავენ მის

გეოგრაფიულ სიახლოვეს მსოფლიოს მთავარ ტურისტულ ბაზართან – ევროპასთან. თვეად განსაჯეთ: გერმანელი ტურისტები ყოველწლიურად ქვეყნის გარეთ 45 მილიარდ აშშ დოლარზე მეტს ხარჯავენ, დიდი ბრიტანელები – 36 მილიარდს, ხოლო ისეთი პატარა ქვეყნის ტურისტები, როგორიცაა ჰოლანდია – 12 მილიარდ აშშ დოლარს.

საქართველოს უდავოდ შეუძლია, ტურიზმის განვითარების შემთხვევაში, სათანადო პრეტენზია განაცხადოს ევროპელი (და არა მარტო ევროპელი) ტურისტების დანახარჯების გარკვეულ სეგმენტზე. ამისათვის კი, სახელმწიფომ განუხრელად უნდა აწარმოოს მიზანმიმართული პოლიტიკა ქვეყანაში ტურიზმის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების აღმოფხვრის მიზნით, დიდი მუშაობა უნდა გაწიოს საქართველოს დადებითი ტურისტული იმიჯის შექმნისათვის და მოიძიოს დაფინანსების წყაროები ტურიზმის რეკლამისა და მარკეტინგისათვის.

როგორც მე-12 ცხრილიდან ჩანს, 2001 წელს დიდი ბრიტანეთის, ბელგიის, ავსტრიის, სამხრეთ კორეისა და შვეიცარიის მოსახლეობის ტურისტული დანახარჯები 2000 წელს დაფიქსირებულ მაჩვენებელს აღემატებოდა. ეს ის ქვეყნებია, რომლებიც ტურისტული ხარჯების მხრივ 15 მოწინავე ქვეყნის სიაში შედიან. ამ სიაში ძირითადი ქვეყნების თანმიმდევრობა წინა წელთან შედარებით უცვლელია: პირველ ადგილზეა აშშ, შემდეგ მოდიან გერმანია, დიდი ბრიტანეთი, იაპონია, საფრანგეთი და იტალია. ჩინეთი, რომელიც მეშვიდე ადგილზეა, წინ უსწრებს ნიდერლანდებსა და კანადას. ჩინეთი, ჰონგკონგის ჩათვლით კი, სულ უფრო მნიშვნელოვანი ქვეყანა ხდება ტურისტული ხარჯების თვალსაზრისით და ამ მხრივ საფრანგეთისა და იტალიის შესაბამის მაჩვენებლებსაც წინ უსწრებს.

განვიხილოთ ტურიზმის თვალსაზრისით რომელიმე განვითარებული ქვეყნის მაგალითი, თუნდაც იმ მიზნით, თუ საით უნდა მიისწრაფოდეს ზოგადად, განვითარებადი ქვეყანა, და ჩვენს შემთხვევაში, საქართველო. ასეთი მაგალითისათვის ავიღოთ ტურიზმის სფეროში ისეთი აღიარებული ქვეყანა, როგორიცაა ესპანეთი. ეჭვგარეშეა, რომ ტურიზმი ესპანეთის ეკონომიკის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს წარმოადგენს. მასზე მოდის საერთო

შიდა პროდუქტისა და სამუშაო ადგილების საერთო რაოდენობის 12%. ამასთანავე, ტურიზმი დიდ როლს ასრულებს სავაჭრო დეფიციტის შემცირებაში. ყოველწლიურად ესპანეთს სტუმრობს თითქმის 50 მილიონი უცხოელი ტურისტი, რომელთაგან მიღებული შემოსავალი დაახლოებით 36 მილიარდ ევროს შეადგენს. მსოფლიოში ამ ქვეყანამ მყარად დაიმკვიდრა მეორე ადგილი ტურისტთა შემოსავლის საერთო განაკვეთისა და ვალუტის შემოდინების თვალსაზრისით (ცხრილი 13).

25 წლის განმაველობაში (1978-2002 წწ.) ესპანეთში შემომყვანი ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 2,5 მილიარდი ევროდან 36 მლრდ ევრომდე. ამასთანავე, ტურისტული ბალანსის დადებითმა სალდომ (განსხვავება შემომყვანი ტურიზმის შემოსავლებსა და ესპანელთა საზღვარგარეთ გასამგზავრებელ ხარჯებს შორის) 2002 წელს შეადგინა 28 მლრდ ევრო (ცხრილი 14).

ტურიზმის სფერო, რომელშიც პირდაპირ თუ ირიბად, დაკავებულია თითქმის 1,5 მილიონი ადამიანი, დადებით ზემოქმედებას ახდენს დასაქმებაზე და ხელს უწყობს დანარჩენი დარგების განვითარებას, კერძოდ, მშენებლობას, სოფლის მეურნეობას, კვების მრეწველობას, ტრანსპორტისა და კომუნიკაციის სფეროს. ტურიზმმა გარდაქმნა ესპანეთის ოდესღაც ჩამორჩენილი რეგიონები (ანდალუზია, გალიცია, ექსტრემადურა), უზრუნველყო თანამედროვე ინფრასტრუქტურის ობიექტების შექმნა (გზები, აეროპორტები, ბენზინგასამართი სადგურები, ტელეკომუნიკაციები და ა.შ.), რომლითაც სარგებლობენ არა მხოლოდ ტურისტები, არამედ ადგილობრივი მოსახლეობაც (ცხრილი 15 და 16).

ამჟამად ესპანეთის ტურისტული პოლიტიკის საფუძველში ჩადებულია ესპანეთის ტურიზმის ხარისხით უზრუნველყოფის გეგმა 2006 წლისათვის, რომლის თანახმადაც გათვალისწინებულია 72 მილიარდი ევროს ინვესტიციები, როგორც ტურისტული ინფრასტრუქტურისათვის, ასევე სარეკლამო-საინფორმაციო საქმიანობისათვის და მარკეტინგული ხარჯებისათვის (ტურიზმის წინ წაწევა) [67].

ესპანეთის ნაციონალური ტურისტული ადმინისტრაციის წლიური ბიუჯეტი, ტურიზმის სარეკლამო სააგენტოს "თოურსპაინ"-ის ჩათვლით, შეადგენს დაახლოებით 90 მილიონ ევროს (გა-

სულ წელთან შედარებით 2004 წელს ბიუჯეტი 20%-ით გაიზარდა) [74].

ესპანეთის შემომყვანი ტურიზმისათვის ძირითად ბაზარს წარმოადგენს დიდი ბრიტანეთი (14 მლნ ტურისტი წელიწადში), საფრანგეთი (თითქმის 7 მლნ ტურისტი წელიწადში) და ნიდერლანდები (2,2, მლნ ტურისტი წელიწადში). ესპანეთის ხელისუფლებას მტკიცე კურსი უჭირავს ტურიზმის განვითარების პრიორიტეტულობაზე [73].

ყოველივე ზემოაღნიშნულის ფონზე, გვაქვს საფუძველი, ვთქვათ, რომ ტურიზმის როლი საქრთველოს ეკონომიკის შემდგომ განვითარებაში ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ გაცნობიერებული. ამის ნათელი მაგალითია საქართველოს 2004 წლის ბიუჯეტი, სადაც ტურიზმის დაფინანსება არა მარტო უმნიშვნელოა, არამედ წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია.

დრო და ეროვნული ეკონომიკის განვითარების ინტერესები მოითხოვს, რომ დაჩქარდეს საქართველოში ტურიზმის განვითარების კომპლექსური სახელმწიფო პროგრამის შედგენა. ტურიზმმა თავისი კუთვნილი, მნიშვნელოვნად პრიოტრიტეტული ადგილი უნდა დაიკავოს.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ უცხოელ ინვესტორებსა და ადგილობრივ მეწარმეთა შორის ჩატარებულმა გამოკითხვამ – რომელი დარგები მიაჩნიათ პერსპექტიულ დარგებად საქართველოში, რომელთა განვითარებაც მომგებიანი იქნება ქვეყნისათვის და ამ სფეროში დასაქმებული მეწარმეებისათვის – დაადასტურა ტურიზმის პრიორიტეტულობა. გამოკითხულთა 66%-მა ყველაზე პერსპექტიულ დარგად ტურიზმი დაასახელა [21].

მსოფლიოში მიღებულია, რომ თუ ერთი ტურისტი იმყოფება ქვეყანაში ერთი კვირის განმავლობაში, ხარჯავს საშუალოდ 1000 აშშ დოლარს (ქვეყანაში შესვლისათვის გაწეული სატრანსპორტო ხარჯების გარეშე). ამდენად, ძნელია გადააფასო ტურიზმის უნიკალური მნიშვნელობა ქვეყნისათვის შემოსავლების ზრდასთან დაკავშირებით. თვითონ განსაჯეთ, განა რამდენი ელექტროენერგია უნდა გამოიმუშაოს ქვეყანამ, რომ მისი ღირებულება 1000 აშშ დოლარს შეადგენდეს, ან რამდენი ქვანახშირი უნდა

მოიპოვოს ქვეყანამ იგივე ღირებულებისა და ა.შ. ეს,როცა ლაპარაკია ერთ ტურისტზე, ხოლო თუ მას გადავამრავლებთ ათობით და ასობით ათას ტურისტზე, რომ აღარაფერი ვთქვათ მილიონებზე, მივიღებთ კოლოსალურ შემოსავლებს, რომელიც ქვეყანას ფეხზე დააყენებს, შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს, დაასაქმებს ხალხს და ქვეყანას სიღარიბის დაძლევაში დაეხმარება.

სწორედ ასეთი მოსაზრებით იყო ნაკარნახევი, რომ საქართველოს მთავრობამ 1998 წელს განიხილა ტურიზმის განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყანაში ერთი მილიონი ტურისტის მაჩვენებელზე გასვლის ამოცანის დასახვას და უახლოესი წლებისათვის მთელი საქმიანობის ამ მიზნის მიღწევისათვის დაქვემდებარებას [23].

რას ნიშნავს ერთი მილიონი ტურისტის მიღების წლიურ მაჩვენებელზე გასვლა ისეთი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა? ეს ნიშნავს ერთი მილიარდი აშშ დოლარის საერთო შემოსავალს ქვეყანაში, საიდანაც სახელმწიფო ბიუჯეტში შევა არანაკლებ 500 მილიონი ლარი მხოლოდ ტურიზმიდან, დასაქმდება 100 ათასი კაცი (ძირითადად ახალგაზრდობა), გაჩნდება ახალი სამუშაო ადგილები და ქვეყანას მიეცემა საშუალება, იცხოვროს საკუთარი შემოსავლებით. ეს ამოცანა კვლავაც რჩება მთავარ სტრატეგიულ მიზნად, ქვეყანაში ტურიზმის განვითარების მთავარ სტრატეგიულ ამოცანად.

უკანასკნელი 50 წელია, მსოფლიოში ტურიზმის განვითარების ტემპები და მასშტაბები რამდენჯერმე აჭარბებს ზოგადად ეკონომიკის განვითარების ტემპებსა და მასშტაბებს.

საინტერესოა, რომ ანალოგიური სურათია საქართველოშიც, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა ჯერ კიდევ ტურიზმის განვითარების საწყის ეტაპზე იმყოფება და ჯეროვანი ყურადღება დარგის განვითარებას ჯერ კიდევ არ ენიჭება, საქართველოშიც საერთო ეკონომიკის ზრდის ტემპებს (2000 წლიდან დაწყებული) 2-3-ჯერ აჭარბებს ტურიზმისა და მისი ინფრასტრუქტურის განვითარების ტემპები (ამაზე მიუთითებს ეკონომიკის სამინისტროსა და სტატისტიკის უწყების ოფიციალური მონაცემებიც). ოღონდ, საქართველოში, რატომღაც არ ჰქვია მას თავისი სახელი – „ტურიზმი" და ყველა კლასიფიკატორში მოხსენიებულია სპე-

ციალური გრაფით, როგორც – „სასტუმროები და რესტორნები". (დანართი № 17).

ერთი საინტერესო მომენტიც – თვით მსოფლიოში ტურიზმის განვითარების ტემპებში, გაცილებით მეტი ზრდის ტემპით ხასიათდება განვითარებადი ქვეყნების ტურიზმი, ვიდრე განვითარებული ქვეყნებისა – საქართველო კი, სწორედ ასეთი განვითარებადი, გარდამავალი ეკონომიკის მქონე, ახალი ქვეყანაა მსოფლიო რუკაზე. სწორედ ამიტომ ეს არის შანსი, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ უნდა გამოიყენოს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი – განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს ტურიზმის დარგში (ცალკე აღებული) გააჩნიათ ერთობლიობაში ვაჭრობის დადებითი სალდო განვითარებულ ქვეყნებთან.

ტურიზმი გახდა 49 ნაკლებად განვითარებული ქვეყნისათვის, საეალუტო შემოსავლების მთავარი წყარო და ამავე ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის ძირითად შემადგენელთა პირველ სამეულშია.

ტურიზმის დარგს განსაკუთრებული საექსპორტო მნიშვნელობა გააჩნია განვითარებადი ქვეყნებისათვის, ასეთი ქვეყნებისათვის ტურისტული პროდუქტი ძირითადი საექსპორტო 'საქონელია", ტურიზმის ექსპორტი (ტურისტების შემოყვანა ქვეყანაში, ანუ ტურისტული მომსახურების გაყიდვა საზღვარგარეთ) მთლიანად მუშაობს შიდა ბაზრის გაფართოებაზე. ეს ტურიზმის უნიკალური თვისებაა, რომელიც მას სხვა დარგებთან მიმართებაში მნიშვნელოვან უპირატესობას ანიჭებს.

მსოფლიომ კარგად იცის ტურიზმის კიდევ რამდენიმე განსაკუთრებული თვისება. ასე მაგალითად, უშუალოდ ტურიზმში შექმნილი ერთი სამუშაო ადგილი, ქმნის სულ მცირე, ორ ახალ სამუშაო ადგილს მომიჯნავე დარგებში, როგორიცაა ტრანსპორტი, მომსახურება, ვაჭრობა და სხვა. ტურიზმის შემოსავლების ერთი ერთეულით ზრდა, იწვევს მომიჯნავე დარგებში შემოსავლების ორი ერთეულით ზრდას.

ტურიზმს ერთი უნიკალური თვისებაც აქვს, რომელიც არც ერთ სხვა დარგს არ გააჩნია – მას შეუძლია ქვეყნის სხვადასხვა რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონის გამოთანაბრება.

ტურიზმის განვითარება გარკვეულწილად, სტიმულატორის (კატალიზატორის) როლს ასრულებს ქვეყანაში უამრავი სხვა დარგის განვითარებისათვის (დანართი № 18)

იგი ინტეგრირებულია: ვაჭრობასთან და მომსახურებასთან; ტრანსპორტთან და კომუნიკაციებთან, ქვეყნის ინფრასტრუქტურასთან; სოფლის მეურნეობასთან, სურსათთან, კვების მრეწველობასთან; კულტურასთან და გართობის საშუალებებთან, სპორტთან; სუვენირებით ვაჭრობასთან და ხალხურ რეწვასთან; ქვეყნის ბუნებასთან და ეკოლოგიასთან; სასწავლო დაწესებულებებთან, განათლებასთან და მეცნიერებასთან; ჯანდაცვის სისტემასთან, მედიცინასთან; ბანკებთან, საფინანსო ინსტიტუტებთან, სადაზღვევო კომპანიებთან; გზებთან, კულტურის ძეგლებთან, მუნიციპალურ სამსახურებთან; სასაზღვრო, საბაჟო სამსახურებთან და სავიზო ფორმალობებთან; ადმინისტრაციულ ორგანოებთან, ქვეყანაში არსებულ კრიმინალურ სიტუაციასთან, წესრიგთან, კორუფციასთან და ა.შ. ფაქტიურად, მთელ ქვეყანასთან. ტურიზმის ხეს კი, წყალს უსხამს და კვებავს – „ქვეყნის იმიჯი, რეკლამა და მარკეტინგი, სტაბილურობა და უსაფრთხოება".

საინტერესოა ტურისტების კლასიფიკაციის შესახებ მსოფლიოში აღიარებული სქემა. თვითონ ქვეყანაში მიღებული ვიზიტორები დაყოფილია ორ კატეგორიად ტურისტებად და ერთდღიან ვიზიტორებად. როგორც სქემაზე ჩანს, ტურისტად იწოდება ქვეყნის ყველა უცხოელი სტუმარი – გარდა საზღვრისპირა მუშაკებისა (რომლებიც დილით გადიან სამუშაოდ სხვა ქვეყანაში და საღამოს ბრუნდებიან), დროებითი და მუდმივი ემიგრანტები, მომთაბარენი, ტრანზიტული მგზავრები (რომლებიც არ შემოდიან ქვეყანაში), ლტოლვილები, სამხედროები და დიპლომატები (დანართი № 19).

სწორედ ამ სქემის შესაბამისად, 2003 წლის მონაცემებით საქართველოში ტურისტთა რაოდენობამ შეადგინა 312,5 ათასი კაცი. (დანართი № 20). 1995 წლიდან დაწყებული, უცხოელ ტურისტთა რაოდენობა 4-ჯერ გაიზარდა. ტურისტთა რიცხოვნობის ზრდა გაცილებით მეტი იქნებოდა, რომ არა უამრავი ხელშემშლელი ფაქტორი, რომლებზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, აგრეთვე, რომ არა ცნობილი მოვლენები, რომლებიც სერიოზულ პრობლემებს

ქმნიან ჩვენთან მოგზაურობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, პანკისთან, კოდორთან დაკავშირებული მოვლენები და უცხოელთა დაყაჩაღებისა თუ გატაცების ფაქტები.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ შორს არის დიდი ტურიზმისაგან, უკვე დღეს იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკაში. სტატისტიკური მონაცემებით, 2003 წლის შედეგებით ტურიზმი მთლიანი შიდა პროდუქტის 9-10%-ს შეადგენს, ხოლო ქვეყნის ბიუჯეტში ტურიზმიდან შესულია 100 მილიონზე მეტი ლარი. უშუალოდ ტურიზმში მომუშავეთა რაოდენობა 8 ათასი კაციდან (1998 წლის მონაცემებით), გაიზარდა 17 ათასამდე (2003 წ.), საერთოდ ტურიზმში დასაქმებულთა რაოდენობამ კი, 51 ათასს მიაღწია.

ზემოაღნიშნული მონაცემები გაანგარიშებულ იქნა მსოფლიოში აღიარებული მეთოდოლოგიით, ტურისტთა დანახარჯების შეფარდებითი ანალიზის საფუძველზე, სატელიტური ანგარიშების გათვალისწინებით. აღნიშნული მეთოდოლოგია საქართველოში პირველად იქნა შემუშავებული ტურიზმის სახელმწიფო უწყების ინიციატივით 2000 წელს სამთავრობო სახელმწიფო კომისიის მიერ, რომელშიც, ტურიზმის სახელმწიფო დეპარტამენტის გარდა, მონაწილეობდნენ საქართველოს ფინანსთა, ეკონომიკისა და საგადასახადო შემოსავლების სამინისტროების, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის, საბაჟო და საგადასახადო სამსახურების წარმომადგენლები და ექსპერტები.

## ტურიზმის განვითარების პოტენციალი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მისი გამოყენების გზები საქართველოში

საქართველოში ტურიზმის განვითარება XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე იწყება. ფაქტიურად იგი მასშტაბურ ხასიათს XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით კი მეორე მსოფლიო ომის შემდგომი წლებიდან იღებს. ამ პერიოდში ექსპლუატაციაში შევიდა კეთილმოწყობილი ტურისტული ბაზები და სასტუმროები თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, ცხინვალში, ვარძიაში და სხვა, დაიწყო კურორტების აღმშენებლობის პროცესი ბორჯომ-ბაკურიანში, გაგრაში, ქობულეთში, წყალტუბოში, აბასთუმანში და სხვ.

ახლო წარსულში, საბჭოთა იმპერიის პირობებში, საქართველოს ტურისტული ქვეყნის სახელი ჰქონდა დამკვიდრებული, რაც ეფუძნებოდა ქვეყნის უნიკალურ, ბუნებრივ-სამკურნალო, რეკრეაციულ პირობებს. გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში აღირიცხებოდა 624 სასტუმრო, ტურისტული ბაზა, სანატორიუმი, პანსიონატი, დასასვენებელი სახლი, მოტელი, კემპინგი და სხვა მსგავსი დაწესებულება, რომელთა მოცულობა, საერთო ჯამში, შეადგენდა 152,2 ათას საწოლ ადგილს. მათი ძირითადი ნაწილი მოდიოდა საკურორტო ადგილებზე. შედარებით სუსტად იყო განვითარებული საქალაქო სასტუმროების ქსელი [43].

ყოველწლიურად საქართველოში ჩამოსულ ტურისტთა და სამკურნალოდ ჩამოსულ დამსვენებელთა რიცხვი შეადგენდა 4 მილიონ კაცს, მათგან კურორტებზე მხოლოდ სამკურნალოდ ჩამოსულთა რიცხვი, ერთ მილიონს აღწევდა.

ეს მონაცემები თავისთავად მეტყველებენ საქართველოს დიდ ტურისტულ პოტენციალზე, მაგრამ მათ მიღმა უნდა დავინახოთ ისიც, რომ ის ტურიზმი, რომელიც არსებობდა გასული საუკუნის 80-იან წლებში (რომელიც თავისი სოციალური არსით გათვლილი იყო იაფფასიან საბჭოთა ბაზარზე) თავისი ფორმით და შინაარსით წარსულს ჩაბარდა, ამასთანავე, დატოვა ბევრი არასწორი შეხედულება და სტერეოტიპი. ამჟამად საქართველოს ტუ-

რიზმი თვისობრივად ახალ სისტემაზე გადადის და ამ გარდამავალ ეტაპზე მრავალი წინააღმდეგობის დაძლევა უხდება.

საქართველოს უდიდესი ტურისტული და საკურორტო პოტენციალი გააჩნია.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ბატონმა ფრანჩესკო ფრანჯიალიმ, 1998 წელს, როდესაც პირველად ნახა საქართველო, წარმოთქვა სიტყვები, რომლებმაც მოიარა მთელი მსოფლიო: „მე ვნახე საქართველო და დავრწმუნდი, რომ ეს საოცარი პატარა ქვეყანა „განწირულია" დიდი ტურიზმისათვის". ამ სიტყვებით ბატონმა ფრანჯიალიმ პირდაპირ აღიარა, რომ ტურიზმი საქართველოს მომავალია, რომ დიდი ტურიზმი ამ ქვეყანაში აუცილებლად იქნება, საკითხი მხოლოდ ასე დგას – მალე დადგება ეს დრო, თუ იგი დროში გაიწელება. ეს კი ჩვენზე, ადამიანებზეა დამოკიდებული, რადგან ღმერთმა უკვე გააკეთა თავისი გასაკეთებელი და ქვეყანას ყველაფერი მისცა, რაც ტურიზმის განვითარების ბუნებრივი პირობები ჰქვია.

საქართველო ევროპისა და აზიის შესაყარზე მდებარეობს. სიახლოვის გამო საქართველოში მოგზაურობა მოსახერხებელია, როგორც ევროპის, ასევე აზიის ქვეყნების მაცხოვრებელთათვის. ქვეყანა დაჯილდოვებულია შესანიშნავი ბუნებით, თბილი კლიმატით, რბილი ჰავით, დიდებული კავკასიონის მთებით (ზღვის დონიდან 5000 მეტრზე მეტი სიმაღლის მწვერვალებით), ზღვის ულამაზესი პლაჟებით, 756 ტბით და 26000-ზე მეტი მდინარით, ჩანჩქერებითა და უნიკალური პირველქმნილი ლანდშაფტებით.

გაგაოცებთ ამ პატარა ქვეყნის მრავალფეროვნება. საქართველოში წარმოდგენილია დედამიწაზე არსებული თითქმის ყველა კლიმატი ტროპიკულის გარდა (სუბტროპიკულის ჩათვლით).

საქართველოში 300-მდე კურორტი და საკურორტო ადგილია. ქვეყანა განსაკუთრებით მდიდარია მინერალური და თერმული სამკურნალო წყლებით – საქართველოში 2400 ასეთი წყაროა [12].

საქართველო არის უძველესი ცივილიზაციის ნაწილი, ძველი ქრისტიანული კულტურის, დამწერლობის, ლეგენდებისა და ტრადიციების ქვეყანა. ქართული სახელმწიფოებრიობის ქვეყანა ითვლის 3000 წელს.

ქართული კულტურისადმი განსაკუთრებული ინტერესი ჯერ კიდევ ძველ ბერძნებს და რომაელებს გააჩნდათ. ოცდაათი საუკუნის წინათ, ძველი ბერძნული ლეგენდის მიხედვით, მაშინდელ ქართულ სახელმწიფოში, კოლხეთში არგონავტებმა იმოგზაურეს ოქროს საწმისის ქვეყნის მოსანახულებლად. მსოფლიოში ცნობილი მოგზაურობის საფუძველზე შეგვიძლია არგონავტები ერთ-ერთ პირველ ტურისტებად მოვიაზროთ, ხოლო საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ უძველეს ტურისტულ ქვეყანად, სადაც ტურიზმს, სულ ცოტა, 3000 წლოვანი ისტორია აქვს.

ქართული ენა და დამწერლობა ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში. დედამიწაზე ცნობილია 14 დამოუკიდებელი დამწერლობა, რომელთაგან ერთ-ერთი ქართული ანბანია. ქართველებს უკავშირდება მსოფლიო ცივილიზაციის ისეთი მნიშვნელოვანი აღმოჩენა, როგორიცაა რკინის წარმოება (რკინის ხანის დასაწყისი). ისტორიულად რკინის პირველი აღმომჩენები იყვნენ ქართველური ტომები – ჰალიბები, რომელთა სახელიც უწოდეს რკინას ძველ-ბერძნებმა (ჰალიბუს). არგონაეტებზე ლეგენდის ერთ-ერთი გმირი, ქართველი ქალი მედეა, რომელიც დაუფლებული იყო ხალხურ მედიცინას, გახდა სახელმდებელი მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგისა – მედიცინისა. არსებობს მოსაზრება, რომ ტერმინი მედიცინა – კოლხეთის მეფის ასულის მედეასაგან მომდინარეობს. უფრო ადრე კი ძველმა ბერძნებმა საქართველოს დაუკავშირეს ლეგენდარული გმირი – პრომეთე, რომელიც კავკასიის მთებში მიაჯაჭვეს.

საქართველო სპეციალისტების მიერ აღიარებულია ღვინის სამშობლოდ. ქვეყნის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმში ექსპონირებულია ვაზის სასხლავი იარაღი, რომელიც დამზადებულია ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულში. მსგავსი სიძველე მსოფლიოში არსად აღმოჩენილი არ არის.

საქართველო ძველი ქრისტიანული კულტურის ქვეყანაა. აქ ქრისტიანობას ქადაგებდნენ ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი. საქართველო ღვთისმშობლის (წმინდა მარიამის) წილხვედრი ქვეყანაა და მცხეთაში დაფლულია ქრისტეს კვართი, ამ ადგილზე XI საუკუნეში აღიმართა სვეტიცხოვლის დიდი ტაძარი. ეს ადგილი, საქართვე-

ლის უძველეს დედაქალაქ მცხეთაში, ითვლება ერთ-ერთ უწმინდეს ადგილად ქრისტიანებისათვის. საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად IV საუკუნეში – 337 წელს [40] გამოცხადდა.

ქვეყანაში 12 ათასი ისტორიული ძეგლია, 150 მუზეუმი და მრავალი საგანძური. ოქროზე შესრულებული ტიხრული მინანქარის, ოქრომჭედლობის ამ უნიკალური ხელოვნების ნიმუშთა მსოფლიოში ყველაზე დიდი კოლექცია ინახება საქართველოში.

საქვეყნოდ განთქმულია ქართული სტუმართმოყვარეობა. ქართველების ეს თვისება აღწერილი აქვთ ანტიკურ მწერლებს, შუა საუკუნეების მოგზაურებს, მსოფლიოს ცნობილ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს.

ქართული ფოლკლორის განსაკუთრებულობა აძლიერებს ქვეყნის ღირსშესანიშნაობებით მიღებულ შთაბეჭდილებებს. ცეცხლოვან ქართულ ცეკვებსა და მრავალხმიან, პოლიფონიურ ქართულ სიმღერებს აღფრთოვანებაში მოჰყავს ტურისტები. ამ პატარა ქვეყანაში ყოველ 60 კილომეტრში (პირობითად) კალეიდოსკოპივით იცვლება ხალხთა ყოფა, დიალექტი, ზნე-ჩვეულებები, ხასიათი, ტანსაცმელი, მენტალიტეტი, სამზარეულო, სიმღერები და ცეკვებიც კი.

უნიკალურია ქართული სამზარეულო, რომლის მრავალფეროვნება, თავისებური გემო და სარგებლიანობა ეყრდნობა ათასწლოვანი საყოფაცხოვრებო კულტურის გამოცდილებას.

საქართველომ უძველესი დროიდან XV საუკუნის შუა წლებამდე შეასრულა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ხიდის როლი და ფუნქცია, მხოლოდ 1453 წლიდან, კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ დაკარგა ქვეყანამ ეს უმნიშვნელოვანესი როლი. სამას წელიწადზე მეტი იყო დანაწევრებული საქართველო ირანსა და თურქეთს შორის, ორი საუკუნის მანძილზე ის გადამალული იყო მსოფლიოსათვის, როგორც დიდი რუსეთის ერთ-ერთი პროვინცია და მხოლოდ 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადდა ქვეყნის დამოუკიდებლობა და საქართველომ კვლავ დაიმკვიდრა თავისი კუთვნილი ადგილი მსოფლიო რუკაზე.

საქართველო ამჟამად მსოფლიოში აღიქმება, როგორც ახალი, ჯერ კიდევ უცნობი ქვეყანა და ამდენად საინტერესოა მისი

აღმოჩენა ყოველი მოგზაურისა თუ ტურისტისათვის. ქვეყნის მონახულების სურვილს, კიდევ უფრო აძლიერებს 1999 წელს განხორციელებული მსოფლიო მნიშვნელობის არქეოლოგიური აღმოჩენა, როდესაც თბილისთან ახლოს, დმანისში აღმოაჩინეს პალეოლითური ხანის უძველესი ადამიანის – ჰომო-ერექტუსის – (გამართულად მოსიარულე პირველყოფილი ადამიანის) ჩონჩხის ფრაგმენტები, რომლებიც თარიღდება 1 მილიონ 700 ათასი წლით. ამ აღმოჩენით საქართველო პირველი ევროპელის სამშობლოდ იქცა.

საქართველოს უდიდესი ბუნებრივი ტურისტული პოტენციალი გააჩნია, ქვეყნის ბუნებრივ-კლიმატური მრავალფეროვნებიდან გამომდინარე. საქართველოს ბუნებრივ ტურისტულ შესაძლებლობებს განსაზღვრავს ქვეყნის კლიმატი, მთები და უნიკალური ლანდშაფტები, ჰიდრომინერალური რესურსები, კურორტები და საკურორტო ადგილები, დაცული ტერიტორიები და ეროვნული პარკები, ისტორიული ძეგლები.

განვიხილოთ თითოეული ცალკ-ცალკე.

კლიმატი. კლიმატური თვალსაზრისით საქართველოს ახასიათებს განსაკუთრებული მრავალფეროვნება, დაწყებული დიდი კავკასიონის მაღალმთიანი ზონის მუდმივი თოვლისა და მყინვარების ჰავიდან, დამთავრებული შავიზღვისპირეთის ნოტიო სუბტროპიკული და აღმოსავლეთ საქართველოს სტეპური, კონტინენტური ჰავებით.

საქართველოს ჰავას განსაზღვრავს მზის რადიაციის, ატმოსფერული ცირკულაციის და რთული რელიეფის ურთიერთქმედების თავისებურებანი. საქართველოს სუბტროპიკულ სარტყელში მისი განსაკუთრებული მდებარეობის გამო, აქ აღინიშნება მზის რადიაციის მაღალი მაჩვენებლები, როგორც მზის ნათების ხანგრძლივობის (წელიწადში 2000 სთ-ზე მეტი), ისე მზის რადიაციის დაძაბულობის თვალსაზრისით. მზის ინტეგრალური და განსაკუთრებით ულტრაიისფერი რადიაციის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები შეიმჩნევა მთიან რაიონებში, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს მთის ჰავის სამკურნალო თვისებებს.

ქვეყნის კლიმატური რეჟიმის ჩამოყალიბებაზე დიდ გავლენას ახდენს კავკასიონის მთავარი ქედების მიმართულება, რომე-

ლიც განაპირობებს ჰაერის მასების გადატანის მიმართულებებს. უპირატესია დასავლეთისა და აღმოსავლეთის მიმართულების ქარები. ამინდის მკვეთრი ცვლილებები დაკავშირებულია სწორედ აღნიშნული მიმართულებებით საჰაერო მასების შემოჭრასთან. სხვა მიმართულებით ჰაერის მასების გადაადგილება შეზღუდულია. მთავარი კავკასიონის ქედი ჩრდილოეთის ჰაერის მასების შემოჭრისათვის თითქმის გადაულახავია. სამხრეთიდან კი მცირე კავკასიონის ქედები გარკვეულად აფერხებენ ჰაერის მასების შემოჭრას მიწისპირა ფენებში და ჰაერის მასები თავისუფლად ვრცელდება მხოლოდ უფრო მაღალ ფენებში.

ჰავის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი ეკუთვნის ადგილობრივ ცირკულაციას. ხმელეთისა და ზღვის, მთის ქედების, ზეგანებისა და ხეობის არათანაბარი გახურება განაპირობებს ატმოსფეროს ადგილობრივ თერმულ ცირკულაციას, რომელიც იწვევს მთა — ხეობებისა და სანაპირო (ბრიზულ და მუსონურ) ცირკულაციას და აგრეთვე ტურბულენტურ მოძრაობას და მასთან დაკავშირებულ კონვექტურ ნაკადებს, რომლებიც ხშირად იწვევს ჭექა-ქუხილს, ნალექებსა და სეტყვას.

მზის რადიაციის რეჟიმი განსაზღვრავს საქართველოს ჰავის სუბტროპიკულ ხასიათს, ხოლო ატმოსფერული პროცესების ხასიათი და მათთან დაკავშირებული ამინდები საშუალებას იძლევა, გავყოთ საქართველო ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ, ორ კლიმატურ ზონად - დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოდ. მათ შორის კლიმატურ საზღვარს წარმოადგენს მერიდიანის გასწვრივ გაჭიმული ლიხის ქედი.

დასავლეთ საქართველო ხასიათდება მკვეთრად გამოხატული ზღვის ნოტიო, სუბტროპიკული ჰავით.

მის დიდ ნაწილზე შეიმჩნევა რბილი ზამთარი, შედარებით ნაკლებად ცხელი ზაფხული, ტემპერატურის მცირე წლიური ამპლიტუდა, ნალექების სიუხვე, მაღალი ტენიანობა, ჭარბობს ზღვის ან ნოტიო კონტინენტური ჰავის მასები, დამახასიათებელი შუა და სუბტროპიკული განედებისათვის.

აღმოსავლეთ საქართველო ხასიათდება ზომიერი სუბტროპიკული ჰავით. ჭარბობს შუა განედების კონტინენტური და ტრანსფორმირებადი ზღვის ჰაერის მასები.

აქ ჰაერის ტენიანობა უფრო დაბალია, ნალექების რაოდენობა – გაცილებით ნაკლები, ზამთარი უფრო ცივი და შესაბამისად ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა უფრო დიდია, ვიდრე დასავლეთ საქართველოში.

ადგილის სიმაღლის ზრდასთან ერთად ჰაერის ტემპერატურა კანონზომიერად კლებულობს. მისი კლების ხასიათი დამოკიდებულია როგორც რაიონის ფიზიკურ-გეოგრაფიულ მდებარეობაზე, ისე სეზონზე. მაქსიმალური ვერტიკალური ტემპერატურული გრადიენტი (0,60-0,65 ჩ 100 მ-ზე) დასავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელია წლის ცივ დროებში, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოსათვის – თბილ სეზონში. მინიმალური გრადიენტები (0,45-0,55 ჩ 100მ-ზე) აღინიშნება დასავლეთ საქართველოში წლის თბილ დროს, ხოლო აღმოსავლეთში – წლის ცივ დროს.

უნდა აღინიშნოს, რომ კლიმატური პირობების მრავალფეროვნება გახდა სხვადასხვა აეადმყოფობის ფართო და დიფერენცირებულ მკურნალობასა და პროფილაქტიკაში კლიმატური და ამინდის ფაქტორების გამოყენებისა და აგრეთვე, ქვეყანაში საკურორტო საქმის განვითარების საფუძველი.

დიდი და მცირე კავკასიონის მთაგრეხილები. დიდი კავკასიონი გადაჭიმულია შავიდან კასპიის ზღვამდე და სიგრძით 1500 კილომეტრს აღწევს. საქართველოს მთები უაღრესად ხელსაყრელია სამთო-სათხილამურო ტურიზმისა და ალპინიზმის განვითარებისათვის. საქართველო ალპინიზმის სამშობლოა. აქ 1923 წელს პირველად ჩაისახა ალპინისტური სპორტი. ქვეყნის ფარგლებში განლაგებულ და მასთან მიმდებარე კავკასიონის ქედის მწვერვალები მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანია. ამ მწვერვალებზე ასვლა ხდება სხვადასხვა სიძნელის ტექნიკური, ტრავერსების კლასის, კომბინირებული მარშრუტების მიხედვით. კავკასიონის ქედის ცენტრალური ნაწილი წარმოადგენს რთულ კლასიკურ ტრავერსს. საქართველოს ყველაზე ცნობილი მწვერვალებია: ყაზბეგი (5033 მ.), თეთნულდი (4853 მ.), შხარა (5068 მ.), უშბა (4700 მ.) და სხვ. მთიან ადგილებში ორგანიზებულია საკონტროლო-მაშველი პუნქტები, ალპინისტური ბანაკები.

ტურისტებსა და სამთო-სათხილამურო სპორტის მოყვარულებს

შორის ძალზედ პოპულარულია ცენტრები ბაკურიანსა და გუდაურში.

ჰიდრომინერალური რესურსები ტურიზმის განვითარებისათვის ხელშემწყობ ფაქტორად უნდა განვიხილოთ.

საქართველოს ჰიდრომინერალური რესურსები გამოირჩევა წყლების ქიმიური შემადგენლობისა და ფიზიკური თვისებების დიდი მრავალფეროვნებით, ცალკეული წყაროებისა და დიდძალი გამოსავლიანობის მქონე განტვირთვის მსხვილი კერების დებიტით. ისინი განსხვავდება აირნაჯერობის, საერთო მინერალიზაციის, ბიოლოგიურად აქტიური მიკროკომპონენტების შემადგენლობით და სხვა ხარისხით. მინერალური წყლების აღნიშნული სიჭრელე გამოწვეულია გეოლოგიურ-ჰიდროლოგიური და ტექნიკური ხასიათის რიგი ბუნებრივი ფაქტორების გარკვეული ურთიერთშეთანხმებით. შედგენილობით განსხვავებული საქართველოს მინერალური წყლების წარმოქმნა და გავრცელება დედამიწის წიაღში მიმდინარე რთული ჰიდროგეოქიმიური და თერმოდინამიკური პროცესების შედეგია.

გეომორფოლოგიური თვალსაზრისით, საქართველოს ტერიტორია დაყოფილია სამ მსხვილ ოროგრაფიულ ერთეულად: ა) დიდი კავკასიონი; ბ) პატარა კავკასიონი და სამხრეთ საქართველოს მთიანეთი; გ) მთათაშორისი ღრმულების არე.

განსხვავებას გამოყოფილი გეოტექტონიკური ერთეულების სტრუქტურისა და მორფოლოგიური თავისებურებების ხასიათში, მათში მიმდინარე რთულ გეოქიმიურ პროცესებს, მთის ქანებისა და მიწისქვეშა წყლების ხანგრძლივ ურთიერთზემოქმედებას, რომელიც ხელს უწყობს ცალკეული კომპონენტების კონცენტრაციის ზრდას, შედეგად მოჰყვება ღრმა ცვლილებები სიღრმეში გაქონილი მტკნარი, ზედაპირული წყლების შემადგენლობაში. მეტამორფიზმის პროცესი საგრძნობლად ძლიერდება ნახშირორჟანგის ჭარბი რაოდენობის არსებობისას.

საქართველოს მთიან-ნაოჭა არეებში ფართოდაა გავრცელებული ნახშირორჟანგის შემცველი მინერალური წყლები.

მთათაშორისი დეპრესიის საზღვრებში ერთ-ერთ წამყვან ფაქტორად, რომელიც გავლენას ახდენს მიწისქვეშა მინერალური წყლების წარმოქმნაზე, უნდა ჩაითვალოს გეოქიმიური პროცესე-

ბი, რის შედეგადაც წარმოიქმნა უპირატესად სულფიდური, მეთანური და აზოტ-მეთანური მინერალური წყლები.

აირის შემცველობის თვალსაზრისით, ყველაზე მეტადაა გავრცელებული ნახშირორჟანგის შემცველი წყლები. გვხვდება აგრეთვე სულფიდური, მეთანური, აზოტ-მეთანური და მეთან-აზოტოვანი მინერალური წყლები. მინერალური წყაროების საერთო რაოდენობა ორი ათასზე მეტია, 130 000 000 ლიტრზე მეტი ჯამური სადღეღამისო დებიტით.

ნახშირორჟანგიანი წყლები შეადგენს რესურსების საერთო რაოდენობის დაახლოებით 50%-ს.

მინერალური წყლების სივრცით განაწილებაში შეიმჩნევა გარკვეული კანონზომიერება. კავკასიონის მთავარი ქედის მსხვილი გეოტექტონიკური ერთეულებისა და სამხრეთ ფერდობის საზღვრებში ძირითადად გვხვდება ცივი, ნახშირორჟანგა ჰიდროკარბონატული შედგენილობის მინერალური წყლები:

ნარზანის ტიპის ჰიდროკარბონატული, მინერალური წყალი 1,0-დან 5,0 გ/ლ-მდე მინერალიზაციით (საკენი, ლებარდე, ქვედილაში, ზგედი, ყორულდაში, მუაში, შოვი, ედისა, კობი და სხვა. მცირე კავკასიონის საზღვრებში – კოკოტაური, დანისპარაული პლატო, საირმე, წაღვერი, ბოლნისი და სხვა).

ბორჯომის ტიპის ჰიდროკარბონატული, ნატრიუმიანი მინერალური წყლები 5,0-დან 7,0 გ/ლ-მდე მინერალიზაციით, იშვიათად – 12,0-15,0 გ/ლ-მდეც (ავადჰარა, უწერა, ძეგლევი, შეუბანი, სბა, ბაგიათა, ბორჯომი, საირმე, ნაბეღლავი).

ესენტუკის ტიპის ჰიდროკარბონატულ-ქლორიდული, ნატრიუმიანი მინერალური წყლები 3,0-4.0-დან 15,0 გ/ლ ზოგჯერ 25,0 გ/ლ-მდე მინერალიზაციით. ამ ტიპის წყლები უპირატესად გვხვდება (ნახშირორჟანგიანი წყლები) გავრცელების სამხრეთ საზღვრების სიახლოვეს. რიგ უბნებზე იქმნება ესენტუკის ტიპის წყლების საბადო (სორთუანი, ჯავა, ბაგიათა, სანდო, ფასანაური, ვაქასწყარო და სხვა).

აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემაში გავრცელებულია როგორც ნახშირორჟანგიანი ცივი და თერმული, ჰიდროკარბონატული, ასევე აზოტიანი თერმულსილიციუმიანი მინერალური წყლები [9].

მთათაშორისი დეპრესიისათვის დამახასიათებელია უნახშირორჟანგო, მეთანური, აზოტიანი და სულფიდური ცივი და თერმული, ზოგან ჰიპერთერმული წყლები. ქიმიური შემადგენლობით ეს წყლები ქლორიან-ნატრიუმიანი, ან ნატრიუმ-კალციუმიანია, 3,0-4,0 ან 20,0-35,0 გ/ლ-მდე მინერალიზაციით. მათი უმრავლესობა სუსტად სულფიდურია, უპირატესად სუბთერმული და თერმულია. მრავალი მათგანის ბაზაზე ფუნქციონირებს კურორტები და ბალნეოსამკურნალოები (მენჯი, ცაიში, გაგრა, სოხუმი, ოქტომბერი, უჯარმა, თბილისი, სულორი, ნუნისი და სხვა).

აზოტიანი მინერალური წყლების ჯგუფს მიეკუთვნება ცნობილი აბასთუმნის თერმული და ჰიპოთერმული წყლები, რომლებიც დედამიწის წიაღიდან ჭაბურღილებით ამოიქაჩება (ზუგდიდი, ცაიში, ოხურეი, კინდღი და სხვა). ეს წყლები, როგორც წესი, სუსტად მინერალიზებულია, შემადგენლობით ქლორიან-სულფატური ან ჰიდროკარბონატულ-სულფატურია. წყალტუბოსა და ტყვარჩელის კურორტებზე ბალნეომკურნალობისათვის გამოიყენება თერმული, აზოტიანი სუსტრადონიანი ექესკომპონენტიანი მინერალური წყლები.

ლუგელას ტიპის – თავისებური მინერალური წყლები, ქლორიდულ-კალციუმიანი შემადგენლობით – ძირითადად გავრცელებულია მთათაშუა დეპრესიის შუაიურული პერფირიტების დანალექებში. მათთვის დამახასიათებელია მაღალი ზოგადი მინერალიზაცია, ბრომის, იოდის და ზოგიერთი სხვა ბიოლოგიურად აქტიური მიკროკომპონენტების მაღალი კონცენტრაციის შემცველობა. ამ ტიპის წყლების ბუნებრივ გამოსავალში მინერალიზაცია მერყეობს 45,0-დან 55,0 გ/ლ-მდე (ლუგელა 90,0-130,0 გ/ლ-მდე), ლუგელას მინერალური წყალი წარმატებით გამოიყენება, როგორც ბუნებრივი წამალი – ქლორიანი კალციუმის 9,5%-იანი ხსნარი.

დარიშხანიანი წყლებიდან საჭიროა აღინიშნოს მინერალური წყალი ზუბი, რომელიც დარიშხანის გარდა, მაღალი კონცენტრაციით შეიცავს რიგ ბიოლოგიურად აქტიურ კომპონენტს. მცირე რაოდენობით დარიშხანს შეიცავს აგრეთვე მინერალური წყლები ავადჰარა და ვარძია.

დაბალტემპერატურიანი მინერალური წყლები (4-5) ძირითა-

დად გვხვდება კავკასიონის მთავარი ქედის წყალგამყოფი ნაწილის ზოლში, სადაც იგრძნობა მუდმივი თოვლისა და მყინვარების მეზობლობის გაელენა მდ. თერგის, დიდი ლიახვის, რიონის, ენგურის და სხვ. სათავეებში. სამხრეთით, იურული და ცარციანი დანალექების ზონაში, მიემართება უპირატესად 12-16C° ტემპერატურის მქონე ციევი მინერალური წყლების ზოლი. ამგვარივე ტემპერატურით ხასიათდება მცირე კავკასიონისა და მთათაშორისი დეპრესიის საზღვრებში მინერალური წყლების მნიშვნელოვანი ნაწილი.

ჰიპერთერმული წყლები გამოყვანილია დედამიწის ღრმა ჰორიზონტებიდან მთათაშორისი ღრმულის ზოლში (ზუგდიდი, ცაიში, ნოქალაქევი და სხვ. 80-90C° ტემპერატურით), ხოლო ცალკეულ პუნქტებში აღმოჩენილია 100C°-ზე მეტი ტემპერატურის მქონე წყლისა და ორთქლის ხსნარები (კინდღი — 103C° ხორგა და ოხურეი — 110C°).

მინერალურ წყლებს, რომლითაც ასე მდიდარია საქართველოს ტერიტორია, სხვა ბუნებრივ სასარგებლო წიაღისეულთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკისათვის, ამასთან, ყველაზე დიდი მნიშვნელობა მინერალურ წყლებს გააჩნია სამკურნალო ტურიზმისა და ზოგადად, ჯანმრთელობის დაცვისათვის, სადაც ისინი ფართოდ გამოიყენება, როგორც ბუნებრივი სამკურნალო საშუალება.

ბევრი კურორტი ფუნქციონირებს მრავალფეროვანი ქიმიური შემადგენლობისა და ფიზიკური თვისებების მქონე მინერალური წყლების ბაზაზე. ისინი წარმატებით გამოიყენება კუჭ-ნაწლავის, გულ-სისხლძარღვთა, პერიფერიული ნერვული, ძვალ-კუნთოვანი სისტემების, კანის და სხვ. სამკურნალოდ.

მრავალი წყაროს ნახშირორჟანგიანი წყლები ბოთლებში ჩამოისხმებოდა ან ჩამოისხმება, როგორც სამკურნალო და სუფრის წყლები: „ავადჰარა", „ბაგიათა", „ბორჯომი", „ჯავა", „ყაზბეგი", „უწერა", „საირმე", „ნაბეღლავი", „ზვარე" და სხვა.

საქართველო მდიდარია სამკურნალო ტალახებითაც. წარმოშობით სამკურნალო ტალახები იყოფა რამდენიმე ძირითად სახედ: დანალექი (ლამიანი), ბორცვის, საპროპელისა და ტორფისა.

საქართველოს ტერიტორიის საზღვრებში ცნობილია რამდე-

ნიმე ტბა, რომელთა წყალი შეიცავს ნატრიუმის სულფატის ამა თუ იმ რაოდენობას სხვა მარილების – ქლოროვანი ნატრიუმის, გოგირდოვანი კალციუმის, გოგირდმჟავა მაგნიუმის და სხვ. ნარევთან ერთად. ასეთი ტბების ფსკერზე ყოველთვისაა ჰუმუსოვანი ნივთიერებებით მდიდარი ტალახი, რომელიც გამოსადეგია ბალნეოლოგიური მკურნალობისათვის.

ყველაზე მეტად ცნობილია კუმისის ტბის სულფიდური ლამიანი ტალახის საბადოები. კუმისის გარდა ტალახის საბადოები მოიპოვება გლაუბერ-მარილიან, აგრეთვე მტკნარ ტბებშიც.

ბორცვული ტალახების ყველაზე მნიშვნელოვან საბადოს წარმოადგენს ახტალის ბორცვები, რომელთა ბაზაზე ფუნქციონირებს კურორტი ახტალა. კახეთის ფარგლებში ახტალის ბორცვების გარდა, ცნობილია ფხოველის, ჭერემის, ბაიდას, ჩათმას და ტალახის სხვა წყაროები.

კურორტები და საკურორტო ადგილები. საქართველო ოდითგანვე ცნობილია თავისი ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებით. უძველესმა გადმოცემებმა, უამრავმა წერილობითმა ძეგლმა შემოგვინახა აღტაცებული შეფასებები მრავალგვარი დაავადების განკურნების სასწაულთმოქმედი უნარის მქონე ცნობილი თბილი წყაროების შესახებ.

საქართველოში ამჟამად 102 კურორტი და 182 საკურორტო ადგილია. კურორტების ძირითადი ნაწილი მდებარეობს ზღვისპირა და მთიან რაიონებში.

მთიანი ზონა გამოირჩევა ულამაზესი ლანდშაფტებით, ჯანმრთელი ჰავითა და მრავალრიცხოვანი წყაროებით. მთის ჰავის დადებითი თვისებები – სუფთა ჰაერი, მზის (მათ შორის ულტრაიისფერი) რადიაციის ინტენსივობა, რის გამოც იგი ბიოლოგიურად უფრო აქტიური ხდება, ზაფხულში ზომიერი ტემპერატურა (დაბლობ ზონასთან შედარებით) – ასევე უწყობს ხელს დასვენებას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კლიმატური პირობები დაბალმთიან (500-1000 მ. ზღვის დონიდან) და საშუალომთიან (1000-2000 მ. ზღვის დონიდან) ზონებში, სადაც თავმოყრილია სამთოკლიმატური და ბალნეოკლიმატური კურორტები. ზღვის დონიდან 700 მ. სიმაღლეზე ჭარბობს ბალნეოლოგიური კურორტები

(ნაბეღლავი, ზვარე, ნუნისი, ტყვარჩელი და სხვ.), ზღვის დონიდან 700-1000 მ. სიმაღლეზე — ბალნეოკლიმატური კურორტები (ბორჯომი, საირმე, უწერა, სურამი), ხოლო 1000-1500 მ. სიმაღლეზე - სამთოკლიმატური (აბასთუმანი, წაღვერი, ცემი, ჯავა, კოჯორი, კიკეთი, მანგლისი). საკურორტო მიზნით ზონა ზღვის დონიდან 1500-2000 მ. სიმაღლეზე გამოიყენება ძირითადად დასავლეთ საქართველოში (შოვი, ბახმარო, ლებარდე, ავადჰარა). აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანი კურორტია ბაკურიანი. მთის ზონაში განლაგებულ კურორტებზე წარმატებით მკურნალობენ ფილტვის ტუბერკულოზს, ბრონქულ ასთმას, ანემიას, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების ზოგიერთ ფორმას, ნევროზს და ა.შ.

შესანიშნავი კლიმატური პირობების მქონე შავიზღვისპირეთი წარმოადგენს კურორტების განვითარების უმნიშვნელოვანეს ზონას. ამ ზონაში ძირითადად განლაგებულია, კლიმატური კურორტები — გაგრა, ბიჭვინთა, ახალი ათონი, გუდაუთა, სოხუმი, ბათუმი, ქობულეთი, მახინჯაური, მწვანე კონცხი, ურეკი და სხვა. კლიმატი აქ ნოტიო სუბტროპიკულია, რბილი ზამთრითა და ხანგრძლივი, ცხელი ზაფხულით. ზღვაში ბანაობის სეზონი გრძელდება 5-6 თვე. კლიმატური თერაპია მაღალეფექტურია მთელი წლის მანძილზე. ზღვის ჰავა წარმატებით გამოიყენება სისხლის მიმოქცევისა და სუნთქვის ორგანოების დაავადებათა, ნერვული სისტემის ფუნქციური დარღვევის სამკურნალოდ, აგრეთვე დასვენებისათვის, აღნიშნული დაავადებების პირველადი და მეორადი პროფილაქტიკისათვის.

სანატორიულ-კურორტული მკურნალობის კომპლექსში დიდ მნიშვნელობას იძენს მინერალური წყლების გამოყენება. მინერალური წყლების სიმდიდრე და მრავალფეროვნება საშუალებას იძლევა გულ-სისხლძარღვთა, ნერვული, საჭმლის მომნელებელი სისტემების, გინეკოლოგიური, ენდოკრინული, საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დაავადებათა მკურნალობას, პროფილაქტიკასა და რეაბილიტაციას ქვეყნის კურორტებზე.

მინერალური წყლების ყველაზე გავრცელებული ტიპია ნახშირორჟანგიანი. ეს წყლები ძირითადად გამოიყენება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, ღვიძლის, სანაღვლე გზების, ზოგიერთი უროლოგიური დაავადების სამკურნალოდ, შაქრიანი დიაბეტის დროს. ციეი

და თერმული ნახშირორჟანგიანი წყლების ბაზაზე მოქმედებს ცნობილი ბალნეოლოგიური კურორტები – ბორჯომი, სოვი, უწერა, შოვი, ნაბეღლავი, საირმე და სხვ.

მაღალი თერაპიული თვისებები ახასიათებს თერმულ სულფიდურ, რადონულ, აზოტოვან, სალიციუმიან მინერალურ წყლებს, რომლებიც გამოიყენება სახსრების, პერიფერიული ნერვული სისტემის, კანისა და გინეკოლოგიური დაავადებების სამკურნალოდ. ეს წყლები გამოიყენება წყალტუბოს, თბილისის, ნუნისის, ტყვარჩელის, გაგრის, სოხუმის, მახინჯაურის, ზეკარის, ასპინძის კურორტებზე.

ქვეყნის საკურორტო რესურსებს ავსებს სამკურნალო ტალახების საბადოები. ახტალის ბორცვების ფსევდოვულკანური ტალახის ბაზაზე ფუნქციონირებს კურორტი ახტალა, ხოლო თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტზე გამოიყენება კუმისის ტბის სულფიდური ლამიანი ტალახი. ტალახით მკურნალობა გამოიყენება საყრდენ-მამოძრავებელი, პერიფერიული ნერვული სისტემისა და გინეკოლოგიური დაავადებების მკურნალობისას.

ბუნებრივი ფაქტორების ხასიათი და სამკურნალო-პროფილაქტიკური თვისებები განსაზღვრავს სანატორიუმების, პანსიონატებისა და სხვა საკურორტო დაწესებულებების სამედიცინო პროფილს.

ეროვნული პარკები. პირველქმნილი ბუნების მსოფლიო ფონდის (WWF)-ის ექსპერტის დოქტორ მიხაელ ზუკოვის სიტყვებით: „ევროპის არცერთ ქვეყანას არ გააჩნია ისეთი მდიდარი ფლორა და ფაუნა, როგორიც საქართველოს. ევროპის ვერცერთ ქვეყანაში ვერ ნახავთ მცირე ტერიტორიაზე რელიეფის ისეთ მრავალფეროვნებას, როგორსაც საქართველოში, ამასთანავე, ევროპაში არ მოიძებნება ქვეყანა, სადაც ისინი ბუნებრივი ლანდშაფტების პირველქმნილი სახით იქნება შემონახული“.

საქართველოში განზრახულია შეიდი ეროვნული პარკის შექმნა. მათგან უკვე შექმნილია ბორჯომ-ხარაგაულის ეროენული პარკი:

1. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი 68 000 ჰექტარზე მეტს მოიცავს, რაც საქართველოს ფართობის თითქმის 1%-ს შეადგენს. ფართობის მიხედვით ეს პარკი ერთ-ერთი უდიდესია

ევროპაში. აქ შეხვდებით როგორც კოლხეთის მესამეულ რელიქტებსა და ენდემებს, ასევე სამხრეთის ფლორის იშვიათ წარმომადგენლებს. მრავლადაა ისეთი ენდემებიც, რომლებიც ამ რეგიონის გარდა, არსად არ გვხვდება. საერთოდ, აქაური ფლორა 2000-მდე სახეობის მცენარეს ითვლის (მღიერებისა და წყალმცენარეების ჩაუთვლელად). უმთავრეს ბუნებრივ სიმდიდრეს ტყე წარმოადგენს, რომლითაც ტერიტორიის 75%-ია დაფარული. სწორედ აქ არის თავმოყრილი წმინდა ნაძვნართა და ფიჭვნართა მთელ კავკასიაში უდიდესი მასივები. ტყეებში გავრცელებულია საქართველოს წითელ წიგნში შეტანილი მცენარეები: თელადუმა, უთხოვარი, უხრავი, წაბლი და სხვა.

რეგიონი მდიდარია ასევე ცხოველთა სამყაროთი. აქ გავრცელებულია ძუძუმწოვრების 55, ფრინველების 95, რეპტილიების 17 და ამფიბიების 9 სახეობა. მათ შორის ბევრია იშვიათი სახეობა. საქართველოს წითელ წიგნში შეტანილი სახეობებიდან აქ გვხვდება: ფოცხვერი, კავკასიური ირემი, გიგანტური მელამურა, თეთრკუდა არწივი, სვავი, ორბი, კავკასიური და ცხვირრქოსანი გველგესლები, მცირეაზიური ტრიტონი, კავკასიური სალამანდრა. აქ ჩამოთვლილ ცხოველთა უმეტესი ნაწილი შეტანილია ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის წითელ ნუსხაში.

დიდი პერსპექტივა აქვს კოლხეთის ეროვნულ პარკს (ფართობი 26,0 ათასი ჰექტარი, შავი ზღვის პირას). მისი ტერიტორია თითქმის იდეალურად ბრტყელი ვაკეა, რომლის აბსოლუტური სიმაღლე 0,2–4,5 მეტრის საზღვრებში ცვალებადობს. მისთვის დამახასიათებელია ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავა. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 14 გრადუსია. ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური ჯამი 1500-1800 მმ.

ეროვნული პარკი დასერილია მდინარეთა ხშირი ქსელით. დიდი მდინარეები – რიონი და ხობი ტრანზიტულად ჰკვეთენ პარკის ტერიტორიას.

კოლხეთის ეროვნული პარკის მშვენებაა პალიასტომის ტბა, რომლის ფართობი 18,2 კვ.კმ-ია. მაქსიმალური სიღრმე კი – 3,2 მ-ია. სხვა ტბებიდან უნდა აღინიშნოს იმნათი, პატარა პალიასტომი, ფართო წყალი. ეროვნული პარკის ტერიტორიაზე არსებული ყველა ტბა ჭაობებშია მოქცეული.

კოლხეთის დაბლობის ეროვნული პარკის ერთ-ერთი მთავარი სიმდიდრეა მისი ფრიად ორიგინალური მცენარეულობა. პარკის ტერიტორიაზე ფართოდაა გავრცელებული ჩვეულებრივი მურყნის დაჭაობებული ტყეები. შერეულ მურყნარებში გვხვდება პართვისის მუხა, ლაფანი, ტირიფი, რცხილა, ლიანა, მცენარეებიდან – ეკალღიჭი, ღვედკეცი, დიდი ხვართქლა, კოლხური სურო. შემაღლებულ, გაუმჯობესებული დრენაჟის ადგილებში განვითარებულია კოლხური ფართოფოთლოვანი ტყეები, სადაც უმეტესად ხარობს წიფელა, წაბლი, რცხილა, იფანი და მურყანი.

ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გადაშლილი ჭაობები ფრიად კოლორიტულია თავისი მრავალფეროვანი მცენარეულობით. აქ ფართოდაა გავრცელებული ტორფიანი (სფაგნუმიანი) ჭაობები, სადაც იზრდება ტორფის ხავსები. – ტორფიანი ფენის ძირითადი დამგროვებლები. უხვადაა წარმოდგენილი ბალახოვანი მცენარეები – ისლი, ჭილი, ლაქაში, ზამბახი, დროზერა, ჭაობის გვიმრა და სხვ.

კოლხეთის დაბლობის ეროვნული პარკის მნიშვნელობა სცილდება საქართველოს ფარგლებს, რადგან იგი მოიცავს შავი ზღვის სანაპირო ზოლში შემორჩენილ დიდფართობიან უნიკალურ ლანდშაფტებს. პარკის ტერიტორია არა მარტო ადგილობრივი ფაუნისათვის, არამედ გადამფრენი ფრინველებისათვისაც, საიმედო თავშესაფარს წარმოადგენს. პალიასტომის ტბაზე და მის ირგვლივ მდებარე ჭაობებში თავს იყრის მრავალი სახეობის იხვი, თეთრშუბლა ბატები. აქაურობა სავსეა პოლარული ჩრდილოეთისათვის დამახასიათებელი ფრინველებით – კოხტა ჭოვილო, ტურუხტანები, ზღვის კაჭკაჭები. მტაცებელი ფრინველებიდან ბევრია კაკაჩა, შავი ძერა, შევარდენი, ძერაბოტი, ბეგობის არწივი და სხვ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს რეგიონი სამშობლოა ლეგენდარული კოლხური ხოხობისა. ჭაობიან ტყეებში ბინადრობს შველი, გარეული ღორი. ჭაობში აკლიმატიზებულია ნუტრია.

პალიასტომის ტბაში 30-მდე სახეობის თევზია. ზღვიდან ტბაში შემოდის კეფალი. მრავლად გვხვდება ტრიტონი, ვომბეშო, ვასაკა. ქვეწარმავლებიდან მრავლადაა ჭაობის კუ, ხვლიკები, ჩვეულებრივი და წყლის ანკარები.

პალიასტომის ტბა თავისი სანაპირო ჭაობიანი პეიზაჟებით, ცხოველთა და ფრინველთა სახეობების სიმრავლით ახალისებს ლანდშაფტს, ჰქმნის სიცოცხლით სავსე ოაზისს, რომელსაც შავი ზღვის კავკასიურ სანაპიროზე ვერაფერი შეედრება.

კულტურული ლანდშაფტის ზონას მიეკუთვნება მდინარეების რიონისა და ხობის გასწვრივ, მცირედ დასახლებული პუნქტების ირგვლივ მდებარე ტერიტორიები. აგრეთვე, პარკის აღმოსავლეთით პერიფერიაზე მდებარე ზოგიერთი ჭალის უბანი.

3. განზრახულია საქართველოს ცენტრალური კავკასიონის ეროვნული პარკის შექმნა (ფართობი 7430კვ. კილომეტრი, კავკასიონის მთავარი ქედის ცენტრალური ნაწილის სამხრეთ კალთაზე);

4. აღმოსავლეთ კავკასიონის (ფართობი 4040კვ. კილომეტრია, მოიცავს ფშავ-ხევსურეთ-თუშეთისა და მთიანი კახეთის ტერიტორიას);

5. ივრის ზეგნის (ფართობი 3,5 ათასი ჰექტარი საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში);

6. ერუშეთის (ფართობი 1860კვ. კილომეტრი, სამხრეთ საქართველოს ვულკანურ ზეგანზე);

7. აჭარა-იმერეთის (ფართობი 17,3 ათას ჰექტარი);

ეროვნული პარკების დიდ ნაწილს წარმოადგენს ე.წ. ჰარმონიულ-კულტურული ლანდშაფტების ვრცელი ზონა, სადაც სახლობს და მეურნეობას ეწევა ადამიანი. ამ ზონაში ძირითადად მოცემულია ტურისტული სექტორი და დიდ მნიშვნელობას იძენს ეკოლოგიურად სუფთა საკვები პროდუქტების წარმოება. საქართველოში განსაკუთრებით დიდი პოტენციალია ე.წ. აგროტურიზმისა, რომელსაც სხვანაირად სასოფლო ტურიზმსა და მწვანე ტურიზმსაც უწოდებენ.

ისტორიული ძეგლები. საქართველოში ტურისტებს შესაძლებლობა აქვთ, ნახონ არა მხოლოდ ულამაზესი ბუნება და ლანდშაფტები, არამედ 12 ათასი ისტორიული ძეგლი, რომელთაგან ხუთი ათასს სახელმწიფო იცავს. 1994 წლიდან ოთხი მათგანი შესულია იუნესკოს მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლთა სიაში: 1. საქართველოს უძველესი დედაქალაქი მცხეთა, როგორც ქალაქი-მუზეუმი, 2. გელათის სამონასტრო კომპლექსი (XI ს.), 3. ბაგრა-

ტის ტაძარი – ქუთაისში (XI ს.) და 4. უშგულის არქიტექტურული ანსამბლი.

ტურისტულ პროგრამებში შესულია ანტიკური ხანის ნაქალაქარები: არმაზი (მცხეთა), ციხე-გოჯი (ნოქალაქევი, სენაკი) კოლხეთის რელიგიური ცენტრის ვანის ნაქალაქარი, ნასტაკისი და ძალისი, კლდეში ნაკვეთი ანტიკური ქალაქი უფლისციხე და სხვა.

ადრე ფეოდალური (IV-VII) ხანის უნიკალური ძეგლები, ძველი გავაზი (IV საუკუნე), ბოლნისის სიონი (V საუკუნე), მცხეთის ჯვარი (VI-VII სს.), რომლებიც შეეიდნენ ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში, როგორც კლასიკური ნიმუშები პირველი გუმბათიანი ტაძრების მშენებლობისა. ტურისტები ქართული ძეგლების მაგალითზე თვალნათლივ ნახავენ გუმბათიანი ტაძრების მშენებლობის იდეის ჩასახვის, საინჟინრო გადაწყვეტისა და სრულყოფილ განვითარებამდე აყვანის ევოლუციურ გზას.

ქართულმა ხუროთმოძღვრებამ თავისი განვითარების ზენიტს XI-XII საუკუნეებში მიაღწია. საექსკურსიო ტურისტულ მარშრუტებში შედის საქართველოს სამი უდიდესი საკათედრო ტაძრის: ბაგრატის (XI ს.), სვეტიცხოვლის (XI ს.) და ალავერდის (XI ს.) დათვალიერება. ამ პერიოდის ძეგლებში არნახულ შთაბეჭდილებას ახდენს მონუმენტური ქართული ფრესკები და კედლის ფერწერა, რომლითაც უხვად არის მორთული ქართული ეკლესია-მონასტრები.

ღირსშესანიშნაობების ცალკე ჯგუფს წარმოადგენენ გვიან ფეოდალური პერიოდის ციხე-სიმაგრეები, მათ შორის განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენენ საგვარეულო ციხე-სიმაგრეები ანანური (XVII ს.) და გრემი (XVI ს.).

ქართველ მეფეთა და ფეოდალთა სასახლეები, მე-12 ს-ის კლდეში ნაკვეთი ქალაქი ვარძია: ეს ნახევარ კილომეტრზე გადაჭიმული ცამეტსართულიანი ანსამბლი განლაგებულია 1300 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ათასობით კლდეში ნაკვეთი ოთახი, ეკლესია, სხვადასხვა დანიშნულების სათავსოები და სამონასტრო კომპლექსი წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს დამთვალიერებელზე.

საქართველოში ტურიზმის განვითარებას ხელს უწყობს უამრავი ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლის არსებობა. უძველეს

ხანას (ბრინჯაოსა და ადრეული რკინის საუკუნეები) განეკუთვნება ბედენის, თრიალეთის სამთავროს, სამგორის ყორღანები, აფხაზეთის დოლმენები, ჩვ.წ.აღ-მდე IV-III-I საუკუნეებით თარიღდება უძველესი დედაქალაქის – მცხეთის აკროპოლი და ვანის ნაქალაქარი ციხე-სიმაგრის ნაგებობებით, სასახლისა და საკულტო შენობებით, ქალაქ-გამოქვაბულის – უფლისციხის (ქ. გორის მახლობლად) ადრეული სადგომები. დიდი რაოდენობითაა შემონახული ადრექრისტიანული ტაძრები, რომელთა შორის მრავალი – ბოლნისის სიონი (Vს.), ნინოწმინდა (VIს.), ჯვარი მცხეთის მახლობლად (VI ს-ის დასასრული VII ს-ის დასაწყისი და სხვ.) – წარმოადგენს ცნობილ არქიტექტურულ ძეგლებს. ძალზედ თვალწარმტაცი და ამავე დროს კომპოზიციურად მკაცრია X-XI სს-ის ტაძრები და ეკლესიები – ალავერდი (ქ. თელავის მახლობლად), სვეტიცხოველი მცხეთაში, სამთავისი (ქ. გორის მახლობლად), ნიკორწმინდა (ქ. ამბროლაურის მახლობლად), აგრეთვე XII ს-ის გელათის მონასტერი (ქ. ქუთაისის მახლობლად) – შუასაუკუნეების ერთ-ერთი ყველაზე დიდი მონასტერთაგანია საქართველოში. შემორჩენილია გრანდიოზული კლდეში ნაკვეთი XII-XIII ს-ის მონასტრები – დავით გარეჯისა (თბილისიდან 60 კმ-ზე) და ვარძიისა (ბორჯომიდან 70 კმ-ზე 1938 წლიდან მუზეუმ-ნაკრძალი). XIV-XVIII ს-დან შემორჩენილია ციხე (გრემისა – XVI ს.), ტაძრები, მონასტრები, სასახლეები, ციხე-სიმაგრეები (ხერთვისი, კვარას ციხე), ხიდები და სხვ. ნაგებობები.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა, ისტორიულ-არქიტექტორული ძეგლები ტურიზმის პოტენციალის ის წყაროა, რომელსაც ყოველთვის დაეწაფება კულტურული ტურიზმის მოყვარული ათასობით და ასი ათასობით ტურისტი.

ტურიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მისი ინფრასტრუქტურა და განვითარების გზები. საბჭოთა პერიოდში საქართველოში ჩამოყალიბდა იმ დროისათვის ერთ-ერთი კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურა. აღსანიშნავია, რომ ტურისტთა განთავსების საშუალებები 152 ათას საწოლ ადგილს ითვლიდა. მართალია, ეს ყველაფერი გათვლილი იყო იაფფასიან საბჭოთა ბაზარზე და იგი ვერ გამოდგებოდა თანამედროვე ტურიზმისათვის, რადგან შორს იყო ევროპული სტანდარტებისაგან, მაგრამ შე-

საძლებელს ხდიდა, ნაკლები დანახარჯებით მომხდარიყო ამ პოტენციალის ამოქმედება. რეალობაში კი მოხდა სულ სხვა რამ.

პირდაპირ შეგვიძლია ვთქვათ, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, არც ერთი პოსტსაბჭოთა ქვეყნის ტურისტული და საკურორტო ინფრასტრუქტურა ისე არ დაზარალებულა, როგორც ეს მოხდა საქართველოში. რეგიონული კონფლიქტების შედეგად ქვეყანამ მიიღო 300 ათასი იძულებით გადაადგილებული, თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან გამოდევნილი პირი, რომლებიც 1993 წლიდან „დროებით" მოთავსებულნი იქნენ სასტუმროებში, სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში და ტურისტთა განთავსების სხვა საშუალებებში, რითაც სრულად იქნა პარალიზებული და, ფაქტობრივად, განადგურებული ქვეყნის ტურისტული ინფრასტრუქტურა, რომელიც იქმნებოდა მთელი განვლილი ასი წლის განმავლობაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად, საქართველოს დამოუკიდებლობის პირველივე წლებში შეიქმნა ტურისტთა განთავსების ადგილების მწვავე უკმარისობა, მას თან დაერთო ქვეყნის ხელისუფლების იურისდიქციის გაუვრცელებლობა ტურიზმისათვის ისეთ მნიშვნელოვან ტერიტორიაზე, როგორიცაა აფხაზეთი, რომელზედაც ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში მოდიოდა ქვეყნის ტურიზმის (საქართველოში შემოსულ ტურისტთა რაოდენობის) ნახევარზე მეტი და საქართველო აღმოჩნდა უმძიმეს მდგომარეობაში თავისი სრულიად განადგურებული ტურისტული ინფრასტრუქტურით.

1994-97 წლებში ტურიზმისა და კურორტების სექტორში განხორციელდა ტოტალური პრივატიზაცია. ამ პერიოდში ინვესტორების ოდენობა შედარებით მცირე იყო და მოხმარდა სახელმწიფოსაგან ტურისტული და საკურორტო ობიექტების გამოსყიდვას. 1998 წლიდან კი, როდესაც ქვეყანამ გააცნობიერა, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემების გადაწყვეტა, ანუ იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნება მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე ითხოვდა ხანგრძლივ დროს, სახელმწიფომ ტურიზმის დარგში დაიწყო აქტიური საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელება.

ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის მო-

ნაცემებით 1999-2003 წლებში კერძო ინვესტიციებით აშენდა და ექსპლუატაციაში შევიდა 300 ახალი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სასტუმრო და სასტუმრო სახლი 4500 ნომრით, 1000 საწოლ ადგილზე. ზემოაღნიშნული აშენებული სასტუმროების, აგრეთვე, კონსტრუირებული ტურისტული კომპლექსების შექმნაზე, ექსპერტული შეფასებით საერთო ჯამში მოზიდულია ინვესტიციები 250 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით. მათ შორის უცხოური ინვესტიცია – 100 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო ადგილობრივი – 150 მილიონზე მეტი. განსაკუთრებით აღსანიშნავია აშშ-ს საინვესტიციო კორპორაციის „ოპიკის" გადაწყვეტილება 26 მილიონი აშშ დოლარის სასტუმრო „თბილისი-მერიოტისა" და „ქორტ იარდის" მშენებლობაში ინვესტირების შესახებ, რის შედეგადაც მხოლოდ ამ ორ სასტუმროში ინვესტირების საერთო ოდენობამ 70 მლნ აშშ დოლარს მიაღწია.

№21 ცხრილის მონაცემები გვიჩვენებს უკანასკნელ ხუთ წელიწადში (1999-2003 წ.წ.) აშენებულ ან მოდერნიზებულ ტურისტთა განთავსების ობიექტების სიმძლავრეებს რეგიონების მიხედვით.

მიუხედავად ზემოთ მოყვანილი მონაცემებისა, თუ გავითვალისწინებთ მოთხოვნას, ტურისტთა განთავსების საშუალებების სიმძლავრეების ნაკლებობას (განსაკუთრებით რეგიონებში) და არსებული სიმძლავრეების განახლების აუცილებლობას, ტურიზმის სექტორის განვითარებისათვის ინვესტიციების მოცულობა გაცილებით მეტია საჭირო.

სწორედ ამ მოთხოვნის აუცილებლობით და აგრეთვე, იმის გათვალისწინებით, რომ სასტუმროებში ლტოლვილთა შესახლებამ გამოიწვია ტურისტული ინფრასტრუქტურის სრული პარალიზება, იყო ნაკარნახევი ძალისხმევა, რომელიც გამოიჩინა ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ, საქართველოში ტურიზმის ინფრასტრუქტურაში ინვესტორებისათვის უპირატესი ხელშეწყობის გარემოს შექმნის მიზნით.

ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის ინიციატივით, 2003 წლიდან საქართველოში ძალაში შევიდა კანონი „საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ", რომლის მიხედვითაც სასტუმროების მშენებლობლობის მიზნით გაწეულ ინვესტიციებზე დაწესდა გარკვეული სა-

გადასახადო „არდადეგები". კერძოდ, სასტუმრო, რომლის მშენებლობისათვის განხორციელებული ინვესტიციების ოდენობა შეადგენს არანაკლებ 3 მლნ აშშ დოლარს, ან 0,25 მლნ-ს თუკი ეს ინვესტიცია განხორციელებულია მაღალ მთაში, ექსპლუატაციაში შესვლიდან თავისუფლდება მოგებისა და ქონების გადასახადისაგან ოთხი წლის განმავლობაში მთლიანად, ხოლო შემდეგი ორი წელი – 50%-ით. მშენებლობის პროცესი კი თავისუფალია დღგ-ს გადასახადისაგან. უფრო დიდი ინვესტიციების შემთხვევაში დაწესებულია უფრო მეტი შეღავათები. როგორც საერთაშორისო ექსპერტები თვლიან, ეს კანონი ხელს შეუწყობს საქართველოში ინფრასტრუქტურის დაჩქარებულ განვითარებასა და სექტორის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფას. იგი ითვალისწინებს ინვესტორებისათვის მიმზიდველი (შეღავათიანი) ბიზნეს-გარემოს შექმნას, რათა ქვეყანამ მოიზიდოს რაც შეიძლება მეტი ინვესტიცია და წარმართოს ტურიზმის სექტორის განვითარებისაკენ.

სწორედ ამ კანონზე დაყრდნობით, ამჟამად დამუშავების პროცესშია ხუთი მნიშვნელოვანი მსხვილი საინვესტიციო წინადადება, რომელთა საერთო ღირებულება აჭარბებს ნახევარ მილიარდ აშშ დოლარს (ბაკურიანი, ურეკი, ზღვის სანაპირო, თბილისი და მისი შემოგარენი და სხვა). უკვე გაუჩნდა პატრონი კურორტ ბაკურიანს, კურორტ ურეკს და კურორტ ნუნისს, ინვესტორების გარკვეული ინტერესების სფეროშია საქართველოს ზღვის სანაპირო, დღის წესრიგში დადგა კურორტ წყალტუბოს რეაბილიტაციისა და კურორტების უჯარმისა და ბახმაროს პერსპექტიული განვითარების საკითხები.

ტურიზმის განვითარებაზე კეთილნაყოფიერი გავლენა იქონია საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის №237 განკარგულებამ „ტურიზმის განვითარებისათვის სათანადო ცენტრების შესაქმნელად ტერიტორიების დამაგრების შესახებ". ადგილობრივი მართველობის მიერ ტურიზმის განვითარებისათვის გამოყოფილია 500 ჰექტარზე მეტი ტერიტორია (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები), რომელიც ჯერ კიდევ არ არის პრივატიზებული. ტურიზმის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მომზადებულია საინვესტიციო წინადადებების პაკეტი, რომლის სა-

ერთო ღირებულებაა 400 მილიონი აშშ დოლარი და რომლებიც დაევზავნა საერთაშორისო წარმომადგენლებსა და დიპლომატიურ მისიებს.

ზოგადად, ტურიზმის ინფრასტრუქტურა რთული მექანიზმია და ის თავის თავში გულისხმობს არა მარტო სასტუმროებს, სანატორიუმებს, დასასვენებელ სახლებსა და ტურისტთა განთავსების სხვა საშუალებებს, არამედ გზებს, კომუნიკაციებს, აეროპორტებს, ვაგზლებს, საზღვაო პორტებს და აგრთეე ტრანსპორტის შესაბამის სიმძლავრეებს, კერძოდ წყლის ტრანსპორტსაც (ვინაიდან საქართველო საზღვაო ქვეყანაა) და განსაკუთრებით კი, ავიაციის ფართოდ განვითარებულ რეგიონულ და საერთაშორისო ქსელს.

როგორც ვხედავთ, ეს რთული სფეროა, მისი თანამედროვე დონეზე განვითარებისათვის საჭიროა ხანგრძლივი პერიოდი და დიდი მოცულობის ინვესტიციები.

როდესაც ვსაუბრობთ ტურიზმის ინფრასტრუქტურაზე, აქ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს საკურორტო-რეკრეაციულ პოტენციალს, რომლის მოვლა-პატრონობის ფუნქცია უნდა იკისროს სახელმწიფომ. მითუმეტეს, რომ ჩვენს ქვეყანას გააჩნია დიდი ტურისტული პოტენციალი, რომელიც შემდეგი პარამეტრებით ხასიათდება: 102 კურორტი და 182 საკურორტო ადგილი, 15000 ისტორიულ-კულტურული ძეგლი (რომელთაგან ოთხი შეტანილია იუნესკოს მსოფლიო საგანძურთა სიაში), მოქმედი ორი და პერსპექტიული ხუთი ეროვნული პარკი, 2400 მინერალური წყარო (რომელთა დღეღამური დებიტი 130 მილიონი ლიტრია), სამკურნალო ტალახები, კარსტული მღვიმეები, შავი ზღვის სანაპირო, დიდი და მცირე კავკასიონის მწვერვალები, კლიმატის მრავალფეროვნება და სხვ.

საქართველოს კურორტების, საერთოდ ქვეყნის რეკრეაციული სიმდიდრეების მომავალი თაობისათვის შენახვის (მსოფლიოში აპრობირებული) ერთადერთი გზა არის სანიტარული დაცვის ზონების დამუშავება, რომელიც ადგენს და აწესებს კურორტებზე ამკრძალავი ღონისძიებების სისტემას, რითაც ხდება სამკურნალო ბუნებრივი ფაქტორების დაცვა, მოვლა და პატრონობა. დაწყებული 1999 წლიდან 2003 წლამდე, ყოველწლიურად ქვეყ-

ნის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო კურორტების სანიტარული დაცვის პროგრამების დაფინანსება, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მიზნით სახელმწიფოს ბიუჯეტიდან სახსრები არ გამოიყოფა.

ჩვენი აზრით, სახელმწიფომ მკვეთრად უნდა გააუმჯობესოს თავისი დამოკიდებულება ამ პრობლემის მიმართ. ამავე დროს, მან ტურიზმის სფეროში რეგიონული თვალსაზრისით ბალანსის მისაღწევად ხელი უნდა შეუწყოს კერძო სექტორს და ინვესტორებს, რომლებიც აშენებენ მინი-სასტუმროებს. განსაკუთრებით მთიან რეგიონებში. 10-20 ოთახიანი მინი-სასტუმროები ისეთ რეგიონებში, როგორიცაა სვანეთი, თუშეთი, ხევსურეთი, რაჭა, ლეჩხუმი, კახეთისა და გურიის მთები უფრო მიმზიდველი იქნებოდა ინდივიდუალურად ჩამოსული უცხოელი ტურისტებისათვის.

მსოფლიოში ტურიზმის სფეროში ინვესტიციების მასტიმულირებელი ფაქტორების ეფექტურად გამოყენების დიდი გამოცდილება არსებობს, ასეთ გამოცდილებას დიდი როლის შესრულება შეუძლია გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის მქონე ქვეყნისათვის. განსაკუთრებით ეს ეხება საქართველოს, მით უმეტეს, რომ დავას არ იწვევს მისი დიდი პოტენციალი და ქვეყნის სამომავლო შესაძლებლობები ამ დარგის განვითარებაში.

სწორედ ამიტომ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ტურიზმის სფეროში ინვესტიციების მოზიდვისათვის სხვადასხვა ქვეყნის მიერ გამოყენებულ საჭირო მასტიმულირებელ ფაქტორთა შესწავლა და ანალიზი. მით უმეტეს, რომ იმ სახელმწიფოებს, რომლებიც ამჟამად წამყვან როლს ასრულებენ მსოფლიო ტურიზმის ინდუსტრიაში, განვითარების გარკვეულ ეტაპებზე ხსენებულ ხელშემწყობ ფაქტორთა სხვადასხვა კომბინაცია აქვთ გამოყენებული. ამასთან მიგვაჩნია, რომ ხელშემწყობი ფაქტორები საქართველოში უმოკლეს ხანებში უნდა ამოქმედდეს, რათა ხელი შეეწყოს ინვესტიციების მოზიდვას, როგორც ახალ სასტუმროთა მშენებლობისათვის, ასევე არსებული კომპლექსებისა და ნაგებობების რეაბილიტაცია-აღდგენისათვის.

ამ კონტექსტში განვიხილავთ ზოგიერთი ქვეყნის გამოცდილებიდან იმ მიდგომებს (პრინციპებს),რომლებიც ქვეყნების თავისებურებებისა და ტრადიციების შესაბამისად გამოიყენეს ტურიზმის განვითარების სტიმულირებისათვის. მაგალითად, მასტი-

მულირებელი ფაქტორები, რომლებიც ამა თუ იმ ქვეყანამ გამოიყენა, შემდეგნაირად შეიძლება დაჯგუფდეს: *სამთავრობო გრანტები; დახმარება პროექტის დაფინანსებაში; სესხის გარანტიები; წილობრივი მონაწილეობა; გარიგება სქემით „ადგილობრივი წილის გადაცვლა სამთავრობო ვალზე"; სამუშაო ნებართვის გაცემის ლიბერალური პოლიტიკა; ვალუტის გადაცვლის შეუზღუდავი რეჟიმი (ამჟამად მოქმედებს საქართველოში); საიმპორტო საბაჟო გადასახადის გაუქმება; გადასახადების შემცირება; მთავრობის მიერ კომუნალური მომსახურების ფასების სუბსიდირება; ინვესტორთა დახმარების ორგანიზაციის ჩამოყალიბება და სხვ* [30].

მიზანშეწონილია აღნიშნულ მასტიმულირებელ ფაქტორთა არსისა და გამოყენების მეთოდიკის მთავარი მომენტების გამოყოფა. ნიშანდობლივია, რომ პრაქტიკაში არცერთ ქვეყანას არ გამოუყენებია ყველა ფაქტორი ერთდროულად, ამასთან, გამოიყენებოდა სხვადასხვა კომბინაციით. ეს ადასტურებს იმას, რომ ნებისმიერ ქვეყანაში ეკონომიკის (მათ შორის ტურიზმის განვითარების) ფორმებისა და მეთოდების შერჩევა დიფერენცირებულ მიდგომას მოითხოვს.

მაგალითად, ირლანდიაში მთავრობა აძლევდა უცხოელ ინვესტორებს სამთავრობო გრანტებს, რომლებიც მინი-სასტუმროებში აბაზანის დამონტაჟების 20-30 %-ს ფარავდა. ანალოგიურ დახმარებას უწევდნენ სხვა სასტუმროებსაც, რომლებიც სამზარეულოს, ვესტიბიულის ან ტექნიკური კომპლექსის გაუმჯობესების პროექტს ახორციელებდნენ. პორტუგალიაში მთავრობა იძლეოდა ინვესტიციების 60%-მდე ოდენობის გრანტს (მაქსიმალური ოდენობა – 220 მილიონი ესკ.), ხოლო გრანტის მიღების კრიტერიუმებში შედიოდა მომავალი ბიზნესის, სასტუმროს მდებარეობა და აგრეთვე ახალ სამუშაო ადგილთა რაოდენობა. თურქეთში მთავრობა მთლიანი ინვესტიციის 20%-მდე გრანტს აძლევდა ფეშენებელური სასტუმროების დამფუძნებელ ინვესტორებს ან სასტუმროთა ისეთ ქსელებს, სადაც წილობრივი შენატანის ინვესტიციასთან შეფარდება 40%-ს აღემატებოდა. ესპანეთშიც მსგავსი მექანიზმი იყო ამოქმედებული, მაგრამ ამ შემთხვევაში პირობა კიდევ უფრო ხელშემწყობი იყო – წილობრივი შე-

ნატანი მინიმუმ ერთი მესამედი უნდა ყოფილიყო.

დიდი ბრიტანეთის მთავრობა ახორციელებდა გრანტების გაცემას მრავალი ტურისტული პროექტის მხარდასაჭერად, მათ შორის იყო კულტურული და ისტორიული ცენტრების შექმნა, საინფორმაციო ცენტრები,მონაცემთა ბაზები,ყველა ტიპის სასტუმრო და სხვ. უპირატესობა ენიჭებოდა ისეთ პროექტებს, რომელთაც ხელსაყრელი და პერსპექტიული მდებარეობა გააჩნდა (მაგ. ახლად აშენებ·ულ ტრასას ესაზღვრებოდა).

რაც შეეხება დახმარებას პროექტის დაფინანსებაში, იგი ძირითადად ორი ფორმით გამოიყენება. ყველაზე გავრცელებული ფორმა არის ხელსაყრელ პირობებში დაბალი პროცენტის მქონე სესხების გაცემა. ეს პოლიტიკა წარმატებით განხორციელდა პორტუგალიაში. სადაც ტურიზმის სფეროს პრიორიტეტ·ულ პროექტებს მთლიანი ღირებულების 60%-მდე ოდენობის სესხები ეძლეოდათ. ასეთი სესხების ხანგრძლივობა წარმოადგენდა დაახლოებით 5-დან 15 წელიწადს, ზოგჯერ ხუთ წლიანი გრეის პერიოდით, ხოლო პროცენტი კომერციულზე დაბალი იყო. პირველი რამდენიმე წლის განმავლობაში, დამატებით, ზოგჯერ პროცენტი ხელოვნ·ურად მცირდებოდა ან ავტომატურად ემატებოდა თანხას, რათა სესხის ამღებს პროცენტის რეგულარულად გადახდის საჭიროება არ ჰქონოდა.

დიდ ბრიტანეთში, მაგალითად, ინვესტორებს აძლევდნენ 20 წლიან სესხებს, რომელთა პროცენტი კომერციული სესხის პროცენტზე 3%-ით ნაკლები იყო. საჭიროების მიხედვით, ძირითადი თანხის გადახდის გადავადება აგრეთვე აღწერილი პოლიტიკის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. სხვა მაგალითების სახით შეიძლება მოყვანილ იქნას მავრიკია, რომელიც ინვესტორს საკმაოდ დაბალ პროცენტად როგორც გრძელვადიან სესხებს, ასევე აპარატურისა და შენობა-ნაგებობის გაქირავებას სთავაზობდა. ტაიტი პრიორიტეტული საინვესტიციო პროექტების მხარდაჭერის მიზნით იძლეოდა 5-დან 15-მდე პროცენტის მქონე სესხებს, რომლებიც ინვესტიციის 30-მდე პროცენტს ფარავდა. ანალოგიურად, თურქეთი სთავაზობდა ინვესტორებს საშუალო ვადის და გრძელვადიან სესხებს მთლიანი ინვესტიციის 60%-მდე ოდენობით; ესპანეთი,ინვესტიციის ტიპიდან გამომდინარე,იძლე-

ოდა 12 წლიან სესხებს (3 წლამდე გრეის პერიოდით, წლიური 13%-ით), რომლებიც საინვესტიციო პროექტის 40-60% ფარავდა.

ფინანსურ დახმარებას აგრეთვე შეიძლება პროცენტის სუბსიდირების სახე ჰქონდეს. ზოგიერთ ქვეყანაში ინვესტორს, რომელსაც აღებული ჰქონდა კომერციული სესხი, შეეძლო შეეტანა განაცხადი, რათა მთავრობას ამ სესხის პროცენტის ნაწილი დაეფარა. ასეთი ტიპის სუბსიდიები ხორციელდებოდა პორტუგალიაში და ვრცელდებოდა ისეთ პროექტებზე, რომლებშიც სესხის ოდენობა მთლიანი პროექტის ღირებულების ორ მესამედს არ აღემატებოდა. სუბსიდია, რომელიც 3,5 ან 7 წელიწადს გრძელდებოდა, როგორც წესი, ცალკეული ინვესტორებისათვის დროის განმავლობაში მცირდებოდა. ბრიტანეთის მთავრობა იძლეოდა პროცენტის სპეციალურ სუბსიდიას, რომელიც ფარავდა სხვაობას კომერციული სესხის პროცენტსა და სამთავრობო განვითარების საბჭოს მიერ გაცემული სესხის პროცენტს შორის.

ზოგიერთ ქვეყანაში გამოიყენეს ე.წ. სესხის გარანტიები. ასეთი ტიპის სამთავრობო შეღავათის არსებობისას ინვესტორს შეუძლია აიღოს სესხი კომერციული ბანკისაგან და სთხოვოს, რათა მთავრობამ სესხის დაფარვის გარანტია გასცეს. ამ შემთხვევაში ინვესტორს შეუძლია სესხის დაზღვევა სხვა სადაზღვევო ორგანიზაციების ჩაურევლად. ასეთი პრაქტიკა გამოყენებულ იქნა თურქეთში, სადაც პრიორიტეტულ ინვესტორებს ეძლეოდათ საგარანტიო წერილი, რომელიც შეიძლება გამოყენებულიყო როგორც უნაღდო საკრედიტო ხაზი.

ტურიზმის განვითარების (კერძოდ, სპეციფიკურობის ნიუანსების გათვალისწინებით) სტიმულირებისათვის ფართოდ გამოიყენება ისეთი ფორმა, როგორიცაა წილობრივი მონაწილეობა. მთავრობის წილობრივი მონაწილეობა აძლევს ინვესტორს საშუალებას, გაიჩინოს დამატებითი თანხები წილის გაცემის, და არა ვალის აღების, საშუალებით. შემდგომში ინვესტორს, დაგროვებული მოგების ხარჯზე საშუალება ექნება აღნიშნული წილი გამოისყიდოს. ასეთი ფორმის ეფექტიანობის მაგალითია მავრიკიის მთავრობის ღონისძიებები. მან შექმნა კერძო შპს, რომელიც ახალ პროექტებში წილობრივ მონაწილეობას იღებდა. ეს კომპანია, აგრეთვე, მონაწილეობდა იმ პროექტების მართვაში, სადაც სამ-

თავრობო სახსრები იყო ჩადებული, ან რომელთა სესხის გარანტირებას მთავრობა ახორციელებდა. დიდი ბრიტანეთის მთიანი რეგიონებისა და კუნძულების განვითარების საბჭო აგრეთვე იღებდა წილობრივ მონაწილეობას სხვადასხვა პროექტებში, მაგრამ საბჭოს წილი გაცემული კაპიტალის ერთ მესამედს არ აღემატებოდა.

პოლიტიკა პრინციპით „ადგილობრივი წილის გადაცვლა სამთავრობო ვალზე" 1986 წელს მექსიკის მთავრობამ განახორციელა. ეს ფორმა საშუალებას აძლევდა კვალიფიცირებულ ინვესტორს პროექტისათვის საჭირო ქონების წილი ძალზე იაფად შეეძინა, ხოლო მექსიკის მთავრობას შეემსუბუქებინა სახელმწიფო ვალი. ინვესტორი საგრძნობი ფასდაკლებით შესაბამის ბაზარზე „იძენდა" სამთავრობო სესხის შეთანხმებული ნაწილის გასტუმრების ვალდებულებას, ხოლო მექსიკის მთავრობა შემდგომში „ყიდულობდა" ვალს პესოებში ისეთ ფასად, რომელიც აღემატებოდა ინვესტორის მიერ გადახდილ თანხას, მაგრამ ამავე დროს უფრო მცირე იყო თვით სესხის ნომინალურ ღირებულებაზე. ამის შემდეგ ინვესტორს მოგებული თანხა (პესოებში) მექსიკაში ინვესტირებისათვის უნდა გამოეყენებინა. ასეთი სქემა არ აიძულებდა ინვესტორს, რათა „ახალი სესხები" შემოეტანა. ეს გეგმა საკმაოდ ეფექტურად ეხმარებოდა მექსიკის მთავრობას საგარეო ვალის დაფარვაში და ამავე დროს, ქვეყანაში ახალი ინვესტიციების ნაკადი გაიხსნა.

სამუშაო ნებართვის გაცემის ლიბერალური პოლიტიკა ეყრდნობა გამარტივებულ წესს: ყოველმხრივ დაჩქარდეს სამუშაო ნებართვის გაცემა, რათა ხელი შეეწყოს სპეციალისტთა მოზიდვას, მათ დასაქმებას, მათი ხელფასების თავისუფლად გადარიცხვას საზღვარგარეთ. მაგალითად, თურქეთში სამუშაო ნებართვის პოლიტიკა ძალზე ლიბერალურია.

პრაქტიკა ადასტურებს, რომ უცხოელი ინვესტორებისათვის განსაკუთრებით მიმზიდველია ისეთი გარემო როდესაც მოგება, კაპიტალი, პროცენტი, ვალის გასტუმრებისათვის განკუთვნილი თანხა და სხვა ტიპის სახსრები თავისუფლად მოძრაობენ ქვეყნებს შორის. მათთვის ადვილად მისაწვდომი უნდა იყოს უცხოური ვალუტა, რომელიც ინვესტორებს ხშირად საზღვარგარეთული სა-

ქონლის შესაძენად სჭირდებათ. ზოგიერთ ქვეყანას, სახელმწიფო რეზერვში უცხოური ვალუტის გარკვეული რაოდენობის შენარჩუნების მიზნით, ვალუტის გაცვლის ლიმიტირება ან სხვა სახის რეგულირება შემოაქვთ. რაც უფრო ნაკლებია ასეთი ტიპის განაწესები, მით უფრო მეტი სტიმული ექნებათ უცხოელ ბიზნესმენებს, რათა ქვეყანაში ინვესტირება მოახდინონ. ქვეყანათა უმრავლესობაში ინვესტირებული კაპიტალისა და მოგების რეპატრიაციის მხრივ არავითარი შეზღუდვა არ არსებობს. ძალზე ბევრ ქვეყანას გააჩნია საკმაოდ ლიბერალური პოლიტიკა საგარეო ვალისა და პროცენტის დაფარვასთან დაკავშირებით. თურქეთის მთავრობა იძლევა ლიკვიდაციის შემდგომი კაპიტალის რეპატრიაციის გარანტიას და აგრეთვე საშუალებას აძლევს კომპანიას, რათა შეინარჩუნოს მისი უცხოური ვალუტის ნაწილი საიმპორტო საქონლის შეძენისათვის. ვალუტის გადაცვლის სრული თავისუფლება გააჩნიათ კვალიფიცირებულ კომპანიებს სეიშელის კუნძულებზე, ნიდერლანდების, ანტალიის კუნძულებზე და აგრეთვე საქართველოშიც. ამდენად, ვალუტის გადაცვლის შეუზღუდავი რეჟიმის დაწესება ტურიზმის განვითარების სტიმულირების ერთ-ერთი აღიარებული ფორმაა.

საბაჟო გადასახადის გაუქმება პროექტის განხორციელებისათვის საჭირო იმპორტულ საქონელზე – როგორც ფორმა, ხშირად გამოიყენება. საბაჟო გადასახადის გაუქმება ისეთ საჭირო იმპორტირებულ საქონელზე, როგორიც არის სამშენებლო მასალები და ტექნიკა, განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, სადაც ადგილობრივი წარმოება საკმაოდ შეზღუდულია, საგრძნობლად ამცირებს ინვესტირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს და მნიშვნელოვანი სტიმული ხდება. მაგალითად, ტაიტიში, ისეთი პროექტები, სადაც ახალი სასტუმროების აშენებისათვის და ძველი სასტუმროების განახლებისათვის შემოტანილი ინვესტიციები მინიმუმ 15.000.000 სავალუტო ერთეულს (აშშ დოლარი) წარმოადგენდა, ან ტურიზმის ბიზნესთან დაკავშირებული ნაგებობებისა და კომპლექსების აგებისათვის შემოტანილი ინვესტიცია მინიმუმ 10.000.000 სავალუტო ერთეულს წარმოადგენდა, გაათავისუფლეს დანადგარების იმპორტის საბაჟო გადასახადიდან. გათავისუფლების ანალოგიური სისტემა მუშაობდა აგრეთვე მავრიკიაში,

ხოლო სეიშელის კუნძულებზე ზოგიერთი კვალიფიცირებული საწარმო სამუდამოდ თაეისუფლდება აღწერილი გადასახადისაგან. მსგავსი სისტემა მუშაობდა ირლანდიის რესპუბლიკაშიც.

პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება გადასახადის შემცირების მეთოდი. აღიარებულია, რომ ტურიზმის განვითარების ძლიერი სტრატეგიები, როგორც წესი, გადასახადთა შემცირების ამა თუ იმ ფორმას შეიცავს. მაგალითად, *შემცირებული გადასახადი*. მავრიკიაში ზოგიერთ პერსპექტიულ ფირმას საშუალება აქვს, შეუზღუდავი დროის განმავლობაში შემცირებული გადასახადი გადაიხადოს. მსგავსი სისტემა მუშაობდა იუგოსლავიაში ზოგიერთი უცხოელი ინვესტორისათვის. აგრეთვე, ირლანდიამ მოახერხა უცხოური ინვესტიციების სწრაფი მოზიდვა და ქვეყანაში მწარმოებელ და მომსახურების სფეროში მყოფი ბიზნესების რაოდენობის საგრძნობი გაზრდა კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის 10%-მდე დაწევის ხარჯზე. რუმინეთმაც იგივე განახორციელა და შედეგად ინვესტირების 6.600 ახალი ნაკადი მიიღო.

მეტად საინტერესოა პორტუგალიაში გამოყენებული მეთოდი: *გადასახადთა შემცირება, როდგორც უმუშევრობის შემცირების შედეგი*. ქვეყანაში უმუშევრობასთან ბრძოლის გასააქტიურებლად პორტუგალია ამცირებდა ფირმების მიერ გადასახდელ თანხას ამ ფირმების მიერ დაქირავებული ახალი თანამშრომლების ორმაგი ხელფასის ოდენობით. აგრეთვე, ფირმებს არ უნდა გადაეხადათ სოციალური დაზღვევის გადასახადი 16-30 წლის ასაკის ახალ თანამშრომლებზე (რომლთაც ადრე არ ჰქონდათ ნამუშევარი) პირველი ორი წლის განმავლობაში. ესპანეთში სოცდაზღვევის გადასახადი 50%-ით შეამცირეს, ხოლო მექსიკაში გარკვეული ტიპის ტაქს-კრედიტი კომპანიის მიერ დაქირავებული თანამშრომლის ოდენობაზე პირდაპირ იყო დამოკიდებული.

ზოგიერთ ქვეყანაში გამოიყენება *დაჩქარებული ამორტიზაციის მეთოდი*. დაჩქარებული ამორტიზაცია საშუალებას აძლევს პრიორიტეტულ ბიზნესს, სხვა ორგანიზაციებთან შედარებით უფრო მალე ჩამოწეროს ძირითადი საშუალებების ღირებულება. ამის შედეგად ამ ფირმების დასაბეგრი სახსრების რაოდენობა, და შესაბამისად გადასახდელი თანხაც, მცირდება. მა-

გალითად, თურქეთში ზოგიერთი ფირმისათვის 50%-მდე ძირითადი საშუალებების დაჩქარებული ამორტიზება იყო შემოღებული, ხოლო მავრიკიაში სასტუმროებისათვის სამშენებლო დანახარჯთა 20%-მდე სახსრების დაჩქარებულად ჩამოწერა იყო შესაძლებელი.

ფართოდ გამოიყენება *დანამატი ძირითადი საშუალებების ამორტიზაციაზე.* ცნობილია, რომ არსებობს ძირითადი საშუალებების ამორტიზაციაზე დანამატის ორი სახე. ორივე დანამატი გადასახადის შემცირებას განაპირობებს. არსებობს პირველადი დანამატი, რომელიც პირველ წელიწადს იწერება და შემდგომი დანამატი, რომელიც ყოველ მომდევნო წელიწადს ფარავს. მაგალითად, სეიშელის კუნძულებზე სასტუმროს მშენებლობისა და განახლების ღირებულებაზე შემოღებული იყო ძირითადი საშუალებების ამორტიზაციაზე 20% დანამატი პირველ წელიწადს და 10% დანამატი ყოველ მომდევნო წელიწადს. მავრიკიაში მსგავსი დანამატი შენობების ღირებულებაზე იყო 30% და 5%. ირლანდიაში ეს ხელშემწყობი პროგრამა უძრავი ქონების გამქირავებელ იურიდიულ და ფიზიკურ პირებზეც ვრცელდებოდა.

პორტუგალიაში სამწლიანი პერიოდის განმავლობაში არ იბეგრებოდა კომპანიაში ინვესტირებული მოგება იმ პირობით, თუ ეს მოგება სამი წლის ვადაში იქნებოდა რეინვესტირებული. ეს ფორმა პრაქტიკაში დაფიქსირდა, როგორც *გადასახადის დაკლება ხელახლა ინვესტირებულ მოგებაზე.*

თურქეთში განახორციელეს *გადასახადის დაკლება უცხოურ ვალუტაში მოგებაზე,* რაც იმაში გამოიხატა, რომ არ იბეგრებოდა უცხოურ ვალუტაში მიღებული მოგების 20%.

*ტაქს-კრედიტი* – ერთ-ერთი მიმზიდველი ფორმა წარმატებით გამოიყენეს მავრიკიაში. იურიდიული ან კერძო პირი, რომელიც ტურიზმის ინდუსტრიაში მომუშავე საწარმოს აქციებს ყიდულობდა, სამი წლის განმავლობაში ამ აქციებში ინვესტირებაზე 30%-ის ოდენობის ტაქს-კრედიტს იღებდა. მექსიკაში კორპორატიულ ტაქს-კრედიტებს ექვემდებარებოდა ქვეყნის გარკვეულ რეგიონებში განხორციელებული ინვესტიციები.

თურქეთში სხვა ფორმებთან ერთად ფართოდ გამოიყენეს *გა-*

*დასახადის დაკლება უძრავ ქონებაზე.* მაგალითად, ადგილმდე-ბარეობიდან გამომდინარე, კომპანიები ხუთი წლის განმავლობაში არ იბეგრებოდა უძრავ ქონებაზე.

მავრიკიაში გახსნილი ახალი კომპანიები პირველი ათი წლის განმავლობაში დივიდენდებზე არ იბეგრებოდა. იგივე პოლიტიკა ტარდებოდა რუმინეთში და ირლანდიის რესპუბლიკაში, რომლებიც 15 წლის განმავლობაში ეკონომიკურად ევროპის ძლიერ სახელმწიფოებად იქცნენ. ეს ფორმა დაფიქსირდა, როგორც *გადასახადის გაუქმება დივიდენდებზე.*

ბევრ ქვეყანაში გამოიყენება *მთავრობის მიერ მომსახურების სუბსიდირების პრაქტიკა.* მაგალითად, თურქეთში მთავრობის მიერ კომუნალური მომსახურების სუბსიდირების შედეგად ტურიზმთან დაკავშირებული კომპანიები ელექტროენერგიას, წყალს და ბუნებრივ აირს დაბალ ფასებში იღებენ.

ბევრ ქვეყანაში შექმნეს ინვესტორთა დახმარების ორგანიზაციები. მაგალითად, თურქეთმა ჩამოაყალიბა სპეციალური ორგანიზაცია ინვესტორთა მხარდასაჭერად. ეს ორგანიზაცია ექვემდებარებოდა სახელმწიფო დაგეგმვის აპარატს და ახორციელებდა შემდეგ ფუნქციებს: ეხმარებოდა პოტენციურ ინვესტორებს ინფორმაციის მიწოდებით; იღებდა და განიხილავდა უცხოელ ინვესტორთა განცხადებებს; განიხილავდა და ამტკიცებდა სალიცენზიო და სამენეჯმენტო შეთანხმებებს; განიხილავდა და ამტკიცებდა ერთობლივ საწარმოების საინვესტიციო კრედიტს; განიხილავდა და ამტკიცებდა სამუშაო ნებართვას უცხოელებისათვის; მონაწილეობდა ინვესტიციების დაცვის ორმხრივი შეთანხმებების შედგენაში.

იუგოსლავიაში დაფუძნდა „იუგოსლავიის საერთაშორისო ინვესტირების კორპორაცია" (ისიკ). იგი შემდეგ ფუნქციებს ასრულებდა: აგროვებდა ინფორმაციას იუგოსლავიაში ინვესტირების შესაძლებლობების თაობაზე; ეხმარებოდა ადგილობრივ და უცხოურ კომპანიებს ერთობლივი საწარმოს შესაქმნელად; ბიზნეს-პარტნიორის მოძებნაში; აწარმოებდა კონსულტაციებს ერთობლივი პროექტების თაობაზე; ამზადებდა განხორციელებადობის ანალიზს და აწყობდა კონსულტაციებს, ერთობლივი საწარმოების კონტრაქტის შედგენაზე; ახდენდა რესურსების ალოკაციას

თავისი ბანკირებისა და აქციის მფლობელების მეშვეობით; ახდენდა ინვესტირებას და სესხის გაცემას.

დიდი ბრიტანეთის მთავრობამ ვაჭრობისა და მრეწველობის დეპარტამენტის ეგიდით ბრიტანეთში შექმნა ინვესტირების ბიურო. ამის მიზანი ბრიტანეთში უცხოური კომპანიების მოზიდვა და ამ კომპანიებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა იყო. ქვეყანაში მსგავსი ტიპის სხვა ორგანიზაციებიც შეიქმნა. მაგალითად, 1965 წელს შოტლანდიის მთიანი რეგიონებისა და კუნძულების ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, შეიქმნა მთიანი რეგიონებისა და კუნძულების განვითარების საბჭო (მრკგს). აღნიშნულ საბჭოს ფართო ძალაუფლება და საკმაოდ დიდი ფინანსური რესურსები მიენიჭა. მრკგს ტურიზმის და სხვა სფეროებში მომუშავე ორგანიზაციებს როგორც ფინანსურ, ასევე ინფორმაციულ დახმარებას უწევდა.

როგორც ზემოთ მოტანილი მაგალითებიდან ჩანს, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა სისტემური ხასიათისაა და, არსებითად, დამოკიდებულია როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური და ორგანიზაციული ფაქტორების გამოყენების ფორმაზე, მექანიზმებზე, ქვეყნის ეკონომიკის განვითარების თავისებურებებზე.

# თავი მესამე

# ტურიზმის განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი და მისი რეალიზაციის ძირითადი მიმართულებები

## საქართველოში ტურიზმის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების ანალიზი და სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბების კონცეპტუალური და ორგანიზაციული საკითხები

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ეროვნული კონცეფციისა და სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანია შესწავლილ იქნას ძირითადი ფაქტორები, რომელიც ხელს უშლის ტურიზმის განვითარებას.

ასეთი მიდგომა ემყარება იმ მოსაზრებას (ან ფაქტს), რომ ტურიზმი წარმოადგენს ეკონომიკის ისეთ დარგს, რომელიც აწარმოებს საქონელს და ცდილობს მისი მომხმარებლის მოპოვებას. აქედან გამომდინარე, განხორციელებული ანალიზი საფუძველს გვაძლევს განისაზღვროს საქონლის ტიპი, ხარისხი და მოცულობა, აგრეთვე მათი რეალიზაციის მეთოდები და შესაბამისი ბაზრები.

დღეისათვის საქართველოში ტურიზმისა და კურორტების დარგის წინაშე არსებული პრობლემები პირობითად შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად, რომელთაგან თითოეულში რამდენიმე ქვეჯგუფი გამოიყოფა. სქემატურად ეს გამოსახულია № 1 სურათზე.

*ყურადღებას იმსახურებს ტურისტულ პროდუქტთან დაკავშირებული ასპექტები, პირველ რიგში, ტურისტული პროდუქტის შემღუდული სპექტრი.* საქართველოში ტურიზმის გარდაქმნამ, რომელიც 90-იან წლებში განხორციელდა, გამოიწვია ტურისტული

პროდუქტისა და ბაზრების მკვეთრი გაყოფა. მიუხედავად იმისა, რომ მოხდა საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლა, შიდა (ან ადგილობრივი) ტურიზმი დიდად არ შეცვლილა. ამ სფეროში დომინირებს სამი ტურისტული პროდუქტი:

ზაფხულის დასვენება (ან დასვენება ზაფხულის სეზონზე) შავი ზღვის სანაპიროსა და მთის კლიმატურ კურორტებზე (ბათუმი, ქობულეთი, ჩაქვი, ურეკი, გრიგოლეთი, მალთაყვა, ბახმარო, ბორჯომი, ბაკურიანი, სურამი და ა.შ.);

ზამთრის დასვენება (ან დასვენება ზამთრის სეზონზე) ძირითადად ბაკურიანსა და გუდაურში;

სამკურნალო ტურიზმი კლიმატურ და ბალნეოლოგიური კურორტებზე (თუმცა ამ სახის ტურიზმის მასშტაბები შემცირებულია), რაც ძირითადად, განპირობებულია შემდეგი მიზეზებით: ამ სახის პროდუქტის მომხმარებელთა გადახდისუნარიანობის დაბალი დონე, სოციალური და დაზღვევის სახელმწიფო პროგრამების არარსებობა, საუკეთესო საკურორტო ობიექტების უმრავ-

სურათი 1.



ლესობაში დევნილთა განსახლება და ა.შ.);

**საერთაშორისო ტურისტული ბაზრებისათვის კი ძირითადად ხდება ე.წ. „აღმოჩენითი ტურიზმის „discovery tourism" შეთავაზება.**

როგორც წესი, ეს მარშრუტები ფარავს საქართველოს ტერიტორიის უმეტეს ნაწილს, მოიცავს ბუნებისა და ისტორიული ძეგლების გაცნობასა და უმეტეს შემთხვევაში, ხორციელდება აზერბაიჯანისა და სომხეთის ანალოგიურ პროგრამებთან ერთად. ამ ტურების მსგავსად წარმოდგენილია ლაშქრობები, სამთო ტურიზმი, ეკოლოგიური და ბუნებისგაცნობითი ტურები და მარშრუტები სპეციალური თემატიკის მიხედვით. აქედან გამომდინარე, უცხოელ მომხმარებლებზე ორიენტირებულია პრაქტიკულად მხოლოდ ერთი ტიპის ტურისტული პროდუქტი. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ტურისტული პროდუქტი მეტად მიმზიდველია, გათვლილია მაღალ შემოსავლიან კლიენტურაზე და ამის გამო მნიშვნელოვან ყურადღებას იმსახურებს ყველა ტურისტულ პროგრამაში, იგი მთლიანი ტურისტული მოთხოვნის მხოლოდ ერთ სეგმენტს მოიცავს. ამდენად, ამ ტიპის ტურისტთა რაოდენობა შედარებით მცირეა (ან შედარებით შეზღუდულია), რაც საერთაშორისო ბრუნვის სიმცირეს განაპირობებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ტიპის ტურიზმი საქართველოში ძირითადად ჯგუფურად, ანუ, ორგანიზებული სახით ხორციელდება. უსაფრთხოების პრობლემების, ტრანსპორტსა და კომუნიკაციებთან დაკავშირებული სირთულეების და სხვა მიზეზთა გამო, ინდივიდუალური ტურიზმი, რომელიც ასეთ ტურისტულ პროდუქტს მოიხმარს, სუსტადაა განვითარებული. ამის გამო იკარგება აღმოჩენითი ტურიზმის ბაზრის მნიშვნელოვანი სეგმენტი.

ამ ტიპის პროდუქტი დღეს საქართველოში წარმოდგენილია მრავალი სახით და ფაქტობრივად მისი პოტენციალი სრულადაა გამოყენებული. ამჟამად ყურადღება უნდა გამახვილდეს ამ სეგმენტში ტურისტთა რაოდენობის ზრდაზე. ამასთან, საჭიროა პროდუქტის დივერსიფიკაცია, რათა მან მოიცვას მომხმარებელთა სხვა მიზნობრივი ჯგუფები.

*ხარისხთან დაკავშირებული პრობლემები.* ტურისტული მარშრუტების მიმზიდველობის შეფასების დროს ხარისხის ფაქტორი

საკვანძო კრიტერიუმს წარმოადგენს.

საქართველოს ტურისტული მარშრუტების ხარისხის გაუმჯობესება მრავალი პრობლემის გადაჭრასთანაა დაკავშირებული. კვლევის ამ ნაწილში ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვან ხარვეზებზე:

ა) ტრანსპორტირება ქვეყნის შიგნით.

სახმელეთო ტრანსპორტი მოუხერხებელია და მგზავრობას დიდი დრო მიაქვს გზების ცუდი ხარისხის გამო. არ არსებობს შიდა საჰაერო რეისები.

ბ) ტურისტული ღირსშესანიშნაობები და სანახაობები ძნელად ხელმისაწვდომია.

ამას განაპირობებს გზების (განსაკუთრებით მუნიციპალურ დაქვემდებარებაში არსებული) ცუდი მდგომარეობა, საგზაო ნიშნების არარსებობა ან მათი დაბალი ხარისხი.

გ) რეგიონებში ტურისტთა განთავსების საშუალებების დაბალი ხარისხი.

თბილისს გარეთ, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, თითქმის არ არსებობს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ტურისტთა განთავსების საშუალებები. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ორ-სამ წელიწადში რეგიონებში შეიქმნა კერძო სასტუმროების გარკვეული რაოდენობა, მათი მასშტაბები და ხარისხი ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას, ხოლო ადრე არსებული ტურისტული და საკურორტო ობიექტების უდიდესი ნაწილი ან დაკავებულია დევნილების მიერ, ან, მათი სტანდარტები გათვლილია მხოლოდ იაფფასიან მომხმარებლებზე და საერთაშორისო ტურიზმისთვის პრაქტიკულად გამოუსადეგარია. განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა ამ მხრივ სვანეთში, თუშეთსა და კახეთში.

დ) ტურისტული ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტების დაბალი ხარისხი.

თუნდაც, ცენტრალური მაგისტრალების გასწვრივ (დიდი აბრეშუმის გზა და ტრასეკა) თითქმის არ არსებობს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ტურისტული და სხვა ინფრასტრუქტურის ობიექტები (ტურისტების მოსაცდელი ადგილები, ავტოსერვისის, ვაჭრობისა და საგზაო ობიექტები, საზოგადოებ-

რივი ტუალეტები და სხვა). ასეთი ინფრასტრუქტურა საერთოდ არ არსებობს ისტორიული და არქიტექტურული ძეგლების და სხვა ტურისტული ღირსშესანიშნაობების გარშემო.

ე) ფასი/ხარისხის დაბალი კოეფიციენტი

თბილისში სასტუმრო ნომრების ფასი საკმაოდ მაღალია, თუმცა უკანასკნელ წლებში ახალი სასტუმროების მშენებლობის პარალელურად ფასები მცირდება. „მერიოტის" ორი ახალი სასტუმროს ექსპლუატაციაში შესვლა კიდევ უფრო გაზრდის კონკურენციას, რაც მოსალოდნელია, რომ გამოიწვევს ფასების შემდგომ დაწევას.

თბილისს გარეთ ფასები შედარებით დაბალია, მაგრამ, ფასი/ხარისხის კოეფიციენტი ამის გამო უკეთესი არ არის.

ტურისტებისათვის ეს ფასები ძნელად მისაღებია, არა მხოლოდ აბსოლუტური მაჩვენებლების, არამედ (უფრო მეტად), არსებული მომსახურების ხარისხისა და ფასების შეუსაბამობის გამო.

ვ) ტურიზმის დარგში კომპეტენტური პერსონალის ნაკლებობა

ტურისტული ნაკადებისა და სასტუმროების რიცხვის ზრდასთან ერთად იზრდება მოთხოვნა კომპეტენტურ პერსონალზე.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოში არსებული უმაღლესი სასწავლებლების უმეტესობა ამზადებს ტურიზმის სპეციალისტებს უმაღლესი განათლებით, ჩვენს ქვეყანაში, ისევე როგორც სამხრეთ კავკასიაში დღეისათვის არ არსებობს ტურიზმის პროფესიათა სკოლა, რომელიც ორიენტირებული იქნება საშუალო და დაბალი პერსონალის მომზადებაზე. არადა, ამ რანგის პერსონალზე მოთხოვნა, გაცილებით აჭარბებს უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებზე მოთხოვნას.

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში სასტუმროებისა და სხვა ტურისტული ორგანიზაციების მუშაკთა ტრეინინგი ძირითადად შემოიფარგლებოდა სამუშაო ადგილზე ტრენინგით, რამაც გამოიწვია პროფესიონალური კადრების ნაკლებობა, (მცირე გამონაკლისის გარდა, როდესაც უკანასკნელ ორ წელიწადში დეპარტამენტის ძალისხმევით და საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით შესაძლებელი გახდა საზღვარგარეთ სპეციალისტთა სტაჟირება).

8) ენობრივი ბარიერი

ინგლისური ენის ძალიან კარგი, ან კარგი ცოდნით გამოირჩევა მხოლოდ რამდენიმე სასტუმროსა და ტურისტული სააგენტოს პერსონალი; სხვა სასტუმროებისა და რესტორნების უმეტესობაში, რომ აღარაფერი ვთქვათ მაღაზიებსა და სხვა საევაჭრო დაწესებულებებზე, უცხოელებისთვის რთულია კომუნიკაცია. საგზაო ნიშნების მხოლოდ მთავარი წარწერებია ინგლისურ ენაზე, დანარჩენ გზის ნიშნებზე წარწერები ქართულ ენაზეა.

*უსაფრთხოების პრობლემები.* ჩამოსული ტურისტების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდის ძირითად ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს არსებული უსაფრთხოების პრობლემები.

ა) კავკასიის რეგიონის არასტაბილურობა – მოგზაურობის დამაბრკოლებელ ფაქტორად გვევლინება, ზოგადად, კავკასიის რეგიონში არსებული არასტაბილური გარემო, განსაკუთრებით კი საქართველოსა და რუსეთის სასაზღვრო რაიონებში შექმნილი უსაფრთხოების პრობლემები.

ბ) ქვეყანაში არსებული კრიმინოგენული ფონი – მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს თავდასხმები და ინციდენტები, რომელთაც ადგილი აქვთ, როგორც უცხოელ მოქალაქეებთან და ტურისტებთან, ასევე ადგილობრივ მაცხოვრებლებთან მიმართებაში.

ასევე, არ არსებობს ამ ინციდენტებთან და ზოგადად უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული საკმარისი და დამაჯერებელი საჯარო ინფორმაცია.

გარდა ამისა, დაბალია პირველადი დახმარების გაწევის ოპერატიულობის ხარისხი და ეფექტური სამაშველო ძალა, რაც მნიშვნელოვნად უშლის ხელს უცხოელ ტურისტებს, უსაფრთხოდ იგრძნონ თავი.

გ) გზებზე ჭარბი კონტროლი – გამოუცდელობისა და კომუნიკაციებთან დაკავშირებული პრობლემების გამო, უცხოელ ტურისტებს უჭირთ საგზაო პატრულთან ურთიერთობა. ეს ფაქტი მნიშვნელოვან შემაფერხებელ გარემოებას წარმოადგენს, განსაკუთრებით, ინდივიდუალური ტურიზმისათვის. გარდა ამისა, გზებზე არსებული ჭარბი კონტროლი ამძაფრებს უსაფრთხოების პრობლემას და ხელს უშლის კორუფციასთან ბრძოლას.

*რეგიონებში ტურისტთა განთავსების საშუალებების არასაკმარისი და სეზონური სიმძლავრეები.* არც ერთი ქვეყნის ტურისტული და საკურორტო ინფრასტრუქტურა არ დაზარალებულა ისე, როგორც ეს მოხდა საქართველოში.

რეგიონული კონფლიქტების შედეგად საქართველომ მიიღო 300 ათასი იძულებით გადაადგილებული პირი. ქვეყანას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა და ხელისუფლება იძულებული გახდა, ისინი განეთავსებინა სასტუმროებში, სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში და ა.შ., რითაც მოხდა ტურიზმისა და კურორტების დარგის ინფრასტრუქტურის სრული პარალიზება.

ყოველივე ამის გამო, დღეისათვის ადგილი აქვს ტურისტთა განთავსების ადგილების უკმარისობას (განსაკუთრებით რეგიონებში). ეს დეფიციტი კი მნიშვნელოვნად მწვავდება ტურისტულ-საკურორტო სეზონის პერიოდში.

შიდა ტურიზმისთვის პიკური სეზონებია ივლისი-აგვისტო და იანვარ-თებერვალი. ამ შემთხვევაში, იქიდან გამომდინარე, რომ მოთხოვნა წლების განმავლობაში ტრადიციულია და ძირითადად ერთი და იგივე კურორტებზე მოდის (შავი ზღვის სანაპირო ზოლი, ბორჯომი, ბაკურიანი, გუდაური და ა.შ.), სიმძლავრეები მეტნაკლებად მოთხოვნის ადექვატურია. თუმცა მათი ნაკლებობა მაინც იგრძნობა, განსაკუთრებით ეს ეხება კომფორტაბელურ და ლუქსის ტიპის განთავსების ადგილებს.

გაცილებით რთული მდგომარეობაა საერთაშორისო ტურიზმის თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში, პიკური სეზონია მაის-ივნისი და სექტემბერ-ოქტომბერი. ალმოჩენითი ტურიზმისათვის დაგეგმილი მარშრუტი არ ემთხვევა შიდა ტურიზმის მოთხოვნას. ამ ეტაპზე ტურიზმის ეს ორი მიმართულება იმდენად გაყოფილია, რომ მათი შერწყმა ძალზე ძნელია. ამიტომ, საერთაშორისო ტურისტული ჯგუფების განთავსება, ხშირად აუცილებელი ხდება ისეთ ადგილებში, სადაც სასტუმროები და სასტუმრო სახლები არ არსებობს. ამ შემთხვევაში ტურისტებს კერძო ბინებში ათავსებენ (მაგ. სვანეთი და თუშეთი). თუ დღეს ტურების კარგი ორგანიზებულობა და მუშაობის კოორდინირება იძლევა საშუალებას კონფლიქტი ტუროპერატორებს შორის აცილებულ იქნას, ალმოჩენითი ტურიზმის ბაზრის ზრდა და ტურისტთა რაოდენობის მომატე-

ბა აუცილებლად მოითხოვს რეგიონებში განთავსების ადგილების ზრდას.

*ინვესტიციების ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორები.* 1994-97 წლებში ტურიზმისა და კურორტების სექტორში განხორციელდა ტოტალური პრივატიზაცია. ამ პერიოდში ინვესტიციების ოდენობა შედარებით მცირე იყო და მოხმარდა სახელმწიფოსაგან ტურისტული და საკურორტო ობიექტების გამოსყიდვას.

1999 წლიდან საქართველოში აქტიურად დაიწყო ინვესტირება ტურიზმის სექტორში. აშენდა ასობით სასტუმრო, რესტორნები, ღამის კლუბები, გასართობი საშუალებები, რაც უდავოდ, ხელს უწყობს ტურიზმის ახალი ინფრასტრუქტურის შექმნასა და განვითარებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თუ გავითვალისწინებთ მოთხოვნას, ტურისტთა განთავსების საშუალებების სიმძლავრეების ნაკლებობას (განსაკუთრებით რეგიონებში) და არსებული სიმძლავრეების რენოვაციის აუცილებლობას, ტურიზმის სექტორისთვის ინვესტიციების ოდენობა გაცილებით მეტია საჭირო.

ინვესტიციების მოზიდვისთვის, გარდა იმისა, რომ ქვეყანაში არ არის შექმნილი ინვესტიციების წამახალისებელი გარემო, ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორებია:

ა) ინფრასტრუქტურის ხარჯები. იმის გამო, რომ სახელმწიფო ვერ ახერხებს ზოგად ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას, ინვესტიციების ოდენობა იზრდება ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე გაწეული ხარჯების გამო (გზების, წყალმომარაგების, ელექტრომომარაგების, კანალიზაციის სისტემების მოწესრიგება, მაშინ როდესაც ამ საკითხების გადაწყვეტა კერძო ინვესტორის პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს.)

ბ) ბიზნესის პროგნოზირების სირთულე. მსოფლიო ბაზარზე საქართველო შედარებით ახალი ობიექტია და ჯერ-ჯერობით არ არის სათანადოდ დამკვიდრებული; ბაზრის პარამეტრები (მოთხოვნის ზრდა, მოთხოვნის ტიპები, ობიექტები) არ არის ჯერ სტაბილური და ზუსტად გათვლადი. ამის გამო ბიზნესის პროგნოზი აშკარა რისკთან არის დაკავშირებული.

გ) საჭირო ინვესტიციების დიდი ოდენობა.

საქართველოს მცირე ბაზარს, რომელსაც არ გააჩნია საკუთარი საკმარისი კაპიტალი ცალკეული ინვესტიციების განსახორ-

ციელებლად, ესაჭიროება შედარებით დიდი მოცულობის კაპიტალი. თუმცა, უცხოელი ინვესტორები ხშირ შემთხვევაში თავს იკავებენ საქართველოში ინვესტიციების განხორციელებისგან, პოლიტიკური მდგომარეობის, რეგიონული არასტაბილურობისა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ზედმეტი რისკის გამო.

დ) ტურიზმში განხორციელებული ინვესტიციების დიდი მოცულობის გამო, ხანგრძლივია მათი ამოგების პროცესი.

ე) გრძელვადიანი და შეღავათიანი კრედიტების არარსებობა.

პროექტებისთვის დაფინანსების მოპოვება რთულია, ხოლო დაფინანსებაზე გაწეული ხარჯები მაღალი. ქართული ბანკების მიერ დაწესებული საპროცენტო განაკვეთები (14% და მეტი), ასევე, კრედიტის დაფარვის მოკლე პერიოდი (2-4 წელი) საინვესტიციო საქმიანობას ზღუდავს მხოლოდ სწრაფად მომგებიანი და მცირე მასშტაბის პროექტებით. კომერციული ბანკების მიერ რისკის შეფასების კრიტერიუმები იმდენად მკაცრია, რომ დამწყები ბიზნესმენისათვის, პრაქტიკულად, შეუძლებელია კრედიტის მიღება.

ვ) საგადასახადო სისტემის სირთულე

ზოგადად საგადასახადო სისტემა არ არის გამჭირვალე, იგი რთულია და მოიცავს დიდი რაოდენობით სხვადასხვა ტიპის გადასახადებს. მაგ. არარეზიდენტთა შემოსავლების დაბეგვრა გადასახადის წყაროსთან (საგადასახადო კოდექსის 64-ე მუხლი). ამ გადასახადის გამო 10%-ით იზრდება უცხოეთიდან შემოსული კრედიტების სიდიდე, რადგან, ბანკისგან აღებულ სესხს, ემატება ბეგარა ინვესტირებული თანხის საბანკო პროცენტზე.

ზ) ყოველდღიური პრობლემები და კორუფცია.

ადმინისტრაციული პროცედურები მრავალი, რთული და გაუმჭირვალეა.

თ) სამართლებრივი სისტემის მხრიდან დაუცველობის შიში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობით დეკლარირებულია ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორების ერთნაირი უფლებები, არის შემთხვევები, როდესაც ეს უკანასკნელი სამართლებრივი დავის წარმოშობისას დაუცველად გრძნობენ თავს.

ი) უცხოური ინვესტიციების არასაკმარისი რეკლამა.

შესაბამისი უწყებებისა და სამსახურების მიერ არ ხდება უცხოეთში ტურიზმის სექტორისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება, საქართველოში ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით.

*ბიზნესის წარმართვასთან დაკავშირებული პრობლემები.* საქართველოში ტურიზმის სფეროში მოქმედი კერძო ორგანიზაციების უმრავლესობა ჩართულია სასტუმრო ბიზნესში, ხოლო ნაწილი კი ტურების ოპერირებასა და ტურისტული მომსახურების სხვადასხვა სფეროში (მაგ. ავიაბილეთების სერვისი, მოგზაურობის ორგანიზება, საექსკურსიო საქმიანობა და სხვა.).

მცირე გამონაკლისის გარდა, ამ სექტორში მცირე ზომის კომპანიები მუშაობენ, რის გამოც ისინი ბიზნესის რთულ გარემოში ხშირად დაუცველნი არიან. ამიტომ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ბიზნესის ოპერირებასთან დაკავშირებულ სირთულეებს.

მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია:

ა) მაღალი მარკეტინგული ხარჯები

შიდა თუ საერთაშორისო ბაზრების კვლევა, უცხოეთში ტურისტული პროდუქტის რეკლამირება მცირე ზომის კომპანიებისთვის მაღალ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ტურიზმის სახელმწიფო უწყების მუდმივი დაუფინანსებლობის გამო, არ ხდება ამ პრობლემის ეროვნულ დონეზე გადაწყვეტა, ხოლო, კერძო სექტორს არ შესწევს ძალა დამოუკიდებლად გადაჭრას აღნიშნული ამოცანა.

ბ) სერტიფიცირების არსებული პროცედურა ვერ იცავს მომხმარებელს.

მესამე პირების, ანუ, კერძო სასერტიფიკაციო ორგანოების მიერ შესაბამისობის სერტიფიკატების გაცემის პროცედურა არაგამჭირვალეა და არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს მომხმარებელთა უფლებების დაცვას.

გ) ბაზრის შესახებ არასაკმარისი ინფორმაცია.

ბაზრის შესახებ ინფორმაცია საჭიროა არა მხოლოდ მომხმარებლისთვის, არამედ, ტუროპერატორებისა და სასტუმროს მფლობელებისთვისაც, რათა მათ გააუმჯობესონ სერვისი და შეუსაბამონ იგი ბაზრის მოთხოვნებს.

ეს გულისხმობს ყოველისმომცველ, ანალიტიკურ ინფორმაციას ფასების, შეთავაზებული მომსახურების, ტურისტების რაოდენო-

ბის, მათ მიერ ქვეყანაში ყოფნის ხანგრძლივობისა და სხვა საოპერაციო მაჩვენებლების შესახებ.

ასეთი ინფორმაცია ფრაგმენტული და ძნელად ხელმისაწვდომია.

დ) კონკურენციის დაბალი დონე

ტურიზმში დასაქმებული კერძო სექტორი ახლა იდგამს ფეხს და ჯერ კიდევ მცირერიცხოვანია. ამდენად, კონკურენცია, რომელიც ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია ხარისხის უზრუნველყოფისა, დღეს საქართველოში საკმაოდ დაბალია.

ამ პრობლემის მოსაგვარებლად, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის რეკომენდაციების თანახმად, „შესაძლებელია ტურიზმის განვითარების სახელმწიფო კორპორაციის შექმნა“ (მაგალითად, სახელმწიფო აქციონერული საზოგადოება – „საქართველოს ტურიზმის ეროვნული კომპანია“). ასეთი ორგანიზაციები მოქმედებენ როგორც დამოუკიდებელი კომპანიები, მაგრამ, სახელმწიფო კონტროლის ქვეშ. მათ შეუძლიათ ერთგვარი ლოკომოტივისა და მასტიმულირებელი როლის შესრულება კერძო სექტორთან მიმართებაში ქვეყანაში კონკურენციის გაზრდის თვალსაზრისით. როდესაც კერძო სექტორი საკმარისად ვითარდება, ხდება ასეთი სახელმწიფო კორპორაციის ფონდების თანდათანობითი პრივატიზება.

ე) არაჯანსაღი კონკურენცია.

„ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ქვეყანაში უცხოელი ტურისტების შემოყვანა განიხილება, როგორც საქონლის ექსპორტი. აქედან გამომდინარე, ტურისტების ორგანიზებული შემოყვანა განთავისუფლებული უნდა იყოს დღგ-ს გადასახადისგან, რაც საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული არ არის. ამის გამო ქართველი ტუროპერატორების მიერ შეთავაზებული პროდუქტი არაკონკურენტუნარიანი ხდება.

ამას ემატება არამყარი, არასისტემური, რთული და რიგ შემთხვევაში კორუმპირებული საგადასახადო სისტემა, რაც იწვევს ტურისტული კომპანიების არათანაბარ დაბეგვრას და ხდება მიზეზი „არაჯანსაღი“, „არასამართლიანი“ კონკურენციისა.

ვ) სეზონურობა

ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა შავი ზღვის სანაპირო ზოლში განლაგებული კურორტებისთვის, სადაც დატვირთვა მხოლოდ ზაფხულის თვეებზე მოდის. იგი აქტუალურია მაღალმთიანი კურორტებისა და სამთო-სათხილამურო ცენტრებისთვისაც, თუმცა შედარებით ნაკლებად, რადგან მაგალითად, ბორჯომისა და ბაკურიანისათვის სეზონი უფრო ხანგრძლივია და ორივე პერიოდს, ზაფხულსა და ზამთარსაც მოიცავს. ასეთი პრობლემის გადალახვა შედარებით ადვილია მცირე ზომის სასტუმრო სახლებისათვის, სასტუმროებისა და საკურორტო ობიექტებისათვის კი უფრო მტკივნეული და ძვირადღირებული პროცესია.

**ზ) ტურისტთა განთავსების საშუალებების არაადეკვატური ზომა, კომფორტი და მაღალი საოპერაციო ხარჯები.**

პაკეტური ტურებით შემოსული ტურისტების რაოდენობა თითო ჯგუფში 5-დან 25 კაცამდე მერყეობს. თბილისს გარეთ არსებული სასტუმროები და სასტუმრო სახლები ამ ჯგუფებისთვის ან მცირეა, ან ზედმეტად დიდი ზომისაა. ხშირად საჭირო ხდება ჯგუფების დაყოფა, რათა მოხერხდეს მათი განთავსება. მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ შენობების ხარისხი დაბალია, არა აქვთ გათბობის სისტემები და ამიტომ ენერგომოხმარების დონე საკმაოდ მაღალია. სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალა საკმაოდ უხარისხოა, რის გამოც ხშირად ჩნდება მიმდინარე რემონტის ჩატარების საჭიროება. ეს კი მაღალ დანახარჯებთანაა დაკავშირებული და თავისთავად იწვევს ღამისთევის საფასურის გაძვირებას.

**თ) კაპიტალზე მაღალი ამონაგების მოთხოვნა.**

როგორც უკვე აღინიშნა, კომერციული ბანკები არ გასცემენ გრძელვადიან და შეღავათიან კრედიტებს. მათგან აღებული სესხები მოკლევადიანია და დიდი საპროცენტო განაკვეთით, რაც ბიზნესმენებისგან ამონაგების მაღალ ნორმას მოითხოვს. ეს კი გულისხმობს, რომ გაუთვალისწინებელი შეფერხება ან მომხმარებლის დაკარგვა სერიოზულ საფრთხეს უქმნის სესხის დაფარვას. ყოველივე ამის გამო, ბიზნესმენთა უმრავლესობა ორიენტირებულია მოკლევადიან პერსპექტივაზე და არა მომხმარებელთან სტაბილური, გრძელვადიანი ურთიერთობების დამყარებაზე.

*ახლა განვიხილოთ ტურისტული ბაზრის მოთხოვნებთან და-*

*კავშირებული ასპექტები. ტურიზმის განვითარება უშუალოდ დაკავშირებულია ტრანსპორტის განვითარების დონესთან.*

ამჟამად ჩამოსული ტურისტების, განსაკუთრებით კი პაკეტ-ტურისტების უმეტესობა საჰაერო ტრანსპორტით ჩამოდის. ტურისტისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში მთავარია დასასვენებელ ადგილებამდე მგზავრობის კომფორტაბელურობა და ფრენის გრაფიკის მოხერხებულობა.

საქართველოში ჩამოსვლა და უკან გამგზავრება კი, ამ მხრივ, რიგ პრობლემებთანაა დაკავშირებული:

**ა) არსებულ და პოტენციურ ტურისტულ ბაზრებთან დამაკავშირებელი ავიარეისები.**

უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში საქართველოსა და დასავლეთ ევროპას შორის თანდათან ჩამოყალიბდა რეგულარული ავიამარშრუტები. რეგულარული რეისებია ლონდონის, ციურიხის, ვენის, ფრანკფურტის მიმართულებით. ცოტა ხნის წინ კი დაინიშნა რეისები პარიზსა და პრაღაში. მიუხედავად ამისა, ტურისტთა უმრავლესობას უხდება თვითმფრინავების გამოცვლა, რაც ძლიერ ახანგრძლივებს ფრენის დროს. ჯგუფური ბილეთების შეძენა, როგორც წესი, ვერ უკავშირდება ერთ ავიარეისს, ან კომპანიას. იშვიათი რეისების გამო კი მგზავრობა მნიშვნელოვნად იზღუდება.

**ბ) მანძილი საერთაშორისო ტურისტულ ბაზრებამდე.**

დღევანდელი ტურისტული ბაზრები (ძირითადად დასავლეთ ევროპა) საქართველოდან ოთხი საათის საფრენ მანძილზეა. საერთო მგზავრობის დრო კი ორჯერ და მეტჯერ აღემატება მას. აშშ-ისა და აღმოსავლეთ აზიის პოტენციური ბაზრებისათვის ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლა დაკავშირებულია ხანგრძლივ ფრენასთან და საკმაოდ რთულ სამგზავრო მარშრუტებთან.

**გ) რეისების მოუხერხებელი განრიგი.**

უმეტესწილად, საჰაერო რეისები ღამის პერიოდში ან ადრე დილით სრულდება. თუ გავითვალისწინებთ დროის სარტყელების სხვაობასაც, ბუნებრივია, რომ ამგვარი განრიგი არ უწყობს ხელს მომხმარებლის მოზიდვას. გარდა ამისა, ხშირად იცვლება ფრენის განრიგი და სიხშირე.

**დ) არასაკმარისი რეგიონალური საჰაერო კავშირები.**

საქართველოს მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი საჰაერო კავშირები აქვს რუსეთსა და ევროპასთან. თუმცა, თვით სამხრეთ კავკასიის რეგიონში და ახლო აღმოსავლეთთან დამაკავშირებელი რეისების რაოდენობა ძალიან მცირეა. ეს კი იწვევს იმას, რომ ზოგიერთი პოტენციური ბაზრის ათვისება გართულებულია და ძნელდება კომბინირებული რეგიონული ტურების მოწყობა.

ე) ავიაკომპანიებს შორის არსებული კონფლიქტები.

ავიაკომპანიებს შორის რეისების ოპერირების თაობაზე არსებული დავა ხელს უშლის რეისების სიხშირის ზრდას. სააავიაციო ბაზარი დაქირავეებისთვის არ არის მოსახერხებელი და გამჭირვალე.

*მარშრუტის აღქმა.* საქართველოს, როგორც მიმზიდველ ტურისტულ ქვეყანას, ნაკლებად იცნობენ ევროპაში. ქვეყანა ჯერჯერობით არ აღიქმება, როგორც სამოგზაურო ტურისტული ობიექტი. არც საქართველო და არც მისი რომელიმე კულტურული თუ სხვა ტურისტული ღირსშესანიშნაობა ფართოდ ცნობილი არ არის. ერთადერთ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს ქვეყნის პოლიტიკური სიტუაცია და ჩვენი პრეზიდენტის პიროვნება. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს შესახებ საზოგადოების ინფორმირების დონით, ევროპის ქვეყნებს შორის არსებობს სხვაობა.

არადა, ობიექტური ინფორმაციის არსებობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს პოტენციური ტურისტების მიერ საქართველოს, როგორც, ტურისტული ქვეყნის აღქმას.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, პრობლემის კიდევ ერთი ასპექტია, ზოგადად, კავკასიის რეგიონისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან ასოცირებული არასტაბილურობისა და უსაფრთხოების საკითხები.

დასავლეთ ევროპის მომხმარებლამდე არ აღწევს დეტალური, სრული და რაც მთავარია, პოზიტიური ინფორმაცია საქართველოს შესახებ. ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ დასავლეთში ჩვენს ქვეყანას არასტაბილურობის იმიჯი ჩამოუყალიბდა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით და დადებით იმიჯთან ასო-

ცირებული ტურისტული მარშრუტების არასათანადოდ რეკლამირების პირობებში, სრულიად ბუნებრივია პოტენციური კლიენტების ქვეყანაში მოზიდვის სირთულე.

როგორც წესი, სავიზო მოთხოვნები, განიხილება ტურიზმის შემაფერხებელ ფაქტორად, რადგანაც ამ შემთხვევაში თითქმის წარმოუდგენელია სპონტანური გადაწყვეტილებების მიღება მგზავრობასთან დაკავშირებით, ეს კი მნიშვნელოვნად ამცირებს და აფერხებს ინდივიდუალური ტურიზმის განვითარებას.

თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანა ვიზის მოთხოვნებით გამოწვეული ფსიქოლოგიური მომენტი, რის გამოც ტურისტებს უჩნდებათ განწყობა, რომ მათ „კარგად“ არ ხვდებიან ქვეყანაში.

გარდა ამისა, ვიზის ღირებულება ინდივიდუალური ჩამომსვლელისათვის შეადგენს 80 აშშ დოლარს, რაც საკმაოდ ძვირია ნაკლებად შეძლებული ვიზიტორისათვის, მით უმეტეს, რომ მისთვის გაუგებარია, თუ რა მომსახურებისათვის იხდის ამ თანხას.

არის პრობლემები სავიზო პროცედურების გამჭვირვალობასთან დაკავშირებითაც, განსაკუთრებით ქვეყნის საზღვრის გადაკვეთის ადგილებში. 14-დღიანი ვიზის გაგრძელება კი საკმაოდ რთული და ძვირადღირებული პროცესია.

ტურისტების უკმაყოფილებას იწვევს ქვეყნიდან სუვენირების გატანასთან დაკავშირებული საბაჟო ფორმალობების გაუმჭვირვალე საბაჟო წესებიც. ყოველივე ამის გამო, ხშირად უცხოელი ტურისტები საბაჟოებზე კორუფციის პრობლემასაც აწყდებიან.

**საქართველოს, როგორც არამიმზიდველი ქვეყნის, იმიჯი უნდა ჩაითვალოს პოტენციური ტურისტების მოზიდვის მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად.**

*რეკლამირების არასათანადო დონე.* მომავალი ბაზრის ზრდის მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ის, რომ არასათანადო დონეზე ხდება საქართველოს ტურისტული პროდუქტის რეკლამირება საზღვარგარეთ. ამით აიხსნება იმ საბაზრო სეგმენტთა სიმცირე, რომელშიც შეაღწია ქართულმა ტურისტულმა პროდუქტმა. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად არსებობს წამახალისებელ ღონისძიებათა მთელი სისტემა, მაგრამ, პრაქტიკულად მისი იგნორირება ხდება.

ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორებია:

ა) ტურისტული ბაზრის მარკეტინგული კვლევის არარსებობა (დაუფინანსებლობის გამო).

ჯერჯერობით ქვეყანაში არ დაწყებულა ბაზრის გამოკვლევის მიმართულებით სერიოზული მუშაობა, რის გამოც არ არსებობს სისტემური ინფორმაცია მიზნობრივი ბაზრების, პოტენციური კლიენტურის მახასიათებლების ან კონკურენტული ანალიზის შესახებ. ბაზრის კვლევა კი ეფექტური რეკლამირების აუცილებელი წინაპირობაა.

ბ) არ ხდება ქვეყნის დადებითი იმიჯის პოპულარიზაცია (დაუფინანსებლობის გამო).

საქართველოს მიმზიდველი იმიჯის შექმნისათვის არ ხდება ეფექტური ღონისძიებების გატარება. არ არსებობს საფირმო სახელის გამომხატველი რაიმე კორპორატიული ნიშანი. არ ჩატარებულა სრულმასშტაბიანი და სისტემური საერთაშორისო კამპანია ქვეყნის იმიჯის პოპულარიზაციისთვის. იმიჯის ერთადერთი ტიპის პროპაგანდა ხდება ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მომზადებული სარეკლამო მასალების გავრცელებით (ეს მასალაც სავსებით არასაკმარისია და მასზე ზრუნვა მხოლოდ ორი-სამი წელია დაიწყო) და ქართველი ტუროპერატორების მიერ მათი პროდუქციის მარკეტინგის ფარგლებში.

გ) ტუროპერატორების მიერ პროდუქციის შეზღუდული მარკეტინგი.

საქართველოს, როგორც ტურისტულად მიმზიდველი ობიექტის იმიჯის არსებობას მნიშვნელოვნად ართულებს არასაკმარისი ინფორმაცია და მისი ასოცირება არასტაბილურობასა და საფრთხესთან. ამის გამო, ქართველი ტუროპერატორების უცხოელ დისტრიბუტორებს უხდებათ საკმაოდ ძვირადღირებული სარეკლამო კამპანიების წარმოება, რაც იწვევს ამ ორგანიზაციების მიერ საკუთარი თანხების მნიშვნელოვან დანახარჯს, რაც თავის მხრივ, საქართველოს ბაზარზე მომუშავე კომპანიების რიცხვის ზრდას ხელს არ უწყობს.

ამის გამო საერთაშორისო სადისტრიბუციო სისტემა მეტად დანაწევრებული სახითაა წარმოდგენილი, რაც ხელს უშლის პოტენციურ ბაზრებზე სათანადოდ შეღწევას.

დ) საერთაშორისო ბაზარზე უსისტემო და არაკოორდინირებული წარმოჩენა (დაუფინანსებლობის გამო).

საქართველოს წარდგენა პოტენციურ ბაზრებზე არ ეფუძნება ბაზრის სისტემატურ რანჟირებას და ბაზარზე შეღწევის აპრობირებულ მიდგომას.

საფრანგეთის, იტალიის, ბენილუქსის ქვეყნების, აშშ-ის და იაპონიის ბაზრები თითქმის არ არის ათვისებული.

შეუძლებელია ტურიზმის განვითარებაზე ფიქრიც კი — ბერლინის, ლონდონის, მოსკოვის და ზოგიერთ სხვა მნიშვნელოვან ბაზრობაში სისტემატური მონაწილეობის გარეშე.

ზოგადად, იმიჯის პოპულარიზაციის არასისტემატური და არაკოორდინირებული ხასიათი აშკარად იკვეთება ტურისტულ ბაზრობებზე მონაწილეობის დროს, სადაც ქართველი ტუროპერატორების მიერ საკუთარი პროდუქტის წარმოჩენა ხშირად არასაკმარისად პროფესიონალურ დონეზე ხდება. დღევანდლამდე ვერ მოხერხდა, რომ საერთაშორისო ბაზრებზე სახელმწიფო და კერძო სექტორი ერთობლივად სრულფასოვნად ყოფილიყო წარმოდგენილი.

ე) მარკეტინგზე და ქვეყნის არაკომერციულ რეკლამაზე გაწეული ხარჯების არარსებობა. (ტურიზმის დარგის ტოტალური დაუფინანსებლობის გამო).

როგორც უკვე აღინიშნა, სერიოზული მარკეტინგული კვლევების ჩატარებისა და ქვეყნის იმიჯის პოპულარიზაციაზე ზრუნვის ფუნქცია და შესაძლებლობა კერძო ტურისტულ ფირმებს არა აქვთ. ეს სახელმწიფომ, კერძოდ კი, ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტმა უნდა იტვირთოს.

მსოფლიოს განვითარებული თუ განვითარებადი ტურისტული ქვეყნები ამ მიმართულებით ათეული მილიონობით დოლარს ხარჯავენ, რაც ტურისტთა ნაკადების მატებისა და აქედან გამომდინარე, სავალუტო შემოსავლების ზრდის აუცილებელი წინაპირობაა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტმა 2000 წლიდან დაიწყო სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების შემუშავება, მათი ქვეყნის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკა-

ტურ გეგმაში და სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინება, ფინანსების მიღება ფაქტობრივად ვერ ხერხდება. მეტიც, დეპარტამენტის მიერ გაწეული მუშაობის შედეგად, ყოველ წელს არის საერთაშორისო ტურისტულ ბაზრობაზე მონაწილეობის რამდენიმე შეთავაზება, რომელთა დროსაც საექსპედიციო ფართის დათმობა ხდება უფასოდ, მაგრამ უმნიშვნელო სამივლინებო თანხების უქონლობის გამო, ვერ ხერხდება ასეთი მომგებიანი წინადადებების გამოყენება.

*კონკურენცია ხარჯებსა და ფასებზე.* იმისათვის, რომ გაირკვეს, აქვს თუ არა საქართველოს მიერ შეთავაზებულ ტურისტულ პროდუქტს ფასის მხრივ შედარებითი უპირატესობა ან ნაკლი, სხვა ქვეყნების ანალოგიურ პროდუქტთან მიმართებაში და მოქმედებს თუ არა იგი კონკურენციაზე, აუცილებელია შედარებითი ანალიზის ჩატარება.

არ არსებობს შეთანხმებული აზრი იმის თაობაზე, თუ რომელი ქვეყნები უწევენ კონკურენციას ამ მხრივ საქართველოს.

შეთავაზებული ტურისტული პროდუქტის ტიპის მიხედვით, მსოფლიო ბაზარზე, მეტ-ნაკლები ალბათობით, შეიძლება განხილულ იქნას თურქეთი, ბულგარეთი, იორდანია, მაროკო, უზბეკეთი, ყაზახეთი, ნეპალი.

საერთაშორისო ტუროპერატორების მიერ საქართველოს ტურისტული პროდუქტის ღირებულების ანალიზიდან ირკვევა, რომ მათი ფასი დღეში 110-დან 250 აშშ დოლარამდე მერყეობს.

აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ:

ა)სხვა ქვეყნებთან მიმართებაში, რომლებიც მომხმარებელს სთავაზობენ ქართული ტურისტული პროდუქტის ანალოგიურ პროდუქტს, საქართველო ხვდება საშუალო ფასების სეგმენტში.

ბ) ტურისტული პაკეტის ღირებულების მნიშვნელოვან ნაწილს, არა ტურისტული მომსახურების ღირებულება, არამედ მგზავრობასთან დაკავშირებული მომსახურების (თვითმფრინავის ბილეთი, ვიზა და ა. შ.) ღირებულება წარმოადგენს.

*შემომყვანი ტუროპერატორების სტრუქტურული პრობლემები.* საქართველოში ტურიზმის სექტორში მომუშავე ტუროპერატორები წარმოადგენენ ტურისტული ბიზნესის ერთ-ერთ მთავარ მოქმედ პირებს, მაგრამ ისინი განიცდიან სერიოზულ სტრუქ-

ტურულ პრობლემებს, რომელთაგან მთავარია:

ა) მცირე სიმძლავრეები.

შემომყვან ტუროპერატორთა უმრავლესობა უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში შეიქმნა, ასე რომ, ისინი ჯერ კიდევ დამწყებ ბიზნესმენებს წარმოადგენენ.

ბ) კაპიტალის არარსებობა

შემომყვანი ოპერატორების ბრუნვა და მოგება არ არის საკმარისი ახალ ბაზარზე შესაღწევად და ფართომასშტაბიანი მარკეტინგული საქმიანობისათვის საჭირო ინვესტიციების განსახორციელებლად.

გ) უცხოელ პარტნიორებთან კონტრაქტის დადებასთან დაკავშირებული სირთულეები.

იმის გამო, რომ ქართველ ტუროპერატორებს არა აქვთ მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება და შესაბამისი იმიჯი, მათთვის სერიოზულ სირთულეს წარმოადგენს ძლიერი პარტნიორის პოვნა რეალიზაციის განხრით.

ე) ადგილობრივი და რეგიონული ტურისტული ბაზრების უგულებელყოფა.

შემომყვანი ტუროპერატორების საქმიანობის სფერო არ მოიცავს ადგილობრივი ტურისტული პროდუქტის რეალიზაციას, რაც თავის მხრივ, მნიშვნელოვანი პოტენციალის მქონე ბიზნესია. საერთაშორისო და შიდა ტურიზმისათვის დამახასიათებელი განსხვავებული სეზონურობის გამო, ამ სეგმენტზე მუშაობა ხელს შეუწყობდა შემომყვან ტუროპერატორებს შეენარჩუნებინათ საკუთარი ბიზნესის სტაბილურობა.

ასევე რეკომენდებულია, მათი მხრიდან მეზობელი სომხეთისა და აზერბაიჯანის, როგორც პოტენციური ბაზრების კვლევა, ვინაიდან, დასაელეთ ევროპაში დაჯავშნული ტურების მნიშვნელოვანი ნაწილი მოიცავს კომბინირებულ ტურებს სამხრეთ კავკასიაში. ჯერჯერობით არ არის მიღებული ერთობლივი მარკეტინგული ღონისძიებები ამ ორი, ან სამი ქვეყნის მიერ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განვიხილეთ რა 60-მდე შემაფერხებელი ფაქტორი, შეიძლება დავასკვნათ, რომ არსებობს ძალიან ბევრი პრობლემა, რომელიც ხელს უშლის საქართველოში ტურიზმის განვითარებას.

თუმცა, ასევე აუცილებელია იმ საკითხების გამოყოფა პრიორიტეტულობის მიხედვით, რომელთა მოგვარებაც უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ და რაზედაც უნდა იყოს მიმართული ყველა არსებული რესურსი. ესენია:

ქვეყნის დადებითი (ტურისტული) იმიჯის შექმნის, მისი პოპულარიზაციისა და მარკეტინგის პრობლემები; ტურისტული პროდუქტის მრავალფეროვნების უზრუნველყოფის პრობლემები; უსაფრთხოების საკითხების მოგვარება; ინფრასტრუქტურის განვითარება, ქვეყნის სასტუმრო და სატრანსპორტო სიმძლავრეებით უზრუნველყოფის პრობლემები; კომპეტენტური პერსონალის მომზადების პრობლემები;

საქართველოში ტურიზმის განვითარების ეროვნული სტრატეგია უნდა განისაზღვროს ამ შემაფერხებელი ფაქტორების რაოდენობის შემცირების, ან მათი შემდგომი გამორიცხვის შესაძლებლობებზე ზრუნვით.

ამასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილია განვიხილოთ სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბების კონცეპტუალური და ორგანიზაციული საკითხები. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის რეკომენდაციებში პირდაპირაა მითითებული, რომ მთავრობამ (ან სახელმწიფომ) უნდა შეასრულოს წამყვანი როლი ტურისტული პოლიტიკის განსაზღვრაში. ტურიზმი ზემოქმედებას ახდენს მთელს ქვეყანაზე და მისი განვითარების პოლიტიკაში თანაბრად უნდა იყოს გათვალისწინებული ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური ასპექტები.

დღეს მთელს მსოფლიოში მიღებულია, რომ ტურიზმის პოლიტიკისა და დაგეგმვის საფუძველი უნდა იყოს მდგრადი განვითარების კონცეფცია.

ამ მიდგომას აქვს უდიდესი მნიშვნელობა ტურიზმის განვითარების კონცეპტუალურ გააზრებაში, რადგან, ტურიზმი უმეტეს წილად დაკავშირებულია საქმიანობის ისეთ სახეებთან, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ბუნებრივ გარემოზე, ისტორიულ მემკვიდრეობასა და კულტურულ ფასეულობებზე. თუ კი ეს რესურსები ნადგურდება ან უარესდება, ტურიზმი ვერ იქნება წარმატებული. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სწორი პოლიტიკის გატარების შემთხვევაში ტურიზმს აქვს უნიკალური საშუალება,

გაამართლოს და თვითონ გაუკეთოს სუბსიდირება ბუნებრივი და კულტურული რესურსების დაცვას და შენარჩუნებას.

მდგრადი განვითარების კონცეფციის სხვა მნიშვნელოვანი ასპექტია ისეთი ტურიზმის ხელშეწყობა, რომლის ბაზასაც ადგილობრივი საზოგადოება წარმოადგენს. ამ დროს ხდება ტურიზმის იმ სახეების უპირატესი განვითარება, რომელთაც შეუძლიათ მაქსიმალური სარგებელი მოუტანონ ადგილობრივ მოსახლეობას და არა გარე მონაწილეებს. ასეთ შემთხვევაში საზოგადოება უკეთ აღიქვამს ამ მოვლენას და აქტიურად უწყობს ხელს ადგილობრივი ტურისტული რესურსების შენარჩუნებას.

მდგრად განვითარებასთან ასევე დაკავშირებულია ხარისხიანი ტურიზმის კონცეფცია. ეს მიდგომა მიღებულია ორი ძირითადი მომენტის გამო – იგი მომგებიანია მარკეტინგის თვალსაზრისით და სასარგებლოა ადგილობრივი მოსახლეობისა და მათი ბუნებრივი გარემოსათვის. ხარისხიანი ტურიზმი არ გულისხმობს ძვირ ტურიზმს. უფრო მეტად იგი უპირატესობას ანიჭებს „ფასისა და ხარისხის კარგ შეფარდებას" და ტურისტთა ისეთი მიზნობრივი ჯგუფების მოზიდვას, რომლებიც ნაკლებ პრობლემებს შექმნიან ეკოლოგიური და სოციალური კუთხით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში ტურიზმის პოლიტიკა სწორედ მდგრადი განვითარების კონცეფციას უნდა დაეყრდნოს.

ამასთან, ტურიზმის ექსპერტთა რეკომენდაციებით საქართველოს სახელმწიფოს ტურისტული პოლიტიკის შემუშავებისას აუცილებელია შემდეგი მნიშვნელოვანი მომენტების გათვალისწინება:

**ტურისტული საქმიანობის სუბიექტების ახალი როლისა და ფუნქციების კარგად გააზრება.** მიღებულ უნდა იქნას პოლიტიკური გადაწყვეტილება სახელმწიფო და კერძო სექტორების როლების გამიჯვნისა და მათ შორის ურთიერთობების მკაფიოდ განსაზღვრის მიზნით. ამ ეტაპზე საქართველოს ტურისტული პოლიტიკის მთავარი მიზანი უნდა იყოს ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და უცხოურ ვალუტაში შემოსავლების გენერირების მიზნით დარგის მაქსიმალური ზრდის უზრუნველყოფა. ამისათვის კი კერძო სექტორს ესაჭიროება მთავრობისა და პარ-

ლამენტის სრული და უპირობო მხარდაჭერა. სახელმწიფომ ძირითადი აქცენტი უნდა გააკეთოს კერძო მეწარმეების მხარდაჭერაზე. ჩვენს ქვეყანაში ეს სტრატეგია ძირითადად მიღებულია.

მთავრობამ, რომელიც ბუნებრივია, მოელის კერძო სექტორის მხრიდან გადასახადების გადახდას, უნდა ცნოს თავისი პასუხისმგებლობა ტურიზმის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების საქმეში. საკითხისადმი ურთიერთპასუხისმგებლობითი მიდგომა წარმოქმნის ნდობის ატმოსფეროს და სტიმულს მისცემს კერძო მეწარმეობის დინამიურ განვითარებას.

მომავალი ათწლეულის განმავლობაში საქართველოს ტურისტული პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს სექტორში არსებული ლიბერალიზაციის შენარჩუნებასა და ინვესტიციების მხარდაჭერაზე. ნაკლებად საეარაუდოა, რომ საქართველოს ადგილობრიეი კაპიტალი დააკმაყოფილებს დარგის გრძელვადიანი ზრდის მოთხოვნებს, ამიტომ მეტად მნიშვნელოვანი იქნება უცხოური ინვესტიციების მოძიება და მოზიდვა. ხელშემწყობი საგადასახადო და საკრედიტო პოლიტიკა უნდა გახდეს უცხოელი ინვესტორების დაინტერესების საფუძველი.

მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს მოსახლეობის დასვენებისა და რეკრეაციის უზრუნველყოფა. კარგად ფუნქციონირებადი, მიმზიდველი და მისაღები ფასების მქონე ამ სეგმენტის შექმნა უნდა გახდეს მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების ერთ-ერთი საფუძველი.

ტურიზმის პოლიტიკის განუყრელი ნაწილია დარგის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც შეიძლება გამოიხატოს სამი სიტყვით „ზრდა, ზრდა და ზრდა".

ტურისტთა რაოდენობისა და მათ მიერ გაწეული ხარჯების ზრდა; უცხოურ ვალუტაში შემოსავლების მაქსიმალური ზრდა; პრივატიზაციის პროცესის სრულად წარმართვა და დასრულება; ტურიზმის სფეროში საგადასახადო პოლიტიკის ლიბერალიზაცია და ინვესტიციების მოზიდვაზე სახელმწიფოს მხარდაჭერა; ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და მოსახლეობის შემოსავლების ზრდა; ტურიზმის დარგში მცირე ბიზნესის ხელშეწყობა და მისი განვითარების წახალისება; დარგში ჩრდილოვანი ეკონომიკის აღმოფხვრა და მისი ფისკალური ეფექტის განუხრელი ზრდა;

ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების საქმეში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტურიზმის, როგორც დარგის სახელმწიფო ადმინისტრაციების ორგანიზებას.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის რეკომენდაციით, „თავისი ფუნქციების შესრულებისათვის ცენტრალურმა მთავრობამ უნდა შექმნას ეროვნული ტურისტული ადმინისტრაცია – ტურიზმის უწყება ან ტურიზმის სამინისტრო. თუ კი შესაბამის ქვეყანაში ამ სექტორს ენიჭება დიდი მნიშვნელობა და დაგეგმილია მისი დიდი ტემპებით ზრდა, სამინისტრო დაკავებული უნდა იყოს მხოლოდ ტურიზმის საკითხებით. სხვა შემთხვევაში შესაძლებელია სამინისტროს ჰქონდეს შერეული ფუნქციებიც, მაგრამ თუ უწყების კომპეტენციაში შედის მხოლოდ ტურიზმი, ეს ამაღლებს დარგის პრიორიტეტულობას და სახელმწიფო სტრუქტურაში ამ სექტორის მნიშვნელობას. რეგიონული მთავრობის ორგანოებიც ხშირად ასევე ქმნიან თავიანთ საკუთარ ტურიზმის სამმართველოებს“ (მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია, მადრიდი – „ტურიზმის ეროვნული და რეგიონული დაგეგმვა“).

იმავე მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ მოწოდებულია ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის სტრუქტურის საორიენტაციო სქემა, რომელიც ასე გამოიყურება: ტურიზმის უწყება, ან სამინისტრო. მისი ერთეულებია:

მარკეტინგის სამსახური (ბაზარზე მუშაობის დაგეგმვა და ორგანიზაცია, სარეკლამო საქმიანობის დაგეგმვა და ორგანიზაცია, საზღვარგარეთ ტურიზმის წარმომადგენლობების საქმიანობის ორგანიზაცია, ადგილობრივი ტურისტული საინფორმაციო ბიუროების მუშაობის ორგანიზაცია).

ეკონომიკური ანალიზი და სტატისტიკა (ტურიზმის დარგში სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და დამუშავება, სტატისტიკური აღრიცხვიანობა, კვლევების განხორციელება, ტურიზმის საინფორმაციო სისტემის მუშაობის ორგანიზაცია, ეკონომიკური ანალიზის განხორციელება).

დაგეგმვა და განვითარება (ტურიზმის განვითარების დაგეგმვა, სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და გატარება; საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავება და საინვესტიციო საქმიანობის

ხელშეწყობა; კანონშემოქმედებითი საქმიანობა და არსებული საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა; მომსახურებისა და ობიექტების სტანდარტების შემუშაეება და მათი შესრულების კონტროლი; ტურიზმის დარგში განათლება და პროფესიონალური მომზადება-გადამზადება; სასწავლო სტანდარტების შემუშავება და მათი შესრულების კონტროლი).

ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია რეკლამისა და მარკეტინგის სამსახურის ავტონომიური ორგანიზაციის ჩამოყალიბება.

მთავარია რომ ტურიზმის სფეროში პოლიტიკის შემმუშავებელი და გამტარებელი უნდა იყოს ტურიზმის სახელმწიფო უწყება. ტურიზმის განვითარების პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს ზოგადად ქვეყნის განვითარების პოლიტიკას. აუცილებელია, რომ პოლიტიკის შემუშავებისას, მასში სრულად იყოს გათვალისწინებული ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური ასპექტები. ამასთან, ეროვნული და რეგიონული ამოცანები უნდა დომინირებდნენ ლოკალურ და სექტორულ ინტერესებთან შედარებით. თუმცა, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკამ უზრუნველყოს კერძო სექტორის და სხვა განსაკუთრებული ინტერესების მქონე ჯგუფების ფუნქციონირების ეფექტურობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქვეყანაში ტურიზმის სექტორის ორგანიზაცია უნდა დაეყრდნოს ოთხ ძირითად პრინციპულ კომპონენტს:

1. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (დეპარტამენტი, ან სამინისტრო), როგორც დარგში სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი უწყება.

2. პროფესიული სააგენტოები და ორგანიზაციები (ს.ს.ი.პ. უცხოეთში საქართველოს ტურისტულ წარმომადგენლობათა ცენტრი, ს.ს.ი.პ. საქართველოს სამაშველო-საგამყოლო სამსახური, შესაძლებელია რეკლამისა და მარკეტინგის სააგენტო და სხვა.)

3. ტურიზმის დარგის პროფესიული ასოციაციები

4. კერძო სექტორი

სქემატურად ეს ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

განსაკუთრებით უნდა განვიხილოთ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის სტრუქტურული მოწყობის მექანიზმი იმ პირობებ-




ში, როდესაც საქართველოში ტურიზმს აღარ გააჩნია ცალკე უწყება და ტურიზმის დეპარტამენტი წარმოდგენილია, როგორც ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ერთ-ერთი საქვეუწყებო ორგანიზაცია.

ასეთ პირობებში, ტურიზმის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი უწყების ფუნქციები თავის თავზე უნდა აიღოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ.

იმის გამო, რომ ტურიზმს შეხება აქვს უამრავ სხვა დარგთან (როგორც მომიჯნავე, ასევე არამომიჯნავე), სამინისტროსთან და უწყებასთან, ბევრ ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისთვის კოორდინირებული საქმიანობის გაწევის მიზნით, შექმნილია და წარმატებით ფუნქციონირებს დარგთაშორისი მუდმივმოქმედი სა-

ხელმწიფო კომისია, რომელიც პერიოდულად იკრიბება და იხილავს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მთელ რიგ საკითხებს და იღებს სათანადო გადაწყვეტილებებსა და რეკომენდაციებს. საქართველოში ასეთი სამთავრობო კომისიის შექმნის შემთხვევაში მიზანშეწონილად მიგვაჩნია მას სათავეში ჩაუდგეს ეკონომიკური განვითარების მინისტრი, ან ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მისი მოაზრების შემთხვევაში.

დარგთაშორისი მუდმივმოქმედი კომისია პერიოდულად უნდა იხილავდეს ტურიზმის განვითარების საკითხებს, რომლებიც ვერ თავსდებიან ერთი უწყების (ჩვენს პირობებში – თუნდაც ეკონომიკური განვითარების სამინისტროს) ჩარჩოებში და იღებდეს შეჯერებულ (შეთანხმებულ) გადაწყვეტილებებს. მაგალითად: ტურისტების მიერ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის ფორმალობების გამარტივება, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტროს, სასაზღვრო და საბაჟო სამსახურის პრეროგატივაა; გარემოსდაცვითი ღონისძიებები, დაცული ტერიტორიები, ეროვნული პარკები, სამონადირეო მეურნეობები და სხვა, რომელიც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ფუნქციებია; კულტურული ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და კულტურული მემკვიდრეობის საკითხები, რომლებიც ქართული ტურისტული პროდუქტის მნიშვნელოვან შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენს და კულტურის სამინისტროს პასუხისმგებლობის ქვეშაა მოქცეული; ტურისტთა კვების პროდუქტებითა და სურსათით უზრუნველყოფის, ხალხური რეწვისა და ეროვნული სუვენირების წარმოების, ჯანდაცვის, განათლებისა და მეცნიერების, სპორტის (ალპინიზმი, ველოსპორტი, ზამთრის სახეობები და სხვა), საბანკო და სადაზღვევო საქმიანობის, ტურისტთა უსაფრთხოების თუ, მთელი რიგი სხვა საკითხები, რომლებიც შესაბამისად, სოფლის მეურნეობისა და სურსათის, ჯანდაცვის, განათლებისა და მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროების, ეროვნული ბანკისა და ადმინისტრაციული ორგანოების კომპეტენციებს განეკუთვნება.

ქვეყანაში ტურიზმის განვითარების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარების მიზნით, საჭიროა შეიქმნას ხუთწლიან პერიოდზე გათვლილი სახელმწიფო პროგრამა, სადაც კონკრეტულად

იქნება განსაზღვრული ყველა სამინისტროსა და უწყების, აგრეთვე რეგიონების მიერ გასატარებელი ღონისძიებები. მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროგრამა დაამტკიცოს საქართველოს პრეზიდენტმა და ეწოდოს მას „საქართველოში ტურიზმის დაჩქარებული განვითარების ერთიანი საპრეზიდენტო პროგრამა".

ამრიგად, ტურიზმის დაჩქარებული განვითარების პროგრამის რეალიზაციის უზრუნველსაყოფად საჭიროა შემუშავდეს კომპლექსური მაკროეკონომიკური რეგულირების შესაბამისი მექანიზმი. ჩვენს მიერ შემოთავაზებული მექანიზმი, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ „ტურიზმის შენობა", რომლის ზედა სართულზე იმყოფება ქვეყნის პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და ტურიზმის განვითარების დარგთაშორისი მუდმივმოქმედი სახელმწიფო კომისია, ხოლო ქვედა სართულზე განლაგებულია რაიონული და საქალაქო, ადგილობრივი ტერიტორიული მართვის ადმინისტრაციები. ე.წ. „ტურიზმის შენობის" მთავარი საყრდენი („დედა ბოძი") არის ქვეყანაში ტურიზმის განვითარების ხუთწლიანი სახელმწიფო გეგმა – საპრეზიდენტო პროგრამა (დანართი № 22).

საქართველოში ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის გატარების ერთ-ერთ მთავარ პირობა დარგის საკანონმდებლო ბაზის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

საქართველოში ტურიზმისა და კურორტების ძირითადი კანონმდებლობით უზრუნველყოფილია დარგის სახელმწიფო რეგულირების მაქსიმალური ლიბერალობა და დემოკრატიულობა, რაც საშუალებას აძლევს კერძო სექტორს იმოქმედოს სრული თავისუფლების პირობებში.

დღეს არსებული კანონმდებლობით, იმისათვის, რომ იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირმა დაიწყოს მუშაობა ტურიზმის სფეროში, მას სახელმწიფოსაგან არ სჭირდება არავითარი ნებართვა (არც ლიცენზია, არც სერთიფიკატი, არც დეპოზიტი, არც რეგისტრაცია და სხვა), ამავე დროს, იგი არაფრითაა ვალდებული სახელმწიფო უწყების წინაშე. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ დარგში არ არსებობს კლასიკური გაგებით კორუფციის საფუძველი (როცა ბიზნესმენი დამოკიდებულია ჩინოვნიკის ნებართვაზე) და ეს მისასალმებელია.

(ამასვე ადასტურებენ საერთაშორისო ექსპერტები, როდესაც აღნიშნავენ, რომ „ამ სექტორში სახელმწიფოს მხოლოდ მცირედი ჩარევა არის რეკომენდებული“. საქართველოს ტურიზმის სტრატეგია-TACIS-2001 წ.) მაგრამ,ამავე დროს,უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ასეთი გარემო ხელს ვერ უწყობს მომხმარებლის ინტერესების დაცვას, მიწოდებული მომსახურების სტანდარტის ამაღლებას, აგრეთვე, ტურისტული ფირმების ავტორიტეტის ზრდას და მოსახლეობაში მათდამი ნდობის გაღვივებას.

მოქმედი კანონმდებლობა, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრულია „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელიც მიღებულია 1997 წელს. მომდევნო წლებში აღნიშნულ კანონში ოთხჯერ იქნა შეტანილი შესაბამისი ცვლილებები და დამატებები, რომელთა მიზანსაც კანონის სრულყოფა წარმოადგენდა.

ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სამკურნალო რესურსების დაცვისა და შენარჩუნების მიზნით, 1998 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ“, რომელიც დარგისთვის ერთ-ერთ მთავარ „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ საქართველოს კანონთან ერთად საკანონმდებლო აქტს წარმოადგენს.

საბაზისო კანონების გარდა, დარგში არსებობს სხვადასხვა სპეციალური ადმინისტრაციული დებულება – ნორმატიული აქტები რომელთა შესრულებაც „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, „სავალდებულოა ტურისტულ და საკურორტო საქმიანობასთან დაკავშირებული უწყებების, ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის“.

იმის გამო, რომ ტურიზმი მჭიდრო კავშირშია მრავალ სხვა დარგთან, მისი განვითარებისა და მართვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მომიჯნავე დარგების საკანონმდებლო ბაზას. ეს პირველ რიგში, ეხება რეგიონული ტურისტული და საკურორტო ცენტრების ზონირებას, მიწათსარგებლობის კონტროლს და მშენებლობასთან დაკავშირებული ნორმების არსებობას ტურისტულ რეგიონებში.

ტურისტული და საკურორტო ობიექტების ფუნქციონირებისა

და ექსპლუატაციისთვის მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის დაცვასთან, სანიტარიულ-ჰიგიენურ მდგომარეობასთან, სახანძრო უსაფრთხოებასთან, სატრანსპორტო მომსახურებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წესები. აქედან გამომდინარე, აუცილებელია აღნიშნული ნორმატიული ბაზის მონიტორინგი, ევროპულ კანონმდებლობასთან მისი შემდგომი ჰარმონიზაციის მიზნით.

ტურიზმისთვის ასევე მნიშვნელოვანია ზიგადად გარემოსდაცვითი კანონმდებლობა, განსაკუთრებით კი დაცულ ტერიტორიებთან და ეროვნულ პარკებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზა. შრომით და საგადასახადო კანონმდებლობას და სამოქალაქო კოდექსს კი უმთავრესი როლი ენიჭება ტურიზმის განვითარების საქმეში.

ჩვენს ქვეყანაში ტურიზმის განვითარების მაქსიმალური ხელშეწყობის მიზნით, აუცილებელია არსებული საკანონმდებლო ბაზის სრულყოფაზე სისტემატური ზრუნვა საერთაშორისო კონვენციების, შეთანხმებების, ევროკავშირისა და მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით.

# ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის თანამედროვე ეტაპზე ტურიზმის განვითარების დაჩქარების სტრატეგია და მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი

საქართველოში ტურიზმის განვითარების ამოცანების სტრატეგიის განსაზღვრა ეფუძნება, მისი შემაფერხებელი ფაქტორების შემცირებაზე ზრუნვას, მათ დაყვანას მინიმუმამდე ან საერთოდ აღმოფხვრას.

ტურიზმის განვითარების სტრატეგია უნდა ემსახურებოდეს მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევას. საქართველოში ტურიზმის განვითარების საერთო ეკონიმიკური მიზანი ტურიზმის სექტორიდან მიღებული შემოსავლების ზრდაა, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას, მათი დასაქმებისა და შემოსავლების ზრდის მეშვეობით. როგორც აღინიშნა, საქართველოს ტურისტული პოტენციალი (თავი II 2.3) ტურიზმის მდგრადი ეკონომიკური ზრდის რეალური საფუძველია. თანამედროვე ეტაპზე, საქართველოში ტურისტების რაოდენობა მის პოტენციალთან შედარებით კვლავაც მცირეა და მათი ზრდის პროგნოზირება, მიზანშეწონილია, აქედან დაიწყოს.

როგორც ანალიზი გვიჩვენებს, საქართეელოში ტურიზმის მდგრადი ეკონომიკური განვითარების სტრატეგია ფოკუსირდება შემდეგ ძირითად მომენტებზე:

1. ორიენტაცია უცხოელი ტურისტების შემოყვანის მზარდი ტემპებით განვითარებაზე;
2. უცხოელი ტურისტების დანახარჯების ზრდა;
3. ტურიზმის სახეების რანჟირება ეტაპებისა და ეკონომიკური ეფექტიანობის თვალსაზრისით;
4. იმ რეგიონების ტურისტული ინფრასტრუქტურის დაჩქარებული ტემპებით განვითარება, რომლებიც ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების თვალსაზრისით ეფექტიანობის მაღალი დონის მატარებლები არიან;
5. ადგილობრივი ტურიზმის განვითარება და მისი მრავალმხრივი კავშირების უზრუნველყოფა საერთაშორისო ტურიზმის სტრუქტურებთან. ადგილობრივ ტურიზმს დიდი როლი

ეკისრება არა მარტო შიდა ტურიზმის განვითარებაში, არამედ, იგი აქტიურად ზემოქმედებს საერთაშორისო ტურიზმზეც, კერძოდ, ტურისტთა იმ ჯგუფებზე, რომლებიც არაპირდაპირ პასუხობენ ტურიზმის მენეჯმენტის ინტერვენციებს.

თანამედროვე პირობებში გამართლებულია ქვეყანაში ტურიზმის განვითარების სტრატეგიული გეგმა შემუშავდეს ხუთწლიან პერიოდზე.

განვითარების სტრატეგიაში ტურიზმის პროდუქციაზე მოთხოვნისა და მიწოდების ოპტიმალურ თანაფარდობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. საერთოდ მოთხოვნის სტიმულირება ზრდის ტურისტთა ნაკადს და ეს თავისთავად იწვევს მიწოდების გააქტიურებას. თბილისში შესაძლებელია ამ ეტაპზე მიწოდების მოცულობის ზრდა უკვე ნაკლებად სასწრაფო იყოს, მაგრამ ყველა სხვა ტერიტორიულ ერთეულში მიწოდების ზრდას მოთხოვნის ზრდასთან ერთად პრიორიტეტული მნიშვნელობა აქვს, ხოლო რიგ შემთხვევაში (სვანეთი, თუშეთი, რაჭა-ლეჩხუმი, კახეთი, იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი და სხვ.) მოთხოვნა მკვეთრად აჭარბებს მიწოდებას სეზონურობის გათვალისწინებით.

ამრიგად, სტრატეგიის მიზანი უნდა იყოს მოთხოვნა-მიწოდების ჰარმონიზაცია რეგიონულ ჭრილში. პარალელურად კი, უნდა მიმდინარეობდეს მომსახურების ხარისხის ამაღლება და ინვესტიციების პოპულარიზაცია განსაკუთრებით იმ რეგიონებისათვის, რომლებიც ტურისტული ინფრასტრუქტურის მწვავე დეფიციტს განიცდიან და გააჩნიათ ტურისტული პოტენციალის მაღალი დონე.

საქართველოში ტურიზმის განვითარების სტრატეგიის მიზნები მოცემულია სქემაზე (დანართი №23). როგორც ჩანს, ქვეყნის სტრატეგიული მიზანი უნდა იყოს – „ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ზრდა“, რომელიც მიიღწევა – „ტურისტთა და ვიზიტორთა რაოდენობის ზრდით და (ან) მათი ქვეყანაში დანახარჯების ზრდით“ – სხვა გზა ბუნებაში არ არსებობს. მაგრამ, ყოველივე ეს შესაძლებელია გადაწყდეს ხუთი ძირითადი ამოცანის გადაჭრის საფუძველზე. ესენია: ტურისტული ბაზრების მარკეტინგული კვლევებისა და ეფექტური რეკლამის წარმოება, ტურისტული პროდუქტის გატანა საზღვარგარეთ (ე.წ. პრომოუშენი); ტურისტული პროდუქტის მრავალფეროვნებაზე ზრუნვა; ინფრასტ-

რუქტურის განვითარება, შესაბამისი სატრანსპორტო და სას-ტუმრო სიმძლავრეების უზრუნველყოფა; ტურისტთა და ვიზიტორ-თა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, უსაფრთხო ქვეყნის იმიჯის დამკვიდრება; კვალიფიციური (ნასწავლი) პერსონალის მომზა-დება და გადამზადება.

ამ ამოცანებიდან ერთ-ერთი, კერძოდ კი, ტურისტულ ინფრასტ-რუქტურასთან დაკავშირებული პრობლემები ჩვენს მიერ განხი-ლულ იქნა წინა პარაგრაფში, ამჟამად უფრო დეტალურად განვი-ხილოთ პირველი ორი მათგანი.

„ტურისტული ბაზრების მარკეტინგული კვლევებისა და ეფექ-ტური რეკლამის წარმოება, ტურისტული პროდუქტის გატანა საზღვარგარეთ“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსოფლიოს განვითარებული თუ განვითარებადი ტურისტული ქვეყნები, დადებითი ტურისტული იმიჯის შექმნის მიზნით, ათეულ მილიონობით დოლარს ხარ-ჯავენ, რაც ტურისტთა ნაკადების მატების და აქედან გამომ-დინარე სავალუტო შემოსავლების ზრდის აუცილებელი წინა-პირობაა!

გავეცნოთ დღეისათვის არსებულ რეალურ ვითარებას. მაგა-ლითისათვის განვიხილოთ ორი ჯგუფი. პირველი ჯგუფი – და-ახლოებით საქართველოს მასშტაბის ევროპული ქვეყნებისა და მეორე – ჯგუფი ჩვენი მეზობელი ქვეყნების მიერ ტურიზმის რეკ-ლამასა და მარკეტინგზე გაწეული ხარჯების ბიუჯეტი (მეზობელ ქვეყნებს ვიღებთ მაგალითისათვის იმიტომაც, რომ საქართვე-ლომ უნდა იცოდეს ტურიზმის დარგში, თუ რა კონკურენტულ გა-რემოში უხდება მუშაობა) - (ცხრილი № 24).

როგორც ანალიზი გვიჩვენებს, შეუძლებელია ასეთ კონკურენ-ტულ გარემოში წარმატებაზე ფიქრიც კი მაშინ, როდესაც სომხე-თის ტურიზმს საქართველოზე 20-ჯერ მეტი ბიუჯეტი აქვს, აზერბა-იჯანს კი – 60-ჯერ, ხოლო საქართველოზე გაცილებით პატარა ქვეყნის, კვიპროსის ტურიზმის მხოლოდ წარმომადგენლობას მოს-კოვში (რუსეთი) გააჩნია წლიური ბიუჯეტი 2 მილიონი აშშ დო-ლარი. რომ აღარაფერი ვთქვათ თურქეთსა და საბერძნეთზე (რომ-ლებიც ქვეყნის რეკლამასა და მარკეტინგზე ყოველწლიურად ბი-უჯეტიდან ხარჯავენ, შესაბამისად, 60 და 45 მილიონ აშშ დოლარს).

არსებობს პირობითი საერთაშორისო სტანდარტი (მიდგომა) – იმისათვის, რომ მოიზიდო ერთი უცხოელი ტურისტი, რომელიც საშუალოდ ქვეყანას აძლევს შემოსავალს 1000 აშშ დოლარს, რეკლამისათვის უნდა დახარჯო შემოსავლის 0,5% ანუ 5 აშშ დოლარი მაინც. ამ პირობითი სტანდარტის მიხედვით, საქართველომ თავის ბიუჯეტში, უკვე დღეს, უცხოეთში ტურისტული სარეკლამო კომპანიების წარმართვისათვის დაახლოებით 1,5 მილიონი უნდა გაითვალისწინოს.

როგორია რეალური მდგომარეობა? თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ტურიზმის განვითარებისათვის ყველაზე დიდი პრობლემა მაინც, დარგის ტოტალური დაუფინანსებლობაა, რაც საფუძველს აძლევს საერთაშორისო ექსპერტებს განაცხადონ, რომ ჩვენთან ჯერ კიდევ არა აქვთ გაცნობიერებული ტურიზმის რეალური მნიშვნელობა.

უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე, დაწყებული 1999 წლიდან, შედარებით მცირედ, მაგრამ მაინც იზრდებოდა ქვეყნის ბიუჯეტი მაშინ, როდესაც თანმიმდევრულად 65 ათასი ლარით ყოველწლიურად მცირდებოდა ტურიზმის დაფინანსება. იგი დარჩა წინა წლის დონეზე 2003 წელს და შეადგინა 284,9 ათასი ლარი, რომლის კიდევ სეკვესტრირება და შემცირება მოხდა წლის განმავლობაში – 80 ათასი ლარით. 2004 წელს კი, როდესაც საქართველოს ბიუჯეტი რეალურად გაიზარდა ნახევარი მილიარდი ლარით, ტურიზმის ბიუჯეტი კიდევ უფრო შემცირდა!

ასეთი დამოკიდებულებით, ტურიზმის პრიორიტეტულობაზე ლაპარაკი ამ საკითხის მხოლოდ დეკლარირებას წარმოადგენს და რეალურ პრიორიტეტთან მას არაფერი საერთო არა აქვს. დასკვნა ერთია – თუ საქართველოს ტურიზმის განვითარება სურს – აუცილებლად უნდა დააფინანსოს ქვეყნის რეკლამისა და მარკეტინგის ხარჯები, რომლის გარეშეც შეუძლებელია ტურიზმის საერთაშორისო ბაზრებზე მუშაობა და იქ დამკვიდრება.

ტურისტული ბაზრების მარკეტინგული კვლევებისა და ეფექტური რეკლამის წარმოებისთვის საჭიროა მათი ორგანიზება, აღნიშნული საქმიანობა კი, მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

I. ტურისტული პროდუქტი

ა) საქართველოს, როგორც უნიკალური ბუნებრივი და ისტო-

რიული მემკვიდრეობის მქონე ქვეყნის მიმზიდველი ტურისტული იმიჯის ჩამოყალიბება.

ბ) ახალი კონკურენტუნარიანი ტურისტული პროდუქტის შექმნა, რომელიც შეესაბამება ქვეყნის ისტორიას, კულტურას და მოსახლეობის ეთნოფსიქოლოგიას.

II. მარკეტინგული კვლევა

გ) საერთაშორისო და ადგილობრივი ტურისტული ბაზრების მარკეტინგული კვლევების მნიშვნელობის გათვითცნობიერება შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურების (უპირველესად, ფინანსთა სამინისტროს) მიერ, რათა კოორდინირებული სტატისტიკური კვლევების შედეგები საფუძვლად დაედოს ტურიზმის სექტორის სახელმწიფო დაგეგმვას.

დ) მარკეტინგული საქმიანობის წარმართვა და მისი ეფექტურობის მონიტორინგი.

III. რეკლამა

ე) სარეკლამო სტრატეგიისა და ქვეყნის სარეკლამო იმიჯის შემუშავება.

ვ) საქართველოს ტურისტული პროდუქტის რეკლამირება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ზ) პროდუქციის რეკლამირების მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირება, ტურისტთა და ვიზიტორთა რაოდენობის ზრდის კონტექსტში.

თ) სარეკლამო კამპანიის ეფექტიანობის შეფასების კრიტერიუმების შემუშავება, რათა უზრუნველყოფილ იქნას მისი მაქსიმალური შედეგიანობა.

ი) მომხმარებელთა ბაზრის გაფართოება და ბაზრის შესაბამისი სეგმენტების განსაზღვრა.

კ) ტურიზმის მარკეტინგის ღონისძიებების ისე დაგეგმვა, რათა მათ ხელი შეუწყონ ქვეყნის სხვა ეკონომიკური პროგრამების წარმატებულ განხორციელებას.

ლ) ტურიზმის მარკეტინგის ხელშემწყობი მრავალწლიანი პროგრამის შემუშავება და ფინანსირების შესაბამისი წყაროების განსაზღვრა.

ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის არსებობს მსოფლიოში აპრობირებული ორი გზა:

I. ამ საქმიანობის წარმართვა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ (ჩვენს შემთხვევაში საქართველოს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი)

II. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება სპეციალური ორგანიზაციის, ან სამსახურის მიერ, რომლის საქმიანობაც მხოლოდ ამ ამოცანების გადაჭრით იქნება შემოფარგლული.

ნებისმიერ შემთხვევაში, ჩამოყალიბდება პროფესიონალური მარკეტინგული სააგენტო, თუ მარკეტინგისა და რეკლამის წარმოებაზე პასუხისმგებელი იქნება ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, აუცილებელია ამ ტიპის საქმიანობის პრიორიტეტების განსაზღვრა. ეს მიმართულებები შემდეგია:

საერთაშორისო ტურისტულ ბაზრობა-გამოფენებზე მონაწილეობა (ყოველწლიურად ბერლინის, ლონდონის, მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის, ტაშკენტის საერთაშორისო ბაზრობებზე მონაწილეობა; აღნიშნულ ღონისძიებებზე მონაწილეობის მისაღებად ქართული დელეგაციის ორგანიზება, მისი წევრების ტრეინინგი და ერთობლივი სტენდის მოწყობა; ქართული ტურისტული კომპანიების უცხოელ პარტნიორთა სტენდებზე მოხვედრის ხელშეწყობა; ქართული ტურისტული კომპანიებისათვის გამოფენა-ბაზრობებზე მონაწილეობის სახელმძღვანელო რეკომენდაციების და რჩევების მომზადება და გამოცემა).

ურთიერთობა მასმედიასთან (კონტაქტების დამყარება საერთაშორისო ავტორებთან და მედიასთან; პრეს-რელიზების გამოცემა; ტელე- და სხვა კორესპონდენტების საქართველოში ვიზიტების ხელშეწყობა; თანამშრომლობა საელჩოებთან).

საგამომცემლო საქმიანობა (სამოგზაურო რუკების, ბროშურებისა და ტურისტული მეგზურების მომზადება და გამოცემა; სარეკლამო პროდუქციის მაღალ ხარისხზე ზრუნვა; ფოტო-არქივისა და ბიბლიოთეკის შექმნა ფიზიკური და ელექტრონული სახით; სპეციალური ინტერნეტგვერდის მომზადება საქართველოს ტურიზმზე, მისი განთავსება ინტერნეტში, მუდმივი განახლება. „ინტერნეტ ლინკების“ უზრუნველყოფა ტურისტული კომპანიების კომერციულ საიტებზე).

მას შემდეგ, რაც უცხოელი საზოგადოების შეხედულება ჩვენს ქვეყანაზე შეიცვლება დადებითისკენ, ხელი უნდა შეეწყოს იმ ტუ-

როპერატორებს, რომლებიც საქართველოზე ავრცელებენ ინფორმაციას, უნდა დაიწყოს ფართო სამარკეტინგო კამპანია. უნდა დაიგეგმოს გრძელვადიანი პროგრამა პოტენციური ტურისტებისათვის საქართველოში არსებულ პოზიტიურ ფაქტორებზე ინფორმაციის გავრცელება-გადაცემისათვის. შემდგომი ერთი წლის განმავლობაში კი, საქართველოში მოწვეულ უნდა იქნას ჩვენთვის, ტურიზმის თვალსაზრისით პრიორიტეტული, ყველა ქვეყნის უფლებამოსილი წარმომადგენლები. ეს შეიძლება განხორციელდეს ქვეყნის ე.წ. „პრომოუშენის" საპრეზიდენტო პროგრამის ფარგლებში.

ამ ვიზიტების შემდეგ, უნდა შეიქმნას მონაცემთა ბაზა, რომელიც მოიცავს დეტალურ საკონტაქტო ინფორმაციას ხსენებულ პირებთან. რამდენიმე თვეში ერთხელ, პერიოდულად უნდა მიეწოდოს წერილობითი ინფორმაცია ადგილობრივი სიტუაციის შესახებ, რათა ნათელი გახდეს, რომ მთავრობა, ტუროპერატორები და სასტუმროების მეპატრონეები რეალურ ნაბიჯებს დგამენ საქართველოში ტურიზმის მხრივ სიტუაციის გაუმჯობესებისათვის. უნდა მომზადდეს მაღალი ხარისხის სარეკლამო მასალები (ბროშურები, ბუკლეტები, პლაკატები, მეგზურები და სხვ.) და ფართოდ გავრცელდეს ინტერნეტის, თუ სხვა ელექტრონული საშუალებების გათვალისწინებით. ერთი სიტყვით, საქართველოს პოტენციალი და ღირსშესანიშნაობები ისე უნდა იყოს წარდგენილი, რომ უცხოელ ტუროპერატორებს აწყობდეთ ქვეყანაში ჩამოსასვლელი საგზურების გაყიდვა.

მას შემდეგ, რაც საქართველო შეიქმნის დადებით ტურისტულ იმიჯს, უნდა მომზადდეს წინადადებები ევროპულ ბლოკში და რუსეთში მომუშავე ტუროპერატორებთან, არსებულ ტურისტულ პაკეტებში საქართველოს შეყვანისათვის და ასევე ჩვენ ქვეყნისათვის ცალკე პაკეტის შექმნის შესახებ. საქართველო უნდა იქნას განხილული, როგორც მოგზაურობის ცენტრალური მიზანი. ტურისტების მიერ შექმნილი მოთხოვნის შემთხვევაში, ეჭვგარეშეა, ავიაკომპანიები ფასებს დაწევენ და სიტუაციის შესაბამისად დაარეგულირებენ. ორი წლის განმავლობაში გაწული დიდი სარეკლამო და მარკეტინგული კამპანია აუცილებლად მოიტანს ქვეყნის ტურიზმისათვის პოზიტიურ შედეგებს.

ტურიზმის განვითარების სწორად დაგეგმვის დროს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტურისტულ ბაზრებზე მუშაობას და სწორი მარკეტინგული პოლიტიკის ჩამოყალიბებას. ამდენად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს ტურიზმისათვის ისეთ მნიშვნელოვან ბაზრებთან ერთად, როგორიცაა ჩვენი უშუალო მეზობელი ქვეყნები (რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი), განვიხილოთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის ტურისტულ ბაზართან საქართველოს თანამშრომლობის შესაძლებლობებიც. როგორც ტურიზმის საერთაშორისო ექსპერტები გვირჩევენ (Artur Consulting Group International — აშშ), ასეთი ჩვენთვის საინტერესო ევროპული ქვეყნები შეიძლება იყვნენ — დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია და იტალია.

განვიხილოთ მარკეტინგული მუშაობის შემდეგი მიმართულებები.

დიდი ბრიტანეთი საქართველოში ტურისტული ნაკადების ზრდის კარგი წყარო შეიძლება გახდეს — წმინდა გიორგი, როგორც საქართველოს, ასევე ინგლისის მფარველია, და ორ ქვეყანას შორის შესაძლებელია, სწრაფად დამყარდეს თბილი ურთიერთობა. დღესდღეობით შექმნილი შეხედულებით, დსთ-ს ქვეყნებში მოგზაურობაზე საგზურების გაყიდვა ძალზე ძნელია, რადგანაც ინგლისელ ტურისტებს ისედაც უზარმაზარი არჩევანი აქვთ. ეს შეხედულება, რათქმა უნდა, არ არის დოგმა, და მისი პოზიტიურობისაკენ შეცვლა შესაძლებელი გახდება სწორი სამარკეტინგო და სარეკლამო კამპანიის მეშვეობით.

უნდა მომზადდეს და განხორციელდეს სწრაფად მოფიქრებული საზოგადოებრივ ურთიერთობათა და სამარკეტინგო კამპანიები. ტურისტული პროდუქტი სწორად უნდა იქნას განსაზღვრული და წარდგენილი. ჟურნალისტები ისეთი გამოცემებიდან, როგორიც არის Financial Times, Sunday Times, Wanderlust, National Trust Magazine და Sunday Telegraph მოწვეულ უნდა იქნან საქართველოში, სპეციალური სარეკლამო ვიზიტისათვის. როგორც კი შეიქმნება პოზიტიური იმიჯი საქართველოზე, ტურისტები აუცილებლად დაიწყებენ ჩამოსვლას.

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისელი ტურისტი კონსერვატიულია, მას მაინც ძალზე დიდი სურვილი აქვს „ახლად გახსნილ"

ქვეყანაში წავიდეს. თუ გავრცელდა ხმა, რომ საქართველო ახალი პოპულარული ქვეყანაა სანახავად, ინგლისელები მასობრივად დაიწყებენ ჩამოსვლას. ინგლისში ძალზე პოპულარულია დამოუკიდებლად მგზავრობა და, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ „ბრითიშ ეარუეისი" არის ავიაკომპანია, რომელსაც საქართველოში ფრენის გამოცდილება აქვს და უახლოეს მომავალში განზრახულია მისი ფრენების განასლება, ტურისტთა ინგლისიდან ჩამოსვლას უდიდესი პერსპექტივა გააჩნია.

საფრანგეთში ტურისტული ბაზრის დადგენა საკმაოდ რთულია, ის ქვეყნები, რომლებიც უეჭველად სარგებლობს პოპულარობით, არის საფრანგეთის ყოფილი კოლონიები: ტუნისი, მაროკო, ტაიტი, გვადელუპა, მარტინიკი და ა.შ. დანარჩენი ქვეყნები ხან იძენენ პოპულარობას, ხან ისევ კარგავენ. იმისდა მიუხედავად, რომ საქართველოს შესახებ საფრანგეთის ბაზარზე ძალიან მწირი ინფორმაცია გააჩნიათ, რუსეთის მიმართულება საკმაოდ პოპულარულია. ბაზარს ფრანგი ტუროპერატორები დომინირებენ და პაკეტებს წლების განმავლობაში არ ცვლიან. სამაგიეროდ, საკმაოდ ადვილია იმ ტუროპერატორების იდენტიფიცირება, რომლებიც პოტენციურად ჩართავდნენ საქართველოს თავიანთ სიაში და სწორი ნაბიჯების გადადგმის შემდეგ ფრანგი ტურისტების საქართველოთი დაინტერესება შესაძლო იქნება.

ამჟამად, ბაზარი რამდენიმე მსხვილ კომპანიას აქვს დაკავებული. თუ კონკურენციის რამდენიმე მნიშვნელოვან მონაწილეს საქართველოთი დაეაინტერესებთ, მთელი ბაზარიც საქართველოსკენ შემოტრიალდება. იმისათვის, რომ ეს მსხვილი ტუროპერატორები დაინტერესდნენ, საჭირო იქნება პერსონიფიცირებული აგრესიული სარეკლამო კამპანია. მომავალში საქართველოში საფრანგეთიდან ტურისტების ჩამოსვლის პერსპექტივა ახლა დაახლოებით, 10-12 უმნიშვნელოვანეს ტუროპერატორს შეუძლია გადაწყვიტოს. მას შემდეგ, რაც ამ მნიშვნელოვანი პირების ვინაობა დადგინდება, ორგანიზებულ უნდა იქნას მათთვის ვიზიტი საქართველოში, რათა მათ საკუთარ გამოცდილებაზე იგრძნონ საქართველოს პოტენციალი. საფრანგეთი მეოცნებეთა ქვეყანაა და იმ შემთხვევაში, თუ ფრანგი ტუროპერატორები გაითვალისწინებენ, თუ როგორ შეუძლიათ დაეხმარონ საქარ-

თველოს, ისინი ემოციურად დაუჭერენ მხარს ამ პროექტს და მაქსიმალურად შეეცდებიან, საქართველოს რეკლამირება გაუკეთონ. ყველაზე მთავარია ურთიერთობის შექმნა და სამარკეტინგო პროგრამის გაგრძელება. იმ შემთხვევაში, თუ კულტურული ღირსშესანიშნაობები, სამზარეულო და სასტუმროები მაღალ დონეზე იქნება, ფრანგები მოცემული კონკრეტული ქვეყნის რეკლამას აუცილებლად დაუჭერენ მხარს. ცხადია, ძალზე მნიშვნელოვანია პირველი შთაბეჭდილება და თუ ფრანგებს მოეწონათ საქართველო, მათ მხარდაჭერას უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობა ექნება.

გერმანიის ბაზარი ორ ნაწილადაა გაყოფილი: ერთის მხრივ, უდიდესი კომპანიები მომხმარებელს ტრადიციულ მარშრუტებს სთავაზობენ, ხოლო, მეორეს მხრივ, მცირე და საშუალო კომპანიები საკუთარ მცირე ნიშებში მოღვაწეობენ. იმისათვის, რომ უდიდესი ტუროპერატორული კომპანიები დარწმუნდნენ, რომ საქართველოში ოპერირება ადვილია და აქ ჩამოსვლის საგზურები პოპულარული იქნება, კარგად ორგანიზებული კამპანია არის ჩასატარებელი. ამის მოხდენა სახელმწიფოს მხოლოდ ერთიანი ძალებით შეუძლია. მცირე საოპერატორო კომპანიები ძალზე სპეციალიზებული და დეცენტრალიზებულია. გერმანელ ტურისტს მრავალ პროდუქტს სთავაზობენ და ამიტომ გერმანიის დიდ ფირმებს შორის უდიდეს კონკურენციას აქვს ადგილი. კონკურენციის გამო მცირე ფირმებს უხდებათ თავიანთი პერსონიფიცირება, რაც შესანიშნავ შესაძლებლობას იძლევა ისინი საქართველოსთვის შესანიშნავი პარტნიორები გამოდგნენ.

იდენტიფიცირებული და შესწავლილ უნდა იქნას ყველა ის კომპანია, რომელიც ყიდის საგზურებს რუსეთსა და აღმოსავლეთ ბლოკში. უნდა დამყარდეს სამუშაო ურთიერთობა ამ კომპანიების წარმომადგენლებთან. სამწუხაროდ, ამჟამად ტუროპერატორებმა არ იციან, თუ რისი შემოთავაზება შეუძლია საქართველოს. რუსეთი და თურქეთი ძალზე პოპულარულია, და იმისდა მიუხედავად, რომ გერმანელ ტურისტებს ძალზე აინტერესებთ ახალ ქვეყნებში ჩასვლა, საქართველოს ისინი არ იცნობენ. როდესაც ინფორმაცია გამოჩნდება, საქართველოში წასვლაზე ძალზე დიდი მოთხოვნა იქნება.

გერმანიაში მომუშავე ტუროპერატორების საქართველოთი დაინტერესება უწყვეტი პროცესი იქნება და მრავალ თვეს გასტანს. მაგრამ, სწორი სამარკეტინგო პროგრამის განხორციელებით აუცილებლად მივაღწევთ შედეგს. როგორც კი საქართველო პოპულარული გახდება გერმანიაში, გარანტირებული აქვს ამ ქვეყნიდან ტურისტთა ნაკადი მრავალი წლის განმავლობაში.

საქართველოს მთავრობამ, ტუროპერატორებმა და სასტუმროს მფლობელებმა ერთად უნდა შეადგინონ სწორი სტრატეგია. გერმანელი ტუროპერატორები პრაგმატულნი არიან და ამდენად, მათთვის ინფორმაცია დეტალურად უნდა იყოს მომზადებული ისეთნაირად, რომ ისინი მოიზიდოს. მათ სურთ, რომ მგზავრობის თითოეული დეტალი იცოდნენ, რათა შეცდომა არ დაუშვან. რაც შეეხება დამოუკიდებელ მგზავრებს, ისინიც სიამოვნებით ჩამოვლენ, თუ ეცოდინებათ, რომ აქ, საქართველოში პროფესიონალური გერმანული ტუროპერატორული ფირმები მუშაობენ, რომლებიც პრობლემის შემთხვევაში დახმარებას გაუწევენ. აღწერილი ბაზარი ამოქმედდება მას შემდეგ, რაც გერმანელი ტუროპერატორები ჩამოვლენ საქართველოში, განხორციელდება პროგრამები და გამოჩნდება პოზიტიური სტატიები საქართველოს საოცრებების შესახებ.

გერმანია უნიკალურია იმით, რომ ახალი ბაზარი აქ ძალზე სწრაფად შეიძლება შეიქმნას. გერმანელ ტურისტებზე, მათი მენტალიტეტიდან გამომდინარე, პოლიტიკური ინფორმაცია თითქმის არ მოქმედებს. როგორც კი ისინი გაიგებენ „ახალი ქვეყნის“ შესახებ, მათ იქ წასვლა მოუნდებათ. თუ გაკეთდა ინვესტიცია მარკეტინგის სფეროში, შედეგები აუცილებლად ძალზე მომგებიანი იქნება.

იტალიის ბაზრიდან არც ისე ბევრი ტურისტი ჩადის რუსეთში და, მით უმეტეს, არატრადიციულ, აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნებში. სამაგიეროდ, იტალიელებს ძალზე უყვართ მზე, ამიტომ, შავი ზღვის ქვიშის პლიაჟები მათ აუცილებლად მოიზიდავს. იტალიელები ბევრად უფრო დიდ ყურადღებას ანიჭებენ მოდას, ვიდრე სხვა ქვეყნის წარმომადგენლები, ამიტომ, თუ საქართველო პოპულარული გახდა ტრადიციული სამზარეულოს, ისტორიული ძეგლების, ან სხვა ფაქტორების გამო, იტალიელები მასიურად ჩა-

მოელენ. ამავე დროს, უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ იტალიის უმსხვილესი ტუროპერატორები "პოპულარული" ქვეყნების პაკეტებს ყიდიან და ამიტომ სარეკლამო კამპანიისთვის ისინი ცუდ სამიზნეს წარმოადგენენ. ისინი არ გარისკავენ, ხოლო გარკვეულ ნიშებში მომუშავე მცირე ტუროპერატორები ადვილად შექმნიდნენ სასურველ ბაზარს. არსებობს მინიმუმ 5-6 კომპანია, რომელთან თანამშრომლობაც მომგებიანი იქნებოდა. ამისათვის საჭიროა მრავალი პირადი კავშირის დამყარება და დეტალურად დაგეგმილი სარეკლამო/სამარკეტინგო კამპანია, რომელსაც საქართველოს მთავრობა და ადგილობრივი ტუროპერატორები, სასტუმროების მფლობელები განახორციელებენ. ეს ყოველივე შედეგად მოიტანს იმას, რომ იტალიის ზოგიერთი ტუროპერატორი გადაწყვეტს და გარისკავს საქართველოსთვის იტალიური ბაზრის შექმნას.

სამოგზაურო აგენტებს უნიკალური როლის თამაში შეუძლიათ, რადგანაც მათ მსოფლიოს ყველა რეგიონის შესახებ ვრცელი ინფორმაცია გააჩნიათ. თუ ისინი აღიარებენ საქართველოს, მაშინ ეს ქვეყანა იტალიელ ტურისტთა შორისაც პოპულარული გახდება. ამიტომ, სამოგზაურო აგენტებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ტუროპერატორები ძალზე დაკავებულნი არიან ტრადიციულ ტურებთან მუშაობით, სწორი ტაქტიკა იქნებოდა მათი ჩამოყვანა ქვეყანაში და შემდგომ თანამშრომლობის გაგრძელება იტალიაში. მათ სურვილი ექნებათ, რათა გარკვეული ასპექტით გაუწიონ რეკლამა საქართველოს, რადგანაც მიაჩნიათ, რომ იტალიელ ტურისტებს განსაკუთრებული ინტერესები გააჩნიათ. იდეალური გადაწყვეტილება იქნებოდა ისეთი დროის შერჩევა ტურისათვის, როდესაც საქართველოში რაიმე ზეიმი ან ფესტივალი ტარდება; უნდა გავითვალისწინოთ, რომ იტალიაში ძალზე გრძელი შვებულება აქვთ.

იტალიელებს მოსწონთ, როდესაც იმ ქვეყანაში, სადაც მიდიან, იტალიურად საუბრობენ და იტალიურ სამზარეულოს იცნობენ. თუ ამავე დროს ტუროპერატორებს იტალიური ეცოდინებათ და საგზურებსაც მისაღები ფასები ექნება, საქმე აუცილებლად წარმატებული იქნება. ერთი სიტყვით, იტალიური ბაზარი ძალზედ

მგრძნობიარეა. სწორად დაგეგმილი კამპანია წარმატების საწინდარი იქნება. სამარკეტინგო კამპანიაში, აგრეთვე, გასათვალისწინებელია მაღალი ხარისხის ბროშურების, ბუკლეტებისა და სხვა სარეკლამო მასალების მომზადება.

განვიხილოთ საქართველოში ტურიზმის განვითარების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა: „ტურისტული პროდუქტის მრავალფეროვნებაზე ზრუნვა".

პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ ტურიზმი ტურისტული პროდუქტის გარეშე არ არსებობს. ტურისტულ პროდუქტს ქმნის ტუროპერატორი, მაგრამ, მის განხორციელებაზე პასუხისმგებელია მთელი ქვეყანა. ასე, რომ, ტურისტული პროდუქტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ვერ იქნება ერთი უწყება (თუნდაც ეკონომიკის სამინისტრო), ის მთელი ქვეყნის მთაერობის საკეთებელი საქმეა. თვითონ განსაჯეთ: — ტურისტს ქვეყნის შესახებ შთაბეჭდილება შეუძლია გაუფუჭოს მესაზღვრემაც და მებაჟემაც, ტრანსპორტმაც და კომუნიკაციებმაც, ცუდმა ვაჭრობამ და მომსახურებამ, კვებამ და სასტუმრომ, ცუდმა გზებმა, ანტისანიტარიამ. — აღარაფერს ვამბობთ ადამიანის ელემენტარულ უსაფრთხოებაზე და სხვ. ასე, რომ უცხოელი ექსპერტების რჩევით, საჭიროა სპეციალური დარგთაშორისო სამთავრობო კომისიის შექმნა, რომელიც პერიოდულად განიხილავს ტურიზმთან დაკავშირებულ პრობლემებსა და დასახავს მათი აღმოფხვრის გზებს.

რაც შეეხება საქართველოს მიერ დღეისათვის შესათავაზებელ ტურისტულ პროდუქტს, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ საქართველოს აქვს, როგორც აღმოჩენითი, ისე, აქტიური სათავგადასავლო ტურიზმის განვითარებისთვის უნიკალური შესაძლებლობები გააჩნია.

მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავებისას მნიშვნელოვანია, ძალისხმევის ფოკუსირება მოხდეს ტურისტული პროდუქტის იმ სახეობაზე, რომლებიც განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსათვის. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი ცალ-ცალკე.

*მთავარი აქცენტის გაკეთება აღმოჩენით და სათავგადასავლო ორგანიზებულ ტურებზე და მათი რეგულარული წარდგენა ტურისტულ ბაზარზე.*

*აღმოჩენითი ტურიზმი.* ორგანიზებული კულტურული ტურები. საქართველოს მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა, ისტორიული ძეგლების სიმრავლე და მრავალფეროვნება, ერთის მხრივ, და საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე სტაბილური და მზარდი ინტერესი კულტურული ტურიზმისადმი, მეორეს მხრივ, იძლევა ქვეყანაში კულტურული ტურიზმის განვითარების უტყუარ შესაძლებლობას. რისთვისაც საჭიროა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი და მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტის შეთავაზება. ტურისტული ფირმების მიერ კულტურული ღირსშესანიშნაობების უფრო პროფესიულად წარმოჩენა და კულტურული ღირსებების გააზრებულად ჩართვა პროგრამაში.

ორგანიზებული ეკოლოგიური ტურები. უკვე არსებული და პერსპექტივაში დასახული პარკები და დაცული ტერიტორიები შეადგენენ საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტს. დაცულ ტერიტორიებზე ეკოლოგიური ტურების დაგეგმვა და ეკოტურიზმის თვალსაზრისით მსოფლიოში არსებული გამოცდილების გადმოღება საწინდარი იქნება უახლოეს პერიოდში საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე კონკურენტუნარიანი ეკოტურების გატანისა. რისთვისაც ეროვნული პარკების მენეჯმენტის გეგმის დამუშავებისას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტურისტული მარშრუტების შედგენას და ეროვნული პარკის დაგეგმეისას ტურისტული შესაძლებლობების სათანადოდ გათვალისწინებას.

სათავგადასავლო, აქტიური ტურები. იგი მოიცავს სხვადასხვა სპეციფიკურ ტურს: ლაშქრობა, ტრეკინგი, სამთო ტურიზმი და სხვა. საქართველოში ასეთი ტურების უპირატესობა განპირობებულია იმით, რომ არსებობს სათანადო და მდიდარი ბუნებრივი შესაძლებლობები, მათი ორგანიზება არ მოითხოვს მაღალი სტანდარტების ინფრასტრუქტურის არსებობას. ამასთან, რეგიონში არსებული არასტაბილურობისა და უსაფრთხოების პრობლემები, ამ ტიპის პროდუქტის მომხმარებელთათვის, სხვა მიზნობრივ ჯგუფებთან შედარებით, ნაკლებად ხელშემშლელ ფაქტორად აღიქმება.

დასავლეთ ევროპა უახლოეს პერიოდში დარჩება აღმოჩენითი და სათავგადასაელო ტურისტული პროდუქტის გასაღების უპირატეს ბაზრად, თუმცა პოტენციურ ბაზრებად განხილული უნ-

და იყოს: აშშ; იაპონია, სამხრეთ კორეა, ტაივანი; კავკასიაში მცხოვრები არარეზიდენტები.

საქართველოს, როგორც საერთაშორისო კონფერენციების, კონგრესებისა და შეხვედრების ჩატარების რეგიონული ცენტრის იმიჯის ჩამოყალიბება.

აუცილებელია შესწავლილ იქნას საქართველოში საერთაშორისო კონფერენციების, კონგრესების, და შეხვედრების ჩატარების პოტენციური რესურსი, რათა საქართველოს ჩამოუყალიბდეს ასეთი რეგიონული ცენტრის იმიჯი.

აღნიშნული სეგმენტი, როგორც ტურისტული პროდუქტი, ჯერ კიდევ არ არის წარმოდგენილი ტურისტული საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებად, თუმცა, თბილისს რეალურად აქვს ასეთი ადგილის დასამკვიდრებლად აუცილებელი ყველა ნიშანი: ცენტრალური მდებარეობა რეგიონში; დიდი აბრეშუმის გზის ცენტრი; ვაჭრობისა და ბიზნესის რეგიონული ცენტრი; საერთაშორისო რეპუტაციის არსებობა; სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური ცენტრის როლი.

აღნიშნულის წარმატებულ მაგალითად შეიძლება განხილულ იქნას ქ. თბილისში კავკასიის საერთაშორისო ტურისტული ბაზრობის ჩატარება, რომელიც პირველად გაიმართა 1999 წელს. მას შემდეგ იგი იქცა ტრადიციულ ღონისძიებად და უკვე მეხუთე წელია, იზრდება მისი, როგორც ხარისხი და მონაწილეთა რაოდენობა, ასევე, საერთაშორისო იმიჯი. ამაზე ნათლად მეტყველებს ის გარემოებაც, რომ მას ამჟამად მინიჭებული აქვს „დიდი აბრეშუმის გზის" საერთაშორისო ტურისტული ბაზრობის სტატუსი და შეტანილია მტო-ს საერთაშორისო ბაზრების კალენდარში.

ამ ტიპის პროდუქტის ბაზარი ნამდვილად არსებობს სამხრეთ კავკასიის რეგიონში. პოლიტიკური, ბიზნეს, სამეცნიერო, კულტურული და სხვა ტიპის საერთაშორისო შეხვედრები, რომლებშიც მონაწილეობას იღებენ რეგიონული და საერთაშორისო ორგანიზაციები, შესაძლოა გაიმართოს თბილისში, სადაც არის რესურსი, რათა უზრუნველყოფილ იქნას ყველა აუცილებელი პირობა: ტრანსპორტი, უსაფრთხოება, სასტუმრო და საკონფერენციო ინფრასტრუქტურა, კომუნიკაციები და სხვა.

აღნიშნულის განხორციელება, მით უმეტეს, მიზანშეწონილია მას შემდეგ, რაც თბილისში ექსპლუატაციაში შევიდა „მერიოტის" ორი სასტუმრო, რადგან ასეთი ტიპის მასშტაბური ღონისძიებების ჩატარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს ერთდროულად რამდენიმე მაღალი კლასისა და შესაბამისი სიმძლავრის სასტუმროს არსებობა.

მცირე მასშტაბის კონფერენციების ჩატარება შესაძლებელია ასევე თბილისს გარეთ, კერძოდ, გუდაურში, ბორჯომში, ბაკურიანში, ბათუმსა და ჩაქვში. საკონფერენციო ტურიზმს ქვეყნისათვის დიდი ფინანსური შემოსავლების მოტანა შეუძლია. სწორედ ამიტომ, საჭიროა საქართველოს მთავრობამ გამოიყენოს ეკონომიკური ბიუჯეტი მისი განვითარების ხელშეწყობისათვის, რათა ტურისტული კომპანიებისათვის მომგებიანი იყოს ასეთი კონფერენციების საქართველოში გამართვის უფლების მოპოვება (მსოფლიოში ასეთი მაგალითები მრავლად არსებობს).

ზაფხულის ტურისტულ-რეკრეაციული პროდუქტის გატანა სამხრეთ კავკასიისა და რუსეთის ბაზარზე. საქართველოს ტურისტულ პროდუქტს არ გააჩნია ფასის განმსაზღვრელი მახასიათებლებით მნიშვნელოვანი უპირატესობა სხვა მსგავს პროდუქტთან შედარებით. ზაფხულის რეკრეაციული ტურები აჭარის შავი ზღვის სანაპიროზე და ურეკში ფასი/სერვისის თანაფარდობით ჩამოუვარდებიან ანალოგიური ტიპის პროდუქტს ბულგარეთსა და თურქეთში.

თუმცა, ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ამ ტიპის ქართული ტურისტული პროდუქტის ფასის აბსოლუტური სიდიდე დაბალია სხვა ქვეყნების ანალოგიურ პროდუქტთან შედარებით. აქედან გამომდინარე, მარკეტინგულ პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს ის ბაზრები, სადაც უფრო მნიშვნელოვანია პროდუქტის დაბალი აბსოლუტური ფასი, ვიდრე ფასი/სერვისის თანაფარდობა. ასეთად, პირველ რიგში, უნდა განვიხილოთ სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის სამხრეთისა და ციმბირის რეგიონები. ასეთი ტიპის პროდუქტის აღნიშნულ ბაზრებზე ორიენტაცია განპირობებულია იმითაც, რომ ამ შემთხვევაში, რუსული ენის ფაქტორის გათვალისწინებით, მოხსნილია ენობრივი ბარიერის პრობლემა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში საქართველოს მაღალი ტურისტუ-

ლი იმიჯი, დღესაც განაპირობებს ტრადიციული ბაზრების დაინტერესებას.

ქართული ტურისტული პროდუქტის რეალიზაცია საქართველოში. მართალია, საქართველოში შიდა ტურისტული ბაზარი თავისი სიდიდით არ გამოირჩევა, მაგრამ, ფაქტია, რომ სუსტადაა ათვისებული მარკეტინგული თვალსაზრისით.

შიდა ტურიზმი ძირითადად ინდივიდუალური ტურისტული საქმიანობის სფეროა და ამ სეგმენტში მცირეა ტუროპერატორული სერვისის წილი. ამის გამო, აღნიშნულ სფეროში არსებობს აუთვისებელი რესურსები, რომელიც შეიძლება გამოიხატოს შემდეგი ტიპის საქმიანობაში:

• ტრადიციული საზაფხულო დასვენების ორგანიზება შავი ზღვისა და მთის კურორტებზე.

• სამკურნალო და რეკრეაციული ტურების ორგანიზება ბალნეოლოგიურ და კლიმატურ კურორტებზე.

• ზამთრის სათხილამურო პაკეტ-ტურების ორგანიზება.

• ხანმოკლე შაბათ-კვირის ტურების ორგანიზება და ა.შ.

საქართველოში ჩამოსული უცხოელი ტურისტებისათვის დამატებითი მომსახურების შეთავაზება, ჩვენს ქვეყანაში მათი დანახარჯების გაზრდის მიზნით. საქართველოს ტურისტული ბაზრის მარკეტინგული რაოდენობრივი კვლევა ცხადყოფს, რომ ქვეყანაში შემოსულ უცხოელთა დიდ ნაწილს წარმოადგენენ ბიზნეს-ტურისტები. არსებული მცირერიცხოვანი მარკეტინგული გამოკვლევებიც კი (1999 წელს თბილისის აეროპორტში ჩატარებული გამოკითხვა) ცხადყოფენ ტურისტული ფირმების მხრიდან შეთავაზებების არარსებობას. ე.ი. ბიზნესმენთა უმრავლესობას, რომლებიც საქართველოში ყოველწლიურად ჩამოდიან, არა აქვთ სათანადო შეთავაზებები ტურისტული ფირმების მხრიდან, რათა მათ საქართველოში ყოფნისას დაიკმაყოფილონ თავიანთი ტურისტული მოთხოვნილებები. საჭიროა მრავალფეროვან მომსახურებათა პაკეტების მომზადება ბიზნეს-ტურისტებისათვის, რაც, ერთის მხრივ, დააკმაყოფილებს მათ მოთხოვნილებებს, მეორეს მხრივ, კი გამოიწვევს ქვეყანაში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების გაზრდას.

საზღვრის გადაკვეთის ფორმალობების გამარტივება. სავიზო

მოთხოვნები, როგორც წესი, განიხილება ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორად, რამდენადაც ის გამორიცხავს სპონტანური გადაწყვეტილებების მიღებას ამ ქვეყანაში გამგზავრებასთან დაკავშირებით.

აუცილებელია საქართველოში მოქმედი სავიზო რეჟიმისა და მისგან შექმნილი პირობების გადახედვა. იგი ვერანაირად ვერ უწყობს ხელს ქვეყანაში ტურიზმის განვითარებას ვერც ვიზის გაცემის დადგენილი წესით და ვერც ფასით (80 აშშ დოლარი).

თუ საქართველოში დღეს მოქმედი სავიზო რეჟიმი განპირობებულია უცხოელთაგან დამატებითი შემოსავლების გენერირებით, მაშინ, მიზანშეწონილია განხილულ იქნას სახელმწიფო დაბეგვრის სხვა, ალტერნეტიული, ნაკლებად რთული და ბიუროკრატიული მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობა (მაგალითად, გადასახადი ქვეყანაში შემოსვლაზე, ან ქვეყნიდან გასვლაზე).

თუ საქმე იმიგრაციის კონტროლშია, მაშინ, სავიზო რეჟიმის ეფექტურობა დღესაც მინიმალურია, რადგანაც აეროპორტში ვიზის გაცემა ხელს უშლის ასეთი კონტროლის განხორციელებას.

მსოფლიოს ტურისტული ქვეყნებისათვის უცხო არ არის ზოგიერთ ქვეყნებთან ორმხრივ სავიზო რეჟიმზე უარის თქმა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ცალმხრივად საკუთარ ქვეყანაში შემოსვლაზე სავიზო მოთხოვნის გაუქმება.

სწორედ ეს გააკეთა რუსეთთან მიმართებაში საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სულ ახლახანს, როდესაც ცალმხრივად გააუქმა სავიზო მოთხოვნები რუსეთის მოქალაქეებისათვის, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის ფორმალობების გამარტივების მიზნით.

კარგი იქნება, ანალოგიური ნაბიჯები გადაიდგას მომავალში ევროკავშირის, აშშ, იაპონიის და ზოგიერთი სხვა ქვეყნების მოქალაქეების მიმართაც. მიზანშეწონილია განიხილულ იქნას დიდი აბრეშუმის გზის მარშრუტებზე თავისუფალი სავიზო ზონის შექმნის (ანუ უვიზო მიმოსვლის), და ერთიანი კავკასიური ვიზის შემოღების საკითხები, რაც დიდად შეუწყობს ხელს აბრეშუმის გზის პოტენციური ტურისტების ნაკადის ზრდას ქვეყანაში და რეგიონში. ზემოაღნიშნული პრობლემების გადაწყვეტა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოში ტურიზ-

მის დაჩქარებულ განვითარებას, რაც თავის მხრივ, მკვეთრად გაზრდის შემოსავლებს (მათ შორის სავალუტო), გააუმჯობესებს ქვეყნის საგადამხდელო ბალანსს, განავითარებს ინფრასტრუქტურას, ბიძგს მისცემს ეკონომიკის მრავალი სხვა (მომიჯნავე) დარგების განვითარებას, შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს, დაასაქმებს ხალხს და დაეხმარება ქვეყანას სიღარიბის დაძლევაში.

ზემოთ აღნიშნულია, რომ სიღარიბის აღმოფხვრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, წარმოადგენს მდგრადი ტურიზმის მიზანმიმართულად და გააზრებულად გამოყენება. ცნობილია, რომ ტურიზმის მნიშვნელობა საგრძნობლად იზრდება საერთაშორისო ვაჭრობაში. ამასთან ერთად, ტურიზმის მდგრადი განვითარება პირდაპირ გავლენას ახდენს ღარიბთა რაოდენობის შემცირებაზე. შემთხვევითი არ არის, რომ სპეციალურად იქნა შემოღებული ტერმინი „პროღარიბული ტურიზმი“. ტურიზმის ეს სახეობა ღარიბებისათვის ახდენს შემოსავლების გენერირებას. ამ სახით ტურიზმის სტრატეგია ფოკუსირდება არა იმდენად მთელი ტურიზმის სექტორის უბრალოდ განვითარებაზე, არამედ, მეტწილად ღარიბებისათვის ტურიზმში მონაწილეობის სპეციალურ შესაძლებლობებზე. ეს თავისებურება ყოველმხრივ უნდა იქნას გათვალისწინებული პოსტსოციალისტური ქვეყნებისათვის.

ჩვენი აზრით, ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ევრაზიის დერეფნის იდეის („ტრასეკასა“) და „დიდი აბრეშუმის გზის“ პროექტების რეალიზაცია პირდაპირ განსაზღვრავს საქართველოში საერთაშორისო ტურიზმის ფართო მასშტაბით განვითარების აუცილებლობას.

საერთაშორისო სტანდარტების დონეზე ტურიზმის ორგანიზების შემთხვევაში, საქართველოს საექსპორტო პროდუქციის წარმოებაში ტურიზმის პრიორიტეტულობა და ეფექტურობა ეჭვს არ იწვევს. იგი საშუალებას იძლევა რადიკალურად შემცირდეს ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის დეფიციტი.

საქართველოში ტურიზმის განვითარების უახლოესი პერსპექტივის (5 წლის მანძილზე) ამოცანად უნდა განისაზღვროს ქვეყანაში ერთი მილიონი ტურისტის მიღება. ამ გათვლებს ადასტურებენ ტურიზმის საერთაშორისო ექსპერტებიც. ერთი მილიონი

უცხოელი ტურისტის მიღებით შემოსავალმა შეიძლება ერთ მილიარდ აშშ დოლარს მიაღწიოს. ამ შემთხვევაში საქართველოს ბიუჯეტში მხოლოდ ტურიზმიდან შეიძლება შეეიდეს 500 მილიონი ლარი. ერთი მილიონი ტურისტის მიღების შემთხვევაში დარგში დასაქმდება 100000 კაცი, აქედან მარტო სასტუმროებში 30000, ხოლო სხვა სფეროებში – 70000. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მსოფლიო ტურიზმში მიღებული ნორმატივებით, უშუალოდ ამ სფეროში შექმნილი ერთი სამუშაო ადგილი ქმნის დამატებით ორ სამუშაო ადგილს მომიჯნავე დარგებში, ე.ი. დამატებით შესაძლებელია დასაქმდეს 200 ათასი კაცი. საქართველოში ტურიზმის განვითარების ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლები ამ შემთხვევისათვის, წარმოდგენილია დანართი №25-ში.

როგორც ცხრილის ანალიზიდან ჩანს, თითქმის 5-ჯერ იზრდება ტურიზმიდან მიღებული საბიუჯეტო შემოსავალი, 6-ჯერ – ტურიზმში, ხოლო 7-ჯერ სხვა დარგებში დასაქმებულთა რაოდენობა, 3-ჯერ და მეტჯერ იზრდება ქვეყანაში ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი, მკვეთრად უმჯობესდება ქვეყნის საგადამხდელო ბალანსი, რომელსაც იწვევს ტურიზმის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების 4,3-ჯერ ზრდა.

მხედველობაშია მისაღები ტურიზმის მაღალი მულტიპლიკატორის ეფექტი, რომელიც მოქმედებს პროგრესიის მეთოდით. ეს მოვლენა გულისხმობს იმას, რომ ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარება იწვევს ტურისტთა ნაკადების ზრდას და შესაბამისად, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების მატებას ქვეყანაში, ხოლო, ტურისტთა ნაკადების ზრდა თავის მხრივ იწვევს ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მოთხოვნის მოტივაციას, რაც თავის მხრივ ორიენტირებულია ტურისტთა ნაკადების ზრდაზე.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ქვეყნის ეკონომიკის დარგობრივ ჭრილში ტურიზმის კავშირი ინფრასტრუქტურასთან განსაკუთრებით მაღალია.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ურთიერთკავშირების აღნიშნული სქემა: ტურიზმი-ინფრასტრუქტურა, ქვეყანაში სიღარიბის დაძლევისა და საერთოდ, ეკონომიკური ზრდის ეფექტიანი პირო-

ბაა და თანამედროვე ეტაპზე მასზე ყურადღების გამახვილება აუცილებელია.

გასათვალისწინებელია, რომ ტურიზმის გავრცელების ეკონომკური არეალი მრავალგანშტოებადია. იგი მოიცავს: ვაჭრობასა და მომსახურებას, ენერგეტიკასა და ტრანსპორტს, გზებსა და კომუნიკაციებს, სადაზღვევო და საბანკო საქმეს, სასტუმროებს და რესტორნებს, კვების პროდუქტებისა და სასმელების წარმოებას, კულტურასა და გართობას, სპორტს და ა.შ. ტურიზმი ბიძგს აძლევს მასთან დაკავშირებულ ყველა ეკონომიკურ საქმიანობას და მაშასადამე, მთელ ეკონიომიკას. მოკლედ რომ ვთქვათ, ქვეყანამ ეკონომიკის განვითარებისათვის უნდა განავითაროს ტურიზმი და ტურიზმი, თავის მხრივ, გამოიწვევს ეკონომიკის სხვა დარგების განვითარებას. ამგვარად, ტურიზმის ადგილი სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამაში შეიძლება გამოიხატოს შემდეგი ფორმულით: ეკონომიკა > ტურიზმი > ეკონომიკა.

# რ ე ზ ი უ მ ე

ტურიზმის, როგორც ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის განვითარების მსოფლიო გამოცდილების შესწავლამ, ტურიზმის განვითარების ახალმა კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიურმა მიდგომამ, რაც გამოიხატა ტურიზმის, როგორც სიღარიბის დაძლევის მნიშვნელოვანი ფაქტორის აღიარებაში, საშუალება მოგვცა ჩამოგვეყალიბებინა შემდეგი რეკომენდაციები და დასკვნები, რომელთა გათვალისწინება ხელს შეუწყობს ტურიზმის დაჩქარებულ განვითარებას ქვეყანაში და შესაბამისად, მისი მეშვეობით სიღარიბის დონის შემცირებას.

სიღარიბის პრობლემამ მსოფლიოში გლობალური (ყოვლისმომცველი) ხასიათი მიიღო და საჭიროა მასთან სისტემური, სისტემატური, მიზანმიმართული და თანმიმდევრული ბრძოლა, როგორც გლობალურ, ასევე ლოკალურ დონეზე.

კაცობრიობამ, ტურიზმის როლი და მნიშვნელობა, როგორც დედამიწაზე სიღარიბის დაძლევის მნიშვნელოვანი ფაქტორისა, გააცნობიერა (ოფიციალურად აღიარებულ იქნა) XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისში. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 2002 წელს გამართული სიღარიბის დაძლევის მსოფლიო ფორუმი (იოჰანესბურგი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა), რომელმაც პირველად აღიარა ტურიზმი, როგორც სიღარიბის დაძლევის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი და მოუწოდა მსოფლიოს დონორ ორგანიზაციებსა და დახმარების აღმოჩენის ფონდებს, თავის პროექტებში აუცილებლად შეიტანონ ტურიზმი, როგორც განვითარების მნიშვნელოვანი პრიორიტეტი.

ტურიზმის გავლენა სიღარიბის დაძლევაზე აიხსნება სპეციფიკური გარემოებებით, ზემოქმედების ეკონომიკური საშუალებების (ბერკეტების) მრავალფეროვნებით. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებული 10 მნიშვნლოვანი სარგებელიდან, რომელიც თან ახლავს ტურიზმის განვითარებას, მხოლოდ პირველი ოთხის დასახელებაც კი, ნათლად აჩვენებს, რომ იგი უზრუნველყოფს სიღარიბის გამომწვევი სიმპტომების განეიტრალებას. პირველ ადგილზეა – დასაქმება (მათ შორის: ალტერნა-

ტიული, რეგიონებში, ქალები და ახალგაზრდები); მეორეზეა – სიღარიბესთან ბრძოლა; მესამეზეა – სახელმწიფო შემოსავლების ზრდა; და მეოთხეზე – ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარება.

ტურიზმის განვითარების ახალი კონცეპტუალური ხედვა მთლიანად შეესაბამება სიღარიბის დაძლევის სტრატეგიას. ტურიზმის განვითარების სტრატეგიის სწორად გააზრებისათვის მეტად მნიშვნელოვანია, მისი განვითარების ისტორიის, ტენდენციებისა და თანამედროვე მდგომარეობის შესწავლა. ამ მიზნით ყურადსაღებია მსოფლიოს 15 უდიდესი ქვეყნის მაგალითი, ტურისტების მიღების რაოდენობისა და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების მიხედვით, სადაც პირველი ხუთეული ასე გამოიყურება: საფრანგეთი, აშშ, ესპანეთი, იტალია და ჩინეთი.

ტურიზმის როლი საქართველოს ეკონომიკის შემდგომ განვითარებაში ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ გაცნობიერებული. აუცილებელია ჩამოყალიბდეს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და ეკონომიკური პრიორიტეტების განსაზღვრის ახალი ხედვა. (კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომები).

ისეთი მაღალი ტურისტული პოტენციალის მქონე ქვეყანაში, როგორც საქართველოა, აუცილებელია გამოიკვეთოს ტურიზმის პრიორიტეტულობის შემდეგი კრიტერიუმები: ტურიზმის ექსპორტაბელურობის მაღალი დონე და აქედან გამომდინარე, ქვეყნის შემოსავლების ზრდაში მისი დიდი პოტენციალი; მოსახლეობის დასაქმების მასშტაბური შესაძლებლობა; რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონის გამოთანაბრების დიდი რეზერვების არსებობა (ამის შესაძლებლობას იძლევა ტურისტული პოტენციალის ბუნებრივ-გეოგრაფიული განლაგება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე); ეკონომიკის სხვა დარგების (ტურიზმის მომიჯნავე დარგების, კერძოდ: ტრანსპორტი და კომუნიკაციის საშუალებები, ვაჭრობა და მომსახურება, დაზღვევა და საბანკო საქმე, აგრარული სექტორი, კვების მრეწველობა, მშენებლობა და სხვა) განვითარების სტიმულირება, ტურიზმის მაღალი მულტიპლიკატორული ეფექტი.

საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, უდიდესი ტურისტული პოტენციალი გააჩნია. ქვეყნის ბუნებრივ ტურისტულ შესაძლებლობებს განსაზღვრავს მისი

კლიმატი, ზღვა, მთები და უნიკალური ლანდშაფტები, ჰიდრომინერალური რესურსები, კურორტები და საკურორტო ადგილები, დაცული ტერიტორიები და ეროვნული პარკები, კულტურულ-არქიტექტურული ძეგლები და მდიდარი ისტორიული მემკვიდრეობა. ყოველივე ეს, ქვეყანას ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით ანიჭებს განსაკუთრებულ უპირატესობას, რაც საქართველოს შემთხვევაში გამოიხატება იმაში, რომ მისი ბუნებრივი და საკურორტო პოტენციალის შექმნას არ სჭირდება დამატებითი კაპიტალდაბანდებანი.

მიუხედავად ასეთი მდიდარი ბუნებრივი შესაძლებლობებისა, საქართველოს დამოუკიდებლობის პირველივე წლებში ქვეყანაში მომხდარი კატაკლიზმების ფონზე, ტურიზმის განვითარება სრულად იქნა პარალიზებული და შემდგომში, ფაქტობრივად, განადგურდა ქვეყნის ტურისტული ინფრასტრუქტურაც.

ამიტომ დღის წესრიგში დადგა ტურიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და განვითარებისათვის საჭირო ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირების საკითხი. მნიშვნელოვანია, საქართველო იცნობდეს ტურიზმის განვითარების იმ მასტიმულირებელ ფაქტორებს, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოიყენებოდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ტურიზმის დაჩქარებული განვითარების მიზნით. ეს ფაქტორები შემდეგნაირად შეიძლება დაჯგუფდეს: სამთავრობო გრანტები; დახმარება პროექტის დაფინანსებაში; სესხის გარანტიები; წილობრივი მონაწილეობა; გარიგება სქემით „ადგილობრივი წილის გადაცემა სამთავრობო ვალზე“; საიმპორტო საბაჟო გადასახადის გაუქმება; გადასახადების შემცირება; ინვესტორთა დახმარების ორგანიზაციის ჩამოყალიბება და სხვა.

ტურიზმის განვითარების კონცეფციის გააზრებისათვის მეტად მნიშვნელოვანია მისი შემაფერხებელი ფაქტორების სწორი ანალიზი. მხოლოდ დარგის წინაშე მდგარი პრობლემებისა და მისი სუსტი მხარეების განსაზღვრის შემდეგ ხდება შესაძლებელი მათი გადაჭრის გზების დადგენა. ამ საკითხისადმი მიდგომა დაემყარა იმ მოსაზრებას, რომ ტურიზმი არის ეკონომიკის ისეთი დარგი, რომელიც აწარმოებს საქონელს და ბუნებრივია ცდილობს მისი მომხმარებლის მოპოვებას. აქედან გამომდინარე, საჭიროა სა-

ქონლის ტიპის, ხარისხისა და მოცულობის, აგრეთვე, მისი რეალიზაციის მეთოდებისა და შესაბამისი ბაზრების შესწავლა. რამდენადაც ტურიზმში საქონელი არის ტურისტული პროდუქტი, დარგის წინაშე არსებული პრობლემები იყოფა ორ ჯგუფად – ტურისტულ პროდუქტთან დაკავშირებული პრობლემები და ტურისტული ბაზრის მოთხოვნები, რომლებიც თავის მხრივ იყოფა კიდევ რამდენიმე ქვეჯგუფად.

ტურისტულ პროდუქტთან დაკავშირებული ასპექტების კვლევისას ყურადღებას იპყრობს მისი მრავალფეროვნება, ხარისხი, უსაფრთხოება, ინვესტიციების მოზიდვისა და ბიზნესის წარმართვის პრობლემები, ხოლო ბაზრის მოთხოვნების კვლევის შემთხვევაში – ტრანსპორტირების პრობლემები, მარშრუტის აღქმა, ღირებულება, მარკეტინგისა და შემომყვანი ტუროპერატორების პრობლემები.

ტურიზმის განვითარების პოლიტიკისა და დაგეგმვის საფუძველი უნდა იყოს მდგრადი განვითარების კონცეფცია. მთავრობამ, უნდა აიღოს პასუხისმგებლობა ტურისტთა უსაფრთხოებისა დაცვისა და ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, რაც სტიმულს მისცემს კერძო მეწარმეობის დინამიურ განვითარებას. მომავალშიც საქართველოში ტურისტული პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს არსებული ლიბერალიზაციის შემდგომ გაღრმავებასა და ინვესტიციების მხარდაჭერაზე. ნაკლებად სავარაუდოა, რომ საქართველოს ადგილობრივი კაპიტალი დააკმაყოფილებს ეკონომიკური ზრდის მოთხოვნებს, ამიტომ მეტად მნიშვნელოვანი იქნება უცხოური ინვესტიციების მოძიება და მოზიდვა.

საქართველოში ტურიზმის განვითარების პოლიტიკა უნდა დაეყრდნოს შემდეგ პრინციპებს: ტურისტთა რაოდენობისა და მათ მიერ გაწეული ხარჯების ზრდა; უცხოურ ვალუტაში შემოსავლების მაქსიმალური ზრდა; პრივატიზაციის პროცესის სრულად წარმართვა და მისი დასრულება; ტურიზმის სფეროში საგადასახადო პოლიტიკის ლიბერალიზაცია და ინვესტიციების მოზიდვაზე სახელმწიფოს მხარდაჭერა; ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და მოსახლეობის შემოსავლების ზრდა; ტურიზმის დარგში მცირე ბიზნესის ხელშეწყობა და მისი განვითარების წახალისება;

დარგში ჩრდილოვანი ეკონომიკის აღმოფხვრა და მისი ფისკალური ეფექტის განუხრელი ზრდა.

ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო ადმინისტრირების ორგანიზებას. ამ შემთხვევაში, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან ერთად, რომელიც უშუალოდ ვალდებულია განახორციელოს ტურიზმის სახელმწიფო პოლიტიკა ქვეყანაში, საჭიროა შეიქმნას ტურიზმის განვითარების დარგთაშორისი მუდმივმოქმედი სახელმწიფო კომისია, რომელიც პერიოდულად განიხილავს ისეთ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტა ერთი უწყების (ჩვენს შემთხვევაში – თუნდაც ეკონომიკური განვითარების სამინისტროს) ჩარჩოებში არ ხერხდება (მათი საუწყებათაშორისო ხასიათის გამო).

ქვეყანაში ტურიზმის განვითარების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების მიზნით, საჭიროა შეიქმნას ხუთწლიანი სახელმწიფო პროგრამა, სადაც კონკრეტულად იქნება განსაზღვრული ყველა სამინისტროსა და უწყების, აგრეთვე, მხარეების, რაიონებისა და ქალაქების მიერ გასატარებელი ღონისძიებები. მიზანშეწონილად მიგვაჩნია მთავრობის სხდომაზე განხილვის შემდეგ, პროგრამა დაამტკიცოს საქართველოს პრეზიდენტმა და ეწოდოს მას „საქართველოში ტურიზმის დაჩქარებული განვითარების საპრეზიდენტო პროგრამა“.

საქართველოში ტურიზმის განვითარებით მიღწეულ უნდა იქნას შემოსავლების განუხრელი ზრდა. ამ მიზნით უნდა გადაწყდეს ხუთი სტრატეგიული ამოცანა, ესენია: ტურისტული ბაზრების მარკეტინგული კვლევებისა და ეფექტური რეკლამის წარმოება. ტურისტული პროდუქტის გატანა საზღვარგარეთ; ტურისტული პროდუქტის მრავალფეროვნება; ინფრასტრუქტურის განვითარება, შესაბამისი სატრანსპორტო და სასტუმრო სიმძლავრეების შექმნა; ტურისტთა უსაფრთხოება, უსაფრთხო ქვეყნის იმიჯის დამკვიდრება; კვალიფიციური პერსონალით დარგის უზრუნველყოფა.

საქართველოში ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის თანამედროვე ეტაპზე, იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფოს შესაბამის სტრუქტურებს ტურიზმის დარგის დამოუკიდებლად მართვის გამოცდილება არ გააჩნიათ, აუცილებელია სახელმწიფო ბი-

უჯეტის მიერ რეკლამისა და მარკეტინგის ხარჯების დაფინანსება. მომავალში საჭირო იქნება მიმართული აგრესიული სარეკლამო კამპანიის წარმოება, რისთვისაც საქართველოს ტურიზმისათვის ისეთ მნიშვნელოვან ბაზრებთან ერთად, როგორიცაა უშუალოდ მეზობელი ქვეყნები (რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი), საჭიროა განხილულ იქნას თანამშრომლობის შესაძლებლობები ზოგიერთ ევროპულ ქვეყანასთანაც (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია და სხვა).

გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, აუცილებელია საქართველოს, როგორც საერთაშორისო კონფერენციების, კონგრესებისა და შეხვედრების ჩატარების რეგიონული ცენტრის იმიჯის ჩამოყალიბება, რისთვისაც საჭიროა წახალისდეს და ეკონომიკურად მომგებიანი გახდეს საკონვენციო ტურიზმის განვითარების მიმართულებით საქმიანობა.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ აუცილებელია საქართველოში მოქმედი სავიზო რეჟიმისა და მისგან შექმნილი პირობების შეცვლა. როგორც წესი, სავიზო მოთხოვნები უნდა განვიხილოთ ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორად.*

მიზანშეწონილია მიღებულ იქნას გადაწყვეტილებები სავიზო რეჟიმის ცალმხრივად გამარტივების შესახებ ევროკავშირის, აშშ, იაპონიის და ზოგიერთი სხვა ქვეყნის მოქალაქეების მიმართ. განხილულ იქნას „დიდი აბრეშუმის გზის" მარშრუტებზე თავისუფალი სავიზო ზონის შექმნისა (ანუ უვიზო მიმოსვლის) და ერთიანი კავკასიური ვიზის შემოღების საკითხები.

ზემოაღნიშნული პრობლემების გადაწყვეტა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოში ტურიზმის დაჩქარებულ განვითარებას, რაც თავის მხრივ მკვეთრად გაზრდის შემოსავლებს (მათ შორის სავალუტო), გააუმჯობესებს ქვეყნის საგადამხდელო ბალანსს, განავითარებს ინფრასტრუქტურას, ბიძგს მისცემს ეკონომიკის მრავალი სხვა (მომიჯნავე) დარგების განვითარებას, შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს და საბოლოოდ ხელს შეუწყობს ქვეყანაში სიღარიბის დაძლევას.

---

* უნდა აღინიშნოს, რომ ავტორის ეს რეკომენდაცია გათვალისწინებულ იქნა საქართველოს ხელისუფლების მიერ და 2006 წლიდან საქართველოში უკვე ამოქმედდა შეღავათიანი სავიზო რეჟიმი უცხოელებისათვის.

ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის პროგრამა, მიუხედავად იმისა, რომ ითვალისწინებს 2015 წლისათვის სიღარიბის დონის ორჯერ შემცირებას (ამჟამინდელი 54% – ნავარაუდევია შემცირდეს 20-25%-მდე), ქვეყნის განვითარების სტრატეგიის თვალსაზრისით, მაშინ, როცა სოციალური უსაფრთხოების სტანდარტით იგი არ უნდა აღემატებოდეს 10%-ს, მიუღებელია. ამიტომ, ქვეყანაში ჩამოყალიბებული ახალი რეალობის გათვალისწინებით, საჭიროა სიღარიბის დაძლევის ახალი კომპლექსური პროგრამის შედგენა-განხორციელება. კომპლექსურ პროგრამაში უნდა იქნას გათვალისწინებული ტურიზმის დაჩქარებული განვითარების სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობა.

ტურიზმის დაჩქარებული განვითარების პროგრამის რეალიზაციის უზრუნველსაყოფად საჭიროა შემუშავდეს მაკროეკონომიკური რეგულირების შესაბამისი მექანიზმი. წინამდებარე წიგნში შემოთავაზებულია ასეთი მექანიზმი და რეკომენდაციები მისი ფორმირების პრინციპებისა და მაკოორდინირებელი ფუნქციების შესახებ.

# ABSTRACT

The study of the world experience of tourism development as one of the most important fields of economics and the new conceptual-methodological approach to tourism development, which resulted in recognizing tourism as an important factor of poverty reduction, enabled us to raise the following recommendations and conclusions that will favor fast development of tourism, consequently decreasing the level of poverty in country.

A poverty problem has taken a global scale recently and it is necessary to carry out the systemic, methodical, purposeful and consistent fight against it on a global as well as on a local level.

The role and importance of tourism as an important factor in overcoming poverty were recognized (formally admitted) by mankind at the end of the XIX and beginning of the XXI century. In this connection, the special significance was given to the world forum against the poverty held in 2002 (Johannesburg, Southern African Republic), at which, for the first time, tourism was acknowledged as the most important factor for overcoming the poverty. The forum has appealed to the world donor organizations and assistance providing foundations to include tourism development as one of the highest priorities among their funding preferences.

The effect of tourism on poverty elimination can be explained by specific circumstances and diversity of economical levers. Even the first four benefits out of those 10 offered by the world tourism organization that accompany the development of tourism, obviously demonstrate that it neutralizes the symptoms causing poverty. First of all, this is employment (including alternative, regional, employment of women and youth); then goes the elimination of poverty; third benefit is related to the state revenue and the fourth one – to the development of the country infrastructure.

A new conceptual view of tourism development completely corresponds with a strategy of getting over the poverty. In order to correctly consider the tourism development strategy it is very important to study

the history of its development, trends and the present situation. For this purpose it is important to consider the example of 15 largest countries with regard to the number of tourists and revenues got from tourism; the first five countries with highest rating are: France, USA, Spain, Italy and China.

The role of tourism in the further development of Georgian economics has not been understood properly yet. It is necessary to develop the new vision of the economic development of the country including definition of its economic priorities (conceptual and methodological approaches).

In Georgia, which has a high tourist potential, the following criteria for tourism priority must be emphasized: high level of tourism exportability and hence its large potential in increasing revenues of the country; large scale opportunities for employment of the population; large reserves for equalization of the regional economic development (which is basically possible because of an even natural and geographic allocation of a tourist potential on the whole territory of the country); promotion of other fields of economics (in particular, branches related to tourism, such as: transport and communication, trade and services, insurance and banking, agrarian sector, food production, building and etc.); finally, the high multiplication effect of tourism.

Due to its natural and climatic diversity Georgia has the greatest tourist potential. Tourist capabilities of the country are determined by its climate, sea, mountains and unique landscapes, hydro-mineral resources, resorts, protected territories and national parks, cultural and architectural monuments and rich historical heritage. From the point of tourism development all above mentioned gives a special priority to the country, which in case of Georgia means that there is no need for additional capital investments in order to create and develop the natural and resort potential.

In spite of such rich natural resources, the development of tourism in Georgia was completely paralyzed in the first years of independence due to the cataclysms faced by the country; later on the whole tourist infrastructure was ruined as well.

Therefore, the order of the day is the widening of investments neces-

sary for creation and development of material and technical basis for tourism. For Georgia it is quite important to know incentives that have been applied in different countries for the purpose of accelerated development of tourism. These incentives could be grouped in the following way: government grants; assistance in the project funding; loan guarantees; share holding; making a bargain by the scheme "Exchanging a local share for a government loan"; annulment of an import tax; tax reduction; establishment of investors' assisting organizations, etc.

For the comprehension of the tourism development concept the correct analysis of its impeding factors is rather important. Only after definition of problems and identification of weaknesses in the sphere of tourism the finding of the appropriate solutions will become possible. Such approach to the problem was based on the idea, that tourism is the branch of economics, which is producing goods; therefore, naturally, it is trying to find its consumers. Hence it is essential to study types, quality and scope of the goods, methods of realization and corresponding markets. Since goods in tourism are tourist products, the problems faced by the sector can be divided into two groups; these are problems connected with tourist products on the one hand, and demands of tourist market on another; this latter one is also divided into several subgroups.

While studying the aspects connected with tourist product the special attention should be paid to its diversity, quality, safety, influx of investments and business management problems, while studying the market demands we should consider transportation problems, understanding of the route, costs, and problems of marketing and tour operators.

The basis of tourism development policy and planning must be a concept of sustainable development. Government should take responsibility of tourists' safety protection and development of tourism infrastructure that will stimulate a dynamic development of private enterprises. In the future Georgian tourist policy must be directed towards the further deepening of the liberalization and support of investment activities. It is less likely that a local capital in Georgia will meet demands of the economic growth, that's why it will be very important to find and attract foreign investments.

In Georgia the tourism development policy should be based on the following principles: increasing the number of tourists and the expenses

made by them; maximal growth of incomes in foreign currency; proper implementation and completion of privatization process; liberalization of a tax policy and state support in attracting the investments in tourism; job creation and growth of the population's incomes; favoring the small business development; elimination of a shadow economy in the sector and permanent growth of its fiscal effect.

During the implementation of the tourism development state policy the fundamental importance is given to the state administration. In this case, parallel to the Ministry of the Economic Development of Georgia, which is directly responsible for the implementation of this policy, it is necessary to create the permanent intersectoral state commission that will regularly review the issues that due to their interagency nature are not solvable in frames of one agency only (e.g. Ministry of Economic Development).

In order to implement the unified state policy of the tourism development, it is essential to elaborate the five year state program, which will clearly and specifically define all measures that have to be taken not only by each ministry and agency, but also by all regions, districts and towns in Georgia. We consider it appropriate that such program, following its review by the government, should be approved by the President of Georgia and entitled as the "Presidential Program for the Accelerated Development of Tourism in Georgia".

Tourism development in Georgia will definitely entail the steady rise of revenues. For this purpose the five strategic goals should be solved: research of tourist markets and effective promotion; diversification and export of tourist production; development of infrastructure and relevant transportation and accommodation capacities; strengthening the image of the safe country guaranteeing the safety of tourists; and provision of skillful and trained personnel to the sector.

On the current stage of national economy transformation, in conditions, when relevant state structures lack the experience in independent tourism management, it is necessary to allocate the enough state funds for the marketing and advertisement expenses. In the future it will be necessary to carry out the aggressive promotional campaign; for this purpose, along with extremely important neighboring markets (Russian, Turkey, Azerbaijan, and Armenia) the possibilities of cooperation with

some of the European countries (Great Britain, France, Germany, Italy, etc.) has to be considered.

Due to the unique geopolitical situation Georgia has to be positioned as the regional center for various international conferences, congresses and meetings; this will be possible through the encouragement of activities directed to the development of economically sound conventional tourism.*

Analysis shows that in Georgia it is necessary to change the current visa regulations and related procedures. Visa requirements should be always taken up as impedimental to the tourism. It is very much advisable to take the decision about the unilateral simplification of visa regulations towards the citizens of EU, USA, Japan and some other countries; the issues of the visa-free zone along the "Great Silk Road" routes and the unified Caucasian visa introduction should also be on the agenda.

Solution of the above mentioned problems will significantly promote the accelerated development of tourism in Georgia, which, in its turn, will sharply rise the revenues (including inflow of currency), improve the balance of payments, develop the infrastructure, give a stimulus to the development of many other adjoining spheres of economy, create new jobs and ultimately contribute to the poverty elimination in country.

Despite the fact that the economic growth and poverty elimination program envisages the double reduction of poverty (from current 54% to 20-25%) by the 2015, still from the point of view of the country development strategy this is completely unacceptable, since, according to the social protection standards, this indicator should not exceed the 10%. This is why the new complex poverty reduction program developed with due consideration of the current reality is very much needed. The new program should emphasize the social and economic importance of accelerated tourism development in country.

For the implementation of accelerated tourism development program, the elaboration of the relevant macroeconomic regulation mechanism is necessary. In the book presented we propose such mechanism together with recommendations related to its formation and coordinating functions.

---

*** It is significant that the author's recommendation was taken into consideration by the Georgian Government and from 2006 visa procedure was simplified.**

# РЕЗЮМЕ

Изучение мирового развития туризма, как одного из важнейших отраслей экономики, новый концептуально - методологический подход к развитию туризма, что выражается в признании туризма значительным фактором в преодолении бедности, дало нам возможность разработать следующие рекомендации и заключения, принятие во внимание которых будет способствовать ускоренному развитию туризма в стране и соответственно, снижению уровня бедности.

Проблема бедности в мире приняла глобальный (всеобъемлющий) характер. С данной проблемой нужна системная, систематическая, целенаправленная и последовательная борьба, как на глобальном, так и на локальном уровне.

Роль и значение туризма, как важного фактора для преодоления бедности на земле, было осознано (официально признано) мировым сообществом в конце XX и в начале XXI века. В этом смысле особенно значителен проведённый в 2002 году мировой форум по преодолению бедности (Йоганесбург, ЮАР), который впервые признал туризм, как наиважнейший фактор в преодолении бедности и призвал мировые донорские организации и фонды для оказания помощи обязательно внести туризм в свои проекты, как один из важных приоритетов развития.

Влияние развития туризма на преодоление бедности объясняется специфическими обстоятельствами, разнообразием способов (рычагов) экономического воздействия. Из 10 значительных выгод, которые сопутствуют развитию туризма, предоставленных мировой организацией труда, название толь-

ко первых четырёх, уже достаточно ясно указывает, что они обеспечивают нейтрализацию симптомов, вызывающих бедность. На первом месте – трудоустройство (В том числе: альтернативное, в регионах, женщины и молодёжь). На втором – борьба с бедностью, на третьем – рост прибыли государства. На четвёртом – развитие инфраструктуры страны.

Новое концептуальное видение развития туризма всецело соответствует стратегии преодоления бедности. Для правильного осмысления стратегии развития туризма большое значение имеет изучение его истории, тенденций и современного состояния развития. Особенного внимания в этом смысле заслуживает пример 15 крупнейших стран мира, по количеству принятых туристов и доходов, полученных от туризма, где первая пятёрка стран выглядит следующим образом: Франция, Соединённые Штаты Америки, Испания, Италия, Китай.

Роль туризма в дальнейшем развитии экономики Грузии всё ещё не соответственно осознана. Обязательно нужно разработать новое видение развития экономики и определения экономических приоритетов страны (концептуальные и методологические подходы).

В стране, с таким высоким потенциалом туризма, как Грузия, обязательно нужно выделить следующие критерии приоритетности туризма: высокий уровень экспортирования туризма и исходя из этого, его высокий потенциал в росте доходов страны; Масштабная возможность трудоустройства населения; Наличие больших резервов для уравнивания уровня экономического развития регионов (Эта возможность предоставляется за счёт природного географического распределения туристического потенциала по всей территории страны); Сти-

мулирование других отраслей экономики (отраслей, граничащих с отраслью туризма, в частности: транспорт и другие средства коммуникации, торговля и сфера обслуживания, страховка и банковское дело, аграрный сектор, пищевая промышленность, строительство и другие) и высокий мультипликационный эффект туризма.

Грузия, исходя из природно-климатической разнообразности, обладает большим туристическим потенциалом. Природный туристический потенциал страны определяет её климат, море, горы и уникальный ландшафт, водоминеральные ресурсы, курорт и курортные места, защищённые территории и национальные парки, культурно- археологические памятники и богатое историческое наследство. Всё это, с точки зрения развития туризма, придаёт стране особенное преимущество, что в случае Грузии выражается в том, что для создания природного и курортного потенциала не требуется дополнительного капиталовложения.

Несмотря на такие богатые природные возможности, на фоне происходящих катаклизм в периоде первых же лет независимости Грузии, развитие туризма было полностью парализовано, впоследствии была уничтожена фактически вся туристическая инфраструктура страны.

Исходя из этого, в повестке дня встал вопрос, стимулирования процесса по привлечению инвестиций для создания материально-технической базы и развития туризма. Важно то, что Грузия должна знать, те стимулирующие факторы развития туризма, которые были использованы другими странами в различное время, с целью ускоренного развития туризма. Эти факторы можно сгруппировать следующим образом: Го-

сударственные гранты; Содействие в финансировании проекта; Гарантии для обеспечения кредита; Долевое участие; Договор по схеме "обмен местной доли на государственную задолженность"; Устранение таможенной пошлины на импорт; Уменьшение налогов; Учреждение организации по помощи инвесторам и другие.

Для осмысления концепции развития туризма очень важен правильный анализ препятствующих факторов. Лишь после определения проблем, стоящих перед отраслью и ее слабых сторон, можно установить пути их преодоления. Подход к этому вопросу основывается на том соображении, что туризм является такой отраслью экономики, которая производит товар и естественно старается находить его потребителей.

Исходя из этого, необходимо изучить типы, качество и объем товара, а также методы реализации и соответствующие рынки. В виду того, что в туризме товар - это туристический продукт, проблемы, стоящие перед отраслью, делятся на две группы - проблемы, связанные с туристическим продуктом и требования туристического рынка, которые в свою очередь делятся еще на несколько подгрупп. Во время исследования различных аспектов туристического продукта, привлекает внимание его разнообразность, качество, безопасность, привлечение инвестиции и проблемы ведения бизнесса. При исследовании рыночных потребростей - проблемы транспортирования, восприятие маршрута, стоимость, а также проблемы маркетинга и вводящих туроператоров.

Основой политики и планирования развития туризма должна служить концепция устойчивого развития. Правительство должно взять ответственность за обеспечение безопаснос-

ти туристов и развития инфраструктуры туризма, что даст стимул дальнейшему развитию частного предпринимательства.

В будущем туристическая политика в Грузии должна быть направлена на последующее углубление либерализации и на поддержку инвестиций. Маловероятно, что местный капитал Грузии обеспечит потребность экономического роста, поэтому привлечение иностранных инвестиции является приоритетным направлением.

Политика развития туризма в Грузии должна основываться на следующих принципах: Рост числа туристов и ими производимых расходов; Максимальный рост доходов в иностранной валюте; Проведение и завершение полной приватизации; Либерализация налоговой политики в сфере туризма и поддержка правительства в привлечении инвестиций; Создание новых рабочих мест и рост доходов населения; Поощрение малого бизнесса в Грузии и способствование его развитию; Искоренение в отрасли теневой экономики и постоянный рост фискального эффекта.

Особое значение в деле осуществления государственной политики развития туризма придается организации государственного администрирования. В этом случае, совместно с министерством экономического развития Грузии, которое непосредственно ответственно за проведение политики развития туризма в стране, следует создать постоянную межотраслевую государственную комиссию по развитию туризма. Комиссия будет периодически рассматривать вопросы, решение которых невозможно в рамках одного ведомства в силу их межведомственного характера (в нашем случае, в рамках министерства экономического развития).

Для создания единой государственной политики по развитию туризма в стране следует разработать пятилетнюю государственную программу, где все конкретные мероприятия будут распределены между соответствующими министерствами и ведомствами, а также между краями, районами и городами.

Считаем целесообразным утверждение этой программы после рассмотрения на правительственном заседании, Президентом Грузии, и назвать ее “Президентской программой ускоренного развития туризма в Грузии”.

Результатом развития туризма в Грузии должен быть постоянный рост доходов. Для этого важно решить пять стратегических задач, в частности: маркетинговое исследование туристических рынков и эффективное ведение рекламной политики; вынос туристического продукта в зарубежье, разнообразие туристического продукта; развитие инфраструктуры, создание соответственной транспортной и гостиничной мощности; безопасность туристов, создание безопасного имиджа страны; обеспечение отрасли квалифицированным персоналом;

На современном этапе трансформирования экономики страны, в Грузии, в данных условиях, когда у соответственных структур государства нет опыта по независимому управлению туризмом, государственный бюджет должен обеспечить финансирование рекламы и маркетинга. В будущем понадобится проведение агрессивной целевой рекламной кампании, где наряду с такими важными рынками для развития туризма, какими являются соседние страны (Россия, Турция, Азербайджан, Армения), нужно рассмотреть возможности сотрудни-

чества с некоторыми европейскими странами (Великобритания, Франция, Германия, Италия и др.)

С точки зрения геополитического расположения Грузии, требуется содействие формированию имиджа страны, как регионального центра для проведения международных конференций, конгрессов, и встреч. С этой целью, нужно содействовать и способствовать повышению экономической выгодности деятельности, направленного на развитие конвенционного туризма.

Анализ показывает, что обязательно нужно изменить действующий в Грузии визовый режим и созданные им условия. Визовые требования, как правило, рассматриваются как один из факторов задерживающих развитие туризма.*

Целесообразным является принять решения об одностороннем упрощений Визового режима относительно граждан Евросоюза, США, Японии, и некоторых других стран. Рассмотреть вопрос о созданий свободной визовой зоны (т.е. безвизовой) на маршрутах «Шелкового Пути» и внедрение общей Кавказской Визы.

Решение выше указанных проблем значительным образом будет содействовать ускоренному развитию туризма в Грузии, что со своей стороны резко увеличит прибыль (в том числе и валютную), улучшит платежный баланс Государства, будет способствовать развитию инфраструктуры и даст толчок к развитию многим другим (смежным) отраслям экономики, соз-

---

* Надо отметить, что это рекомендация автора уже учтено грузинским правительством и начиная с 2006 года в Грузии уже задействован льготный визовой режим для иностранцев.

даст новые рабочие места и, наконец, будет способствовать стране в борьбе с бедностью.

Несмотря на то, что программа экономического развития и программа преодоления бедности, подразумевает снижение уровня бедности к 2015 году в двое (нынешнее 54% - намеренны снизить до 20-25% ) с точки зрения стратегий развития страны и по стандарту социальной безопасности (она не должна превышать 10%), данная программа не приемлема. С этой целю, принимая во внимание созданные в стране новые реальности, нужно создать и внедрить новую комплексную программу по борьбе с бедностью. В комплексной программе должно быть приоритетно предусмотрено социальное и экономическое значение ускоренного развития туризма.

Для реализации программы ускоренного развития туризма, нужно разработать механизм макроэкономического регулирования. В настоящей книге представлен такой механизм и соответствующие рекомендации о принципах формирования и координирующих функциях данного механизма.

# ლიტერატურა

1. ათასწლეულის განვითარების მიზნები საქართველოში – გაეროს გამოცემა, თბილისი 2004 წელი.

2. ასათიანი რ. „ახალი სოციალური საკითხი და სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა". კრებულში: საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები. ტომი 2, თბილისი „სიახლე", 2001. გვ.44-46.

3. გაბიძაშვილი ბ. კირვალიძე ზ. „სიღარიბე საქართველოში" (ეკონომიკურ- სტატისტიკური ნარკვევები). თბილისი, 2003. გვ.150

4. გაერო-ს გენერალური ასამბლეის 48-ე სესიის მასალები. ნიუ-იორკი, 2003 წლის ნოემბერი.

5. გაერო-ს პროგრამით გამართული საერთაშორისო ეკოტურიზმის სამიტის მასალები. კანადა, კვებეკი, 2002 წ.

6. გაერო-ს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს (ECOSOS) სხდომის მასალები. ნიუ-იორკი, 2002 წლის ივლისი.

7. გაერო-ს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) მასალები. მადრიდი. 2002 წლის ივლისი.

8. გიგინეიშვილი მ., ზუკოვი მ., კნაპი ჰ. და სხვა., საქართველოს ეროვნული პარკები. გერმანია, 1991 წელი.

9. დიასამიძე ი.ა. აჭარის კურორტები და მათი განვითარების პერსპექტივები. ბათუმი, 1961 წელი.

10. ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამა, თბილისი, 2003 წელი.

11. ვადაჭკორია მ.კ., უშვერიძე გ.ა., ჯალიაშვილი ვ.გ. საქართველოს კურორტები. თბილისი, 1987 წელი.

12. თუთბერიძე გ. „ საქართველოში სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის ეროვნული პროგრამის შესახებ". მაკრო მიკრო ეკონომიკა, 2000 №9 გვ. 19-23.

13. იაპრაკი ტ. დანი ჯ. „ღარიბების ბედის წყაროც ამოდუღდება..." სიღარიბის დაძლევის სტრატეგიული დოკუმენტის შექმნის შესახებ. გაზ. საქართველოს რესპუბლიკა 2002, 23/I.

14. მდგრადი განვითარების მსოფლიო სამიტის (სიღარიბის

დაძლევის მსოფლიო ფორუმი) – მასალები. იოჰანესბურგი. 2002 წლის აგვისტო.
15. მესხია ი., სიღარიბის დაძლევა, როგორც სოციალური უსაფრთხოების ინდიკატორი. სოციალური ეკონომიკა, 2000, №5 გვ. 16-33.
16. მოდებაძე პ. „სიღარიბის დაძლევის მაკროეკონომიკური რეგულირების ზოგიერთი თავისებურება". ეკონომიკა. 2004 №1-2 გვ.136-142.
17. მტო-ს გენერალური მდივნის ბ-ნი ფრანჩესკო ფრანჯიალის გამოსვლა გაერო-ს 48-ე სესიის 2003 წლის 7 ნოემბრის სხდომაზე.
18. მტო-ს გენერალური ასამბლეის XV სესიის მასალები. პეკინი, 2003 წლის 19-24 ოქტომბერი.
19. მტო-ს გენერალური ასამბლეის XIV სესიის მასალები. სეული, ოსაკა, 2001 წელი.
20. მტო-ს გენერალური ასამბლეის XIII სესიის მასალები. ჩილე, სანტ-იაგო - 1999 წელი.
21. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი. №19. თბილისი, 1999 წ.
22. „საქართველოში ტურიზმის განვითარების ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო პროგრამა" საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტი. თბილისი. 2001 წელი.
23. საქართველოს ტურიზმი – საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატის გამოცემა. თბილისი, 1998 წელი.
24. საქართველოს სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის ეროვნული პროგრამის შუალედური დოკუმენტი (მთავრობის განაცხადი). თბილისი, 2001 წელი.
25. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის გამოცემები, 1999.
26. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის გამოცემები, 2000.
27. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის გამოცემები, 2001.

28. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის გამოცემები, 2002.

29. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეიბა საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის გამოცემები, 2003.

30. „ტურიზმის განვითარება და სასტუმროთა ქსელის შექმნა საქართველოში" აშშ-ს ვაჭრობისა და განვითარების სააგენტო, Artur Consulting Group International - WASHINGTON, 1999.

31. ტური'ზმი და კურორტები, საქართველოს საკანონმდებლო აქტები, ტექინფორმი, თბილისი, 1999 წელი.

32. ტურიზმის სექტორის განვითარება საქართველოში, საქართველოს ტურიზმის სტრატეგია. ფინალური რეპორტი TACIS, თბილისი, 2001 წელი.

33. ტურიზმის პროდუქტის ანალიზი საქართველოში. სტრატეგიული რჩევები საქართველოში ტურიზმის განვითარებისათვის. TACIS, თბ. 1996წ.

34. ტურიზმის მასტიმულირებელ ფაქტორთა ზეგავლენა კარიბის რეგიონზე. რეგიონალური განვითარების დეპარტამენტი, ამერიკის შტატების ორგანიზაცია (OAS), ვაშინგტონი, 1990.

35. შუბლაძე ვ. – ტურიზმის როლი და მნიშვნელობა განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში. მაკრო-მიკროეკონომიკა №6 გვ.38-40, 2004 წ.

36. შუბლაძე ვ. – ტურიზმი - სიღარიბის დაძლევის ფაქტორი, სოციალური ეკონომიკა №4 გვ.40-45, 2004 წ.

37. შუბლაძე ვ. – საქართველოში ტურიზმის განვითარების დაჩქარების ეკონომიკური და ორგანიზაციული ფაქტორები, მაკრო-მიკროეკონომიკა №7 გვ. 26-29, 2004 წ.

38. შუბლაძე ვ. – ტურიზმის როლი და მნიშვნელობა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში. ეკონომიკა №9-10 გვ. 102-108, 2004 წ.

39. შუბლაძე ვ. – სიღარიბე და მისი დაძლევის შესაძლებლობა ტურიზმის მეშვეობით. სოციალური ეკონომიკა №5 გვ.46-60, 2004 წ.

40. შუბლაძე ვ. – რატომ უნდა ვნახო საქართველო, სამენოვანი ბროშურა. საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის გამოცემა. თბილისი, 2000 წელი.

41. შუბლაძე ვ. – საქართველო და ტურიზმი. ქართულ-ინგლისურ ენოვანი წიგნი, საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის გამოცემა,ს თბილისი, 2004წელი.

42. ჭითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. ნაწილი III, თბილისი 2001 გვ. 422.

43. ხატიაშვილი ნ.მ., უშვერიძე გ.ა., კობახიძე ე.დ. საქართველოს კურორტები და საკურორტო ადგილები. მოსკოვი, 1989 წელი.

44. Всемирноя туристическая организация (ВТО) -Мадрид,2003.

45. Джуди Л. Бейкер – Оценка воздействия проектов развития на бедность (практическое руководство). Всемирний Банк, Издательство „Весь Мир“, 2002. Москва.

46. „Рекомендации по статистике туризма“ - Организация Обьединенных Наций (ООН) Нью-Йорк. 1994 год.

47. „Общественные науки“, 2001, № 2, с.158-166.

48. Румянцева Е. „Стратегия преодоления бедности“. Минск, Армита- Маркетинг-Менеджмеит, 2001 с.288.

49. Соколова И. О взаимодействии федеральной и местной властей в региональных экономических програмах. США. Экономика, политика, идеология, 1999, №1 с.83.

50. Сокращение уровня бедности, экономический рост и устойчивость долговой ситуации в странах СНГ с низким доходом. Отчет Международного Валютного Фонда и Всемирного Банка. 2002 г.

51. Тенденции и методики развития мирового туризма-ВТО, Мадрид, Испания, 2004 год.

52. Тихонова И.Е. – Феномен городской бедности в современной России. Институт комплексных исследований Россиской Академии Наук. „Летний сад“. Москва .2003г.

53. Чазов Е.И., Курорты - Энциклопедический словарь, Москва, 1983 год.

54. Чхеидзе С.С, Минеральные воды Грузии - Москва, 1961 год.

55. Abrahamson P. Postmodern Governung of social exclusion: Social integration or Risik mangement – Sociologisk raportserie, № 13, 1998, Kopenhagens Universitet: Sociologisk Institut.

56. „Georgian tourism"- International consulting development. ISRAEL. Tel-aviv. 1999

57. Joranson dale W. and Slesnick p.t. Aggregate Consumer behavior and the measurment of Ineguality// review of Economic Studies. vol.60. 19984 p.369-392.

58. King Mervyn a. Welfare Analisis of Tax reforms using hausehold Level Data// jurnal of economics. Vol.2. 1998 p.183-214.

59. Tourism Highlights. ყოველწლიური გამოცემები 1999. WTO, Madrid.

60. Tourism Highlights. ყოველწლიური გამოცემები 2000. WTO, Madrid.

61. Tourism Highlights. ყოველწლიური გამოცემები 2001. WTO, Madrid.

62. Tourism Highlights. ყოველწლიური გამოცემები 2002. WTO, Madrid.

63. Tourism Highlights. ყოველწლიური გამოცემები 2003. WTO, Madrid.

64. SILK ROAD TURISM CURRENT ISSUES - WTO, MADRID, SPAIN, 1998.

65. http://infohouse.us/article1729.html.

66. www. eagateway. org/

67. www.andalucia.com/spain/statistics/home.html

68. www.oberon.wtoelibrary.org

69. www.world-tourism.org/market_research/facts/menu.html

70. www.world-tourism.org/flameset/frame_sustainable.html

71. www. world-tourism.org/flameset/frame_statistics.html

72. www.red2000.com/spain

73. www.tourspain.es/

74. www.spaintour.com

# ცხრილები და დანართები

## მთლიანი შიდა პროდუქტი (1999-2001 წწ.)

ცხრილი 1

| | მშპ-ის რეალური ზრდა | | | 2000 | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 1990-1995 საშუალ. პროცენტებში | 1996-2000 საშუალო პროცენტებში | 2001 პროგნოზი პროცენტებში | ნომინალური მშპ ერთ სულ მოსახლეზე აშშ დოლარებში | მშპ მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტით ერთ სულზე აშშ დოლარებში | რეალური მშპ ინდექსი 1989=100 |
| სომხეთი | -11.5 | 5.2 | 7.5 | 549 | 2,713 | 51 |
| აზერბაიჯანი | -28.3 | 7.1 | 8.5 | 652 | 2,602 | 52 |
| საქართველო | -19.7 | 5.8 | 3.9 | 567 | 4,285 | 32 |
| ყირგიზეთი | -10.8 | 5.6 | 5.0 | 263 | 2,524 | 65 |
| მოლდოვა | -13.9 | -2.5 | 5.0 | 360 | 1,916 | 33 |
| ტაჯიკეთი | -18.9 | 2.9 | 10.0 | 158 | 1,082 | 31 |
| უზბეკეთი | -2.5 | 3.3 | 3.8 | 561 | 2,363 | 101 |
| საშ. დსთ 7-ის მიხედვით | -15.1 | 3.9 | 6.2 | 444 | 2,498 | 52 |
| რუსეთი | -8.5 | 1.3 | 5.8 | 1,720 | 7,474 | 61 |
| საშ. დსთ-ს მიხედვით | -11.3 | 3.3 | 6.6 | 803 | 4,165 | |

წყარო: WEO (World Economic Outlook).

## ინფლაცია 1990-2001 წწ. (პროცენტებში)

ცხრილი 2

| | 1990-95 საშუალო | 1996-2000 საშუალო |
|---|---|---|
| სომხეთი | 1,685.4 | 8.3 |
| აზერბაიჯანი | 705.6 | 3.2 |
| საქართველო | 3,310.6 | 14.6 |
| ყირგიზეთი | 324.4 | 24.1 |
| მოლდოვა | 432.0 | 22.7 |
| ტაჯიკეთი | 738.2 | 122.0 |
| უზბეკეთი | 527.7 | 41.6 |
| საშუალო დსთ7-ის მიხედვით | 1,103.4 | 33.8 |
| რუსეთი | 536.0 | 39.4 |
| საშუალო დსთ-ის მიხედვით | 1,028.4 | 56.7 |

წყარო: WEO (World Economic Outlook).

## საგარეო ვალის სტრუქტურა 2001 წ. 1 იანვრისათვის
## (აშშ-ის მილიონ დოლარებში)

ცხრილი 3

| | სომხეთი | საქართველო | ყირგიზეთი | მოლდოვა | ტაჯიკეთი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნომინალური სიდიდეები | | | | | | |
| მთლიანი საგარეო ვალდებულებები | 862 | 1,610 | 1.724 | 1,234 | 1,228 | 6,657 |
| მთლიანი სახ. და სახ. მიერ გარანტირებული ვალი | 862 | 1,592 | 1,465 | 1,024 | 921 | 5,864 |
| ყველა მრავალმხრივი ორგანიზაცია | 647 | 793 | 919 | 569 | 367 | 3,296 |
| მსოფლიო ბანკი | 397 | 377 | 379 | 289 | 151 | 1,593 |
| სსფ | 175 | 289 | 191 | 154 | 113 | 922 |
| სხვა მრავალმხრივი კრედიტორები | 75 | 127 | 350 | 126 | 103 | 780 |
| მთლიანი ორმხრივი ვალი | 193 | 796 | 507 | 252 | 533 | 2,281 |
| რუსეთი | 115 | 157 | 186 | 123 | 313 | 894 |
| დსთ სხვა ქვეყნები | 13 | 402 | 15 | 0 | 150 | 580 |
| მ.შ. თურქმენეთი | 13 | 337 | | 0 | | 350 |
| პარიზის კლუბის დანარჩენი მონაწილეები | 52 | 169 | 233 | 102 | 22 | 577 |
| დანარჩენი ორმხრივები | 63 | 68 | 73 | 27 | 48 | 280 |
| კომერციული და გარანტირებული ვალი | 22 | 3 | 39 | 202 | 22 | 287 |
| არაგარანტირებული ვალი | | 18 | 258 | 210 | 307 | 793 |
| მ.შ. სახელმწიფო საწარმოები | | | 258 | | 307 | 565 |
| კერძო სექტორი | | | | | | 0 |
| ცნობისათვის: | | | | | | |
| საგარეო გადავადებული გადახდები | ... | 182 | ... | 345 | ... | 527 |

## შემოსავლების დონეზე დამყარებული სიღარიბის მაჩვენებლები

ცხრილი 4

| ქვეყანა | სიღარიბის ეროვნულ ზღვარზე დაბლა[1] 1988წ. | 1990წ. | ერთ სულ მოსახლეზე 2.15 აშშ დოლარზე ნაკლები დღეში 1999წ. |
|---|---|---|---|
| სომხეთი | 18 | 55 | 44 |
| აზერბაიჯანი | 33 | 62 | 24 |
| საქართველო | 16 | 60 | 19 |
| ყირგიზეთი | 37 | 55 | 49 |
| მოლდოვა | 13 | 80 | 55 |
| ტაჯიკეთი | 59 | 83 | 68 |
| უზბეკეთი | 45 | არ არის მონ. | 22 |

წყარო: მსოფლიო ბანკის შეფასება

[1] სიღარიბის ეროვნული ზღვარი განისაზღვრება, როგორც მოსახლეობის პროცენტი, რომელიც იღებს ერთ სულ მოსახლეზე გათვალისწინებული სამომხმარებლო კალათის მინიმალურ დონეზე დაბალ შემოსავალს. 1988 წლისათვის ერთ სულ მოსახლეზე 75 მანეთი შემოსავალი ითვლებოდა სიღარიბის ზღვარად.

## ცალკეული ქვეყნების ცენტრალური მთავრობების მიერ გაწეული ხარჯები სოციალური მიზნებისათვის

ცხრილი 5

| | განათლება | | ჯანდაცვა | | საპენსიო უზრუნველყოფა | | სოც.დაცვის სხვა სახეები | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1995 | 1999 | 1995 | 1999 | 1995 | 1999 | 1995 | 1999 |
| (ერთ სულ მოსახლეზე აშშ დოლარებში) | | | | | | | | |
| დსთ-7 | | | | | | | | |
| სომხეთი | 9.7 | 9.3 | 6.3 | 6.7 | 10.2 | 18.3 | 6.2 | 7.8 |
| აზერბაიჯანი | 14.1 | 21.0 | 6.6 | 5.5 | 5.7 | 21.1 | 10.0 | 13.5 |
| საქართველო | 6.1 | 11.2 | 2.5 | 4.1 | 8.2 | 13.5 | - | 6.8 |
| ყირგიზეთი | 21.2 | 12.1 | 11.9 | 5.9 | 24.1 | 14.2 | 2.9 | 5.2 |
| მოლდოვა | 34.4 | 15.0 | 22.2 | 8.7 | 33.8 | 20.0 | 8.2 | 3.2 |
| ტაჯიკეთი | 4.2 | 3.8 | 2.7 | 1.8 | 2.9 | 3.2 | 1.7 | 3.2 |
| უზბეკეთი | 33.0 | 26.7 | 15.9 | 10.2 | 23.2 | 35.9 | 15.2 | 10.3 |
| ზოგიერთი განვითარებადი ქვეყანა | | | | | | | | |
| ბენინი | 9.5 | - | 11.2 | 12.4 | 4.2 | 4.9 | | |
| ჰაიტი | 7.0 | 11.6 | 2.6 | 3.3 | 2.6 | 3.3 | - | |
| ჰონდურასი | 25.9 | 36.1 | 15.4 | 21.5 | 3.9 | | 12.2 | 22.1 |
| ლაოსი | 8.5 | 7.2 | 6.9 | 3.1 | ა.მ. | - | - | 1.9 |
| ვიეტნამი | 5.8 | 7.4 | 2.8 | 3.0 | 1.3 | 5.6 | 13.3 | 13.3 |
| იემენი | 17.1 | 22.4 | 2.4 | 8.0 | 0.4 | 4.8 | 1.0 | 2.0 |
| აღმ. ევროპის ზოგიერთი ქვეყანა | | | | | | | | |
| ჩეხეთი | 261.9 | 190.9 | 332.4 | 361.1 | 507.1 | 500.4 | 141.0 | 201.2 |
| უნგრეთი | 199.5 | 182.8 | 209.6 | 336.8 | 401.7 | 394.5 | 125.8 | 240.5 |
| პოლონეთი | 97.5 | 68.2 | 126.2 | 180.6 | 413.0 | 533.9 | 183.6 | 188.7 |
| სლოვაკეთი | ა.მ. | 146.1 | 172.3 | 255.7 | 272.3 | 277.6 | 237.8 | 248.4 |
| სლოვენია | 586.3 | 434.7 | 649.9 | 566.1 | 1,281.0 | 1,458.7 | 370.2 | 320.5 |
| საშ.ევროპული | 1,570.6 | 1,745.8 | 1,548.8 | 1,755.3 | 1,773.6 | 1,864.4 | 1,297.2 | 1,315.3 |

წყარო: World Development Indicators და სსფ-ს ქვეყნობრივი ანგარიში

## სიღარიბის მაჩვენებელი

ცხრილი 6

| ინდიკატორი | 2000 | 2001 | 2002 | 2003 |
|---|---|---|---|---|
| სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის % | 51.8 | 51.1 | 52.1 | 54.5 |
| უკიდურესი სიღარიბის დონის ქვემოთ მყოფი მოსახლეობის % | 14.3 | 13.8 | 15.1 | 16.6 |
| სიღარიბის სხვაობათა პროცენტი (ოფიციალური სიღარიბე) | 20.2 | 19.3 | 19.8 | 21.1 |
| სიღარიბის სხვაობათა პროცენტი (უკიდურესი სიღარიბე) | 4.6 | 4.3 | 4.8 | 5.4 |
| ერთეულ მოხმარებაში უღარიბესი კვინტილის წილი | 7.6 | 8.2 | 7.9 | 7.8 |

*წყარო: სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი*

შენიშვნა: სიღარიბის ზღვარი ნიშნავს პიროვნების ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის საჭირო მინიმალური მოხმარების ან შემოსავლის დონეს.

სიღარიბის სხვაობათა პროცენტი ნიშნავს საშუალო მანძილს, რომლითაც მოსახლეობა დაცილებულია სიღარიბის ზღვარს (მდიდარი ფენებისათვის ეს მანძილი 0-ის ტოლია).

ერთეულ მოხმარებაში უღარიბესი კვინტილის წილი ნიშნავს იმ შემოსავალს, რომელიც ერგება უღარიბესი მოსახლეობის მეხუთედს.

## საქართველოს ძირითადი სოციალ-ეკონომიკური მაჩვენებლები 1997-2003 წლებში

ცხრილი 7

| | 1997 | 1998 | 1999 | 2000 | 2001 | 2002 | 2003 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| რეალური მშპ (% ცვლილება) | 10.5 | 3.1 | 2.9 | 1.8 | 4.8 | 5.5 | 11.1 |
| სამომხმარებლო ფასების ცვლილება (%-ული ცვლილება წინა წლის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით) | 7.1 | 3.6 | 19.2 | 4.0 | 4.7 | 5.6 | 4.8 |
| ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო და არა-საგადასახადო შემოსავალი (%-ად მშპ-ში) | 15.4 | 14.8 | 14.6 | 15.0 | 15.6 | 15.1 | 14.8 |
| ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები (%-ად მშპ-ში) | 20.5 | 20.3 | 21.0 | 18.7 | 18.6 | 18.8 | 17.6 |
| განათლება | 2.0 | 2.1 | 2.1 | 2.1 | 2.0 | 1.8 | 1.6 |
| ჯანმრთელობის დაცვა | 1.1 | 0.7 | 0.6 | 0.9 | 0.8 | 0.8 | 0.7 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 4.2 | 4.4 | 4.7 | 4.3 | 3.8 | 4.0 | 4.0 |
| ბინათმშენებლობა და კომუნალური მომსახურება | | 0.1 | 0.1 | 0.1 | 0.1 | 0.1 | |
| ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი (%-ად მშპ-ში) | 4.6 | 4.9 | 5.5 | 3.4 | 2.3 | 3.4 | 2.3 |
| საგარეო ვალი (მლნ აშშ დოლარი) | 1,412 | 1,627 | 1,635 | 1,556 | 1,602 | 1,735 | 1,853 |
| სიღარიბის დონე ოფიციალური საარსებო მინიმუმის მიმართ | 46.2 | 50.2 | 51.8 | 51.8 | 51.1 | 52.1 | 54.2 |
| სიღარიბის დონე ალტერნატიული სიღარიბის დონის მიმართ (უკიდურესი სიღარიბე) | 9.9 | 13.8 | 15.2 | 14.3 | 13.8 | 15.1 | 16.6 |
| უმუშევრობის დონე (ოფიციალური) | 7.5 | 12.3 | 12.7 | 10.3 | 11.1 | 12.3 | 11.5 |

*წყარო: სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი*

## მსოფლიო ტურიზმის განვითარების ტემპები

დანართი №8




## შემოსავლები მსოფლიო ექსპორტიდან (1999წ.)

დანართი №9




მტო-მარკეტინგი

## მსოფლიოს 15 ლიდერი ქვეყნის მონაცემები ტურისტების მიღების რაოდენობის მიხედვით

ცხრილი 10

| ადგილი | ქვეყანა | საერთაშორისო ტურისტული ჩამოსვლები (მლნ) | | ცვლილებები (%) | საბაზრო წილი |
|---|---|---|---|---|---|
| | | 2000 | 2001 | 2001/2000 | 2001 |
| 1 | საფრანგეთი | 75.6 | 76.5 | 1.2 | 11.0 |
| 2 | ესპანეთი | 47.9 | 49.5 | 3.4 | 7.1 |
| 3 | აშშ | 50.9 | 45.5 | -10.7 | 6.6 |
| 4 | იტალია | 41.2 | 39.1 | -5.2 | 5.6 |
| 5 | ჩინეთი | 31.2 | 33.2 | 6.2 | 4.8 |
| 6 | დიდი ბრიტანეთი | 25.2 | 22.8 | -9.4 | 3.3 |
| 7 | რუსეთი | 21.2 | - | | |
| 8 | მექსიკა | 20.6 | 19.8 | -4.0 | 2.9 |
| 9 | კანადა | 19.7 | 19.7 | 0.2 | 2.8 |
| 10 | ავსტრია | 18.0 | 18.2 | 1.1 | 2.6 |
| 11 | გერმანია | 19.0 | 17.9 | -5.9 | 2.6 |
| 12 | უნგრეთი | 15.6 | 15.3 | -1.5 | 2.2 |
| 13 | პოლონეთი | 17.4 | 15.0 | -13.8 | 2.2 |
| 14 | ჰონგკონგი (ჩინეთი) | 13.1 | 13.7 | 5.1 | 2.0 |
| 15 | საბერძნეთი | 13.1 | - | | |
| | საქართველო | 0.387 | 0.302 | -22 | |

წყარო: მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია (მტო), მტო-ს მონაცემები 2002 წლის სექტემბრისათვის

მსოფლიოს 15 ლიდერი ქვეყნის მონაცემები ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების მიხედვით

ცხრილი 11

| ადგილი | ქვეყანა | საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლები (მლრდ აშშ დოლარი) | | ცვლილებები (%) | საბაზრო წილი |
|---|---|---|---|---|---|
| | | 2000 | 2001 | 2001/2000 | 2001 |
| 1 | აშშ | 82.0 | 72.3 | -11.9 | 1.6 |
| 2 | ესპანეთი | 31.5 | 32.9 | 4.5 | 7.1 |
| 3 | საფრანგეთი | 30.8 | 30.0 | -2.5 | 6.5 |
| 4 | იტალია | 27.5 | 25.8 | -6.2 | 5.6 |
| 5 | ჩინეთი | 16.2 | 17.8 | 9.7 | 3.8 |
| 6 | გერმანია | 18.5 | 17.2 | -6.8 | 3.7 |
| 7 | დიდი ბრიტანეთი | 19.5 | 16.3 | -16.7 | 3.5 |
| 8 | კანადა | 10.7 | 10.8 | 0.7 | 2.3 |
| 9 | ავსტრია | 9.9 | 10.1 | 1.9 | 2.2 |
| 10 | საბერძნეთი | 9.2 | - | | |
| 11 | თურქეთი | 7.6 | 8.9 | 17.0 | 1.9 |
| 12 | მექსიკა | 8.3 | 8.4 | 1.3 | 1.8 |
| 13 | ჰონკონგი(ჩინეთი) | 7.9 | 8.2 | 4.5 | 1.8 |
| 14 | ავსტრალია | 8.5 | 7.6 | -9.8 | 1.6 |
| 15 | შვეიცარია | 7.5 | 7.6 | 1.6 | 1.6 |
| | საქართველო | 0.4 | 0.35 | -12.5 | |

წყარო: მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია (მტო), მტო-ს მონაცემები 2002 წლის სექტემბრისათვის

მსოფლიოს 15 ლიდერი ქვეყნის მონაცემები ტურისტული დანახარჯების მიხედვით

ცხრილი 12

| ადგილი | ქვეყანა | საერთაშორისო ტურისტული დანახარჯები (მლრდ აშშ დოლარი) | | ცვლილებები (%) | საბაზრო წილი |
|---|---|---|---|---|---|
| | | 2000 | 2001 | 2001/2000 | 2001 |
| 1 | აშშ | 64.5 | 58.9 | -8.7 | 12.7 |
| 2 | გერმანია | 47.6 | 46.2 | -3.0 | 10.0 |
| 3 | დიდი ბრიტანეთი | 36.3 | 36.5 | 0.6 | 7.9 |
| 4 | იაპონია | 31.9 | 25.5 | -16.8 | 5.7 |
| 5 | საფრანგეთი | 17.8 | 17.0 | -0.2 | 3.8 |
| 6 | იტალია | 15.7 | 14.2 | -9.4 | 3.1 |
| 7 | ჩინეთი | 13.1 | - | | |
| 8 | ჰონკონგი (ჩინეთი) | 12.5 | 12.5 | -0.1 | 2.7 |
| 9 | ნიდერლანდები | 12.2 | 12.0 | -1.7 | 2.6 |
| 10 | კანადა | 12.1 | 11.6 | -4.3 | 2.5 |
| 11 | ბელგია | 9.4 | 9.8 | 3.6 | 2.1 |
| 12 | ავსტრია | 8.5 | 8.9 | 4.4 | 1.9 |
| 13 | კორეის რესპ. | 6.2 | 6.9 | 11.5 | 1.5 |
| 14 | შვეცია | 8.0 | 6.8 | -15.1 | 1.5 |
| 15 | შვეიცარია | 6.2 | 6.6 | 5.2 | 1.4 |

წყარო: მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია (მტო), მტო-ს მონაცემები 2002 წლის სექტემბრისათვის

## საერთაშორისო ტურისტების მთავარი მიმართულებები

ცხრილი 13

| მიმართულება | ადგილი 1990 | ადგილი 2002 |
|---|---|---|
| საფრანგეთი | 1 | 1 |
| აშშ | 2 | 3 |
| ესპანეთი | 3 | 2 |
| იტალია | 4 | 4 |
| ჩინეთი | 12 | 5 |

წყარო: მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია

## ტურიზმის წვლილი ესპანეთის ეკონომიკაში

დანართი 14

(მილიონობით ევრო)




## სასტუმროები, მსგავსი ორგანიზაციები და საწოლი ადგილები რეგიონების მიხედვით

ცხრილი 15

| | 1978 | | 1990 | | 2002 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ორგანიზაცია | საწოლი | ორგანიზაცია | საწოლი | ორგანიზაცია | საწოლი |
| ესპანეთი | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 |
| ანდალუსია | 12,9 | 12,3 | 8,9 | 11,8 | 14,9 | 15,1 |
| არაგონი | 3,5 | 2,3 | 4,1 | 2,4 | 4,5 | 2,4 |
| ასტურია | 1,5 | 0,8 | 2,5 | 1,2 | 4,4 | 1,7 |
| ბალეარი | 15,0 | 27,8 | 14,8 | 27,1 | 7,9 | 22,1 |
| კანარები | 4,3 | 8,0 | 3,3 | 5,3 | 2,81 | 0.9 |
| კანტაბრია | 2,0 | 1,1 | 2,7 | 0,6 | 3,2 | 1,5 |
| კასტია ლა მანჩა | 2,7 | 1,2 | 3,7 | 1,6 | 5,2 | 2,1 |
| კასტია ი ლეონი | 6,3 | 3,0 | 7,7 | 8,3 | 9,1 | 3,7 |
| კატალუნია | 22,5 | 21,1 | 21,2 | 20,2 | 15,6 | 18.8 |
| ვალენსიანა | 8,4 | 9,4 | 7,6 | 8,1 | 6,4 | 7,8 |
| ექსტრემადურა | 1,4 | 0,7 | 2,0 | 0,9 | 2,4 | 1,1 |
| გალისია | 5,3 | 2,6 | 8,1 | 3,7 | 10,0 | 4,4 |
| მადრიდი | 8,7 | 6,0 | 7,9 | 5,3 | 7,2 | 4,9 |
| მურსია | 1,3 | 1,0 | 1,5 | 1,2 | 1,3 | 1,2 |
| ნავარა | 1,2 | 0,6 | 1,2 | 0,7 | 1,6 | 0,7 |
| პაის ბასკო | 2,4 | 1,7 | 1,9 | 1,2 | 2,4 | 1,3 |
| ლა რიოხა | 0,5 | 0,3 | 0,5 | 0,3 | 0,7 | 0,4 |
| სეუტა ი მელია | 0,2 | 0,2 | 0,2 | 0,1 | 0,2 | 0,1 |

წყარო: ტურესპანია (1978 და 1990), ესპანეთის სტატისტიკის ეროვნული ინსტიტუტი (2002)

## ტურიზმის რესურსები

ცხრილი 16

| | 1981 | 1990 | 2003 |
|---|---|---|---|
| ბუნებრივი პარკები | | 9 | 13* |
| დაცული ბუნებრივი ადგილები | | | 872 |
| დიდი ზომის სამონადირეო მეურნეობები | 35 | 35 | 46* |
| ეროვნული სამონადირეო მეურნეობები | 12 | 6 | 8* |
| კურორტები | | | 112* |
| კერძო სპორტული აეროპორტები | | 49 | 57* |
| აერო მოედნები | | | 86 |
| გოლფის მოედნები | 80 | 127 | 262 |
| მარინები | 330 | 335 | 254 |
| სათხილამურო კურორტები | 25 | 27 | 29 |
| ესპანეთის სანაპიროს სიგრძე | 7.880 | 7.880 | 7.880 |

*2002 წლის ინფორმაცია; ესპანეთის სტატისტიკის ეროვნული ინსტიტუტი

### საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპის შედარება ტურიზმის განვითარების ტემპებთან

დანართი №17




ტურიზმის ხე
მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის მასალების მიხედვით
დასაქმება
ტურისტთა დანახარჯები
ტურისტები
შიდა ტურიზმი
ტურისტები ევროპიდან
ტურისტები ამერიკიდან
ტურისტები აზიიდან
სხვა
კულტურა, გართობა
სასმელები და საკვები
მუზეუმი
ბაზარი
რესტორანი
კაფე
ღამის კლუბი
სასტუმრო
კორტები
აეროპორტები

### საერთაშორისო ვიზიტორთა კლასიფიკაცია

დანართი №19




**2003 წელს საქართველოში შემოსულ ტურისტთა და ვიზიტორთა რაოდენობა მსოფლიოს რეგიონების მიხედვით. 2003 წლის მონაცემებით საქართველოში შემოვიდა 313 432 უცხოელი ტურისტი და ვიზიტორი**

დანართი №20



### 2003 წელს საქართველოში შემოსულ ტურისტთა და ვიზიტორთა რაოდენობა დსთ-ს ქვეყნების მიხედვით. 2003 წლის მონაცემებით საქართველოში დსთ-ს ქვეყნებიდან სულ შემოვიდა 174002 ტურისტი და ვიზიტორი

დანართი №20




### 1999-2003 წლებში აღრიცხული ახლადაშენებული ან განახლებული ტურისტთა განთავსების ობიექტების ნუსხა მათი ექსპლუატაციაში შესვლის წლების შესაბამისად

ცხრილი №21

| № | რეგიონი | ობიექტების რაოდენობა | ნომრების რაოდენობა | საწოლი ადგილების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | ქ.თბილისი | 88 | 1170 | 2217 |
| 2 | აჭარის ა/რ | 85 | 1391 | 3399 |
| 3 | იმერეთი | 37 | 340 | 692 |
| 4 | გურია | 6 | 304 | 709 |
| 5 | სამეგრელო | 5 | 203 | 435 |
| 6 | კახეთი | 12 | 49 | 98 |
| 7 | შიდა ქართლი | 3 | 48 | 98 |
| 8 | ქვემო ქართლი | 1 | 34 | 70 |
| 9 | მცხეთა-თიანეთი | 16 | 211 | 454 |
| 10 | კურორტი ბორჯომი | 7 | 74 | 202 |
| 11 | კურორტი ბაკურიანი | 40 | 516 | 1269 |
| | სულ | 300 | 4340 | 9643 |

წყარო: საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები (2004წელი)

დანართი №2

## ტურიზმის დაჩქარებული განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი



## ტურიზმის განვითარების სტრატეგიის მიზნები

დანართი №23




## მარკეტინგზე გაწეული ხარჯები

დანართი №24

**დაახლოებით საქართველოს მასშტაბის ევროპული ქვეყნები**

| № | ქვეყანა | მლნ. აშშ დოლარი |
|---|---|---|
| 1 | ირლანდია | 59 |
| 2 | ავსტრია | 46 |
| 3 | ჰოლანდია | 31 |
| 4 | ბელგია | 28 |
| 5 | დანია | 26 |
| 6 | ფინეთი | 25 |
| 7 | ესტონეთი | 1 |

**საქართველოს მეზობელი ქვეყნები**

| № | ქვეყანა | მლნ. აშშ დოლარი |
|---|---|---|
| 1 | თურქეთი | 60 |
| 2 | საბერძნეთი | 45 |
| 3 | კვიპროსი | 8 |
| 4 | აზერბაიჯანი | 1.5 |
| 5 | სომხეთი | 0.5 |
| 6 | საქართველო | 0.025 |
| | | |

## საქართველოში ტურიზმის დაჩქარებული განვითარების სოციალურ-ეკონომიკური შედეგები

### (1 მილიონი შემოსული უცხოელი ტურისტის პირობებში)

დანართი №25

| № | ზოგიერთი ძირითადი მაჩვენებელი | 2003 წლის მონაცემები | სავარაუდო პერიოდის მონაცემები | ზრდის ტემპი |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | ქვეყანაში შემოსულ უცხოელ ტურისტთა რაოდენობა (ათასი კაცი) | 312,5 | 1000,0 | 3,2-ჯერ |
| 2 | ტურიზმიდან მიღებული საერთო შემოსავალი (მილიონი ლარი) | 645,0 | 2000,0 | 3,1-ჯერ |
| 3 | ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი ბიუჯეტში (მილიონი ლარი) | 103,0 | 500,0 | 4,8-ჯერ |
| 4 | ტურიზმის ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი (მილიონი ლარი) | 411,0 | 1766,0 | 4,3-ჯერ |
| 5 | ტურიზმში დასაქმებულთა რაოდენობა (ათასი კაცი) | 17,0 | 100,0 | 5,8-ჯერ |
| 6 | სხვა დარგებში დასაქმებულთა რაოდენობა (ათასი კაცი) | 28,0 | 200,0 | 7,1-ჯერ |

# პროექტი „ბორჯომი – 2014"

## საგანაცხადო პროცესის შედეგები

(2006 წლის 18 სექტემბერს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის სესიაზე წარმოთქმული სიტყვა)

როგორც არ უნდა წარიმართოს საქართველოს სპორტული ცხოვრება მომავალში, როგორ დიდ წარმატებებსაც არ უნდა მიაღწიოს ჩვენმა სპორტმა საერთაშორისო სარბიელზე, როგორი დიდი გამარჯვებებიც არ უნდა მოვიპოვოთ ოლიმპიადებზე, რამდენი ოლიმპიადაც არ უნდა გაიმართოს საქართველოში – ზაფხულისა თუ ზამთრის, ჩვენი სპორტის ისტორიაში სამუდამოდ ჩაიწერება ბორჯომის და საქართველოს პირველი ოლიმპიური ცდა ზამთრის თამაშების მასპინძლობისათვის, როგორც საქართველოს ოლიმპიური ამბიციების დასტური, რასაც ზურგს უმაგრებს ქვეყნის წარსული ერთი მხრივ და ღირსეული მომავლის რწმენა მეორე მხრივ.

ეჭვი არ არის, ადრე თუ გვიან, საქართველო ზამთრის თამაშების მასპინძელი გახდება. ეს დიდი და რთული გზაა და ამ რთულ გზაზე პირველი ნაბიჯის გადადგმა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დღევანდელმა ხელმძღვანელობამ იკისრა ბორჯომის კანდიდატურის წამოყენებით 2014 წლის ზამთრის თამაშების სამასპინძლოდ.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველა, ვინც ერთი წლის წინათ, 2005 წლის 22 ივნისს, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის რიგგარეშე სესიაზე ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ბორჯომის კანდიდატურას, იმთავითვე მომავალზე იყო ორიენტირებული. მათთვის მაშინვე ცხადი იყო, რომ მრავალი პრობლემით დამძიმებულ ისეთ ქვეყანას, როგორიც დღევანდელი საქართველოა, ამ ეტაპზე ოლიმპიადას არავინ მისცემდა, მაგრამ ამ ნაბიჯით საქართველომ დაანახა მსოფლიოს, რომ მას სერიოზული პრეტენზიები აქვს და ოლიმპიურ მოძრაობაში რიგითი ქვეყნის როლი სულაც არ აკმაყოფილებს.

საქართველო ერთ-ერთი ყველაზე პატარა და დღესდღეობით

ყველაზე ღარიბი ქვეყანაა იმ ქვეყნებს შორის, რომელთა ქალაქებსაც ოდესმე ოლიმპიადის მასპინძლობაზე გამოუთქვამთ პრეტენზია. სამაგიეროდ, საქართველოს აქვს სხვა, წარუვალი სიმდიდრე, რომელიც უფლებას გვაძლევს ოპტიმისტური პროგნოზები გავაკეთოთ ქვეყნის მომავალი განვითარების პერსპექტივებზე და საქართველოში ოლიმპიური თამაშების ჩატარებაზე, როგორც ამ პერსპექტივის ერთ დასტურსა და გვირგვინზე. საქართველოს აქვს უნიკალური ბუნებრივი პირობები ზამთრის თამაშების სამასპინძლოდ, თანაც არა მარტო ბორჯომ-ბაკურიანის რეგიონში; საქართველოს აქვს სპორტული თამაშების ჩატარების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია, თითქმის ისეთივე ძველი, როგორიც თავად ოლიმპიური თამაშებია; საქართველოში, ამ პატარა ქვეყანაში, არის იმდენი სახელოვანი სპორტსმენი, იმდენი სახელოვანი ოლიმპიელი, რომ საამაყოდ რამდენიმე დიდ ქვეყანას ეყოფოდა; დასასრულ, საქართველოში არის ხალხი, ვისაც მიაჩნია, რომ სპორტი და ოლიმპიური მოძრაობა, მათ შორის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა არის არა მდიდარ ქვეყანათა ფუფუნება, არა შედეგი ქვეყნის ძლიერებისა და კეთილდღეობისა, არამედ ამ ძლიერებისა და კეთილდღეობის მიღწევის ერთ-ერთი გზაც.

სწორედ ამ ყველაფრით შეგულიანებული, ამ ხალხის თანადგომით, თქვენი და ჩვენი თანადგომით ზურგგამაგრებული ბორჯომი, საქართველოს ეს პატარა საკურორტო ქალაქი, ოლიმპიადისათვის მებრძოლ აყვავებულ და დალხენილ ქალაქთა მარაქაში გაერია. მართალია, პირველ ცდაზე იგი ბულგარეთის სოფიასთან, ესპანეთის ხაკასთან და ყაზახეთის ალმატისთან ერთად ოფიციალურ კანდიდატთა მიღმა დარჩა, მაგრამ კანდიდატობისათვის გამართულ ბრძოლაში დიდი გამოცდილება შეიძინა, რაც მნიშვნელოვანია მომავალი გამარჯვებისათვის.

როგორც ცნობილია, 2006 წლის 22 ივნისს, ზუსტად ერთი წლის შემდეგ იმ დღიდან, რაც ბორჯომისა და საქართველოს ოლიმპიური პრეტენზია ოფიციალურად გაფორმდა, ლოზანაში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შტაბ-ბინაში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგემ გამოაცხადა ის ქალაქები, რომლებიც 2014 წლის ზამთრის თამაშების მასპინძლობისათვის ბრძოლას გააგრძელებენ:

სოჭი (რუსეთი), ზალცბურგი (ავსტრია) და პიონჩანი (კორეა).

ზალცბურგს და პიონჩანს ჯერ კიდევ 2010 წლის თამაშებისათვის გამართულ ბრძოლაში უწინასწარმეტყველებდნენ გამარჯვებას, მაგრამ ბოლო ეტაპზე ისინი კანადის ვანკუვერთან დამარცხდნენ. სოჭისათვის კი ეს უკვე მესამე ოლიმპიური მცდელობაა და იგი პირველად მოხვდა შორტ-ლისტში.

გამარჯვებული ქვეყნები – ავსტრიაც, რუსეთიც და კორეაც უკვე მასპინძლობდნენ ოლიმპიურ თამაშებს. ავსტრია ზამთრისას – თანაც ორჯერ – 1964 და 1976 წლებში, რუსეთი და კორეა კი – ზაფხულისას, პირველი 1980 წელს, მეორე კი – 1988-ში.

ავსტრია – თანამედროვე სამთო-სათხილამურო სპორტის სამშობლო – მსოფლიოში ზამთრის სპორტის ერთ-ერთი უპირობო ლიდერია. ამ ქვეყანამ თავის თავს იმგვარი ფუფუნების უფლება მისცა, რომ ზამთრის თამაშების ორგზის მასპინძელს და ერთგზის ფინალისტს ინსბრუკს უარი უთხრა და ბოლო სამ ცდაზე, ალბათ მრავალფეროვნებისათვის, სხვა ქალაქები გამოუშვა საბრძოლველად – კლაგენფურტი 2006 წლისთვის და ზალცბურგი – 2010 და 2014 წლებისთვის. ამიტომ ზალცბურგის კანდიდატურა თავიდანვე უპირობო იყო.

კორეის რესპუბლიკა აზიის ერთ-ერთი პირველი და უდიდესი "დრაკონია", რომელმაც 1988 წელს წარმატებით უმასპინძლა ზაფხულის თამაშებს და თანაც, ყველაზე რთულ პერიოდში – ორი ბოიკოტირებული ოლიმპიადის შემდეგ. ამიტომ არც პიონჩანის კანდიდატურა ეეჭვებოდა ვინმეს.

თავიდან რამდენადმე საეჭვო იყო სოჭის გაკანდიდატება, მაგრამ, მოგეხსენებათ, რუსეთი დიდი და მდიდარი ქვეყანაა, თანაც დიდი რვიანის ქვეყნებიდან ერთადერთი, სადაც ოლიმპიური თამაშები მხოლოდ ერთხელ ჩატარდა. დაუმატეთ ამას სოჭის კანდიდატურის კატეგორიული მხარდაჭერა ფედერალური მთავრობისა და პირადად პრეზიდენტ პუტინის მხრიდან, აგრეთვე ის კოლოსალური თანხები, რაც რუსეთის ბიუჯეტმა გაიღო სოჭის პროექტისათვის და ნათელი გახდება სოჭის ამ წარმატების საფუძველი. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ მანამდე რუსეთმა ორი მწარე მარცხი იწვნია: ჯერ მოსკოვი, თუმცა იგი შორტ-ლისტში მოხვდა, პირველივე ტურში გამოეთიშა 2012 წლის ზაფხულის თამაშებისათვის ბრძოლას,

1996 წელს კი სანკტ-პეტერბურგი აპლიკანტადვე დარჩა და კანდიდატობას ვერ ეღირსა.

საერთოდ, ამ ათი წლის განმავლობაში, რაც საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა თამაშების მასპინძლობის პრეტენდენტ ქალაქთათვის ორსაფეხურიანი სისტემა შემოიღო, შორტ-ლისტში ვერ მოხვდნენ ისეთი დიდი და ძლიერი ქალაქები, როგორებიც არიან: სევილია (ორჯერ), ლილი, რიო-დე-ჟანეირო (ორჯერ), კუალა-ლუმპური,ჰავანა (ორჯერ), კაირო,ბანგკოკი,ლაიპციგი...

რაც შეეხება ზამთრის თამაშებს, შორტ-ლისტის მიღმა სანკტ-პეტერბურგის გარდა, სხვადასხვა დროს დარჩენილან: ჰელსინკი, ზაკოპანე, სარაევო, ბერნი, ხარბინი– გასათვალისწინებულია, რომ ამათგან მრავალმილიონიანი ხარბინი ჩინეთის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქია, ჰელსინკი და ბერნი ზამთრის სპორტში დიდად წარმატებული ქვეყნების დედაქალაქებია, ხოლო ამ დამარცხებულ ქალაქთაგან ორში – ჰელსინკსა და სარაევოში თავის დროზე უკვე ჩატარდა ოლიმპიური თამაშები, ერთში – ზაფხულისა და ერთში – ზამთრის. და ამ ფონზე რა გასაკვირია, რომ თავის პირველ ცდაზე ბორჯომმა ვერ გადალახა საკანდიდატო ზღუდე.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2010 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი, კანადის ქალაქი ვანკუვერი 30 წელიწადი იბრძოდა ოლიმპიადის მასპინძლის უფლების (პირველი განაცხადი მან 1980 წელს გააკეთა) მოსაპოვებლად.

თუ ავიღებთ არა ათწლიან პერიოდს, არამედ ოლიმპიადებისათვის ქალაქთა ბრძოლის მთელ ისტორიას, შეუძლებელია არ აღვფრთოვანდეთ ბორჯომისა და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გაბედულებითა თუ სითამამით. თავად განსაჯეთ, ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისათვის შვიდ-შვიდჯერ უშედეგოდ იბრძოდნენ ბუენოს-აირესი და დეტროიტი, ექვსჯერ – ბუდაპეშტი, ოთხ-ოთხჯერ – ჩიკაგო და ოლიმპიური მოძრაობის დედაქალაქი ლოზანა, სამ-სამჯერ – ფილადელფია და მინეაპოლისი; ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთმა უდიდესმა და უმდიდრესმა ქალაქმა ლოს-ანჯელესმა ოლიმპიური თამაშები მხოლოდ მერვე ცდაზე მიიღო! ოლიმპიადისათვის სხვადასხვა დროს უშედეგოდ იბრძოდნენ მადრიდი და პრაღა, კიოლნი და ფრანკფურტი, კეიპტაუნი და ტორონტო,სტამბოლი და ბელგრადი,ნაგოია და

ოსაკა, ბირმინჰემი და მანჩესტერი, სანფრანცისკო და ბელგრადი, ვენა და ბრიუსელი, ბალტიმორი და ნიუ-იორკი...

განა დაუჯერებელი არ არის, რომ ზამთრის თამაშები არ ჩატარებულა ზამთრის სპორტით სახელგანთქმულ ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა შვედეთი და ფინეთი? თუმცა ისინი სხვადასხვა დროს სამ-სამი სხვადასხვა ქალაქით თერთმეტჯერ იბრძოდნენ ზამთრის თამაშების მასპინძლობისათვის; თანაც ქალაქიც არის და ქალაქიც! ლაპარაკია ზამთრის სპორტის ისეთ ცენტრებზე, როგორებიცაა ოსტერზუნდი, ფალუნი, გოთენბურგი, ტამპერე, ლაჰტი და თავად ფინეთის დედაქალაქი ჰელსინკი! ზამთრის სპორტის კიდევ ერთი ქვეყნის – ნორვეგიის დედაქალაქი ოსლო ოთხჯერ უშედეგოდ იბრძოდა ზამთრის თამაშებისათვის; საერთოდ კი, ნორვეგიაში თამაშები ერთადერთხელ ჩატარდა – 1994 წელს ოლიმპიადას ლილეჰამერმა უმასპინძლა.

ასე რომ, ვის დაკარგვია ეს შენი ბორჯომი და საქართველო! დაკარგვას რაც შეეხება, 2014 წლის ზამთრის თამაშებისთვის გამართულ ბრძოლაში დებიუტანტი ბორჯომი არაფერს კარგავდა. იგი ერთადერთი იყო აპლიკანტ ქალაქთა შესანიშნავი შვიდეულიდან, რომელსაც დღემდე მსგავსი ბრძოლების არავითარი გამოცდილება არ გააჩნდა.

გამარჯვებულ ქალაქებზე უკვე ვთქვით, მაგრამ ისიც ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ოლიმპიადისათვის გამოცდილი მებრძოლები არიან სოფიაც, ხაკაც და ალმატიც. ბულგარეთის დედაქალაქი ზამთრის თამაშებისათვის 1983 წლიდან 23 წელია იბრძვის, ხაკას ოლიმპიურ ბატალიებში ბრძოლის 15-წლიანი გამოცდილება აქვს, ალმატისთვის კი ეს მეორე ცდა იყო. ხაკა 2007 წელს უმასპინძლებს ევროპის ქვეყნების ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს, რომელიც მთლად ოლიმპიადა არა, მაგრამ საკმაოდ დიდი მასშტაბის საერთაშორისო ასპარეზობაა. სოფიამ კი 1986 წელს ლოზანაში გამართულ სესიაზე ლამის გაიმარჯვა კიდეც – არჩევნების პირველ ორ ტურში იგი ლიდერობდა და მხოლოდ მეხუთე ტურში „დაუთმო" 1992 წლის ზამთრის თამაშები ალბერვილს. ახლა კი სოფია ბორჯომთან, ალმატისთან და იმავე ხაკასთან ერთად აღმოჩნდა აუტსაიდერთა შორის.

ერთი სიტყვით, 2014 წლის ზამთრის თამაშებისათვის ბრძოლა-

ში ჩაბმულ შვიდ ქალაქს შორის ერთადერთი დებიუტანტი, როგორც უკვე მოგახსენეთ, ბორჯომი იყო და მისგან გამარჯვებას პირველსავე ცდაზე მხოლოდ გამოუსწორებელი ოპტიმისტები თუ მოელოდნენ.

ბორჯომის საგანაცხადო კომიტეტისა და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მთავარი მიზანი ამ ეტაპზე ის გახლდათ, რომ საქართველოს დაეფიქსირებინა თავისი ჯანსაღი ამბიცია და სურვილი, უმასპინძლოს ოლიმპიურ თამაშებს. ქართველთა ენთუზიაზმი, ბორჯომის საგანაცხადო კომიტეტის მიერ გაწეული სერიოზული მუშაობა ხაზგასმით აღინიშნა ლოზანაში; შემთხვევითი არ იყო ისიც, რომ ბორჯომს აპლიკანტ ქალაქთა შორის მეორე ადგილი ეკავა საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის ღია ინტერნეტ-გამოკითხვის შედეგების მიხედვით. და თუ თავის პირველ ცდაზე ბორჯომი კანდიდატებს შორის ვერ მოხვდა, ამას თავისი ობიექტური მიზეზები აქვს, რაც, უპირველეს ყოვლისა, იმ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ პრობლემებთან არის დაკავშირებული, რომლებიც დღეს ასე მწვავედ დგას საქართველოს წინაშე.

შემთხვევითი არ არის ის ფაქტიც, რომ ბორჯომის ვერგასვლას ოლიმპიადის მასპინძლობის კანდიდატად მარცხად არავინ აღიქვამს. ყველას კარგად ესმის, რომ ეს იყო საჭირო და აუცილებელი ცდა, წინასწარ განსაზღვრული შედეგით, მაგრამ ასევე წინასწარ განსაზღვრული დიდი ეფექტით, რომლის შედეგიც მალე დაეტყობა რეგიონსაც და ქვეყანასაც..

ფაქტია, რომ ამ პირველ ცდას, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და საქართველოს ოლიმპიური ფონდის ძალისხმევას უქმად არ ჩაუვლია: საგანაცხადო კომიტეტმა და პროექტის ბორჯომი-2014-ის მენეჯერთა ჯგუფმა ოლიმპიადისათვის ბრძოლის დიდი გამოცდილება შეიძინეს. ჩამოყალიბდა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა სერიოზული ჯგუფი, რომლის მსგავსი საქართველოს აქამდე არ ჰყოლია და რომლის მიერაც შესრულებულია უნიკალური სამუშაო. პროექტზე მუშაობამ გამოავლინა საქართველოს არაერთი უპირატესობა ზამთრის თამაშების სამასპინძლოდ, ამავე დროს გამოიკვეთა ის სიძნელეები, რომელთა დაძლევაც აუცილებელი იქნება მომავალში წარმატების მისაღწევად. შემუშავებულია ბორჯომის ტურიზმისა და ზამთრის სპორტის დიდ

საერთაშორისო ცენტრად გადაქცევის პროექტი, რომლის განხორციელებაც უკვე დაწყებულია და რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი უახლოეს წლებში რეალიზებული იქნება ოლიმპიადისაგან დამოუკიდებლად. ამ გეგმის მთავარი პუნქტების განხორციელების შემთხვევაში, ბორჯომს საშუალება ექნება, უმასპინძლოს როგორც რეგიონულ შეჯიბრებებს, ისე დიდ საერთაშორისო ასპარეზობებს სპორტის ზამთრის სახეობებში ევროპის პირველობებისა და მსოფლიო თასების ეტაპების ჩათვლით. აქედან ოლიმპიადამდე კი გაცილებით მოკლე გზაა.

ჯერ კიდევ შარშან, ოლიმპიადის მასპინძლობისათვის გამართული მარათონის სტარტზე საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ბადრი პატარკაციშვილი, რომლის თაოსნობითა და მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი „ბორჯომი-2014", ამბობდა: „ჩვენ მზად ვართ იმისათვის, რომ შეიძლება 2014 წლის მასპინძლობაზე უარი მივიღოთ. ამ შემთხვევაში რატომ არ უნდა ვიბრძოლოთ 2018 წლის ოლიმპიადისათვის, მით უფრო, რომ იმ დროისთვის უფრო გამოცდილები ვიქნებით. პირველი ცდის შემდეგვე თუ ჩავიქნევთ ხელს, ეს სამომავლოდ არაფერში წაგვადგება. ქართული სპორტი და ოლიმპიური მოძრაობა ნამდვილად ღირსია, ოლიმპიადას უმასპინძლოს. ამიტომაც ვთვლი, რომ ჩვენ აუცილებლად უნდა გავაგრძელოთ ბრძოლა მიზნის მისაღწევად. ამას ხომ არა მარტო სპორტული, არამედ პოლიტიკური და საზოგადოებრივი დატვირთვაც აქვს. მსოფლიოც უკეთ გაგვიცნობს და მეტადაც დაგვაფასებს. მარტო ის რად ღირს, რომ ბაკურიანი და ბორჯომი ევროპული დონის სამთო კურორტები გახდება და ტურისტთა ნაკადიც იმატებს. მჯერა, ზამთრის ოლიმპიადასაც ადრე თუ გვიან აუცილებლად ვუმასპინძლებთ. ჩვენ თადარიგს დროულად ვიჭერთ – რიგში უკვე ჩავდექით."

მეორე ნაბიჯს ვერავინ გადადგამს, თუ პირველი ნაბიჯი არ გადაიდგა. ეს პირველი ნაბიჯი გადადგმულია და გადადგმულია ღირსეულად. საქართველომ ოლიმპიადისათვის ბრძოლა დაიწყო. ეს ბრძოლა ადრე თუ გვიან გამარჯვებით დამთავრდება.

ბორჯომი-2014 დამთავრდა.

ბორჯომი-2018 დაიწყო.

სწორედ ეს იყო მთავარი მესიჯი თბილისში 24 ივნისს გამარ-

თული პრესკონფერენციისა, რომელიც ბორჯომის დელეგაციის წევრებმა მოიწვიეს ლოზანიდან დაბრუნებისთანავე. ეს მესიჯი ფართოდ გაშუქდა მასობრივი ინფორმაციის ქართულ თუ საერთაშორისო საშუალებებში.

ახლა, ამ გზასაყარზე, როდესაც ოლიმპიადისათვის ბრძოლის პირველი ცდა დამთავრდა და მეორესთვის უნდა მოვემზადოთ, უპრიანი იქნება თვალი გადავავლოთ ჩვენს მიერ განვლილ რამდენიმეთვიან გზას, შევაფასოთ, რა და როგორ გაკეთდა, ენახოთ, რა ვისწავლეთ, რა შეცდომა დავუშვით, თუ დავუშვით, და შევაჯამოთ მთელი ჩვენი შეძენილი ცოდნა და გამოცდილება, რათა ჩვენს შემდგომ მომავალ თაობებს გზის სიძნელე გავუადვილოთ.

ამაში ჩვენი მთავარი გზამკვლევი იქნება 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის კანდიდატთა შესარჩევი სამუშაო ჯგუფის მოხსენება, ე.წ. საგანაცხადო წიგნი, რომელიც ამ ჯგუფმა წარუდგინა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომს და რომლის მიხედვითაც ამ უკანასკნელმა შვიდი აპლიკანტიდან სამი კანდიდატი ქალაქი შეარჩია.

ქართული ოლიმპიური განაცხადი დღეს დარიგდა, ამიტომ მასზე განსაკუთრებულ ყურადღებას აღარ შევაჩერებთ ორი გარემოების გამო. პირველი იმიტომ, რომ საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის დეკემბრის სხდომაზე სპეციალურად იქნა განხილული მისი შინაარსი და მეორეც იმიტომ, რომ მას ბოლო გვერდზე დართული აქვს ავტორთა, მენეჯერთა ჯგუფის, კონსულტანტთა და ტექნიკურ მუშაკთა სრული სია, რომლებიც დღეს დარბაზში იმყოფებიან და შეუძლიათ პასუხი გასცენ ქართულ განაცხადთან დაკავშირებულ ნებისმიერ შეკითხვას.

მინდა აქვე აღვნიშნო, რომ განაცხადის მზადების პერიოდში მისი საჯარო განხილვა 12-ჯერ გაიმართა. მათ შორის განსაკუთრებულად გამოვყოფდი თვითონ ბორჯომში, ადგილობრივ ხელმძღვანელობასა და მოსახლეობასთან ჩატარებულ პროექტის განხილვასა და პრეზენტაციას, რომელიც რამდენჯერმე გადაიცა ადგილობრივი ტელევიზიით; შპს "გეოგრაფიკში" გერმანელ ექსპერტებთან ერთად საჯარო განხილვა მოეწყო; მუშა – განხილვა კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში მინისტრის, ბატონ გიორგი გაბაშვილის მონაწილეობით. პროექტის სამუშაო განხილ-

ვა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან, ბატონ ზურაბ ნოღაიდელთან და ყველაფერი ამის გვირგვინი იყო საგანაცხადო პროექტის განხილვა-დამტკიცება საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით დაფუძნებული პროექტის ხელშემწყობი სპეციალური სამთავრობო კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც პრემიერ-მინისტრი თავმჯდომარეობდა. განხილვაში ასევე მონაწილეობას იღებდნენ ქალაქ თბილისის მერი ბატონი გიგი უგულავა, სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი ბატონი გოგა ხაჩიძე, საქართველოს ფინანსთა, ეკონომიკური განვითარების, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის, იუსტიციის, შრომისა და ჯანდაცვის, კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის მინისტრები, ტურიზმის, სპორტისა და რკინიგზის, აგრეთვე საავტომობილო გზების დეპარტამენტების თავმჯდომარეები.

არ შეიძლება ხაზგასმით არ აღინიშნოს ის მჭიდრო თანამშრომლობა, რომელიც ჩვენს საგანაცხადო ჯგუფს მუშაობის მთელი პერიოდის განმავლობაში ჰქონდა საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან. განსაკუთრებული მადლიერებით უნდა მოვიხსენიოთ სეოკ-ის პრეზიდენტი ბატონი ბადრი პატარკაციშვილი, რომელმაც უზრუნველყო მთელი საგანაცხადო პროცესის სრულად დაფინანსება; აგრეთვე გენერალური მდივანი ბატონი ემზარ ზენაიშვილი, რომელიც, ფაქტობრივად ერთდროულად იყო მენეჯერთა საგანაცხადო ჯგუფის წევრიც და კონსულტანტიც.

ბორჯომის განაცხადის პაკეტმა სასიამოვნოდ გააოცა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მრავალისმნახველი თანამშრომლები. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ იგი არათუ ჩამორჩებოდა სხვა ქალაქთა ანალოგიურ განაცხადებს, არამედ ზოგ ნაწილში სჯობდა კიდეც, რაც მეტად სასიამოვნო და საამაყოა, მით უმეტეს, რომ სხვა ქალაქთა განაცხადებისგან განსხვავებით, იგი, ფაქტობრივად ადგილობრივი ძალებით, საქართველოშივე მომზადდა.

აქვე აღვნიშნავ იმასაც, რომ საგანაცხადო პროცესში ფუნქციონირებდა სპეციალური ინტერნეტ-გვერდი "ბორჯომი 2014", რომლის შემოქმედებით ჯგუფსაც პროექტის მენეჯერი ბატონი პაატა ნაცვლიშვილი ხელმძღვანელობდა. ამ ჯგუფმა იმდენად საინტერესო ვებ-გვერდი შექმნა, რომ ამასწინათ გამართულ ქართული ვებ-გვერდების კონკურსში ჩვენმა ინტერნეტ-გვერდმა პირველ სამე-

ულში საპატიო ადგილი დაიკავა. ბატონმა პაატამ გაიმარჯვა "ბორჯომი 2014"-ის ლოგოს კონკურსშიც, რომელიც სეოკ-ის მიერ ჯერ კიდევ გასული წლის აგვისტოში ჩატარდა. ამიერიდან ეს ლოგო სამუდამოდ დაიდებს ბინას ქართული სპორტის ისტორიაში, როგორც ოლიმპიადის მასპინძლობისთვის საქართველოს პირველი ცდის გრაფიკული სიმბოლო.

საგანაცხადო პროცესში მეტად მნიშვნელოვანი იყო საქართველოს მენეჯერთა ჯგუფის მონაწილეობა ტურინის ზამთრის ოლიმპიური თამაშების დამკვირვებელთა პროგრამაში. ჩვენი საგანაცხადო კომიტეტის 10 დამკვირვებელი 21 დღის განმავლობაში იტალიის ქალაქ ტურინში მუშაობდა მეტად დაძაბული გრაფიკით, რომელიც თვალისწინებდა როგორც სააუდიტორიო მუშაობას, ისე პრაქტიკულ გასვლებს. თავად განსაჯეთ: მთლიანობაში შესრულდა 40 გასვლა, დაფარული იქნა 50 მიმართულება და 30-ზე მეტი ფუნქციური თემა, რომლებშიც შედიოდა სპორტული ობიექტების, ოლიმპიური სოფლების მონახულება, ასევე, კვების ბლოკის, სავაჭრო ადგილების, პრესცენტრის საქმიანობის, თამაშების გახსნა-დასურვის, დაჯილდოების ცერემონიის, ფინანსური უზრუნველყოფის, მარკეტინგისა და მენეჯმენტის, აგრეთვე სხვა აუცილებელ საკითხებზე დაკვირვება და შესწავლა. ჩვენმა მენეჯერებმა თან ჩამოიტანეს სათანადო დოკუმენტები და მასალები, რაც ჩვენს ოქროს ფონდს შეადგენს. დამკვირვებელთა სპეციალური ჯგუფი მონაწილეობდა პარაოლიმპიურ თამაშებშიც, რაც ჩვენთვის განსაკუთრებულ სიახლეს წარმოადგენდა.

უკვე ტურინის თამაშების შემდეგ საქართველოს ეწვია დამოუკიდებელი სააგენტოს „ერაუნდ დი რინგის" დამფუძნებელი და პრეზიდენტი, ატლანტელი ჟურნალისტი ედ ჰულა. მისი ბეჭდვითი გამოცემებისა და ვებ-გვერდის წყალობით, რომლებიც მთლიანად ოლიმპიურ პრობლემატიკას ეძღვნება, დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ოლიმპიური მოძრაობის ყველა დონეზე, დაწყებული საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიდან და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტებით დამთავრებული.

ბატონმა ედ ჰულამ მოიარა 2014-ის წლის ზამთრის თამაშების მოსურნე ყველა აპლიკანტი ქალაქი და მათ შორის ეწვია ბორჯომსაც. ჩვენთვის, თითოეული ჩვენი მენეჯერისათვის ძალზე საინ-

ტერესო იყო მასთან შეხვედრა და საქმიანი კონტაქტი, რადგან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სამზარეულოში ჩახედულმა კაცმა, რომელმაც კრიტიკული თვალით გარედან შეხედა ჩვენს განაცხადს, ბევრი საინტერესო მოსაზრება გამოთქვა და სამომავლოდ გასათვალისწინებული რჩევებიც მოგვცა.

„ერაუნდ დი რინგის" ვებ-გვერდზე ედ ჰულამ გამოაქვეყნა თავისი შთაბეჭდილებები შეიდივე აპლიკანტ ქალაქში მოგზაურობის თაობაზე. ბორჯომის შესახებ შემოგთავაზებთ რამდენიმე ამონარიდს:

„პატარა საკურორტო ქალაქი ბორჯომი სხვა აპლიკანტ ქალაქებთან შედარებით, ალბათ ყველაზე მეტ სარგებელს ნახავს ოლიმპიური თამაშებიდან.

ბორჯომი მოკალათებულია კავკასიის მთების ძირში. ტყეებით დაფარულ მთებს შორის მოქცეულ ქალაქს მდინარე მტკვარი ჩამოუდის. აქ უამრავი ნაძვია, რაც, უდავოდ, აპლიკანტის ლოგოს შექმნის საფუძველი გახდა.

სპორტული ასპარეზობების ადგილი აქედან 25 კმ-ით დაშორებულ პატარა სოფელი ბაკურიანი არის. აქ ჩატარდება შეჯიბრი 11 სახეობაში, ასევე დაჯილდოების, გახსნისა და დახურვის ცერემონიები.

მიუხედავად იზოლირებული მდებარეობისა, ბაკურიანი, უდავოდ, ზამთრის სპორტის მარგალიტია. საბჭოთა პერიოდში, 1932 წელს აქ გაიხსნა პირველი სათხილამურო ტრასა. ეს ფაქტი ბაკურიანს ერთ-ერთ უძველეს ზამთრის სპორტის ცენტრად წარმოგვიდგენს.

საგანაცხადო ჯგუფის შემართება და ენერგია თვალნათლივ იგრძნობოდა მენეჯერებთან და ტექნიკურ ექსპერტებთან შეხვედრისას.

ბორჯომის ცნობილი პროდუქტი, მინერალური წყალი, ისევე როგორც ღვინო, ამოღებულია რუსეთის სავაჭრო ქსელიდან. ისინი გახდნენ მოსკოვ-თბილისის დაპირისპირების მსხვერპლი. იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთი საქართველოს ნომერ პირველი სავაჭრო პარტნიორია, ამ "ომმა", შესაძლოა,საქართველოს ეკონომიკის განვითარება შეიძლება ჩიხში მოაქციოს წლების განმავლობაში, რაც, უდავოდ, გაართულებს ოლიმპიადისთვის სამზადისს."

ეს ჰულას დაკვირვებები მრავალმხრივ არის ანგარიშგასაწევი და მომავალ საგანაცხადო კომიტეტსა და მენეჯერთა ჯგუფს მისი გათვალისწინება უეჭველად მოუწევს.

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა აპლიკანტი ქალაქების განაცხადების ექსპერტული შეფასების მიზნით შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრები, სპორტის საერთაშორისო ფედერაციათა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების წარმომადგენლები, სხვადასხვა დარგის ცნობილი სპეციალისტები, ექსპერტები, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შესაბამის დეპარტამენტთა ხელმძღვანელები, სულ – 14 კაცი.

სამუშაო ჯგუფმა მოახდინა აპლიკანტ ქალაქთა შეფასება იმ ტექნიკური კრიტერიუმებით, რომლებიც სოკ-ის აღმასკომმა ხელახლა დაამტკიცა 2005 წლის ოქტომბერში. თითოეულ ამ კრიტერიუმს სამუშაო ჯგუფმა განსხვავებული მნიშვნელობა მიანიჭა და შეაფასა ხუთქულიანი სისტემით (სადაც 5 უმაღლესია).

აი, ეს კრიტერიუმები თავისი ხვედრითი წილით საბოლოო შეფასებაში:

1. სამთავრობო მხარდაჭერა, საკანონმდებლო ასპექტები და საზოგადოებრივი აზრი (აგრეთვე ოლიმპიურ ქარტიასა და მსოფლიო ანტიდოპინგურ კოდექსთან შესაბამისობა) ———— 2
2. ზოგადი ინფრასტრუქტურა ———— 5
3. სასპორტო ნაგებობები ———— 4
4. ოლიმპიური სოფელი (სოფლები) ———— 3
5. გარემო პირობები და მათზე ზეგავლენა ———— 2
6. განთავსება ———— 5
7. სატრანსპორტო კონცეფცია ———— 3
8. უსაფრთხოება და უშიშროება ———— 3
9. სპორტული ასპარეზობების ჩატარების გამოცდილება ———— 2
10. ფინანსები ———— 3
11. მთლიანი პროექტი და მემკვიდრეობა ———— 3

აქედან ჩანს, რომ სამუშაო ჯგუფი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ინსტრუქციების საფუძველზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა განაცხადში წარმოდგენილ ზოგად ინფრასტრუქტურას, სპორტული ნაგებობების არსებობასა და განთავსების სა-

კითხებს, სადაც ბორჯომის პოზიციები (და ეს ყველასთვის წინასწარ იყო ცნობილი), არცთუ სასარბიელოა.

სამუშაო ჯგუფის ამოცანა იყო შეეფასებინა ყველა აპლიკანტი ქალაქისა და მისი ქვეყნის ამჟამინდელი მდგომარეობა, განესაზღვრა ყოველი აპლიკანტი ქალაქისა და მისი ქვეყნის პოტენციალი 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების წარმატებული მასპინძლობისთვის მოცემული დროისა და რესურსების გათვალისწინებით.

სამუშაო ჯგუფი ანალიზისას ეყრდნობოდა აპლიკანტი ქალაქების მიერ წარმოდგენილ ტექნიკურ თუ ფაქტობრივ მონაცემებს, გარეშე ექსპერტების დასკვნებსა და საკუთარ ექსპერტიზას.

ჩვენ გავეცანით სამუშაო ჯგუფის მოხსენებას, სადაც განმარტავენ ჩატარებული ანალიზის მეთოდოლოგიას, რაშიც მთავარი ადგილი ეგრეთწოდებულ  გადაწყვეტილების მატრიცას (შედეგობრივ მატრიცას) და მათემატიკურ საფუძველს  უკავია.

როდესაც დადგინდა ორფაზიანი საგანაცხადო პროცედურა, სოკმა საჭიროდ ჩათვალა, აპლიკანტი ქალაქები შეეფასებინათ „გადაწყვეტილების მიმღები" სპეციალური კომპიუტერული პროგრამით.

მრავალ მსგავს პროგრამას შორის შეირჩა ეგრეთწოდებული „გადაწყვეტილებების მატრიცა", რომელიც უკვე წარმატებით გამოიყენებოდა სხვა ანალოგიურ პროექტთა შეფასებისას. ამ პროგრამით მოხდა 2010 - 2012 წლების აპლიკანტების შეფასებაც.

სოკ-თან კონსულტაციებისა და „გადაწყვეტილებების მატრიცის" კიდევ უფრო სრულყოფის შემდეგ, შემუშაედა პროგრამა „ოლიმპლოჯიქი" – შედეგობრივი მოდელი, რომელიც ეფუძნება უკვე კარგად ნაცადი შედეგობრივი მოდელის „ოფშენლოჯიქის" პრინციპებს და სხვა ანალოგიური პროგრამებისაგან საუკეთესო ოპციებით გამოირჩევა. იგი საშუალებას იძლევა აპლიკანტი ქალაქები შეფასდეს სოკის მიერ შემუშავებული სპეციფიკური კრიტერიუმების საფუძველზე.

„გადაწყვეტილების მატრიცა" 1983 წელს შეიქმნა იმ მიზნით, რომ მოეგვარებინათ გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებული დიდი და მეტისმეტად სპეციფიკური პრობლემები სხვადასხვა ორგანიზაციაში.

ეს პროგრამა იყენებს გრაფიკულ ინტერფეისებს, რათა შედეგ-

ბი მარტივი და ყველასთვის გასაგები ფორმით წარმოაჩინოს.

„გადაწყვეტილების მატრიცა" გამოიყენება ადამიანური რესურსების, ყიდვა-გაყიდვის, სტრატეგიული დაგეგმარების, კომპანიების რესტრუქტურიზაციისა და ტექნოლოგიური პროგნოზირების სფეროებში. ამ პროგრამას ფართოდ იყენებენ ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის დიდი კორპორაციები, სამთავრობო სტრუქტურების და ნატოს ექსპერტები – ახალი სამხედრო შეიარაღებისა და სტრატეგიის ოპტიმიზაციისთვის.

სამუშაო ჯგუფის მოხსენებაში მოყვანილია შეფასებითი ნაწილი 11 ტექნიკური კრიტერიუმის მიხედვით. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ მთლიან მოხსენებას, რომელიც ინახება საგანაცხადო კომიტეტში, აგრეთვე სეოკ-ში, გამოქვეყნებულია სოკ-ის ვებ-გვერდზე, ამიტომ მასზე უფრო დაწვრილებით ჩვენს ყურადღებას აღარ შევაჩერებთ. შევეცდებით გაგაცნოთ მხოლოდ ზოგიერთი ჩვენი დაკვირვება პროექტის "ბორჯომი 2014"-ის დადებით და ნაკლოვან მხარეებზე.

დასაწყისისთვის შევჩერდეთ ბორჯომის განაცხადის ყველაზე მნიშვნელოვან 5 პლუსზე და 5 მნიშვნელოვან მინუსზე, თორემ დადებითიც და უარყოფითი ნიუანსებიც გაცილებით მეტია.

პირველი დადებითი ასპექტი პროექტისა "ბორჯომი 2014" არის ის, რომ იგი ორიენტირებულია ოლიმპიური მოძრაობის მსოფლიო გეოგრაფიის გაფართოებაზე (აქამდე ჩატარებული ოლიმპიური თამაშების 90% გამართულია ევროპის კონტინენტსა და ჩრდილოამერიკაში, მხოლოდ 3-ჯერ გაიმართა აზიაში, ისიც მხოლოდ იაპონიასა და სამხრეთ კორეაში).

გეოგრაფიასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, აგრეთვე, ჩვენი მდებარეობა, საქართველოს სიახლოვე როგორც ევროპასთან, ასევე აზიასთან. ამ ასპექტსაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება.

მეორე უპირატესობა ჩვენი პროექტისა, არის უნიკალური ბუნებრივი პირობები, რასაც აღნიშნავს ყველა ექსპერტი, ვინც კი ბაკურიანი იხილა. აქაური ლანდშაფტი სპორტული ნაგებობების ზედმიწევნით კომპაქტური განლაგების უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა, რაც სხვა კონკურენტი ქალაქების შემთხვევაში შეუძლებელია.

მესამე დადებითი მომენტი დაკავშირებულია მაღალი დონის

ქართულ განაცხადთან და ოლიმპიური მასპინძლობის ჩვენს კონცეფციასთან. ოლიმპიური სოფლების განლაგების ჩვენეული ხედვა იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, რომ სოკ-ის დასკვნით დოკუმენტში საქართველოს გაუსწრო უკვე კანდიდატი ქალაქებიდან მხოლოდ ორმა – ზალცბურგმა და სოჭმა. დანარჩენები კი ამ კრიტერიუმით ბორჯომთან ახლოსაც კი ვერ მოდიან.

მეოთხე მნიშვნელოვანი პლუსი ქართული პროექტისა გახლავთ საქართველოს მოსახლეობის დიდი დაინტერესება და მხარდაჭერა ოლიმპიური თამაშებისადმი, მისი მაღალი მოტივაცია.

ჩვენს მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა ცხადყოფს, რომ საქართველოს მოსახლეობის 82.5%-ს მტკიცედ სწამს, ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა ხელს შეუწყობს ქვეყანაში ზამთრის სპორტის განვითარებას. 70%-ზე მეტის რწმენით – თამაშების მასპინძლობა ქვეყნისთვის დიდი ეკონომიკური ეფექტის მომტანი იქნება. სხვათა შორის, სოკ-მა ჩვენგან დამოუკიდებლად, ანონიმურად, ჩაატარა თავისი გამოკითხვაც, რომლის მიხედვით,ბორჯომისა და მის გარშემო არსებული მუნიციპალური ტერიტორიების მოსახლეობის 95% ოლიმპიადის ჩატარების მომხრეა. ეს ერთ-ერთი უმაღლესი მაჩვენებელია.

აღსანიშნავია და ჩვენთვის დიდად საამაყოა, რომ თავად სოკ-ის გამოკითხვით, ბორჯომი (9,3 მაჩვენებლით) მეორე ადგილზეა აპლიკანტ ქალაქებს შორის პიონჩანის შემდეგ (მაჩვენებელი 9,5), ხოლო ბოლო ადგილზეა ზალცბურგი, რომლის მაჩვენებელი (1,1) აშკარავებს ზალცბურგისა და, ზოგადად, ავსტრიის მოსახლეობის უარყოფით დამოკიდებულებას ზალცბურგში ოლიმპიადის ჩატარების პერსპექტივის მიმართ.

მეხუთე დადებითი ასპექტი დაკავშირებულია პროექტის ღირებულების ფინანსირების სტრუქტურასთან. კერძოდ, მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ოლიმპიადის მასპინძლობა თუ საქართველოს 3 მილიარდი აშშ დოლარი დაუჯდება, მისი 60% უკვე დაგეგმილია. ეს იმას ნიშნავს, რომ ინფრასტრუქტურის ხარჯების დიდი ნაწილი სახელმწიფოს მიერ გაღებულ იქნება ოლიმპიური თამაშების საქართველოში ჩატარებისგან დამოუკიდებლად.

ახლა თქვენს ყურადღებას შევაჩერებ ჩვენი საგანაცხადო პროექტის 5 ძირითად ნაკლოვანებაზე, რომელთაც სხვა მიზეზებთან ერ-

თად, განაპირობეს ბორჯომის დარჩენა შორტ-ლისტის მიღმა.

პირველი – თვალშისაცემი მინუსი იყო დაფინანსების სიმცირე და ყველაზე მწირი საგანაცხადო ბიუჯეტი. სხვა აპლიკანტი ქალაქების საგანაცხადო ბიუჯეტები 10-ჯერ, ზოგ შემთხვევაში კი 20-ჯერ და მეტადაც აღემატებოდა ქართული საგანაცხადო ბიუჯეტის მოცულობას. მისი სერიოზული ხარვეზი იყო ისიც, რომ დაფინანსებაში არ მონაწილეობდა სახელმწიფო.

მეორე სერიოზული ნაკლოვანება გახლავთ ქვეყნის ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა.

მესამე უარყოფითი ასპექტი დაკავშირებული იყო ქვეყანაში სტუმრის მისაღები საცხოვრებელი ადგილების (სასტუმრო ნომრების) მკვეთრ უკმარისობასთან და სტანდარტებთან მათი შეუსაბამობასთან.

მეოთხე – ზამთრის სპორტის სახეობების არარსებობა. ზამთრის სპორტის 15 ოლიმპიური სახეობიდან ვერ დავასახელებთ ვერც ერთს, რომლის სპორტული ბაზაც სრულყოფილად იყოს წარმოდგენილი დღევანდელ საქართველოში. ამასთან, ზამთრის სპორტის სახეობების ტოტალური განუვითარებლობა საქართველოში და ამ სახეობებში საერთაშორისო შეჯიბრებების ჩატარების გამოცდილების ნაკლებობაც. როგორც ცნობილია, მასპინძელ ქვეყანას უფლება ეძლევა გამოიყვანოს ნაკრები გუნდები ოლიმპიურ თამაშებზე სრული პროგრამით. ამასთან დაკავშირებით, სოკ-ში გაჩნდა შეკითხვაც: ბორჯომისთვის მხარდაჭერის შემთხვევაში, შეძლებს კი საქართველო, გამოიყვანოს ნაკრები გუნდები ზამთრის სპორტის ყველა სახეობაში? რა თქმა უნდა, ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ – ვერა.

აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, გაკეთდეს ერთმნიშვნელოვანი დასკვნა: თუ საქართველოს აქვს სურვილი ოდესმე უმასპინძლოს ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს, ქვეყანამ სერიოზული ყურადღება უნდა დაუთმოს ზამთრის სპორტის სახეობების განვითარებას.

მეხუთე – სამთავრობო მხარდაჭერის ნაკლებობა. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ხელისუფლების აქტივობა პროექტის მხარდაჭერის თვალსაზრისით ვერ გაუტოლდა სხვა აპლიკანტების სამთავრობო მხარდაჭერის დონეს.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ 2014 წლის აპლიკანტი ქალაქების შანსების შეფასე-

ბის მიზნით, გამოყენებულ იქნა ე.წ. კოფეისის რისკის რეიტინგი. კოფეისის რეიტინგი ახდენს ქვეყნის მოკლე და საშუალოვადიანი ეკონომიკური რისკების განსაზღვრას. ინფორმაცია ასახავს ქვეყნის ეკონომიკური სიტუაციის მიმართ ნდობის ხარისხს, კერძოდ, მთავრობის მხრიდან დაფინანსების შესაძლებლობას. ეს არის ობიექტური შეფასება იმ ქვეყნებისა, რომლებსაც მოუწევთ მნიშვნელოვანი ინვესტიციების გაკეთება ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ. კოფეისის რეიტინგული შკალის უმაღლესი შეფასებაა 1, ხოლო უმდაბლესი – უნდა აღინიშნოს, რომ ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც მიენიჭა უმდაბლესი კოეფიციენტი – იყო საქართველო. აქ, ჩემის აზრით, ყველაფერია ნათქვამი, რადგან ამ შემთხვევაში საგანაცხადო კომიტეტი ვერაფერს გააკეთებდა.

აი, ასეთია ის ძირითადი პლიუსები და მინუსები, რომლის საფუძველზეც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომმა 22 ივნისს შვიდიდან სამ აპლიკანტს მიანიჭა კანდიდატის სტატუსი და ოლიმპიადისთვის ბრძოლის გაგრძელების უფლება დაუტოვა.

ამ პირველი ცდის შემდეგ, ჩვენ უკვე მეტ-ნაკლებად გარკვეულები ვართ ოლიმპიადისთვის ბრძოლის სტრატეგიასა და ტაქტიკაში. ჩვენ უკვე ვიცით, თუ რა და როგორ უნდა გაკეთდეს და რა და როგორ არ უნდა გაკეთდეს. ჩვენ უკვე ვიცით ჩვენი ძლიერი და სუსტი მხარეები. ჩვენ უკვე ვიცით უმოკლესი გზები მიზნის მისაღწევად. თუმცა, სამუშაო და გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. და თუ საქართველო გადაწყვეტს, მონაწილეობა მიიღოს 2018 წლის საგანაცხადო ციკლში, რომელიც 2009 წლიდან იწყება, მაშინ საჭიროა ეს ორი წელი – 2009 წლამდე, ისე იქნას გავლილი, რომ ცეცხლი, რომელიც საქართველომ დააგიზგიზა "ბორჯომი 2014"-ის განაცხადით, გადასცეს ახალ საგანაცხადო კომიტეტს, რათა ის ახალი ძალით აკიაფდეს. მით უმეტეს, რომ 2009 წლისთვის საქართველოს, მისი განვითარების დღევანდელ ტემპებს თუ გავითვალისწინებთ, სულ სხვა სასტარტო მონაცემები ექნება ოლიმპიურ მარათონში ჩასართველად. ამ საკითხზე ჩვენი ჯგუფის მოსაზრებები უკვე წარედგინა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობას და გადაწყვეტილება მათი მისაღებია.

დასასრულ, რა ვიცოდით ჩვენ, რა იცოდა მსოფლიომ ნაგანოსა თუ ლილეჰამერის, საპოროსა თუ კორტინა დ'ამპეცოს, გრენობლისა თუ ალბერვილის, კალგარისა თუ სკვო-ველის შესახებ მანამ, სა-

ნამ ამ ქალაქთა სახელები ოლიმპიურ თამაშებს არ დაუკავშირდა? გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ ბევრი არაფერი. ყოველ შემთხვევაში, ბორჯომი, როგორც კურორტი და როგორც სახელგანთქმული მინერალური წყლის სამშობლო, მეტად ცნობილი იყო, მაგრამ ახლა ბორჯომის სახელი რეალურად გაიცნო მთელმა მსოფლიომ და მან არა მარტო ბორჯომისა და მისი რეგიონის, მთელი ჩვენი ქვეყნის, მთელი საქართველოს ცნობადობა გაზარდა. ეს კი ცოტა როდია. შეიძლება, უმნიშვნელო დეტალია, მაგრამ მსოფლიოს მრავალი კუთხიდან ბორჯომი-2014-ის საგანაცხადო კომიტეტის ოფისში დღემდე მოდის შეკითხვები თუ ელექტრონული წერილები, სადაც ითხოვენ ამა თუ იმ ინფორმაციის, ამა თუ იმ მასალის გაგზავნას ბორჯომისა და საქართველოს შესახებ.

სხვათაშორის, ძირითადი პროექტის დასრულების მიუხედავად, გვაქვს მოსაზრება, რომ „ბორჯომი 2014" –ის ვებ-გვერდი არ მოიხსნას ინტერნეტიდან, რამდენადმე ტრანსფორმირებული სახით კვლავ გააგრძელოს ფუნქციონირება და უახლოესი პერიოდის განმაელობაში იგი იყოს ერთგვარი ხიდი „ბორჯომი 2014"-სა და „ბორჯომი-2018"-ს შორის.

ბოლოსდაბოლოს, მსოფლიოში 220-ზე მეტი ქვეყანაა 220-ზე მეტი დედაქალაქით, 200-მდე ქალაქის მოსახლეობა მილიონს აჭარბებს, ოლიმპიურ ქალაქთა რიცხვი კი სულ ოთხი ათეულია. ოთხ ათეულს არ სცილდება იმ ქალაქთა რიცხვიც, ვინც ოლიმპიადის მასპინძლობას ესწრაფოდა თუ ესწრაფვის. ამიერიდან, ბორჯომიც მათ შორისაა. ადრე თუ გვიან საქართველო უმასპინძლებს ოლიმპიურ თამაშებს და როცა უნდა მოხდეს ეს, ამაში თითოეული ჩვენგანის წვლილიც იქნება. ხეჭეჭურის ამბისა არ იყოს, შეიძლება, ჩვენ ვერც კი მოვესწროთ ჩვენი დარგული კეთილი ხის ნაყოფს, მაგრამ ამით ნაყოფს არაფერი მოაკლდება, მეორე მხრივ კი, თუ ჩვენს მონდომებასა და ძალისხმევას სხვათა მხარდაჭერაც დაემატა და გარეშე ხელმსშემშლელ ფაქტორებსაც მოველო, იქნებ, ეს ხეჭეჭური ჩვენც ვიგემოთ.

ყოველ შემთხვევაში, ხე დარგულია და, როგორც ჩანს, იხარა კიდეც. ვინძლო, მომავალ გაზაფხულზე კვირტებიც გამოიტანოს.

ვნახოთ!

*ვაჟა შუბლაძე,*

*პროექტი „ბორჯომი 2014"-ის გენერალური მენეჯერი.*

*სექტემბერი, 2006 წელი*

# შტრიხები ბიოგრაფიიდან

ვაჟა შუბლაძე დაიბადა 1947 წლის 5 იანვარს, თბილისში, ცნობილი პროვიზორების ტრადიციულ ოჯახში. ბაბუა — ბარნაბა შუბლაძე, რომელსაც მეფის რუსეთის პერიოდში დამთავრებული ჰქონდა ხარკოვის სამედიცინო ინსტიტუტი, საქართველოში სააფთიაქო საქმის ერთ-ერთი წამომწყები და ორგანიზატორი იყო. მას ოთხი კერძო აფთიაქი ჰქონდა დასავლეთ საქართველოში. ბაბუის გზას გაჰყვა მამაც, — დავით შუბლაძე — საქართველოს მთავარი სააფთიაქო სამმართველოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი, საქართველოს დამსახურებული პროვიზორი იყო. დედა — თინა ციბაძე-შუბლაძისა — დიასახლისია.

ვაჟა შუბლაძემ 1964 წელს წარჩინებით დაამთავრა ქ. თბილისის 61-ე საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტზე — „მათემატიკური გამომთვლელ-ამომხსნელი მანქანებისა და მოწყობილობების“ სპეციალობით. იყო ლენინური სტიპენდიანტი, აქტიურად მონაწილეობდა ინსტიტუტის ახალგაზრდული ორგანიზაციების საქმიანობაში. 1967 წლიდან ინსტიტუტის დამთავრებამდე იყო ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის განთავისუფლებული მდივანი. 1967-1968 წლებში მონაწილეობდა სტუდენტურ-სამშენებლო რაზმებში, როგორც რაზმის მეთაური და ინსტიტუტის გაერთიანებული სტუდენტური რაზმის კომისარი. ყაზახეთის ყამირი მიწების ათვისების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული პირადი წვლილისათვის 1968 წელს დააჯილდოვეს მედლით „ყამირი მიწების ათვისებისათვის“.

ვ. შუბლაძე 1969 წელს ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად დატოვეს ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საპრობლემო ლაბორატორიაში. შემდეგ მუშაობდა საქართველოს კომკავშირის თბილისის კომიტეტში სტუდენტი ახალგაზრდობის განყოფილების გამგედ, საიდანაც 1970 წლის დეკემბერში გადაიყვანეს კომკავშირის კალინინის (მთაწმინდის) რაიკომის მეორე მდივნად, ხოლო 1971-1973 წლებში კი მუშაობდა. პირველ მდივნად.

პარალელურად, 1970 წლიდან 1975 წლამდე, დაუსწრებლად სწავლობდა ასპირანტურაში „ტექნიკური კიბერნეტიკის" სპეციალობით.

1973 წლის მაისში ვ. შუბლაძე აირჩიეს საქართველოს ახალგაზრდული ორგანიზაციების კომიტეტის თავმჯდომარედ და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრად.

ამ თანამდებობაზე ვ. შუბლაძემ რვა წელიწადი იმუშავა. ეს იყო განსაკუთრებული წლები, ვინაიდან გვერდიგვერდ მოუწია საქმიანობა საქართველოს ეროვნულ გმირთან ჟიული შარტავასთან, რომელიც იმ წლებში საქართველოს კომკავშირის ცკ-ს პირველი მდივანი იყო.

ახალგაზრდული ორგანიზაციების კომიტეტის ძირითადი ამოცანა მდგომარეობდა საქართველოს ახალგაზრდობის საერთაშორისო კავშირურთიერთობების გაფართოებაში გამოიხატებოდა.

იმ წლებში ვ. შუბლაძის ინიციატივით საქართველომ უმასპინძლა საზღვარგარეთის ქვეყნების ახალგაზრდული ორგანიზაციების ლიდერებს მსოფლიოს 76 ქვეყნიდან. მას თავად მოუწია მსოფლიოს 30-მდე ქვეყანაში მივლინებები ახალგაზრდულ შეხვედრებსა თუ ღონისძიებებში მონაწილეობისას. მათ შორის, ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალებზე (ბერლინი – 1974, ჰავანა – 1978), საერთაშორისო ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და რეგიონული ცენტრების მიერ ჩატარებულ ფორუმებსა და შეხვედრებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია სტუმრობა ფინეთის მწვანეთა მოძრაობასთან (1973 წელი), პორტუგალიაში ახალგაზრდობის ფორუმში მონაწილეობა (1976), აგრეთვე შეხვედრები ისლანდიაში (1977), ალჟირში (1978), აშშ-ში (1979), გფრ-ში (1980) და სხვა. 1978 წელს არჩეულ იქნა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ჰავანის მსოფლიო ფესტივალის საერთაშორისო მოსამზადებელი კომიტეტის, აგრეთვე სტუდენტთა საერთაშორისო კავშირისა (სსკ) და დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის (დამფ) წევრად.

1974 და 1978 წლებში ვ. შუბლაძე დაჯილდოვდა ბერლინისა და ჰავანის მსოფლიო ფესტივალების ლაურეატის სამახსოვრო მედლებით, საპატიო ნიშნით „შრომითი მამაცობისათვის" და სამკერდე ნიშნით „აქტიური მუშაობისათვის", 1981 წელს კი – სსრკ „ხალხთა მეგობრობის" ორდენით. იმავე წელს მისი გამოგონება – „ძვირფასეული მასალების დამჭიმავის რეგულირების მექანიზმის მათემატიკური მოდელი" (საავტორო მოწმობა № 559872) – ოქროს მედლით აღინიშნა სსრკ სახალხო მეურნეობის გამოფენაზე.

1981 წლის ოქტომბერში ვ. შუბლაძე დაინიშნა საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, სადაც თითქმის შვიდი წელი დაჰყო. ეს იყო ქართული სპორტის აღმშენებლობისა და გამარჯვების მეტად მნიშვნელოვანი წლები. გარდა სპორტის მასობრიობისა, სასკოლო და სტუდენტური სპორტისა, ის კურირებას უწევდა სპორტის 15 სახეობას, მათ შორის – ტანვარჯიშის, წყლის სანაოსნო და ნიჩბოსნობის სახეებს, კარატეს და სხვ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო საუკეთესო პერიოდი საქართველოში წყლისა და ტანვარჯიშის სპორტული სახეებისათვის, რომელმაც მოგვცა ოლიმპიური ჩემპიონი ტანვარჯიშში ლადო გოგოლაძე, მსოფლიო ჩემპიონები წყალში ხტომაში გიორგი ჩოგოვაძე, აკრობატიკაში – რუსუდან ხოფერია და ანა დოლონაძე, სინქრონულ ცურვაში – ქრისტინე ფალასანიდი, მხატვრულ ტანვარჯიშში – ირინა გაბაშვილი, ლალი დოლიძე და სხვები.

დღევანდელი გადასახედიდან განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მისი ინიციატივით განხორციელებული პროექტები ცურვისა და ტანვარჯიშის სახეების მატერიალურ-ტექნიკური ბაზებით უზრუნველყოფის მიზნით. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება 20-მდე საცურაო აუზის მშენებლობა საქართველოში და არსებული ბაზების სრულყოფა-რეკონსტრუქცია. მისი უშუალო ინიციატივითა და აქტიურობით ქვეყანაში აშენდა ტანვარჯიშის ხუთი ახალი სპეციალიზებული დარბაზი თბილისში, ბათუმში, ზუგდიდში, ლესელიძესა და ცხინვალში. ასევე აღნიშვნის ღირსია, 80-იანი წლების დასაწყისში, თბილისის სპორტის სასახლის ბაზაზე შექმნილი საქართველოს სპორტული დიდების მუზეუმი. ამავე პერიოდში დაედო დასაბამი თბილისის სპორტის სასახლეში დიდი სპორტული ზეიმების მოწყობის ტრადიციას.

1988 წელს სპორტკომიტეტში მისი შვიდწლიანი მოღვაწეობა სათანადოდ შეფასდა – ვ. შუბლაძე დააჯილდოვეს საკავშირო უწყებრივი საპატიო ნიშნით „ქვეყანაში სპორტის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული პირადი წვლილისათვის"; ამასთან, მიენიჭა საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.

80-იანი წლების მიწურულში ნათელი გახდა, რომ სპორტული ორგანიზაციების საბჭოთა სისტემა გარკვეულ რეორგანიზაციასა და განახლებას საჭიროებდა. სწორედ ამ მიზნით, 1988 წელს გაერ-

თიანდა პროფკავშირების შვიდი სპორტსაზოგადოება („განთიადი", „კოლმეურნე", „სპარტაკი", „ზენიტი", „ბურევესტნიკი", „ვოდნიკი", „ლოკომოტივი") და შეიქმნა ერთიანი პროფკავშირული სპორტსაზოგადოება, რომლის პირველ თავმჯდომარედ საქართველოში იმავე წლის მარტში არჩეულ იქნა ვ.შუბლაძე.

დაიწყო ქართულ სპორტში მისი მოღვაწეობის ახალი ეტაპი. გაჩნდა ახალი გეგმები, ახალი ამოცანები და რაც მთავარია, ეს საზოგადოება უნდა ჩამოყალიბებულიყო და განმტკიცებულიყო ორგანიზაციულად და სტრუქტურულად. ამ გაერთიანებამ მაშინ მთელი ქართული სპორტის (მაღალი რანგის სპორტსმენებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის) 70-80% ერთ ხელში მოაქცია. ვ.შუბლაძის ინიციატივით აღორძინდა პირველი ქართული ეროვნული სპორტსაზოგადოება „შევარდენი", ახალშექმნილ სტრუქტურას სწორედ ეს სახელი ეწოდა. ეს იყო გარკვეული მხარდაჭერა ეროვნული მოძრაობისადმიც, რომელიც 80-იანი წლების ბოლოს იკრებდა ძალებს და ხალხის ეროვნულ თვითშეგნებას აღვიძებდა. ამ პერიოდში სპორტსაზოგადოება „შევარდენის" მაღალ ავტორიტეტზე მეტყველებს ის, რომ 1989 წელს თბილისის სპორტის სასახლეში მან ორგანიზაცია გაუკეთა და უმასპინძლა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე პირველ ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებას – მსოფლიოს X ჩემპიონატს ძიუდოში სტუდენტთა შორის. სხვათაშორის, არც მანამდე და არც მას შემდეგ, საქართველოში ოფიციალური მსოფლიო ჩემპიონატი (არა რომელიმე ქვეჯგუფი, ან ცალკეული მატჩი, არამედ მთელი ფინალური შეჯიბრება) სპორტის ამა თუ იმ სახეობაში არ გამართულა.

1991 წლის აგვისტოში ვ. შუბლაძე აირჩიეს საქართველოს პროფსაბჭოს თამჯდომარის მოადგილედ. თუმცა, სამთვიანი მუშაობის პერიოდი პროფკავშირების ხელმძღვანელობაში სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმის გასაცნობიერებლად, რომ მისი მოლოდინი არ გამართლდა. მაშინ მშრომელთა ინტერესები ნაკლებად თუ ვინმეს აინტერესებდა. გამეფებული იყო კონიუნქტურა, კულისებსმიღმა ინტრიგები და ბრძოლა სკამების შენარჩუნებისთვის. ეს იყო პერიოდი, როდესაც სრული გასაქანი მიეცა მედროვეებს და ინტრიგანებს და მან მიიღო გადაწყვეტილება, რომ იქ დარჩენას და მუშაობის გაგრძელებას არავითარი აზრი არ ჰქონდა – გადაარჩინა პირადი ღირსება და პროტესტის ნიშნად დატოვა ესოდენ მაღალი პოსტი.

სულ მალე მან მიიღო შემოთავაზება საქართველოს ეროვნული

მთავრობისგან, ემუშავა მინისტრთა კაბინეტის კანცელარიის მმართველის პირველ მოადგილედ. თუმცა, ცნობილი მოვლენების გამო, საკუთარი ნებით, პოსტი აქაც ნაადრევად დატოვა.

ეს იყო მეორე შემთხვევა ვ. შუბლაძის ბიოგრაფიაში, როდესაც მან ვერ უღალატა საკუთარ პრინციპებს და მიიღო გადაწყვეტილება, მიეტოვებინა საკმაოდ მაღალი პოსტი და თანამდებობა.

ქვეყანა იწყებდა დამოუკიდებლად ცხოვრებას საბაზრო ეკონომიკის პირობებში და ვ. შუბლაძემ გადაწყვიტა, ბედი ეცადა კერძო სექტორში — დაიწყო მუშაობა საქართველო-ესპანეთის ერთობლივ კორპორაციაში გენერალურ მენეჯერად. ერთი წლის მუშაობის პერიოდში მისი მონაწილეობით ბევრი საინტერესო პროექტი განხორციელდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ სპორტთან ურთიერთობა მას არასოდეს გაუწყვეტია, მაშინაც კი, როდესაც არ იყო უშუალოდ სპორტის სამსახურში. ასე მოხდა ამჯერადაც, როდესაც ქართული სპორტის მესვეურებისგან მიიღო წინადადება, სათავეში ჩასდგომოდა რომელიმე სპორტულ ფედერაციას და მისი ცოდნა და გამოცდილება სპორტის აღორძინებისთვის მოეხმარებინა. ამ შეთანხმების შესახებ ცნობილი გახდა სპორტულ სამყაროში და მოჭადრაკეთა წინადადებითა და თხოვნით 1993 წლის აპრილში ვ. შუბლაძე სათავეში ჩაუდგა საქართველოს ჭადრაკის ეროვნულ ფედერაციას, სადაც სრულად წარმოჩინდა მისი დიდი ორგანიზატორული ნიჭი, საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომის უნარი.

ახლადარჩეულ პრეზიდენტს ძალზე რთული მდგომარეობა დახვდა ფედერაციაში. ფედერაციას არ ჰქონდა იურიდიულად ჩამოყალიბებული სახე, არ იყო შექმნილი და სათანადოდ რეგისტრირებული დამოუკიდებელი ფედერაციის წესდება, ფაქტობრივად, ორგანიზაციას არ გააჩნდა ბიუჯეტი, გაპარტახებული იყო მატერიალურტექნიკური ბაზა. ჭადრაკის სასახლე კი სავალალო მდგომარეობაში — ჩამსხვრეული ვიტრინებით, გაძარცული ინვენტარით და ა.შ. არც შუქი, არც გათბობა და თბილისის ეს უნიკალური ნაგებობა საეჭვო ელემენტების ადგილსამყოფელად იყო ქცეული. არც მოჭადრაკეებს შორის იყო ჯანსაღი ურთიერთობა, საჭადრაკო ოჯახს პირადი კონფლიქტები და დაპირისპირებები ტანჯავდა.

1993 წლის მაისიდან 1998 წლის მარტამდე, მთელი ხუთი წლის განმავლობაში იმუშავა ვ. შუბლაძემ ფედერაციის თავკაცად და პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ეს იყო საუკეთესო წლები დამოუკი-

დებელი საქართველოს საჭადრაკო ცხოვრებაში. თვითონ განსაჯეთ: ამ პერიოდში საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრები გუნდი ორჯერ ზედიზედ გახდა მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონი (1994 წელი, მოსკოვი და 1996 წელი, ერევანი); იგივე ნაკრები პირველად გახდა ევროპის ჩემპიონი (1995 წ. პულა, ხორვატია); პირველად ჭადრაკის ისტორიაში, საქართველოს ქალთა ნაკრებმა გუნდმა, როგორც გამონაკლისი, მონაწილეობა მიიღო მამაკაცთა გუნდურ მსოფლიო ჩემპიონატში. ორჯერ ზედიზედ საქართველოს სტუდენტ მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდი გახდა მსოფლიო საჭადრაკო უნივერსიადის ჩემპიონი. მრავლად იყვნენ ასაკობრივ ჯგუფებში (10, 12, 14, 16, 18 და 20 წლის) მოჭადრაკე ვაჟთა თუ გოგონათა შორის გამარჯვებულები. ამ ხუთი წლის მანძილზე არ ყოფილა საერთაშორისო საჭადრაკო კალენდრით გათვალისწინებული რაიმე ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა არ მიეღოთ ქართველ მოჭადრაკეებს და ეს ღონისძიებები არ დაეფინანსებინა ჭადრაკის ფედერაციას. ამავე პერიოდში მომზადდა იმდენი საერთაშორისო ოსტატი და დიდოსტატი, რამდენიც მთელი ქართული ჭადრაკის ისტორიის მანძილზე. 1993 წლიდან დაწყებული, მთელი 5 წლის განმავლობაში, ყოველწლიურად ჭადრაკის ფედერაცია საქართველოში წლის სპორტული შედეგებით აღიარებული იყო, როგორც ქვეყნის საუკეთესო ფედერაცია.

გარკვეული ყურადღება დაეთმო ქვეყნაში ჭადრაკის პოპულარიზაციასაც. აღდგენილ იქნა სატელევიზიო პროგრამა „სამორინე“, დაარსდა სპეციალური გაზეთი (პერიოდული ჩანართი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“) „ლაზიერი“, პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში გამოვიდა საფოსტო მარკები ქართველ მოჭადრაკე ქალთა მიღწევების შესახებ.

ვ. შუბლაძის პირადი ინიციატივით 1997 წლის 7 სექტემბერს ფიდეს (მსოფლიოს საჭადრაკო ფედარაციის) კონგრესზე განსახილველად შევიდა საკითხი ჭადრაკში მსოფლიოს ახალი სუპერთასის დაწესების შესახებ. ეს იდეა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში დაიბადა და მისი დებულებაც თბილისში დამუშავდა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო გარდამავალი თასი, რომელსაც ნონა გაფრინდაშვილის სახელი ეწოდა, დღესაც ერთადერთი ქართული თასია მსოფლიოში აღიარებული საერთაშორისო ფედერაციის მიერ, არა მარტო ჭადრაკში, არამედ, საერთოდ, სპორტის ნებისმიერ სახეობაში. იგი საჭადრაკო ოლიმპია-

დებზე გადაეცემა ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდების ჯამური მაჩვენებლებით საუკეთესო საჭადრაკო ქვეყანას.

1998 წლის თებერვალში, მეტად ნაყოფიერი და წარმატებული საქმიანობის შემდეგ, ვ. შუბლაძე პირადი ინიციატივით ტოვებს ჭადრაკის ფედერაციას.

ფედერაციის პრეზიდენტად მუშაობის პერიოდში ვაჟა შუბლაძემ დაიმსახურა ქვეყნის პრეზიდენტის პირადი მადლობა (მადლობის წერილი (1994 წ.); დააჯილდოვეს საქართველოს ღირსების ორდენით (1996 წელი), საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საიუბილეო მედლით (1999 წელი). აირჩიეს მსოფლიო საჭადრაკო ფედერაციის (FIDE) საპატიო წევრად (1998 წელი) და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრად (1996 წლიდან დღემდე).

1998 წლის მარტში ვ. შუბლაძე საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დაინიშნა საქართველოს ტურიზმის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარედ.

მისი დეპარტამენტის თავმჯდომარედ მუშაობის წლები (1998-2004), მეტად მნიშვნელოვანი იყო ქართული ტურიზმის მშენებლობისათვის ახალი, საბაზრო ეკონომიკის პირობებში. პირველი, რაც გაკეთდა, შემოერთებულ იქნა კურორტების სისტემაც და ტურიზმის დეპარტამენტი გადაიქცა ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტად. ფაქტობრივად, ამ წლებში შეიქმნა და ჩამოყალიბდა დარგის საკანონმდებლო ბაზა. მიღებულ იქნა ძირითადი კანონები ტურიზმის შესახებ და კურორტების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ, მისი ინიციატივით საგადასახადო კოდექსში შეტანილ იქნა ცვლილებები ტურიზმის დარგში ინვესტიციების უპირატესი ხელშეწყობის შესახებ. დაიწყო აღმშენებლობა და სასტუმროებისა და სასტუმრო სახლების ძირითადი ბაზა სწორედ ამ წლებში შეიქმნა. ევროპული დახმარებით დამუშავდასაქართველოში ტურიზმის განვითარების ეროვნული კონცეფცია და სასტუმროთა ქსელის განვითარების სტრატეგია, რომელიც აშშ-ის ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა. ამ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ტურიზმის სტატისტიკურ მონაცემებს, დადგინდა დარგის მაჩვენებლების ნორმატივები, შემუშავდა ტურიზმის შემოსავლების დათვლის მეთოდოლოგია, ტურიზმის, როგორც ეკონომიკის ერთ-ერთი დარგის, ზემოქმედების მექანიზმი ქვეყნის მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და ა.შ.

ვ. შუბლაძის ინიციატივით ჩაეყარა საფუძველი ტურიზმის თბილისის ყოველწლიურ საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობას (1999 წელი) და პირველი სარეკლამო ბუკლეტების, გზამკვლევების, ტურისტული რუკებისა თუ ვიდეოფილმების შექმნასა და გამოშვებას, მათ გავრცელებას მსოფლიოში.

1998 წლის ნოემბერში მისი ხელმძღვანელობით ორგანიზებულ იქნა დიდი აბრეშუმის გზის მსოფლიო ტურისტული ფორუმი, რომელიც ჩატარდა თბილისში და მასში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს 30-ზე მეტი ქვეყნის ტურიზმის მინისტრმა და სამინისტროს დელეგაციამ. ამ საერთაშორისო კონფერენციაში ცალკე მონაწილეობდა მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის დელეგაციაც.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და მისი თავმჯდომარის დიდ ავტორიტეტზე მეტყველებს ისიც, რომ 1999 წელს ვ.შუბლაძე აირჩიეს დსთ-ს ტურიზმის საბჭოს თავმჯდომარედ – ორგანოსი, რომელიც 12 ქვეყნის ტურისტული უწყებას აერთიანებდა, ბ-ნი ვაჟა ოთხი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა აღნიშნულ უწყებას. ამ პერიოდში ვ. შუბლაძის ძალისხმევით დაფუძნდა და გაიხსნა საქართველოს ტურიზმის წარმომადგენლობის ოფისები თელ-ავივში (ისრაელი), ტოკიოში (იაპონია) და კაიროში (ეგვიპტე). ამ წლებში მუშაობის პერიოდში საქართველოს ტურიზმის საერთაშორისო კავშირების გაფართოებისათვის, მეტად მნიშვნელოვანი იყო მისი ვიზიტები ისრაელში (1998 წ.), საბერძნეთში (1999წ.), პორტუგალიაში (1999 წელი), ჩილეში (2000 წ.), თურქეთში (2000 წ.), იაპონიაში (2001-2002 წწ.), არაბთა გაერთიანებული საემიროებში (2002წ.), ჩინეთში (2003 წელი) და სხვ.

ტურიზმის სფეროში ვ. შუბლაძის საქმიანობა აღინიშნა უწყებრივი საპატიო ნიშნით „საქართველოში ტურიზმის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის", ანალოგიური საპატიო ნიშნებით დაჯილდოვდა უკრაინისა და ბულგარეთის ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციების მიერ, მას მიენიჭა „საქართველოს ტურიზმის დამსახურებული მუშაკის წოდება".

2004 წლის მაისში ვ. შუბლაძე მუშაობას იწყებს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მრჩევლად ტურიზმის საკითხებში.

პარალელურად, იგი აქტიურად მუშაობს სადისერტაციო ნაშრომზე: „საქართველოში ტურიზმის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი – სიღარიბის დაძლევის კონტექსტში", რომლის დაცვა შედგა 2005 წლის 13 მარტს საქართველოს მეცნიერებათა აკადე-

მიის პ. გუგუშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში და მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის წოდება. დისერტაციის დაცვის წინა პერიოდში გამოქვეყნდა ვ. შუბლაძის 9 სამეცნიერო ნაშრომი სხვადასხვა რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში: „ეკონომიკა", „სოციალური ეკონომიკა", „მაკრო-მიკრო ეკონომიკა", „ფინანსები" და სხვ.

2004 წელს გამოიცა მისი წიგნი „საქართველო და ტურიზმი" (ქართულ და ინგლისურ ენებზე).

2005 წლის 27 მაისს, საქართველოს საინჟინრო აკადემიის საერთო კრებაზე ვ. შუბლაძე აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს.

2005 წლის აპრილიდან ვ. შუბლაძე მუშაობდა საქართველოს ოლიმპიურ ფონდში ბორჯომის ოლიმპიური განაცხადის მომზადების კოორდინატორად. ეს მოხდა მას შემდეგ რაც, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ახალარჩეული პრეზიდენტი ბადრი პატარკაციშვილი გამოვიდა ინიციატივით, 2014 წელს ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისათვის ბორჯომის კანდიდატურის წამოყენების თაობაზე. 2005 წლის აგვისტოში ბორჯომი, ექვსი ქვეყნის ქალაქებთან ერთად, დარეგისტრირდა, როგორც აპლიკანტი ქალაქი. 2005 წლის სექტემბერში ვ. შუბლაძე სათავეში ჩაუდგა ბორჯომი-2014 – ის საგანაცხადო კომიტეტს, როგორც პროექტის გენერალური მენეჯერი და დაადგა იმ გზას, რაც აქამდე ქვეყანაში არავის გაევლო.

პროფესიონალი ქართველების, მენეჯერთა ჯგუფის მიერ გაწეული საქმიანობა წარმატებით დაგვირგვინდა და საქართველოს საგანაცხადო წიგნი, დადგენილი წესით, დადგენილ ვადაში წარდგენილ იქნა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შტაბბინაში განსახილველად.

ყოველი ადამიანის ცხოვრებაში 60 წელი ის ასაკია, როდესაც ცხოვრების გარკვეული ეტაპი განვლილია, როდესაც რაღაცა ჯამდება და რაღაც ახალი იწყება. ბ-ნმა ვაჟა შუბლაძემ ძალზედ საინტერესო, აქტიური და მნიშვნელოვანი ცხოვრების გზა გაიარა. იგი მთელი ამ ხნის მანძილზე, გულმხურვალედ ემსახურებოდა თავის ქვეყანას და ხალხს. მისი ცხოვრების დევიზი იყო და არის დიდი ილიას სიტყვები: „სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს". ვ.შუბლაძის ცხოვრებაში იყო წარმატებებიც წარუმატებლობაც, იყო დიდი გამარჯვებები და მარცხიც, მაგრამ, არასდროს გამარჯვებას არ გაუთამამებია და მარცხს არ შეგუებია. მთელი მისი დაძაბული შრომისა და

მოღვაწეობის გზაზე, მხარში ედგა ოჯახი, რომლითაც იგი შეგნებულად ამაყობს. მისი მეუღლე ანინე ჯვარშეიშვილი, რომელთან ერთადაც გაიარა მთელი შეგნებული ცხოვრება, დაწყებული სტუდენტობიდან და მისი შვილები – სოფიკო და ნინო შუბლაძეები საქართველოს ღირსეული შვილები და ჭეშმარიტი ქართველები არიან.

ვ. შუბლაძეს ყოველთვის მიაჩნდა და დღესაც მიაჩნია, რომ ამ ქვეყანაზე ბევრი რამ არის საკეთებელი, სადაც ნებისმიერ პატრიოტს შეუძლია თავისი ადგილი მონახოს.

„ჩემს წინა თაობებისაგან განსხვავებით, მე ბედნიერი ვარ, რომ მოვესწარი ჩემი ქვეყნის დამოუკიდებლობასა და ქართველი ხალხის თავისუფლებას. დღეს ჩვენი ახალგაზრდობის წინაშე ახალი ჰორიზონტებია და მე მჯერა ქართველთა განსაკუთრებული ნიჭიერებისა, მე მჯერა უკეთესი ხვალინდელი დღის, მე მჯერა ჩემი ქვეყნის და ხალხის ბედნიერი მომავლისა, იმისი, რომ საქართველო იქნება ერთ-ერთი საინტერესო და წარმატებული, ბედნიერი ქვეყანა დედამიწაზე. ასეთი რწმენით, მამულიშვილური სიყვარულითა და ერთგულებით, უანგაროდ ვემსახუროთ ქვეყანას და ხალხს და საქართველო აუცილებლად გაიმარჯვებს.

იმედი მაქვს, ჩემი ცოდნა, გამოცდილება და ენერგია კვლავაც დასჭირდება ჩემს ქვეყანას და მე მზად ვარ, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ჩემი ერთგულებითა და სიმართლით, როგორც გამოუსწორებელი ოპტიმისტი, კვლავაც ვემსახურო მას“.

ეს სიტყვები ამ წიგნის ავტორს, ბატონ ვაჟა შუბლაძეს ეკუთვნის. ვინც ვაჟას იცნობს, ან თუნდაც ერთხელ მაინც ჰქონია მასთან საქმიანი ურთიერთობა, უთუოდ გაიზიარებს ამ სიტყვების პათოსს და მის გულწრფელობაში ეჭვს ვერ შეიტანს.

*ნონა გაფრინდაშვილი,*
*მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ჭადრაკში,*
*საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის*
*საპატიო პრეზიდენტი*

*ემზარ ზენაიშვილი,*
*საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის*
*გენერალური მდივანი*

# ფოტოალბომი



დავით და თინა შუბლაძეების ოჯახი, შვილებით: ვაჟა, ნარგიზა, ბორისი.



ვაჟა შუბლაძე — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლენინური სტიპენდიანტი.



საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთველითი ტექნიკის ლაბორატორიაში, ვაჟა შუბლაძე (შუაში).



ყაზახეთში ყამირზე – 1968 წელი. მარჯვენიდან პირველი ვაჟა შუბლაძე.



ინსტიტუტში ავტომატიკის ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის სხდომა.



თბილისის კომკავშირის საქალაქო კომიტეტის აპარატის თანამშრომლები. ცენტრში ვაჟა შუბლაძე, მარჯვენიდან მეორე ნუგზარ საჯაია. 1970 წლის მაისი.



თბილისის მთაწმინდის რაიონის ახალგაზრდობის ლიდერები თამაზ ყიფიანი და ვაჟა შუბლაძე, 1971 წელი.



გვინეის ახალგაზრდობის ლიდერების მიღება საქართველოს ახალგაზრდული ორგანიზციების კომიტეტის თავმჯდომარესთან ვაჟა შუბლაძესთან, 1974 წ.



სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის ხელმძღვანელობის მიღება საქართველოში. შეხვედრა ჟიული შარტავასთან და ვაჟა შუბლაძესთან. 1976 წ.



საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჟიული შარტავა, მეორე მდივანი პაჩი ბარციცი და ახალგაზრდული ორგანიზაციების კომიტეტის თავმჯდომარე ვაჟა შუბლაძე თბილისის აეროპორტში, მორიგი საზღვარგარეთული ახალგაზრდული დელეგაციის დახვედრის მოლოდინში.



ბერლინი, პოტსდამი (ი. სტალინის სამუშაო ოთახი), 1974 წელი. ახალგაზრდობის და სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალზე.



აშშ-ს ახალგაზრდა ლიდერებთან შეხვედრის საზეიმო გახსნა. თბილისი, 1978 წელი.



მოსკოვი, კრემლის ყრილობათა სასახლეში ახალგაზრდობის ფორუმზე ცენტრში ვაჟა შუბლაძე, მარჯვნიდან პირველი სერგეი ბაგაფში, 1978 წელი.



კუბის ახალგაზრდობის ლიდერები ი. სტალინის სახლმუზეუმში, 1978 წ. პირველ რიგში მარცხნიდან მეორე ვაჟა შუბლაძე.



პორტუგალიის პრეზიდენტობის კანდიდატი ოქტავიო პატუს მხარდამჭერ მიტინგზე – 1977 წელი. პროვინცია ალინტეჟუ.



შეხვედრა პორტუგალიის კომპარტიის გენერალურ მდივანთან, ცნობილ ანტიფაშისტთან ალვარო კუნიალესთან ლისაბონში. 1977 წელი.




ვიზიტი გფრ-ში – საარბრუკენი – თბილისის მოედანზე – 1980 წელი.



ახალგაზრდობის და სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალი კუბაზე; „ადმირალი ნახიმოვის“ გემბანზე. 1978 წელი.



ბულგარეთის ახალგაზრდობის ლიდერების მიღება — კომკავშირულ ქალაქში, 1976 წელი.



აშშ, ჯორჯიის შტატში შეხვედრა „ატლანტელ ჯორნელის“ — მეპატრონე და გამომცემელთან. მარჯვნიდან პირველი ვაჟა შუბლაძე, 1979 წელი.





კოსმონავტი იური გლაზკოვი სტუმრად საქართველოს ახალგაზრდობის ლიდერებთან. მარცხნიდან: იოსებ ორჯონიკიძე, ვაჟა შუბლაძე, ქიული შარტავა, ვალერი ბაქრაძე. თბილისი, 1979 წელი.



საქართველოს განათლების სამინისტროსა  და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ერთობლივ სხდომაზე. მარჯვნივ განათლების მინისტრი ქ-ნი ნათელა ვასაძე. 1987 წელი.



საფეხბურთო სეზონის გახსნა თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ბორის პაიჭაძესთან ერთად.




სპორტის წყლის სახეობებში მსოფლიო ჩემპიონების მიღება სპორტკომიტეტში. მარცხნიდან მეორე კომიტეტის თავმჯდომარე ნუგზარ ენდელაძე. მარჯვნიდან პირველი – ვაჟა შუბლაძე.



არმიის სპორტული კლუბის სპორტკომპლექსის გახსნა თბილისში. მარცხნიდან მეორე ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილე გენერალი ალბერტ მაკაშოვი. 1988 წელი.



ვაჟა შუბლაძის არჩევა პროფკავშირების გაერთიანებული სპორტსაზოგადოების თავმჯდომარედ, მარცხნივ საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე ქ-ნი ვიქტორია სირაძე. 1988 წელი.



საქართველოს პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ დამფუძნებელი სხდომა.
თბილისი 1989 წელი.



ვაჟა შუბლაძე და ჭადრაკის მსოფლიო ფედერაციის (ფიდე) პრეზიდენტი კირსან ილუმჟანოვი, 1996 წელი.



ეს ფოტო „ბორჯომი-2014"-ის საგანაცხადო კომიტეტის ოფისშია გადაღებული 2006 წლის 30 აპრილს. „ბორჯომი-2014"-ის მენეჯერთა ჯგუფი ატლანტელ ჟურნალისტს ედ პულას მასპინძლობს. მაგიდას თავში სწორედ ის უზის „ბორჯომი-2014"-ის გენერალურ მენეჯერ ვაჟა შუბლაძესთან ერთად.



მოსკოვი. მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა 1994 წელი.

წინა პლანზე, მარცხნიდან: ქეთევან არახამია, მაია ჩიბურდანიძე, ნანა ალექსანდრია (ქალთა ნაკრების კაპიტანი), ვაჟა შუბლაძე (საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი), ნონა გაფრინდაშვილი (ქალთა ნაკრების კონსულტანტი), ნანა იოსელიანი, ნინო გურიელი.

უკანა პლანზე: გენადი ზაიჩიკი, ზურაბ კუტალაძე (საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებელი), ხვიჩა სუპატაშვილი, თამაზ ტაბატაძე (ვაჟთა ნაკრების კაპიტანი), ზურაბ სტურუა, ლაშა ჯანჯღავა, ზურაბ აზმაიფარაშვილი.






„ნონა გაფრინდაშვილის სახელობის საერთაშორისო თასი“ 1997 წელს დაარსდა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტ ვაჟა შუბლაძის ინიციატივით, მისი იდეითა და ძალისხმევით. იგი გადაეცემა საჭადრაკო ოლიმპიადაზე ქალთა და ვაჟთა გუნდების ქულათა საერთო ჯამით გამარჯვებულ ქვეყანას.

პრიზის (სიმაღლე – 54 სმ; წონა 3,1 კგ.) ავტორია მოქანდაკე ირაკლი მეგრელიშვილი. თასი გაწყობილია ოქროს ფრაგმენტებითა და ვიტრაჟული მინანქრით. ამშვენებს ნონა გაფრინდაშვილის ოქროს ბარელიეფური პორტრეტი.



სამახსოვრო ფოტო ქალთა შორის ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონ-თან ჟუჟა პოლგართან. ტილბურგი, ჰოლანდია, 1994 წელი.



ქ. პულა, ხორვატია. საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრებმა გუნდმა (მაია ჩიბურდანიძე, ნანა იოსელიანი, ქეთევან არახამია) მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ტიტული — 1995 წელი.



საქართველოს ტურიზმის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ვაჟა შუბლაძე, 1998 წ.




ტურიზმის თბილისის საერთაშორისო ბაზრობის გახსნაზე. 2000 წელი.



საქართველოს და ისრაელის სახელმწიფოთაშორის პირველი სამთავრობო ხელშეკრულება ტურიზმის სფეროში. ისრაელის მხრიდან ხელს აწერს ქვეყნის ამჟამინდელი პრეზიდენტი ბ-ნი მოშე კაცავი.



საბერძნეთი. ათენი, 1998 წელი სტუმრობა საბერძნეთის ეკონომიკური განვითარების მინისტრთან. მარცხნიდან: საქართველოს ტურიზმის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ვაჟა შუბლაძე, საბერძნეთის ეკონომიკური განვითარების მინისტრი ვასილისა პაპანდრეუ, საქართველოს ელჩი საბერძნეთში ალექსანდრე ჩიკვაიძე, საბერძნეთის ტურიზმის წარმომადგენელი როზა იოსიფიდი და საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ზეზვა ღუღუნიშვილი.




იტალიის მუნიციპალური დელეგაცია მიღებაზე საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარესთან.



მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან ბ-ნ ფრანჩესკო ფრანჯიალისთან ერთად აბრეშუმის გზის ქვეყნების ტურიზმის მსოფლიო ფორუმზე. თბილისი – 1998 წელი.



მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალური მდივნის ბ-ნ ფრანჩესკო ფრანჯიალის სტუმრობა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან ილია II-სთან, 1998 წ.



უკრაინა. დსთ-ს ქვეყნების ტურიზმის საბჭოს სხდომაზე კიევში. 2002 წელი.



დსთ-ს ტურიზმის საბჭოს თავმჯდომარის ვაჟა შუბლაძის გამოსვლა უკრაინის რადაში. 2002 წელი.



საქართველოს ტურიზმის წარმომადგენლობის გახსნა იაპონიაში. ტოკიო, 2002 წელი.




საქართველოს დელეგაცია ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე სეულში. სამხრეთ კორეა, 2001 წელი.



იტალიაში – ტურინის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ოლიმპიურ სოფელში, საქართველოს სახელმწიფო დროშის აღმართვის ცერემონიალზე.



დისერტაციის დაცვაზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში. 2005 წელი.



ვაჟა შუბლაძის ოჯახი. მარცხნიდან მეუღლე – ანინე ჯვარშეიშვილი, ნინო, ვაჟა და სოფიკო შუბლაძეები.

# შ ი ნ ა ა რ ს ი

წინათქმა ..........

თავი პირველი. ტურიზმი – როგორც სიღარიბის დაძლევის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი (მსოფლიო გამოცდილების ასპექტები)
სიღარიბის დაძლევის თანამედროვე ტენდენციები (კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომები) .......... 9
ტურიზმის დაჩქარებული განვითარების თავისებურებები და მექანიზმები .......... 29

თავი მეორე. ტურიზმის განითარების თანამედროვე ტენდენციები (გამოცდილება, ორგანიზაცია, პერსპექტივა)
ტურიზმის განვითარების ორგანიზაციული და ეკონომიკური ასპექტები .......... 57
ტურიზმი განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ სისტემაში .......... 64
ტურიზმის განვითარების პოტენციალი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მისი გამოყენების გზები საქართველოში .......... 74

თავი მესამე. ტურიზმის განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი და მისი რეალიზაციის ძირითადი მიმართულებები
საქართველოში ტურიზმის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების ანალიზი და სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბების კონცეპტუალური და ორგანიზაციული საკითხები .......... 107
ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის თანამედროვე ეტაპზე ტურიზმის განვითარების დაჩქარების სტრატეგია და მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი 136

რეზიუმე .......... 157
ABSTRACT 164
РЕЗЮМЕ .......... 169
ლიტერატურა .......... 177
დანართები და ცხრილები .......... 182
პროექტი „ბორჯომი – 2014“ .......... 198
შტრიხები ბიოგრაფიიდან .......... 216
ფოტოალბომი .......... 226

# CONTENTS

Preface ........................................................................................ 7

**CHAPTER ONE. Poverty and Tourism, as the Most Important Factor for its Elimination (The World Experience)**
Current Trends of Poverty Elimination (Conceptual and Methodological Approaches) 7
Peculiarities and Mechanisms of the Accelerated Tourism Development 29

**CHAPTER TWO. Current Trends of Tourism Development (Experience. Organization. Prospects.)**
Organizational and Economical Aspects of Tourism Development .............. 57
The Role and Importance of Tourism in Economics of Developed and Developing Countries 64
Potential of Tourism Development, Material and Technical Basis and Ways of Its Application in Georgia ........................................ 74

**CHAPTER THREE. Macroeconomic Regulation Mechanism of Accelerated Tourism Development and Main Directions of its Implementation**
Analysis of Factors Impeding Tourism Development in Georgia. Conceptual and Organizational Issues of State Policy Development 107
Strategy of Accelerated Tourism Development and Macroeconomic Regulation Mechanism at the Current Stage of National Economy Transformation 136

**Abstract (Geo)** .......................................................................... 157
**Abstract (Eng)** .......................................................................... 164
**Abstract (Rus)** .......................................................................... 169
**Literature** .......................................................................... 177
**Appendix (tables)** .......................................................................... 182
**Project "Borjomi 2014"** 198
**Bibliography** .......................................................................... 216
**Photo gallery (album)** .......................................................................... 226

# СОДЕРЖАНИЕ

**Предисловие** ........................................ 4

**ГЛАВА ПЕРВАЯ. Туризм – как важнейший фактор преодоления бедности (Аспекты мирового опыта)**

Современные тенденции преодоления бедности (Концептуальные и методологические подходы) ........................................ 7

Механизмы и особенности ускоренного развития туризма ........................................ 29

**ГЛАВА ВТОРАЯ. Современные тенденции развития туризма. (Опыт, организация, перспектива)**

Организационные и экономические аспекты развития туризма ........................................ 57

Туризм в экономической системе развитых и развивающихся стран .... 64

Потенциал развития туризма, материально-техническая база и пути его применения в Грузии ........................................ 74

**ГЛАВА ТРЕТЬЯ. Механизм макроэкономического регулирования развития туризма и основные направления его реализации.**

Анализ препятствующих факторов развития туризма в Грузии и концептуальные и организационные вопросы установления государственной политики ........................................ 107

Стратегия ускорения развития туризма на данном этапе трансформации национальной экономики и механизм его макроэкономического урегулирования ........................................ 136

**Резюме (на грузинском языке)** ........................................ 157

**Резюме (на английском языке)** ........................................ 164

**Резюме (на русском языке)** ........................................ 169

**Литература** ........................................ 177

**Приложения и таблицы** ........................................ 182

**Проект «Боржоми 2014»** ........................................ 198

**Штрихи из биографии** ........................................ 216

**Фотоальбом** ........................................ 226

საგამომცემლო სახლი „ინოვაცია"

დირექტორი: ზაურ ნაჭყებია

პოლიგრაფიული უზრუნველყოფა: შპს „დიოსკურია-2004"

დირექტორი: გულნაზ მშვენიერაძე

გამომც. რედაქტორი: თამარ დემეტრაშვილი
ტექნიკური რედაქტორი: ლევან ბოჭორიშვილი
ოპერატორი: დალი მაგრაქველიძე
კორექტორები: ქეთევან წახნაკია, შორენა ოთარაშვილი

ფასი სახელშეკრულებო

ტირაჟი 500 ეგზ.

მისამართი: თბილისი, ძმები კაკაბაძეების ქ. №22

ტელ.: (899) 56-14-57; 98-39-30; 98-71-25; 92-25-23.
Email: inovacia@caucasus.net,
inovacia@hotmail.com